აღმოსავლეთ
ევროპის
უნივერსიტეტი

სამეცნიერო შრომების კრებული

COLLECTION OF SCIENTIFIC PAPERS

№ 1

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის გამომცემლობა
EAST EUROPEAN UNIVERSITY PUBLISHING HOUSE

თბილისი / Tbilisi
2019

აღმოსავლეთ
ევროპის
უნივერსიტეტი

სამეცნიერო შრომების კრებული

COLLECTION OF SCIENTIFIC PAPERS

№ 1

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის გამომცემლობა
East European University Publishing House

თბილისი / Tbilisi
2019

კრებულში წარმოდგენილია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ახალგაზრდა მკვლევარებისა და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა ფაკულტეტების სტუდენტების პრაქტიკული ღირებულების მქონე სტატიები.

The collection encompasses practically valuable scientific papers of East European University academic personnel and early stage researchers, as well as various faculty students of Georgian educational institutions.

სარედაქციო საბჭო:

პროფ. შალვა მაჭავარიანი (მთავარი რედაქტორი), პროფ. გელა გრიგოლაშვილი, თათია ღერკენაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), პროფ. მიხეილ თოქმაზიშვილი, პროფ. ელიკო წიკლაური-ლამიხი, პროფ. იან ბოემი, პროფ. ინდრეკ იაკობსონი, პროფ. ზვიად როგავა, პროფ. დავით ბოსტოღანაშვილი.

Editorial Board:

Prof. Shalva Machavariani (Editor-in-Chief), Prof. Gela Grigolashvili, Tatia Gherkenashvili (Secretary Editor), Prof. Mikheil Tokmazishvili, Prof. Eliko Tsiklauri-Lammich, Prof. Jan Böhm, Prof. Indrek Jakobson, Prof. Zviad Rogava, Prof. David Bostoghanashvili.

გამომცემელი: აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველოს აკადემიურ გამომცემლობა – „საგა“-სთან თანამშრომლობით.

Publisher: East European University in cooperation with "APG" Academic Press of Georgia.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია ავტორთა პირადი მოსაზრებები. დაუშვებელია აღმოსავლეთ ევროპის უნივერ-სიტეტის მიერ გამოცემული მასალების კომერციული მიზნით გამოყენება უნივერსიტეტის თანხმობის გარეშე.

Publication implies views of the authors. Commercial use of all media published by the East European University (EEU) is not permitted without the written consent of the University.

გამოიცემა ნაბეჭდი და ელექტრონული სახით.

Hard copy as well as soft copy will be available.

© აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, 2019

© East European University, 2019

საგა – საქართველოს
აკადემიური გამომცემლობა
აღმაშენებლის გამზ. 181/2
თბილისი, 0112, საქართველო
ტელ.: (+995 32) 234 04 32
E-mail: pressacademic@gmail.com
www.apgeorgia.com
FB: Academic Press of Georgia – საგა

ISSN 2667-9019

შინაარსი

ეკონომიკა, ბიზნესი, მართვა

შალვა მაჭავარიანი, ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის ამაღლების უმთავრესი ხელშემწყობი ფაქტორები 7

მიხეილ თოქმაზიშვილი, მცირე მეწარმეების სოციალური კაპიტალის თავისებურებები საქართველოში 18

ანა ხუციშვილი, ლევან ჭელიძე, დავით ჭელიძე, საქართველოს სახელმწიფო ვალის დინამიკა და მართვის თავისებურებები 26

დავით სიხარულიძე, ვასილ კიკუტაძე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სექტორული ანალიზი და ეკონომიკური ზრდა 36

გელა გრიგოლაშვილი, ზრდის სტრატეგიის განხორციელების სირთულეები 48

ლევან ლაზვიაშვილი, კულტურული პარადიგმის როლი სოციალური მენეჯმენტის განვითარებაში 57

თათია ღერკენაშვილი, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შემოქმედებითობისა და ინოვაციურობის ხელშემწყობი საორგანიზაციო კულტურის ფორმირების გზები 61

არქიტექტურა

გიორგი გიორგაძე, ურბანული სივრცის მენეჯმენტი: რა დონის ცოდნა არის აუცილებელი მუნიციპალიტეტის მმართველებისთვის 74

სამართალი

გია ლილუაშვილი, მოსამზადებელ სტადიაზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გაუმართლებლობა 79

ბაქარ მაცაბერიძე, რუანდის გენოციდის გამომწვევი საგარეო ფაქტორები 88

ილია ხუციშვილი, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დამუშავება და საკანონმდებლო რეგულირება ევროპის ქვეყნებში 101

ელა კუსიანი, სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები საპროცესო შეთანხმების შესახებ შუამდგომლობის დამტკიცებისას 112

თამარ მსხვილიძე, უცხოური სამართალი და ზემდგომი ინსტანციის სასამართლოები საერთაშორისო კერძო სამართალში 119

ლიტერატურა, ენათმეცნიერება

ხათუნა მაჭავარიანი, პოლიტიკური დისკურსის ფუნქციურ-ენობრივი ასპექტები 125

ეთერ შავრეშიანი, კომედიისა და პაროდიის ცნება აირის მერდოკის რომანში „სასიამოვნო და მართალი“ 132

ნანა გაგუა, სილვია პლათი და პოეტური მიმდინარეობა კონფესიონალიზმი ამერიკულ პოეზიაში 143

ნათია კენჭიაშვილი, სოციუმში ტექსტის ინტერპრეტაციის სემიოტიკური ანალიზი (ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე) 151

გიორგი ჯღარკავა, ფონოსემანტიკური ლექსიკა მეგრულ ანდაზებში 159

განათლება

თამარ ფხალაძე, სწავლების ენა და მიზნები XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 164

ეკატერინე ბენიაშვილი, იან ბოემი, განათლების ინტერნაციონალიზაცია – აღმოსავლეთ საქართველოში გაცვლით პროგრამებზე სტუდენტების ხელმისაწვდომობის კვლევა გენდერულ ჭრილში 169

გარემოს დაცვა

ლევან კიკილაშვილი, რუსუდან კვარაცხელია, საქართველოში ჯანმრთელობის ხელშეწყობა ეკო მეგობრული ტექნოლოგიების ასპექტში 178

CONTENT

ECONOMICS, BUSINESS, MANAGEMENT

Shalva Machavariani, Main Factors Contributing to the Growth of Innovation Potential of the Country 7

Mikheil Tokmazishvili, Characteristics of Social Capital of Small Entrepreneurs in Georgia 18

Ana Khutsishvili, Levan Chelidze, David Chelidze, Debt Dynamics and Governance Features of Georgian Government Debt 26

David Sikharulidze, Vasil Kikutadze, Impact of Foreign Direct Investment on Sectoral Growth of Georgian Economy 36

Gela Grigolashvili, Difficulties of Implementation Growth Strategies 48

Levan Lazviashvili, The Role of the Cultural Paradigm in the Development of Social Management 57

Tatia Gherkenashvili, Ways For Forming Organizational Culture that Promotes Creativity and Innovation in Higher Education Universities 61

ARCHITECTURE

Giorgi Giorgadze, Urban Space Management: What kind of knowledge is Essential for Municipal Governors?.....74

LAW

Gia Liluashvili, The Unjustifiably of a Judement by Default on the Preparatory Stage 79

Bakar Matsaberidze, External Factors Causing Rwandan Genocide 88

Ilia Khutsishvili, Processing of Identification Data for Electronic Communication and Procedural Regulation in European Countries 101

Ella Kusiani, Scope of the Court's Powers in Approving a Plea of Guilty 112

Tamar Mskhvilidze, Foreign Law and High Courts in Private International Law..... 119

LITERATURE, LINGUISTICS

Khatuna Machavariani, The Functional-Linguistic Aspects of Political Discourse 125

Eter Shavreshiani, The Idea of Parody and Comedy in Iris Murdoch's Novel "The Nice and The Good" ... 132

Nana Gagua, Sylvia Plath and Poetical Movement Confessionalism in American Poetry 143

Natia Kentchiashvili, Semiotic Analysis of Text Interpretation in Society (Based on experimental data) 151

Giorgi Jgharkava, Phonosemantic Vocabulary in Megrelian Proverbs 159

EDUCATION

Tamar Pkhaladze, Language and Goals of Tuition in the General Education Schools of the Georgia in the Beginning of the XX Century 164

Ekaterine Beniashvili, Jan Böhm, Student Mobility in Higher Education – Research of Student Access to Exchange Programs in East Georgia from a Gender Point of View 169

ENVIRONMENTAL PROTECTION

Levan Kikilashvili, Rusudan Kvaratskhelia, Health promotion in Georgia Eco friendly Technologicals Aspect.....178

რექტორის მიმართვა

თანამედროვე განათლების სივრცეში საუნივერსიტეტო სამეცნიერო შრომების კრებულის გამოცემა მნიშვნელოვანია როგორც კონკრეტულად აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის, ასევე, ზოგადად, ქართული საგანმანათლებლო სპექტრის განვითარებისათვის.

დარწმუნებული ვარ, აღნიშნული კრებული გამოცდილ და ახალბედა მკვლევარებს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენასა და მათ მიერ გაწეული სამუშაოების რეალიზებაში მნიშვნელოვნად დაეხმარება. სამეცნიერო ნაშრომთა კრებულის წარმატება დამოკიდებულია როგორც კრებულის სარედაქციო კოლეგიის ეფექტიანად გაწეულ სამუშაოზე, ასევე, კრებულში გამოქვეყნებით დაინტერესებულ მკვლევართა სტატიების მაღალ სტანდარტზე.

დიდი იმედი მაქვს, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ახალი ფორმატით გამოცემული სამეცნიერო ნაშრომთა კრებული მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს უნივერსიტეტის როგორც სამეცნიერო და კვლევითი პოტენციალის ამაღლების, ასევე, სწავლების პროცესში კვლევის დანერგვის ეფექტიანობის ამაღლების საკითხებში.

ვულოცავ სარედაქციო კოლეგიას და ყველა დაინტერესებულ პირს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ახალი ფორმატით სამეცნიერო ნაშრომთა კრებულის გამოცემას და წარმატებულ მომავალს ვუსურვებ!

დავით ჩერქეზიშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი

Rector's Address

Publishing the university Collection of Scientific Papers in the modern educational environment serves as a key factor for the development of East European University and generally Georgian educational spectrum.

I do believe that this collection will boost to experienced and novice researchers on the way of revealing their potential and realization of the work conducted by them. The success of Collection of Scientific Papers depends on the effective work of its editorial board as well as high standard of the papers presented by researchers interested in publishing articles in the collection.

I strongly hope that the collection of scientific papers published by East European University in a new format will significantly contribute to enhancing the scientific and research potential of the university as well as will enhance the effectiveness of research implementation in the teaching process.

Congratulations to the editorial board and all interested individuals publishing the collection of scientific papers in a new format and wish them prosperous future!

Dr. David Cherkezishvili

East European University Rector

წინათქმა

აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში მიჩნეულია მისი სტრატეგიის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად. წინამდებარე კრებულში ასახულია უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც ეხება ეკონომიკის, ბიზნესის, ინოვაციური პოტენციალის ამაღლების, ორგანიზაციული მართვის, იურისპრუდენციის, არქიტექტურის, გარემოს დაცვის, ფილოლოგიის, განათლების, ლიტერატურისა და ენათმეცნიერების აქტუალურ საკითხებს.

კრებულში წარმოდგენილია როგორც აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის, ასევე მისი პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მკვლევართა ოცდაერთი სამეცნიერო ნაშრომი.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული მოწოდებულია წარმოადგინოს მკვლევარების საინტერესო ნაშრომები და ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერების მიერ შესრულებული კვლევების წარმოჩენას.

შალვა მაჭავარიანი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი სამეცნიერო დარგში

Preface

Boosting scientific activity of the academic staff as well as students at the East European University serves as one of the leading priorities of it's strategy. This collection implies the following key areas of the university-based R&D: Economics, Business, Innovation Enhancement, Organizational Governance, Jurisprudence, Architecture, Environmental Protection, Philology, Education, Literature and Linguistics.

The collection encompasses twenty-one scientific papers of researchers from both East European University and its partner higher education institutions.

EEU collection of scientific papers is dedicated to present interesting works of researchers and to contribute to the revealing researches carried out by young scientists.

Dr. Shalva Machavariani

East European University Vice-rector for Scientific Affairs

ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის ამაღლების უმთავრესი ხელშემწყობი ფაქტორები

შალვა მაჭავარიანი

პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

მსოფლიოში არსებული ტენდენციები ცხადყოფენ *ინოვაციის* განსაკუთრებულ მნიშვნელობას როგორც ქვეყნებისა და საზოგადოებების განვითრებისათვის, ასევე ცალკეული ორგანიზაციებისა, თუ პიროვნებების წარმატებული საქმიანობისთვის, ვინაიდან მიმართულია პროგრესისა და კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად. მეოცე საუკუნის დასაწყისში, თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ჯოზეფ შუმპეტერის მიერ ინოვაციის საჭიროება დასაბუთებული იყო როგორც „ეკონომიკაში საჭირო ცვლილების მისაღებად" (Schumpeter J., 1934) და „ბიზნესის წარმატებული განხორციელებისათვის" (Schumpeter J., and (Carroll, Pol, E. 2006). მენეჯმენტის კლასიკოსის, პიტერ დრუკერის თვალსაზრისით, ინოვაცია მიჩნეულია ბიზნესის განვითარების უმთავრეს ინსტრუმენტად (Drucker Peter F., 1999).

ნაშრომი წარმოადგენს უკანასკნელი თორმეტი წლის კვლევების შედეგს, რომლებიც ეფუძნება მსოფლიო ბანკის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშს, ევროსტატისა და საქსტატის მონაცემებს, ავტორის მიერ ინოვაციების მართვის საკითხებზე არქიმედეს ფონდის[1], „INTAS"-ის პროგრამის[2], ფონდი ღია საზოგადოების[3], ევროკავშირის მეშვიდე ჩარჩო პროგრამის[4] და ფრიდრიხ ებერტის ფონდის პროექტებში[5] განხორციელებული სამუშაოების შედეგებს, აგრეთვე უცხოელ და ქართველ მკვლევართა თეორიულ ნაშრომებს, საზღვარგარეთის წარმატებული ქვეყნების გამოცდილებას ინოვაციური პოტენციალის ასამაღლებლად.

სხვადასხვა სფეროში შესრულებული მრავალი კვლევის მიუხედავად, ინოვაციის საყოველთაოდ მიღებული განმარტება დღემდე ჩამოუყალიბებელია. სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემულია ინოვაციის ერთმანეთისგან განსხვავებული სამოცდაათამდე განსაზღვრება (Berkun Skott, 2013) და (Edison, H., Ali, N.B.& Torkar, R., 2010). დეფინიციების მრავალსახეობის მიუხედავად, გამოიკვეთა ინოვაციის ძირითადი მდგენელები: – **ახალი ცოდნა** (სიახლე), – **პროექტი** (სიახლის დასანერგად), – **ახალი ცოდნის ტრანსფერი** და **სიახლის კომერციალიზაცია,** რომელიც მიმართულია: – ღირებული პრაქტიკული შედეგის მისაღებად (Schumpeter J. in McDaniel B. A., 2002). ამრიგად, *ინოვაცია არის რაიმე სიახლის (ახალი ცოდნის) პრაქტიკულ შედეგში ტრანსფორმაციის პროცესის პოზიტიური შედეგი.* უკანასკნელ ხანს განხორციელებული კვლევების საფუძველზე შესაძლებელი გახდა საინოვაციო პროცესის განზოგადოებული სახის მოდელის ჩამოყალიბება (ილუსტრაცია 1), რომელიც ასახავს მოქმედებების ლოგიკურ თანმიმდევრობას ინოვაციის მისაღებად. ამ მოდელის მიხედვით, სიახლის შესაქმნელად მკვლევარს მოეთხოვება: ღირებული ცოდნა და საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა, ხოლო სათანადო კვლევების

[1] The Archimedes Foundation, Project "Analysis of Existing Georgian Key Technologies", 2006-2007
[2] INTAS Program, Project NO: 06-1000017-8811, "Research and Development of Science, Technology and Innovation Policy, 2008-2009
[3] OSF, EE Program, Project: "Training of Georgian Experts in Tallinn University of Technology in Order to Commercialize Innovation Technology and Organize Business Incubators, 2010
[4] EU Seventh Framework Program, Project IncoNet Ca/SC, Grant Agreement # 244417, 2011-2014
[5] Friedrich Ebert Stiftung, South Caucasus Office, Project: "Perspectives for the European Development of SME's Business in Georgia", 2015-2016

ჩატარებას ესაჭიროება საკმარისი რაოდენობის სახსრები. თანამედროვე ბიზნესისთვის სიახლე ქმნის წარმატების რეალურ საფუძველს, ვინაიდან სიახლის გამოყენებით იქმნება მნიშვნელოვანი საფუძველი ახალი პროდუქტის/მომსახურების მისაღებად, ან/და ახალი ბაზრის ჩამოსაყალიბებლად. შესაბამისად, ბიზნესი იძენს კონკურენტუნარიანობას სიახლისადმი მიზანდასახული სწრაფვით, რაც მოგების მიღების რეალური საწინდარია. თუ ქვეყანაში არსებობს ჯანსაღი კონკურენტული გარემო, ბიზნესს კონკურენტუნარიანობის მისაღწევად (ან მის შესანარჩუნებლად) მუდმივად ექნება ინოვაციებზე მოთხოვნილება. შედეგად, მეცნიერება სიახლის შესაქმნელად იღებს საჭირო სახსრებს, რომლებიც გამოიყენება კვლევების ჩასატარებლად და მკვლევარების მოსაზიდად, ხოლო ბიზნესი აღწევს სასურველ საბაზრო პოზიციას. მოდელის მიზანდასახული გამოყენება ხელს უწყობს ქვეყანაში ეკონომიკური და სოციალური ვითარების მნიშვნელოვან გაუმჯობესებასა და რეალური პროგრესის მიღებას, რასაც ცხადყოფს მრავალი განვითარებული ქვეყნების გამოცდილება.



ილუსტრაცია 1. საინოვაციო პროცესის ზოგადი სახის მოდელი

ინოვაციები ერთმანეთისგან განსხვავდებიან თავიანთი დანიშნულების მიხედვით.[6] ამ სფეროში უკანასკნელი გამოკვლევების (Zapel Daniel, 2018), (Ray Lugto, 2016), (Greg Satell, 2017), (Characteristics and types of innovation, 2007), ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებულია ინოვაციის რვა ძირითადი სახეობა (ილუსტრაცია 2):

1. *საპროდუქტო ინოვაცია* – მისი მიღება ხდება ახალი ან გაუმჯობესებული სახის პროდუქტის შექმნით;
2. *მარკეტინგული ინოვაცია* – მიმართულია მწარმოებლის ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ის ხორციელდება მომხმარებლის მოთხოვნების განსაზღვრისა და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ახალი თეორიების,ან არსებულის გაუმჯობესების საშუალებით;

[6] Types of Innovation. https://innovation-management.org/types-of-innovation.html



ილუსტრაცია 2. ინოვაციის ძირითადი სახეობები

3. *საორგანიზაციო ინოვაცია* – მენეჯმენტის სისტემის სრულყოფის შედეგია;
4. *გარემოს დაცვითი ინოვაცია*– რომელიც მიმართულია გარემოს დაცვაზე ახალი, ან გაუმჯობესებული მიდგომებისა დ მეთოდების გამოყენებით;
5. *სერვისული ინოვაცია* – მომხმარებლისთვის გაწეული (გაყიდვამდელი, გაყიდვისას და გაყიდვის შემდგომი) ახალი, ან გაუმჯობესებული სახის მომსახურებაა, რომელიც მოიცავს კონსულტირებას, დაზღვევას, ლოგისტიკურ საქმიანობასა და მომხმარებლის უკეთესად მომსახურების სხვა საჭირო მოქმედებებს;
6. *სტრატეგიული ინოვაცია* – საქმიანობის ხანგრძლივვადიანი დაგეგმვის ახალი, ან გაუმჯობესებული მიდგომებისა ან/და მეთოდების დანერგვის შედეგი;
7. *ტექნოლოგიური, ანუ პროცესული ინოვაცია* – მისი მიღება ხდება სხვადასხვა დარგში შესრულებული მეცნიერული კვლევების შედეგების პრაქტიკაში გამოყენების გზით, ახალი ნივთიერების, ენერგიის, ან ინფორმაციის გადამუშავებისკენ მიმართული პროცესის შედეგად, რომელიც საჭიროა საზოგადოების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად;
8. *სოციალური ინოვაცია* – სოციუმის რეორგანიზაციის (განათლების, სამედიცინო უზრუნველყოფის, მოწყვლადი ფენების დახმარების, ცხოვრების პირობების გაუმჯობესების სფეროებში) განხორციელების დადებითი შედეგია.

დღეს მრავალ ქვეყანაში ინოვაციების განსავითარებად მიღებული აქვთ ეროვნული სამოქმედო პროგრამები[7].

ინოვაციების ხელშეწყობა აშშ-ში (Strategy for American Innovation, 2015)[8] და ევროპაში[9,10], აღიარებულია სახელმწიფო პოლიტიკის ქვაკუთხედად, რადგან ამერიკის შეერთებული შტატე-

[7] National Innovation Systems. https://www.oecd.org/science/inno/2101733.pdf

[8] Strategy for American Innovation, 2015. https://obamawhitehouse.archives.gov/sites/default/files/strategy_for_american_innovation_october_2015.pdf

[9] Europe 2020: A European Strategy for Smart, Sustainable, and Inclusive Growth, 2010, http://ec.europa.eu/eu2020/pdf/COMPLET%20EN%20BARROSO%20%20%20007%20-%20Europe%202020%20-%20EN%20version.pdf

[10] Research and Entrepreneurship: A New Innovation Strategy for Europe, 2008, http://www.eirma.org/sites/www.eirma.org/files/doc/external/080708-Toulouse/080701-guillecsachwald.pdf
The Global Competitiveness Report 2017-2018.http://www3.weforum.org/docs/GCR2017 2018/05FullReport/TheGlobalCompetitivenessReport2017%E2%80%932018.pdf

ბისა და ევროპის ქვეყნების გლობალურ კონკურენტუნარიანობას დღეს განაპირობებს მათი მრავალკომპონენტიანი ინოვაციური პოტენციალი (Atkinson, Robert. D., 2014). მიზეზთა გამო, საქართველოში ამ მხრივ იყო გარკვეული ჩამორჩენა, რასაც ცხადყოფს 2017-2018 წლების „გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში", რომლის თანახმად, საქართველოს თავისი ინოვაციური შესაძლებლობებით ეკავა 99-ე ადგილი[11] (137 ქვეყანას შორის). იმავე ანგარიშის შესაბამისად, არადამაკმაყოფილებელია სხვა მონაცემებიც: უმაღლესი განათლების ხარისხი (107-ე ადგილი), განათლების მეცნიერების ხარისხი (103-ე ადგილი), სამენეჯერო სკოლების ხარისხი (113-ე ადგილი), სამეცნიერო დაწესებულებების ხარისხი (127-ე ადგილი), უნივერსიტეტებისა და ბიზნესის თანამშრომლობა (116-ე ადგილი), სამეცნიერო და საინჟინრო კადრების სარგებლიანობა (125-ე ადგილი), კომპანიების დანახარჯი დაკვეთილ კვლევებზე(122-ე ადგილი), შესაძლებლობა ტალანტების მოზიდვასა და მათ შენარჩუნებაში (101-ე ადგილი), პერსონალის ტრენინგის ხარისხი (131-ე ადგილი), სამეცნიერო-საწარმოო კლასტერების განვითარებულობა (127-ე ადგილი), წვდომა უახლეს ტექნოლოგიებზე (111-ე ადგილი), კომპანიებში არსებული ტექნოლოგიების ხარისხი (108-ე ადგილი), ანტი მონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობა (112-ე ადგილი).

მიუხედავად იმისა, რომ 2019 წელს ვითარება ოდნავ გაუმჯობესდა და გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით, ინოვაციური შესაძლებლობის ინდექსით საქართველოს უკავია 91 ადგილი[12] (141 ქვეყანას შორის), ეს მაჩვენებლი აგრეთვე ნაკლებად უწყობს ხელს ქვეყნის სწრაფ და შეუფერხებელ განვითარებას. შექმნილი მდგომარეობა ძირითადად გამოწვეულია როგორც უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში გარედან ინსპირირებული კონფლიქტებით, რუსული აგრესიით, ასევე ქვეყნის შიგნით არასათანადო ყურადღებით ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის მიმართ, რამაც გამოიწვია ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის ჩამორჩენა, თუნდაც თავის უშუალო მეზობლებთან (ცხრ.1). არსებული პრობლემა ატარებს კომპლექსურ ხასიათს. ზემოთ აღწერილი ფაქტორების გარდა, ქვეყნის „ინოვაციურობა"-ზე გავლენას ახდენენ აგრეთვე განვითარების ერთიანი სტრატეგიისა და მისი შემადგენელი ნაწილის, ინოვაციური პოტენციალის ამაღლების ხანგრძივვადიანი გეგმის უქონლობა. 2019 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის თანახმად, საქართველოს ინოვაციურ შესაძლებლობაზე განსაკუთრებულად ზემოქმედებენ ცხრ. 2-ში ნაჩვენები მონაცემები, რომელთა გაუმჯობესებაზე უნდა იყოს მიმართული ქვეყნის სტრატეგიული განვითარების ხანგრძლივვადიანი გეგმა, არსებულ ნაკლოვანებებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს:

მეცნიერებაზე გამოყოფილი სახსრების სიმცირე

საქართველოში განათლებაზე გამოყოფილი თანხა თითქმის 17-ჯერ აღემატება მეცნიერების დაფინანსებას. ერთ ადამიანზე გადაანგარიშებით, 2015 წელს საქართველოში სამეცნიერო კვლევებზე 7,8 აშშ დოლარი იხარჯებოდა, მსოფლიოში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 18,6 დოლარს შეადგენდა, ხოლო განვითრებულ ქვეყნებში საშუალოდ 60%-ით მეტს. 2015 წელს, საქართველოში განხორციელებული კვლევების ღირებულების შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან შეადგენდა 0,16% და ამ მხრივ ძალზე ჩამორჩებოდა დაფიქსირებულ მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს[13] (ილუსტ. 3). აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის მოთხოვნის თანახმად, 2020 წელს, ევროკავშირის ქვეყნებში კვლევებსა და განვითარებაზე დახარჯული სახსრების შეფარდება მთლიან შინა პროდუქტთან უნდა იყოს არანაკლები 3%-სა[14].

[11] The Global Competitiveness Report 2017-2018.http://www3.weforum.org/docs/GCR2017 2018/05FullReport/The GlobalCompetitivenessReport2017%E2%80%932018.pdf

[12] The Global Competitiveness Report 2019, http://www3.weforum.org/docs/WEF_TheGlobalCompetitivenessReport2019.pdf

[13] Gross Domestic on R&D total % of GDP https://data.oecd.org/rd/gross-domestic-spending-on-r-d.htm#indicator-chart

[14] Europe 2020 indicators_Research & Development. http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Europe_2020_indicators_-_research_and_development#Further_Eu

საქართველოსმეზობელი ქვეყნების „ინოვაციური შესაძლებლობის“ რეიტინგი ცხრ.1

ქვეყანა	ინოვაციური შესაძლებლობა 2017-2018	ინოვაციური შესაძლებლობა 2019
საქართველო	98	91
აზერბაიჯანი	36	68
სომხეთი	70	62
რუსეთი	65	32
თურქეთი	74	49

საქართველოს „ინოვაციური შესაძლებლობის“ განმსაზღვრელი ფაქტორები (2019 წელი) ცხრ. 2

N	პოზიციის დასახელება	რეიტინგი
1	დასაქმებულების პროფესიული უნარები	126
2	დასაქმებულების წვრთნის მომცველობა	123
3	დასაქმებულების ცოდნის ხარისხი	135
4	უმაღლესი სასწავლებლების კურსდმთავრებულთა უნარები	125
5	მცოდნე თანამშრომლის მოძიების სიადვილე	120
6	კრიტიკული აზროვნების სწავლება	98
7	შრომითი რესურსის შიდა მობილობა	123
8	ანაზღაურებისა დაპროდუქტიულობის ურთიერთმიმართება	89
9	წარმოების ხელმისაწვდომობა კაპიტალზე	109
10	მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსება	83
11	ბაზრის კაპიტალიზაცია (% მშპ-დან)	119
12	სადაზღვევო პრემია	112
13	სამეწარმეო კულტურა	93
14	ინოვაციური კომპანიების ზრდა/მატება	108
15	დანახარჯი კვლევებზე და განვითარებაზე (% მშპ-დან)	82
16	სამეცნიერო-საწარმოო კლასტერების განვითარებულობა	120



ილუსტრაცია 3. ქვეყნების მიხედვით კვლევებზე დანახარჯების შეფარდება მშპ-თან (%).

უნივერსიტეტებშიკვლევებსა და სწავლებას შორის ინტეგრირების დაბალი ხარისხი

საქართველოში არქიმედეს ფონდის ხელშეწყობით, 2006-2007 წლებში განხორციელებული პროექტის (Archimedes Foundation Project), აგრეთვე 2011-2014 წლებში ევროკავშირის პროექტის "IncoNet CA/SC" ფარგლებში შეფასდა საუნივერსიტეტო სწავლებისა და მეცნიერების ურთიერთდაკავშირების ხარისხი და მისი გავლენა ბიზნესისათვის ინოვაციური იდეების ტრანსფერის მოცულობაზე. აღინიშნა კვლევებსა და სწავლებას შორის ძალზე სუსტი კავშირის მიზეზები: ნაკლოვანი სასწავლო პროგრამები, რომლებშიც არასათანადოდაა გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტი, მოძველებული ინფრასტრუქტურა, საუნივერსიტეტო კვლევების არასაკმარისი დაფინანსება, სწავლების ხარისხის შეფასების არასრულყოფილი მეთოდიკა და ა.შ. მგავსი შეფასება მოცემულია განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის 2013 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში: „უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში"[15].

ბიზნესთან ძალზე სუსტი კავშირი

საქართველოში ბიზნესის განვითარება მნიშვნელოვანწილად იზღუდება კვლევითი სექტორიდან მიწოდებული ინოვაციების ნაკლებობის გამო, ხოლო ბიზნესის მხრიდან დაკვეთების სიმცირის მიზეზით, ვერ ხერხდება საუნივერსიტეტო მეცნიერების სათანადოდ დაფინანსება. 2008-2009 წლებში, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი პირობების შესასწავლად, განხორციელდა ევროკავშირის სამეცნიერო პროგრამა (INTAS Project-SCRIPTS). დადგინდა, რომ სუსტ კავშირს განაპირობებს ქვეყანაში ინოვაციური სტრატეგიის უქონლობა, მაღალტექნოლოგიური ორგანიზაციების სიმცირე[16], ბიზნეს-აქსელერატორების განუვითარებლობა, ჩამოუყალიბებელი ინფრასტრუქტურა, კვლევების სუსტი კოორდინაცია, ინოვაციებზე მიმართული კვლევების არასათანადოდ დაფინანსება, კვლევითი საქმიანობის უზრუნველყოფელი სისტემების გაუმართაობა (საპატენტო, სამეცნიერო ტექნიკური ინფორმაციის, ტესტირების, სტანდარტიზაციის და სხვა), კვლევებისა და ინოვაციების შესახებ სამართლებრივი ბაზის არასრულყოფილება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის თანამედროვე ინფრასტრუქტურის ნაკლებობა (შალვა მაჭავარიანი და სხვები, 2015).

აღსანიშნავია, რომ საუნივერსიტეტო მეცნიერების გამოყენებითი დარგები თავიანთ სასწავლო პროგრამებში თითქმის არ ითვალისწინებენ რეალური ბიზნესის მოთხოვნებს. ამ მიზეზით სტუდენტები მოკლებულნი არიან კვლევებს ბიზნესის აქტუალურ საკითხებზე, რაც ხელს უშლის სწავლების ხარისხის ამაღლებას და სტუდენტების კვალიფიციურ, კონკურენტუნარიან სპეციალისტებად ჩამოყალიბებას[17].

პერსპექტიული კადრებით უნივერსიტეტების არასათანადო დაკომპლექტება

„უმაღლესი განათლების შესახებ"[18] საქართველოს კანონის თანახმად, უმაღლესი სასწავლებლებისათვის სამეცნიერო კადრების მოსამზადებლად გათვალისწინებულია ე.წ. მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა. ზალცბურგის რეკომენდაციების თანახმად „სადოქტორო განათლების მიზანია კვლევაზე ორიენტირებული აზროვნების კულტივირება; მოქნილი აზროვნების, კრეატიულობისა და ინტელექტუალური ავტონომიურობის აღზრდა/მხარდაჭერა ორიგინალური, კონკრეტული კვლევითი პროექტის მეშვეობით"[19]. პერსპექტიული მკლევარები დოქტორანტურის დასრულებისა და სამეცნიერო ხარისხის დაცვის შემდეგ იღებენ ერთგვარ „საშვს" უნივერსიტეტებში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად და სამეცნიერო საქმიანობის განსახორციელებლად. რამდენად სრულფასოვნად ხორციელდება სადოქტორო პრო-

[15] **უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში**, http://erasmusplus.org.ge/files/publications/Strategic%20Development%20of%20HE%20and%20Science%20in%20Georgia%20-%20ge.pdf

[16] Oleg Shatberashvili. (2012), EU Eastern Partnership Programme and Innovative SMEs**.** ERENET PROFILE, ISSUE 28, Vol. VII, No. 4, , pp.30-42 (ISSN 1789-624X

[17] Knowledge and Research Issueshttp://www.jstor.org/discover/10.2307/3250961?uid=2&uid=4&sid=21101070482013

[18] https://www.tsu.ge/data/file_db/PR/kanoni-umaglesi-ganatlebis.pdf

[19] Salzburg II Recommendations. 2010, EUA. www.eua.be

გრამები და შედეგად რა ხარისხის შევსებას იღებენ უმაღლესი სასწავლებლები, დიდ კითხვის ნიშანს აჩენს, ვინაიდან მეცნიერების გამოყენებით დარგებში დაცული დისერტაციების შედეგები თითქმის არ არის გამოყენებული ბიზნესის მიერ და მათი, როგორც სამეცნიერო ნაშრომების ციტირების კოეფიციენტი ძალზე დაბალია. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან:

1. სახელმწიფოს მიერ არასაკმარისი სახსრებია გამოყოფილი სადოქტორო დისერტაციების მოსამზადებლად (ცხრ. 3), მაგ. 2008 წლიდან 2016 წლამდე კვლევასა და განვითარებაზე ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან თითქმის არ შეიცვალა, ხოლო დოქტორანტების რიცხოვნობა კი გაიზარდა 2,56-ჯერ;

საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტის ფაქტიური დანახარჯები დოქტორანტურაში სამეცნიერო კვლევების შესასრულებლად[20,21]

ცხრ. 3

დასახელება	**2008**	**2009**	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2015**	**2016**
%-ი მშპ-თან	0,16	0,22	0,18	0,09	0,07	0,12	0,16	0,17
დოქტორანტების რაოდენობა	1588	2988	–	4266	3040	3213	3765	4076

2. სადოქტორო დისერტაციების თემები (განსაკუთრებით მეცნიერების გამოყენებით დარგებში) არ არიან ორიენტირებულები ბიზნესის წინეშე მდგარი რეალური პრობლემების გადასაწყვეტად, რის გამოც არ ხდება ბიზნესის მხრიდან ამ თემების დაფინანსება; 3. შეინიშნება ტენდენციები, როცა სადოქტორო დისერტაციების დაცვები წარიმართება მხოლოდ დისერტანტის პიროვნული ამბიციების დასაკმაყოფილებლად.

არაკომფორტული საორგანიზაციო გარემოს არსებობა

კვლევების ეფექტიანობა, ანუ ღირებული ინტელექტუალური პროდუქციის შექმნა დიდწილად დამოკიდებულია თანამშრომლებისთვის *კომფორტული სამუშაო გარემოს არსებობაზე* (Matteo Mura, Emanuele Lettieri და სხვები, 2012), რასაც ქართულ სინამდვილეში არასათანადო ყურადღება ექცევა.კომფორტული სამუშაო გარემო ძირითადად დამოკიდებულია: „თანამშრომლების ცნობიერების განვითარების სტადიაზე", საქმიანობის ხასიათზე და საორგანიზაციო კულტურის კრიტერიუმებზე.

ა. *„თანამშრომლების ცნობიერების განვითარების სტადიის" გავლენა ლიდერობის სტილზე.* იმ შემთხვევაში, როცა თანამშრომლების ქცევა განპირობებულია მხოლოდ კერძო ინტერესებით და ორგანიზაციაში არსებული მკაცრი წესებით, ხოლო პიროვნების მოქმედება ძირითადად გამოწვეულია დასჯის შიშით, ორგანიზაციაში უმთავრესად ინერგება ავტორიტალურ მართვის სტილი (ილუსტ. 4). ცნობილია ავტორიტარული სტილის ორი ნაირსახეობა:

1. *ექსპლოატატორულ-ავტორიტატული ლიდერობის სტილი* დამახასიათებელია ავტოკრატი ხელმძღვანელისათვის, რომელიც ერთპიროვნულად, მკაცრი მეთოდების გამოყენებით მართავს თანამშრომლებს. ეს სტილი შეესაბამება დევიდ მაკგრეგორის "X"თეორიის დებულებებს.

2. *კეთილგანწყობილ-ავტორიტარული სტილი* აქვთ ხელმძღვანელებს, რომლებსაც გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აინტერესებთ თანამშრომლების თვალსაზრისი, მართვისას აძლევენ მათ შეზღუდულ უფლებებს და ასეთი მიდგომით ქმნიან თანამშრომლებში მოტივაციას შესასრულებელი დავალების მიმართ. ამ სტილის მქონე ადამიანებს ახასიათებთ ქარიზმატიულობა, მიდრეკილება ნებისმიერი გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღებისადმი და დეტალური კონტროლის განხორციელების სურვილი. კეთილგანწყობილ-ავტორიტატული სტილი გარკვეულწილად „დაძრულია" კონტინიუზე – დევიდ მაკგრეგორის

[20] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, http://www.geostat.ge/?action=page&p_id=205&lang=geo
[21] სამეცნიერო კვლევების ბიუჯეტიდან დაფინანსება https://www.osgf.ge/files/2014/publications/Integration_of_Research_and_Study_at_HEI_-_Lali_Bakradze.pdf

"X"თეორიით განსაზღვრული პირობებიდან (McGregor, D., 1960), მაგრამ ძალზე დაშორებულია"Y" თეორიის მოთხოვნებიდან.

ილუსტრაცია 4. თანამშრომლის ცნობიერების განვითარების სტადიისა და ხელმძღვანელის მართვის სტილის ურთიერთდამოკიდებულება

საზოგადოების „განვითარების საწყისი სტადიის" შემთხვევაში, თანამშრომლების ეფექტიანი მართვისათვის საჭიროა ავტორიტარული სტილის მქონე ხელმძღვანელის შერჩევა [Kohlberg L. 1995].

„განვითარების ძირითადი სტადიის" პირობებში, როცა ადამიანები მოქმედებენ გარემოცვის მოლოდინის შესაბამისად და კეთილსინდისიერად ასრულებენ სოციალური სისტემის მიერ "დაკისრებულ მოვალეობებს", საჭიროა თანამშრომლების მართვა დემოკრატიული ლიდერობის სტილის მქონე ხელმძღვანელის მიერ, ვინაიდან ლიდერობის დემოკრატიული სტილით გამორჩეული ხელმძღვანელი მეტ ყურადღებას იჩენს თანამშრომლების აზრის მიმართ, ისმენს და აანალიზებს მათ რჩევებს და იღებს სათანადო გადაწყვეტილებებს. აღნიშნულის გარდა აძლევს თანამშრომლებს მოქმედების მეტ თავისუფლებას. ლიდერობის დემოკრატიული სტილი, დევიდ მაკგრეგორის „X" და „Y" თეორიებით განსაზღვრულ კონტინიუმზე იკავებს შუალედურ პოზიციას.

„განვითარების შემდგომი სტადია" ითვალისწინებს პიროვნების მოქმედებას სიკეთისა და სამართლიანობის მისეული პრინციპების მიხედვით, შესაბამისად ადამიანი ეძებს ეთიკური დილემის გადაწყვეტის გზებსა და მეთოდებს. იცავს ბალანს საკუთარ და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის. აღნიშნულ პირობებში, თანამშრომლების ოპტიმალური მართვისათვის, მისაღებია ლიდერობის ტრანსფორმაციული სტილის მქონე ხელმძღვანელი. ლიდერობის ტრანსფორმაციული სტილი ხელს უწყობს ორგანიზაციაში თანამშრომლობის მაღალ ხარისხს, ურთიერთნდობასა და პატივისცემას, თანამშრომლების სრულფასოვან ჩართულობას მართვის პროცესში და გადაწყვეტილებების მიღებას სათანადო კომპეტენციის მქონე თანამშრომლებთან მოთათბირების შედეგად. ამგვარი ლიდერობის სტილი შეესაბამება დევიდ მაკგრეგორის "Y" თეორიის დებულებებს. ამავდროულად, მმართველობითი საქმიანობის შესასრულებლად იყენებენ ნოვატორულ მიდგომებს. ნდობაზე აგებული ურთიერთობა თანამშრომლებში აღძრავს დამატებით მოტივს, რაც ასტიმულირებს მათ სამუშაოს მაღალ დონეზე შესრულებასა და ტრანსცენდენტული მიზნების მიღწევაში (MacGregor, D.Burns J., 2012).

ბ. *საქმიანობის ხასიათის გავლენის გათვალისწინება.* სიტუაციური ლიდერობის თეორიებიდან გამომდინარე (Hersey, P. & Blanchard, K.B. 1993), შესასრულებელი საქმიანობის ხასიათი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ხელმძღვანელის ლიდერობის სტილს. ორგანიზაციაში, განმეორებადი, რუტინული ხასიათის სამუშაოს შესასრულებლად უთუოდ გამოდგება როგორც ავ-

ტორიტარული, ასევე დემოკრატიული ლიდერობის სტილის მქონე ხელმძღვანელი. რაც უფრო შინაარსიანია სამუშაო, მის შესასრულებლად საჭირო ხდება თანამშრომლების მხრიდან მეტი შემოქმედებით მიდგომის გამოვლენა და პროცესების სათანადო მართვისათვის ჩნდება ე.წ. „ტრანსფორმაციული" ლიდერის თვისებების მქონე ხელმძღვანელის საჭიროება.

გ. საორგანიზაციო კულტურის ტიპოლოგიის გათვალისწინება. პიროვნებებისათვის დამახასიათებელი ისეთი ღირებულებების მიხედვით, როგორიცაა „მოქნილობა" და „სტაბილურობა", „ინტეგრაცია" და „დიფერენციაცია", კიმ კამერონმა და რობერტ ქვინმა ჩამოაყალიბეს საორგანიზაციო კულტურის ტიპები: „ბიუროკრატიული", „კლანური", „ავტოკრატიული" და „ადჰოკრატიული" (Cameron Kim, Quinn Robert,1999), რომლებსაც თვისობრივად უნდა შეესაბამებოდეს ორგანიზაციაში დასამკვიდრებელი ლიდერობის სტილი, გადაწყვეტილების მიღების სახეობები, განვითარების სტრატეგიის პრინციპები და საორგანიზაციო სტრუქტურის ფორმები, რაც უზრუნველყოფს კომფორტულ საორგანიზაციო გარემოს და განაპირობებს ორგანიზაციის ეფექტიან საქმიანობას (მაჭავარიანი შალვა, 2017).

გამოყენებული ლიტერატურა:

მაჭავარიანი, შ., შატბერაშვილი, ო., თავართქილაძე, ს., ღაღანიძე გ., (2015). საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ძირითადი ხელშემწყობი პირობები, ფრიდრიხ ებერტის ფონდის გამომცემლობა, თბილისი;

მაჭავარიანი, შ. (2017). საქართველოში ინოვაციური პოტენციალის ზრდის ხელშემწყობი პირობები, კავკასიის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული N8, კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი;

Atkinson, Robert. D., (2014), Understanding the US National Innovation System – ITIF, http://www2.itif.org/2014-understanding-us-inn

Berkun Skott, (2013),The Best Definition of Innovation, http://scottberkun.com/2013/the-best-definition-of-innovation/

Drucker Peter F. (1999), Management Challenges for the 21st Century. R&I Enterprises Int., New York;

Cameron, K., Quinn, R. (1999). Diagnosing and Changing Organizational Culture, Addison Wesley;

Carroll, Pol, E. (2006), An Introduction to Economics with Emphasis on Innovation, https://www.saylor.org/site/wp-content/uploads/2011/03/JosephSchumpeter.pdf

Characteristics and types of innovation (2007), http://www.innosupport.net/uploads/media/1_Innovation_issues_01.pdf;

Edison, H., Ali, N.B., & Torkar, R. (2010). Towards innovation measurement in the software industry. https://www.diva-portal.org/smash/get/diva2:833085/FULLTEXT01.pdf

Hersey, P. & Blanchard, K.B. (l993). Management of organization behavior utilizing human resources (8th. ed.). Englewood Cliffs. NJ: Prentice-Hall

Kohlberg L.,(1995), Moral Stages and Moralization: The Cognitive-Developmental Approach, in ~Moral Developmental and Behavior", Business Ethics Quarterly 5, no. 1, pp. 43-54;

Lugto, Ray (2016), Types of Innovation, http://www.innosupport.net/uploads/media/1_Innovation_issues_01.pdf;

Mura Matteo,Lettieri Emanuele, Spiller Nicola and Radaelli Giovanni(2012), Intellectual Capital and

Innovative Work Behavior: Opening the Black Box, in International Journal of Engineering Business Management, vol.4, pp. 39-49 http://cdn.intechopen.com/pdfs/40944.pdf;

Murray R., Caulier-Grice J., Mulgan G. (2010). The Open Book of Social Innovation. London: The Young Foundation and Nesta.

McGregor, D., (1960). The Human Side of Enterprise, New York, McGrawHill;

McGregorD.,Burns J.,(2012), Leadership, Open Road Media, New York;

Satell, Greg (2017), The 4 Types of Innovation and the Problems They Solve, Digital Article, Research & Development, Harvard Business Review, June 21, 2017, PRODUCT #: H03PU8-PDF-ENG;

Schumpeter J. (1939), Business Cycles, New York, McGraw-Hill;

Schumpeter J., (1934), The Theory of Economic Development: An Inquiry into Profits, Capital, Interest and the Business Cycle, Cambridge, MA: Harvard University Press;

Schumpeter J. in McDaniel B. A. (2002), Entrepreneurship and Innovation: An Economic Approach, M.E Sharpe, London;

Strategy for American Innovation. National Economic Council and Office Science and Technology Policy, The White House, Washington, 2015

https://obamawhitehouse.archives.gov/sites/default/files/strategy_for_american_innovation_october_2015.pdf

Zapel Daniel (2018), What types of innovation are there? http://www.lead-innovation.com/english-blog/types-of-innovation

ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის ამაღლების უმთავრესი ხელშემწყობი ფაქტორები

შალვა მაჭავარიანი

პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

ნაშრომის მიზანია საქართველოს ინოვაციური პოტენციალის ამაღლების უმთავრესი ხელშემწყობი ფაქტორების დადგენა და შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, სათანადო მოქმედებების დასახვა. ჩატარებული კვლევა ეფუძნებოდა მსოფლიო ბანკის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშს, ევროსტატისა და საქსტატის მონაცემებს, ავტორის მიერ ინოვაციების მართვის საკითხებზე არქიმედეს ფონდის, „INTAS"-ის პროგრამის, ფონდი ღია საზოგადოების, ევროკავშირის მეშვიდე ჩარჩო პროგრამის და ფრიდრიხ ებერტის ფონდის პროექტებში განხორციელებული სამუშაოების შედეგებს, აგრეთვე უცხოელ და ქართველ მკვლევართა თეორიულ ნაშრომებსა და პრაქტიკული სახის რეკომენდაციებს.

სისტემური მიდგომის საფუძველზე განხორციელებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა საქართველოში ინოვაციური პოტენციალის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები: საინოვაციო სტრატეგიისა და საინოვაციო პოტენციალის ამაღლების სამოქმედო გეგმის საჭიროება, ბიზნესის მჭიდრო კავშირი საუნივერსიტეტო მეცნიერებასთან, კვლევებისთვის გამოყოფილი სახსრების საკმარისობა, უნივერსიტეტების გამოყენებითი მეცნიერების დარგებში სწავლებისა და კვლევების თვისობრივი ინტეგრაცია, ახალგაზრდა მეცნიერების რაოდენობის ზრდის აუცილებლობა, კვლევებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის გამართულობა და კომფორტული საურთიერთობო გარემოს შექმნა, მეცნიერებების გამოყენებით დარგებში, სადოქტორო დისერტაციების თემატიკის ორიენტირება რეალურ პრაქტიკულ პრობლემებზე და ა.შ.

შემუშავებულია საინოვაციო პროცესის ზოგადი სახის მოდელი, აღწერილია სისტემური მიდგომის გამოყენების საჭიროება ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის ასამაღლებლად.

საკვანძო სიტყვები: *ინოვაციური პოტენციალი, ინოვაციის ხელშემწყობი ფაქტორები, სისტემური მიდგომა, ბიზნესის კავშირი საუნივერსიტეტო მეცნიერებასთან*

Main Factors Contributing to the Growth of Innovation Potential of the Country

Shalva Machavariani

Professor, Doctor of Science
East European University

Abstract

The purpose of this paper is to reveal the key factors contributing to Georgia's innovative potential and to identify the relevant actions for it. The study was based on the World Bank's Global Competitiveness Report, Eurostat and Geostat data, author's findings on innovation management at Archimedes Foundation, INTAS Program, Open Society Foundations, EU Seventh Framework Program (FP7) and Friedrich-Ebert-Stiftung Foundation, as well as papers and practical recommendations of the researchers.

On the basis of research, conducted through the holistic approach the following key factors determining the innovative potential of Georgia has been revealed: Necessity of innovation strategy and action plan for raising innovative potential, tight linkage among university science and business, sufficient funding on research, qualitative integration of teaching and research in applied sciences, inevitability of increasing the number of early stage researchers, satisfactory infrastructure and creating comfortable working environment in the organization, focusing doctoral research thesis in applied sciences on the real practical problems and etc.

Keywords: *Innovative potential, Factors boosting innovative potential, Holistic approach, Business linkage with the university science*

მცირე მეწარმეების სოციალური კაპიტალის თავისებურებები საქართველოში

მიხეილ თოქმაზიშვილი

პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისის ღია უნივერსიტეტი

შესავალი

სოციალური კაპიტალი სოციალური ქსელების ღირებულებას გამოხატავს მეწარმეებისათვის. სოციალური კონტაქტები გავლენას ახდენს ინდივიდებისა და ჯგუფების პროდუქტიულობაზე, უზრუნველყოფს ინფორმირებულობას, ტრანსაქციული ხარჯების შემცირებასა და ბაზრებზე განმტკიცებას. მისი მნიშვნელობა ბიზნესში დიდია, განსაკუთრებით მცირე მეწარმეების საქმიანობაში.

ეკონომიკური და კულტურული კაპიტალისაგან განსხვავებით, სოციალური კაპიტალი განსაზღვრავს ფაქტობრივი ან პოტენციური რესურსების ერთობლიობას, რომელიც უკავშირდება ურთიერთგაცნობისა და აღიარების მეტ-ნაკლებად ინსტიტუციონალურ ურთიერთობების ქსელის ფლობას.[1] ინვესტიცია სოციალურ ურთიერთობებში ბაზარზე მოსალოდნელ მოგების მიღების მხარდამჭერი მექანიზმია. ამ ტერმინს განსხვავებული მნიშვნელობები აქვს, რამდენადაც იგი გამოიყენება როგორც სოციოლოგების, ფილოსოფოსების, ასევე ეკონომისტების მიერ და მას უკავშირებენ ინდივიდების, კოლექტივის ქცევებს და მეწარმეობას. ეკონომიკურ ლიტერატურაში მისი გამოყენება ხდება ბიზნესის ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის კონტექსტში. იგი ადამიანთა პირადი ურთიერთობების და ქსელების პროდუქტია და შეიცავს ინფორმაციას, ინოვაციურ იდეებს და სამომავლო შესაძლებლობებს, რომელზედაც არის დამოკიდებული ორგანიზაციის წარმატებები. სწორედ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ამ ცნებას.[2] ჩვენს კვლევაში არსებითად ყურადღება არის გამახვილებული მცირე ბიზნესი მხარდამჭერ ინსტიტუტებზე, კონსულტაციებზე და ტრეინინგებზე და სოციალურ ქსელებზე, საიდანაც მცირე მეწარმეებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაციები და ბიზნესის განვითარების იდეები. ყოველივე ეს კი დაკავშირებულია იმასთან, თუ რამდენად ხელმისაწვდომია მცირე მეწარმეებისათვის ასეთი ქსელები და რამდენად ენდობიან მას.

კვლევის შედეგები

2018 წლის სექტემბერ-დეკემბერში გაეროს პროგრამის ფარგლებში ახალგაზრდა ეკონომისტების ასოციაციის ეგიდით, ჩატარდა მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის სოციოლოგიური გამოკითხვა, სადაც ასოციაცია „გორბი“-ს მიერ გამოკითხული იყო რვა მუნიციპალიტეტის 3972 მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელი. გამოკითხულთა ძირითადი ნაწილი მიკრო და მცირე ბიზნესის სფეროებს მიეკუთვნება.[3] გამოკითხული მეწარმეების ნახევარი საქმიანობს ვაჭრობით (46.4 პროცენტი), შედარებით მცირე ნაწილი – ტრანსპორტში (17,5 პროცენტი), ხოლო დანარჩენი

[1] Tristan Claridge, (2015), Bourdieu on social capital – theory of capital, *Social Capital: Research and Training*, 2015, 22 April, https://www.socialcapitalresearch.com/bourdieu-on-social-capital-theory-of-capital/

[2] იხ: Bouzdinea T., Bourakova-Lorgnierb M., (2004), The Role of Social Capit al Within Busienss Networks: analysis of Structiral and Relational Arguments. For The Fifth European Conference on Organisational Knowledge, Learning and Capabilities, 5-6 April 2004, Innsbruck, Austria, https://warwick.ac.uk/fac/soc/wbs/conf/olkc/archive/oklc5/papers/e-3_bouzdine.pdf
Claridge, T., (2004). Social Capital and Natural Resource Management: An important role for social capital? *Thesis, University of Queensland, Brisbane, Australia.*

[3] წინამდებარე დასკვნები ემყარება ჩვენს ემპირიულ ანალიზსა და გამოკითხვის ზოგიერთ შედეგს.

– ჯანდაცვისა და სოციალური სფეროში, უძრავი ქონების საქმიანობაში, შინა მეურნეობებში და სხვა. ამ მასალაზე დაყრდნობით ჩვენ გავაანალიზეთ არსებული მდგომარეობა და პრობლემები.[4]

ბიზნესის მხარდამჭერი ინსტიტუტები

ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც რესპონდენტები ხშირად ახსენებენ და დახმარებას ითხოვენ, არის სესხებისა და სუბსიდირებული კრედიტების გარანტია. დამხმარე ქსელის არსებობას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ბიზნესის დამხმარე ინსტიტუტების ხელშეწყობის იმედი მეწარმეებში ძალიან დაბალია (1.9 მნიშვნელობა). მათი ძირითადი პრეტენზია არის დამხმარე ინსტიტუტების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას. ამასთან, ყოველი მეორე რესპოდენტი იმედოვნებს, რომ დამხმარე ინსტიტუტების ქსელი მათ ბიზნესს წინსვლის პროცესში დაეხმარება.

კვლევა აჩვენებს, რომ ბიზნესის წამოწყების დროს დამხმარე ინსტიტუტების შესაბამისი ქსელი ეფექტურად არ არის გამოყენებული. თითოეულ მუნიციპალიტეტში მხოლოდ რამდენიმე მეწარმეა, რომლებიც მონაწილეობდა სახელმწიფო პროგრამებში. გამოკითხულთა მხოლოდ 5.6 პროცენტმა მიიღო მხარდაჭერა ამ ინსტიტუტისგან. ამასთან, სახელმწიფო პროგრამების მიმართ მნიშვნელობა და ნდობა ძალიან დაბალი აღმოჩნდა ბიზნესის საქმიანობის წამოწყებისთვის.

ბიზნესის წამოწყებისთვის სახელმწიფო პროგრამების გამოყენება შეზღუდულია რესპონდენტებისთვის. სახელმწიფო პროგრამებმა, „აწარმოე საქართველოში“, გამოკითხულთა მხოლოდ 0,1 პროცენტს დაეხმარა ბიზნეს იდეების შემუშავებაში. მაგრამ მეწარმეების ინტერესი და იმედი ამ პროგრამის მიმართ საკმაოდ მაღალია. „აწარმოე საქართველოში“ მათთვის ყველაზე პოპულარული პროგრამაა. თანადაფინანსების მოთხოვნები, სახელმწიფო ფინანსურ მხარდაჭერასთან ერთად, ყველაზე დიდ ბარიერს უქმნის მათ, რაც იწვევს სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობაზე უარის თქმას.

327 გამოკითხულმა სხვადასხვა საკონსულტაციო და საგანმანათლებლო დაწესებულება დაასახელა, როგორც სასურველი საქმიანობა ბიზნესის წარმოების დროს, ხოლო 355 გამოკითხულმა დაასახელა – სახელმწიფო ინსტიტუტები. ბიზნესპარტნიორების მიმართ ნდობა მხოლოდ 157 რესპონდენტმა გამოთქვა. გამოკითხულთა მხოლოდ 14 პროცენტს აქვს ინფორმაცია მთავრობის მიერ ინიცირებული პროგრამების შესახებ. მათი ნახევარზე მეტს მიაჩნია, რომ ეს პროგრამები შეესაბამება მიზნებს, ხოლო მათი 4 პროცენტი – მისი ბენეფიციარია.

ყველაზე მეტად მცირე მეწარმეები ასოცირდება ვაჭრობასთან და სხვა მიკრო ბიზნესთან, ამიტომ მათ დამოკიდებულებას მუნიციპალიტეტების მიმართებს აქვს სოციალური ხასიათი ან უკავშირდება ადმინისტრაციულ საკითხებში დახმარების მიღებას ბიზნესის განვითარების მიზნით. სწორედ ამიტომ, ეს მეწარმეების ყველაზე მეტად უკმაყოფილოა გადასახადების და ვაჭრობის სტანდარტების მოთხოვნების მიმართ.

რესპონდენტთა მოლოდინი მთავრობის მიმართ გულისხმობს მთავრობის სუბსიდირებული სესხების და გარანტირებული სქემების ხელმისაწვდომობის გაზრდას. ეს ორი მოვლენა ითვლება ძლიერ მხარდაჭეროს მექანიზმად მათ ბიზნესში.

ტრენინგები და კონსულტაციები

ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც რეპონდენტებს ბიზნესის კეთებაში ეხმარება, ტრენინგებია ბიზნეს გეგმის შედგენაში (83.8 პროცენტი). გამოკითხულთა ნახევარზე მეტი აცხადებს, რომ მათ არანაირი ტრენინგი არ ჭირდებათ, ან მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია ამის შესახებ. დღეს ბიზნესის ორგანიზაციების თანამშრომლების მონაწილეობა ტრენინგებში უმნიშვნელოა.

ბიზნესის მფლობელების და მეგობრების დახმარება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბიზნესის იდეების წამოწყებაში. კონსულტანტების მნიშვნელობა ძალზე დაბალია ეს მექანიზმი აქტიურად არ გამოიყენება ბიზნესის დასაწყებად.

[4] დაცულია ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის უფლებები.

ტრენინგისადმი დაბალი ხელმისაწვდომობა არის იმ მეწარმეების ძირითადი მიზეზი, რომლებმაც მონაწილეობა არ მიიღეს ტრენინგებში. კონსულტანტისგან რჩევის მისაღებად ან ტრენინგებში მონაწილეობის მისაღებად, ყველაზე მნიშვნელოვანია რეკომენდაციების მიღება მთავრობის ან ბიზნეს ორგანიზაციების მხრიდან. გამოკითხულთა 78.6 პროცენტი აცხადებს, რომ მათ სჭირდებათ კონსულტანტი (სიხშირე 935) დამატებითი თანხების მოსაზიდად. სხვები თვლიან, რომ საჭიროა კონსულტანციები ეფექტიანობის გასაზრდელად (სიხშირე 385) და ბიზნეს გეგმების კეთებაში (სიხშირე 399). გამოკითხულთა 48 პროცენტი (სიხშირე 1905) ამბობს, რომ მათ არ სჭირდებათ ტრენინგები და ამისთვის არაფერს გადაიხდიან. როგორც ჩანს, მათი ბიზნესის სფერო, ცოდნა და შეზღუდული შესაძლებლობები არ საჭიროებს დამატებით ზრუნვას.

გამოკითხულთა თითქმის ნახევარი აცხადებს, რომ მათ უჭირთ იმის გარკვევა, თუ რა კრიტერიუმებით უნდა გაერკვნენ სჭირდებათ თუ არა კონსულტანტი. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მათი ნდობა მეგობრებისა და სანდო ადამიანების მიმართ.

როგორც კვლევით დგინდება, კარგად განათლებული ადამიანები (ბაკალავრიატი და უმაღლესი განათლების საფეხური) უფრო მეტად იყენებენ ონლაინ კონსულტაციებს, ტრენინგებს, სოციალურ ქსელებს, სახელმწიფო უწყებებსა და საკონსულტაციო ცენტრებს.

ბიზნესის დაწყების ეტაპზე, მაღალი განათლების მქონე პირები უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ცოდნას, უნარებსა და გამოცდილებას, ვიდრე დაბალი დონის მქონე პირები. უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები ბიზნეს საქმიანობას ჰობად თვლიან და აქვთ იდეა ბიზნესის წამოწყების შესახებ.

საქართველოში ბიზნეს გარემო საკმარისია, რომ მეწარმეებს ჰქონდეთ დადებითი მოლოდინი და განავითარონ თავიანთი ბიზნესი, რომელსაც გეგმავენ. მათი დამოკიდებულება ტრენინგებისა და საკონსულტაციო კომპანიების, ოფიციალური სტრუქტურების ან ინოვაციური ტექნოლოგიური პარკების მიმართ უმნიშვნელოა, ხოლო კონსულტანტების მიმართ დამოკიდებულება სკეპტიკურია. ამასთან, ის რესპონდენტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ შეიმუშავონ სტრატეგია და სთხოვენ ბანკებს ან სახელმწიფო ინსტიტუტებს სახსრები, თვლიან, რომ განათლება და კონსულტაციები მნიშვნელოვანია ბიზნეს გეგმების შედგენისას. როგორც კვლევა აჩვენებს, სტრატეგიული გეგმებისა და საინვესტიციო პროექტების შემუშავებაში დახმარება და სხვადასხვა საკონსულტაციო და საგანმანათლებლო ორგანიზაციების ჩართულობის გაზრდა მნიშვნელოვნად გაზრდის მათი ბიზნესის ეფექტიანობას.

რესპონდენტები გამოთქვამენ ტრენინგის და დახმარების საჭიროებას ბიზნესის ცოდნისა და დაგეგმვის საკითხებში. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ბევრი ადამიანი იწყებს ბიზნესს ცუდად დაგეგმილი საქმიანობით და ბიზნესის მცირე ცოდნით მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ზომით წარმატებულია მათი ბიზნესი. ამასთან, გამოკვლევა აჩვენებს, რომ არსებობს ინფორმირების დაბალი დონე სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული ტრენინგების შესახებ, რაც მოითხოვს ინფორმაციული არხების გაუმჯობესებას და რესპონდენტების ჩართვას ბიზნეს განათლებაში. გარდა ამისა, კონსულტაციისა და ქსელის გამოყენება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მეწარმეების საქმიანობას. ტრენინგის და უფასო სერვისების უზრუნველყოფა მენეჯმენტში, ბიზნეს გეგმის შემუშავება, მარკეტინგში, ბუღალტრული აღრიცხვა და ა.შ. არის მათი ბიზნესის ხელშემწყობი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

მეწარმეობის სფეროში სახელმწიფო პროგრამების და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ინიციატივების შესახებ ინფორმირებულობის დონე დაბალია, რის შედეგადაც მეწარმეები არ თვლიან მათი ბიზნესის სტრატეგიული განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად. მხოლოდ მათ, ვისაც დიდი კაპიტალი აქვს, ფიქრობენ მათთან კავშირების დამყარებაზე. სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმირება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ბიზნესის გაფართოებისთვის. იმ ბიზნესმენების ნაწილი, რომლებიც ცდილობენ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო პროგრამებში ან მიიღონ ფინანსები სხვადასხვა წყაროდან, ყურადღებას ამახვილებენ თავიანთ გეოგრაფიულ გაფართოებაზე ან ახალი პროდუქტების წარმოებაზე.

სოციალური ქსელები

საქართველოში სოციალურ ინტეგრაციას და სამოქალაქო მონაწილეობას მთელი რიგი ფაქტორები უკავშირდება. სოციალური ქსელი (მასმედია), საზოგადოების განვითარება (სოციალური ინფრასტრუქტურა) და სამოქალაქო მონაწილეობა (სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირება) სოციალური ინტეგრაციის მთავარი ელემენტებია. ზოგადად, სოციალურ ინტეგრაციას აქვს დადებითი შედეგები, რადგანაც იგი მჭიდრო კავშირშია ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ პოზიტიურ ემოციებთან, და სავარაუდოა, რომ დამსაქმებლებისთვის უფრო აქტიურია, რომ გახდნენ აქტიური, ვიდრე იყოს ცხოვრებისეული მოვლენების დამკვირვებელი. როგორც წესი, სოციალური ქსელი (მასმედია) უზრუნველყოფს ბიზნესის სხვადასხვა სახის რესურსებზე წვდომას. ამ საკითხში მნიშვნელოვანია სოციალური კაპიტალი, როგორც ხიდი დაინტერესებულ მხარეებს შორის. მეწარმეებს, რომლებსაც არ აქვთ სოციალური ქსელები, ნაკლებად სავარაუდოა, რომ წარმატებული ბიზნესი ჰქონდეთ. სოციალური ქსელების არ არსებობა და ადგილობრივ მთავრობასთან კავშირი ბიზნესის კეთებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად ამცირებს მათი საქმიანობის ეფექტიანობას.

კვლევაში გამოვლენილი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები იყო: სოციალური ქსელი, სამოქალაქო მონაწილეობა და საზოგადოების განვითარება. ეს ფაქტორები განსაზღვრავს ეკონომიკის დონის ამაღლების მხარდამჭერ მექანიზმს. ამ თვალსაზრისით, სოციალური ინტეგრაცია განიხილება სოციალური ქსელების, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, სამთავრობო სერვისებთან კავშირის და ბიზნესის სოციალურ-ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურული პირობების სახით.

მნიშვნელოვანია იმის შეფასება, თუ როგორ ფუნქციონირებს საზოგადოება მისი საქმიანობიდან გამომდინარე ადგილობრივ ხელისუფლებასთან. ამ მიზნით, რესპონდენტებს სთხოვეს შეაფასონ მომსახურების ხარისხი, რომელსაც იღებენ ადგილობრივი ხელისუფლებისგან, კონტაქტის სიხშირე და ადგილობრივი ხელისუფლებასთან კონტაქტის მიზეზი. გამოკითხულთა უმრავლესობამ (74.6 პროცენტი) უპასუხა, რომ ისინი არასდროს მიმართავენ ადგილობრივ ხელისუფლებას. მხოლოდ 13 პროცენტი წელიწადში ერთხელ მიმართავს ადგილობრივ ხელისუფლებას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ადმინისტრაციული, სოციალური, ინფრასტრუქტურული, მათი ბიზნესის ხელშემწყობი და სხვ.

სამოქალაქო საზოგადოებისადმი პირადი დამოკიდებულება და ნდობა

რესპონდენტებს სთხოვეს შეაფასონ ნდობის დონე სხვადასხვა წყაროების მიმართ, როგორიცაა ონლაინ და ბეჭდური მედია, ტელეარხები, სარეკლამო საშუალებები (ფლაერები, პლაკატები და ბილბორდები) და სამთავრობო უწყებები, როგორიცაა: სასამართლო, მუნიციპალური მთავრობა, რეგიონალური მთავრობა, ცენტრალური მთავრობა. ასევე, მნიშვნელოვანი იყო იმის შეფასება, თუ რამდენად ენდობა ისინი არასამთავრობო ორგანიზაციებს, კომერციულ ბანკებს, ქალთა ორგანიზაციებსა და ადგილობრივ საინიციატივო ჯგუფებს. მეწარმეები ენდობიან სახელმწიფო სერვისების, ბეჭდური და ონლაინ მედიის, ტელევიზიის, სასამართლოების, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს, მაგრამ მათგან მხოლოდ მცირე ნაწილი იყენებს მათ ბიზნეს ინტერესებისთვის. სოციალური გარემოს როლი არ არის აღიარებული, რადგან სოციალური ქსელები არ არის განვითარებული და ბიზნეს-ბიზნესს და ბიზნეს-საზოგადოებას შორის ურთიერთობით მიღებული სოციალური სარგებელი არ არის აღიარებული.

დასკვნების თანახმად, გამოკითხულთა 35.6 პროცენტი ძალიან ენდობა ბეჭდურ და ინტერნეტ მედიას და ტელევიზიას (40.5 პროცენტი). ამასთან, დაბალი ნდობის დონე იყო სარეკლამო საშუალებების მიმართ (ფლაერები, პლაკატები და ბილბორდები) სხვა ზემოთ ნახსენები მედიასაშუალებებთან შედარებით. 27.3 პროცენტმა აღნიშნა მაღალი ნდობა იურიდიული სისტემის, სასამართლოების მიმართ. 34.3 პროცენტმა გამოავლინა მაღალი და ძალიან მაღალი (37.1 პროცენტი) ნდობის დონე მუნიციპალური ხელისუფლების მიმართ; 36.8 პროცენტი ენდობა საქართველოს ცენტრალურ მთავრობას, ხოლო 34 პროცენტს დიდი ნდობა აქვს საქართველოს

მთავრობის მიმართ; ურთიერთობა მედიასთან, ტელევიზიასთან, სასამართლოებთან, ბანკებთან, ქალთა ორგანიზაციებთან საშუალოზე ნაკლებია (იხ დანართი, გრაფიკი 24-32). გამოკითხულთა 36.5 პროცენტმა გამოხატა საკმარისად მაღალი ნდობის დონე კომერციული ბანკების მიმართ, ხოლო 31.4 პროცენტმა – საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ.

საერთო ჯამში, საქართველოში სოციალურ ინტეგრაციაზე მიუთითებს ნდობა სხვადასხვა ინსტიტუტების მიმართ მიმართ. ამასთან, საჭირო ხდება მეტის გაკეთება იმისათვის, რომ მოხდეს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობასთან დაკავშირებული ცნობიერების ამაღლება და მათი საქმიანობის მიზნების გაცნობიერება მეწარმეებში, რათა მიიღონ მათ მათგან პოზიტიური სარგებელი.

ბიზნეს პარტნიორობა. საწარმოები იყენებენ სრულად საბაზრო შესაძლებლობებს მხოლოდ მაშინ, თუ ისინი სხვადასხვა მიდგომებით (აუტსორსინგი, სტრატეგიული ალიანსი, ხარჯების ხელსაყრელი მენეჯმენტი და სხვა) ანვითარებენ პარტნიორობას. ღირებულებათა ზრდის პროცესში პარტნიორობა არის კარგი გარანტი იმისათვის, რომ განხორციელდეს დაფინანსება და გაძლიერდეს ფინანსური ნაკადები ღირებულების ზრდის ერთი ჯაჭვიდან მეორეზე, რაც მისაზიდს გახდის მთლიან ჯაჭვს ფინანსური ინსტიტუტებისათვის. ფინანსურ ინსტიტუტებსა და ღირებულების ზრდაში მონაწილე აგენტებს შორის ხიდის გადება და ღირებულების ზრდის პირდაპირი დაფინანსება არის მეწარმეთა რისკების შემცირებისა და ფინანსური ნაკადების ინტენსიფიკაციის გზა, რომლებშიც მონაწილეობს მყიდველი, ვაჭარი, მწარმოებელი და სხვ. ბაზრის სუბიექტი. ღირებულების ზრდის დაფინანსების არაპირდაპირი გზა მცირე და საშუალო ბიზნესისათვის კი შეიძლება განხორციელდეს ბანკებისა და მსხვილი საბითუმო ვაჭრების მონაწილეობით. ეს პროცესები საქართველოში სუსტად არის განვითარებული.

ბიზნეს ასოციაციები. მცირე და საშუალო მეწარმეების განვითარებაში არსებული ბარიერების გადალახვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც მეწარმეთა ბიზნეს-ასოციაციების ფორმირება და განვითარება, ასევე ის ინსტიტუტები, რომლებიც დაეხმარებიან მეწარმეებს განათლების, ინფორმაციების და სხვა მომსახურების მიღებასა და გაცვლაში. როგორც გამოკვლევები ცხადყოფს, რჩევებისთვის მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლები იშვიათად მიმართავენ ბიზნეს-ასოციაციებს. მართალია არსებობს მოთხოვნა ბიზნეს-ასოციაციებზე, მაგრამ მეწარმეები მათში არ წევრიანდებიან, ვინაიდან მოქმედი ასოციაციები სასურველ მომსახურებას არ სთავაზობენ თავიანთ კლიენტებს, ან ამ მომსახურების ხარისხი დაბალია ან კიდევ საფასური არის მაღალი. ბიზნეს ასიციაციების მეშვეობით მცირე და საშუალო საწარმოებს შეუძლიათ კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება შესაბამისი მომსახურების მიღებით, აგრეთვე ლობისტური კამპანიის წარმოება უკეთესი გარემოს შესაქმნელად. ბიზნესს-ასოციაციებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ საწარმოთა ზრდას. ამდენად, აუცილებელი ხდება ბიზნეს-ასოციაციების სრულყოფა და დახმარებების გაწევა, რაც დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციების პრეროგატივა უნდა იყოს ხელისუფლებასთან ერთად

გლობალური პარტნიორობა და კოოპერაცია. გლობალურ ბაზრებში და კონკურენციაში მონაწილეობა (მაგალითად, სოფლის მეურნეობისნ პროდუქტების, მინერალური წყლების და ღვინოების ექსპორტისას) ფირმები განსხვავებული ხასიათის წინააღმდეგობებს აწყდება იმის გამო, რომ საწარმოებს არ შესწევთ უნარი შეაფასონ პოტენციური ბაზარი, ან კიდევ არ იციან ხარისხის და სტანდარტის მოთხოვნები. მათ აქვთ ბაზრის გამოკვლევისა და ლოგისტიკური და ტექნოლოგიური პრობლემებიც. გლობალურ ბაზრებზე შესასვლელად საჭირო ხდება არა მარტო მათი წარმოების მეთოდების სრულყოფა, არამედ მათი მენეჯმენტის სრულყოფაც. მთავარი მიზანია საწარმო გახდეს გლობალური ღირებულების ზრდის ქსელის მონაწილე. ამ ამოცანის გადაჭრაში საწარმოებს სჭირდებათ მხარდაჭერა ეფექტური ლოგისტიკის ფორმირებაში, რომელიც მოიცავს აუცლებელ ინფრასტრუქტურას და ინტიტუციონალურ გარემოს, ასევე აუცილებელ ბიზნეს სერვისებს. ამიტომ კოოპერაცია საწარმოთა კლასტერებში დაეხმარება მათ მათი სიცოცხლისუნარიანობის გაგრძელებაში. მცირე საწარმოებს ამის გაკეთება დამოუკიდებლად არ შეუძლიათ, ხოლო გლობალურ მიმწოდებლებსა და მწარმოებლებს არ აქვთ სურვილი იფიქრონ ინდივიდებზე

ცალ-ცალკე. ამიტომ მიზნობრივი კოოპერაცია სამრეწველო ასოციაციებთან, სამთავრობო სააგენტოებთან და ტრეინინგის და საკონსულტაციო ინსტიტუტებთან მისცემს მათ საშუალებას გლობალური ღირებულების ჯაჭვში მონაწილეობისათვის. ერთობლივი საქმიანობა მწარმოებელთა ასოციაციაში ანვითარებს მათ შესაძლებლობას საერთაშორიოს ბაზრებში შესასვლელად. [5]

დასკვნა

ზოგადად, გამოკითხვა აჩვენებს, რომ სოციალური კაპიტალის როლი, როგორც სოციალურ ქსელსა და ბიზნესს შორის დამაკავშირებელი კაპიტალი, არის გამოუყენებელი. არ ჩანს, რომ სოციალური ქსელი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დასაქმებაზე ან მეწარმეობის ხარისხზე.

სოციალური ქსელებსა და ბიზნესს შორის კავშირი არის სუსტი. როგორც ჩანს, ინფორმაციის ფლობა და ადგილობრივ მთავრობასთან კავშირი საკმარისი არ არის ბიზნესის გასაძლიერებლად.

სოციალური ინტეგრაცია მთავრობის მხარდაჭერით არის ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება ბიზნეს პრობლემების გადალახვას. ურთიერთობა სამოქალაქო და ბიზნეს საზოგადოების ორგანიზაციებთან არის სოციალური კაპიტალის ყველაზე თანმიმდევრული წყარო.

მეწარმეობა არ არიან „კლასტერული“ ისე, რომ ისარგებლონ მიწოდების კავშირებითა და მასშტაბის უფრო დიდი ეკონომიით. არ გამოიყენება სავაჭრო ურთიერთობებში, სახელმწიფო და კერძო შესყიდვების კონტრაქტებზე კოლექტიური წვდომის შესაძლებლობები, მომსახურების ხარჯების გაზიარება, რაც მისი ბიზნესის შემდგომი ზრდას გამოიწვევს და სხვ.

სუსტია სამეწარმეო ცნობიერება. საწარმოო მდგრადობა ეფუძნება კარგ მენეჯმენტს, სტრატეგიულ ცოდნას და ფინანსურ დისციპლინას. ბიზნეს ორგანიზაციების უმეტესობას არ შეუძლია სესხის აღება კომერციული ბანკიდან მაღალი საკრედიტო რისკების გამო, საჭირო გარანტიების არარსებობის გამო, საბანკო მომსახურების შესახებ განათლების დაბალი დონისა და ცუდი ინფორმაციის ქსელის გამო.

მეწარმეებს აქვთ შეზღუდული წარმოება და ტექნოლოგიური სიმძლავრე, წარმოების მასშტაბის მცირე ეკონომია და წარმოების ფაქტორების მიწოდებასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები, როგორიცაა ლოგისტიკა და ინოვაცია. მენეჯერებისა და მეწარმეების სათანადო ცოდნის და უნარის არარსებობა ძალიან მნიშვნელოვანი ბარიერია მეწარმეების კონკურენტუნარიანობის განვითარებისთვის. უფრო მეტიც, მცირე საწარმოები არ ახორციელებენ ზრდის სტრატეგიას, ბაზრის შეზღუდული ნიშების გამო.

როგორც კვლევამ აჩვენა, ბიზნესის დაწყების მნიშვნელოვანი ფაქტორები არის საქმიანი ურთიერთობებისა და ქსელების მრავალფეროვნების გაფართოება, სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ბიზნეს საკითხებში ტრენინგები, ინფორმაციის მიწოდების არხების, საკონსულტაციო ინსტიტუტებისა და ქსელების განვითარება.

საჭიროებები, რომლებიც საერთოა ბიზნესისათვის, მოიცავს სესხებზე და ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, პროდუქციის / მომსახურების გაყიდვის ინსტიტუციურ მხარდაჭერას ისეთი ღონისძიებებით, როგორიცაა მიზნობრივი დასაქმების ტრენინგი (მაგალითად, სტუმართმოყვარეობისა და სასტუმროების მომსახურების მენეჯმენტში) იმისათვის, რომ მეწარმეობის უნარი გაუმჯობესდეს და გაფართოვდეს კომერციული ურთიერთობები და პარტნიორობა ბიზნეს ქსელებთან მიწოდების ქსელის სტრატეგიის თვალსაზრისით.

ძირითადი რეკომენდაციები შეიძლება შემუშავდეს საგანმანათლებლო და საკონსულტაციო მომსახურებების, ფინანსებისადმი ხელმისაწვდომობის, ქსელებისა და ბიზნესის პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდების გზით.

[5] ბიზნეს პარტნიორობისა და გლობალური ქსელების შესახებ ჩვენს მიერ გაკეთებულია დასკვნები გაეროს პროგრამის ფარგლებში. იხ: თოქმაზიშვილი მ., (2010), Promoting the Development of the SME Sector (Value Chain Development). მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ხელშეწყობა (ღირებულებათა ზრდის განვითარება). წიგნში: კერძო სექტორი და განვითარება, (2010), გვ.19-34., UNDP, The Global compact, Belgian Development Cooperation.

ტრენინგებისა და უფასო სერვისების უზრუნველყოფა მენეჯმენტში, საგრანტო პროექტების წერაში, ბიზნეს დაგეგმვაში, მარკეტინგში, ბუღალტრული აღრიცხვასა და ინვესტირების პროექტებში ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას და გაზრდის ფინანსური ცნობიერებას.

საკონსულტაციო მომსახურებების კომპანიების, მენტორ/კონსულტანტების ინსტიტუტების ხელმისაწვდომობის გაზრდა, სესხების მიღების მიზნით ბანკებთან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან მიმართებაში ინსტიტუციური დახმარების გაწევა, ამ მიზნით სახელმწიფო პროგრამებისა და დონორი ორგანიზაციების მონაწილეობის გაზრდა და სახელმწიფო პროგრამების შესახებ ცნობიერების ამაღლება დაეხმარება მეწარმეებს თავიანთი ბიზნესის სრულყოფაში.

საქართველოში ბიზნესის მხარდამჭერი მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროგრამები ხორციელდება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მცირე მეწარმეობის განვითარებისათვის პირდაპირი ზემოქმედება არც ინსტიტუციონალურად და არც ფინანსურად არ ხორციელდება. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი ღონისძიებები და მყარი და ხანგრძლივმოქმედი სახელმწიფო პროგრამები (მაგალითად, საპროცენტო სარგებლის დაფარვაში თანამონაწილეობა, ტრეინინგები და სხვ.) ხელს შეუწყობს მათი ინვესტიციების ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა:

თოქმაზიშვილი მ., (2010). Promoting the Development of the SME Sector (Value Chain Development). მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ხელშეწყობა (ღირებულებათა ზრდის განვითარება). წიგნში: კერძო სექტორი და განვითარება (2010). UNDP, The Global compact, Belgian Development Cooperation.

Bouzdinea T., Bourakova-Lorgnierb M., (2004), The Role of Social Capit al Within Busienss Networks: analysis of Structiral and Relational Arguments. For The Fifth European Conference on Organisational Knowledge, Learning and Capabilities, 5-6 April 2004, Innsbruck, Austria, https://warwick.ac.uk/fac/soc/wbs/conf/olkc/archive/oklc5/papers/e-3_bouzdine.pdf

Claridge T., (2015). Bourdieu on social capital – theory of capital, *Social Capital: Research and Training*, 2015, 22 April, https://www.socialcapitalresearch.com/bourdieu-on-social-capital-theory-of-capital/

Claridge, T., (2004). Social Capital and Natural Resource Management: An important role for social capital? *Thesis, University of Queensland, Brisbane, Australia.*

მცირე მეწარმეების სოციალური კაპიტალის თავისებურებები საქართველოში

მიხეილ თოქმაზიშვილი

პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისის ღია უნივერსიტეტი

ანოტაცია

კვლევის საფუძველზე გამოვლენილია, რომ საქართველოში მცირე მეწარმეებში სოციალური კაპიტალი, როგორც სოციალურ ქსელსა და ბიზნესს შორის დამაკავშირებელი კაპიტალი, არის გამოუყენებელი. სოციალური ქსელი მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს დასაქმებაზე ან მეწარმეობის ხარისხზე.

სოციალური ინტეგრაცია მთავრობის მხარდაჭერით არის ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება ბიზნეს პრობლემების გადალახვას. ურთიერთობა სამოქალაქო და ბიზნეს საზოგადოების ორგანიზაციებთან არის სოციალური კაპიტალის ყველაზე თანმიმდევრული წყარო. საქართველოში მეწარმეების მიერ ინფორმაციის ფლობა და ადგილობრივ მთავრობასთან კავშირი საკმარისი არ არის მათი ბიზნესის გასაძლიერებლად.

როგორც კვლევამ აჩვენა, ბიზნესის დაწყების მნიშვნელოვანი ფაქტორები არის საქმიანი ურთიერთობებისა და ქსელების მრავალფეროვნების გაფართოება, სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ბიზნეს საკითხებში ტრენინგები, ინფორმაციის მიწოდების არხების, საკონსულტაციო ინსტიტუტებისა და ქსელე-

ბის განვითარება. საჭიროებები, რომლებიც საერთოა ბიზნესისათვის, მოიცავს სესხებზე და ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, პროდუქციის/მომსახურების გაყიდვის ინსტიტუციურ მხარდაჭერას ისეთი ღონისძიებებით, როგორიცაა მიზნობრივი დასაქმების ტრენინგი (მაგალითად, სტუმართმოყვარეობისა და სასტუმროების მომსახურების მენეჯმენტში) იმისათვის, რომ მეწარმეობის უნარი გაუმჯობესდეს და გაფართოვდეს კომერციული ურთიერთობებები და პარტნიორობა ბიზნეს სტრუქტურებთან მიწოდების ქსელის სტრატეგიის თვალსაზრისით.

აღნიშნულია, რომ საქართველოში ბიზნესის მხარდამჭერი მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროგრამები ხორციელდება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მცირე მეწარმეობის განვითარებისათვის პირდაპირი ზემოქმედება არც ინსტიტუციონალურად და არც ფინანსურად ეფექტიანად არ ხორციელდება. წარმოდგენილია რეკომენდაციები საგანმანათლებლო და საკონსულტაციო მომსახურებების, ფინანსებისადმი ხელმისაწვდომობის, ქსელებისა და ბიზნესის პროგრამების შესახებ ინფორმაციის უზრუნველყოფის მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: *სოციალური კაპიტალი, მცირე მეწარმეობა, საქართველო*

Characteristics of Social Capital of Small Entrepreneurs in Georgia

Mikheil Tokmazishvili

Professor, Doctor of Economics
East European University
Tbilisi Open University

Abstract

Research has shown that in small businesses in Georgia, social capital, as the link between social network and business, is unused. Social networking does not significantly affect employment or entrepreneurship quality.
Social integration with the support from the government is a tool to overcome business problems. Relationships with CSOs are the most consistent sources of social capital. Owning information and connecting with local government is not enough for entrepreneurs in Georgia to boost their business.

As the study shows, the important factors for starting a business are expanding the diversity of business relationships and networks, training in business issues conducted by various organizations, developing information channels, consulting institutes, and networking. Needs, which are common in business, include increasing access to loans and technology, institutional support to trade with products / services by using activities such as targeted employment trainings (for example, hospitality and hotel management services) in order to improve and expand entrepreneurship skills and business relations and partnership in terms of supply chain strategy.

It is noted that in Georgia important business-supporting state programs are being implemented. However, it should also be emphasized that direct impacts on the development of small entrepreneurship are neither institutionally nor financially effective. Recommendations are presented for providing educational and consulting services, access to finance, information on networks and business programs.

Keywords: *Social capital, Small entrepreneurship, Georgia*

საქართველოს სახელმწიფო ვალის დინამიკა და მართვის თავისებურებები

ანა ხუციშვილი

მაგისტრი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ლევან ჭელიძე

დოქტორანტი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

დავით ჭელიძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

„2014 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 713 804 კაცი შეადგინა, რაც წინა, 2002 წლის აღწერის შედეგთან (4 371 535 კაცი) შედარებით 15 პროცენტით (657 731 კაცი) ნაკლებია.“[1] ამ მეტად მტკივნეულ რეალობას განსაკუთრებულ სიმწვავეს მატებს ის გარემოება, რომ საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნების კლების ტენდენცია უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მყარად ადაპტირებული პროცესის სახით ყალიბდება. აღნიშნულს ადასტურებს 1989 წელს, ჯერ კიდევ „საბჭოთა ეპოქაში“ ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები რომლთა თანახმად: „მოსახლეობა საქართველოს სსრ-ში 1989 წლის 12 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 5 443 359 კაცს.“[2]

როგორც ვხედავთ, 1989 წლიდან 2012 წლამდე 23 წლიან ისტორიულ პერიოდში საქართველოს მოსახლეობა, 1 729 555 კაცით, ანუ თითქმის ერთი მესამედით, (31,77%-ით) არის შემცირებული, რაც ჩვენი აზრით ეპოქალური მნიშვნელობის პრობლემას წარმოადგენს და აქედან გამომდინარე სიღრმისეულ ანალიზს, გამომწვევი მიზეზების შესწავლასა და დაუყოვნებლივად დაძლევის გზების ძიებას საჭიროებს.

უაღრესად საყურადღებოა ის გარემოება, რომ 1989 წლიდან 2002 წლამდე განვილ ცამეტ წელიწადში, ქვეყნის მოსახლეობის 1 071 824 (5 443 359 – 4 371 535) კაცით, 19,69%-ით შემცირების ძირითად მიზეზებად, საბჭოთა იმპერიის ნგრევით განპირობებული მიგრაციული პროცესებისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველი წლებისათვის დამახასიათებელი, ობიექტური სირთულეების დასახელების ლოგიკურობის პარალელურად, 2002-დან 2014 წლამდე ქვეყნის მოსახლეობის 657 731 კაცით, ანუ 15%-ით შემცირების მიზეზად ასევე ლოგიკურად, ქვეყნის ეკონომიკის „მართვა-რეგულირების პროცესში დაშვებული შეცდომები და არც თუ იშვიათად დანაშაულებრივი გადაწყვეტილებები შეიძლება იქნეს მიჩნეული.

[1] მოსახლეობის რიცხოვნობა – მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები. სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf

[2] მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა 1989. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%1989

როგორც ცნობილია ნებისმიერ ქვეყნაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ერთის მხრივ ამსახველ, ხოლო მეორეს მხრივ მაპროვოცირებელ ფინანსურ დოკუმენტად ქვეყნის ბიუჯეტია მიჩნეული. მრავალი ქვეყნის ისტორიული გამოცდილება ცხადჰყოფს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურისა და პარამეტრების მიზანმიმართული რეგულირება, მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, მათ შორის დემოგრაფიული განვითარების პროცესს. აქედან გამომდინარე საქართველოში სადღეისოდ შექმნილი უმძიმესი დემოგრაფიული მდგომარეობის დაძლევისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქვეყნის საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში მიმდინარე პროცესების, კერძოდ დანართი №1-ით წარმოდგენილი საბიუჯეტო პარამეტრების დინამიკისა და რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე შესაძლო ზემოქმედების ნიშნით გაანალიზება.

როგორც დანართი №1-ით წარმოდგენილი მონაცემებიდან ვრწმუნდებით, 2010 წლიდან 2018-19 წლებამდე ქვეყნის უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური (ფაქტიური და საპროგნოზო) პარამეტრების გარკვეული ნაწილი, საკმაოდ პოზიტიური დინამიკით ხასიათდება. აღნიშნულს ადასტურებს 2010 წლიდან 2017 წლამდე ქვეყნის როგორც ნომინალური და ისე რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის გამოკვეთილი (შესაბამისად 83,3% და 37,0%-ით) ტენდენცია. აღნიშნულს კიდევ უფრო შთამბეჭდავს ხდის 2019-22 წლების, ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით გათვალისწინებული საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 45741 მლნ. ლარამდე,[3] ანუ 2010 წლის მაჩვენებელთან შედარებით 117,6%-ით ზრდის საპროგნოზო პარამეტრის არსებობა.

ზემოაღნიშნულის პარალელურად, ასევე დადებით მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, 2010-17 წლებში, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 82,9%-ით, ხოლო საგადასახადო შემოსავლების 101,3%-ით ზრდის (თითქმის გაორმაგების) არსებული ტენდენცია.

საბიუჯეტო სფეროსა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე პოზიტიურ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ, 2010-17 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდის გამოკვეთილი ტენდენცია. ასევე დადებით შეფასებას იმსახურებს ის გარემოება, რომ აღნიშნულ პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების 66,5%-ით ზრდის მაჩვენებელი, 16,5%-ით ნაკლებია ამავე პერიოდში ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის (82,9%-ი) მაჩვენებელზე, რაც საბიუჯეტო ხარჯების ანტი ინფლაციურ ხასიათზე მიგვანიშნებს რადგან აღნიშნული გარემოება სახელმწიფო ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო და ასევე დადებითი მთლიანი სალდოს ფორმირების უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს.

თუმცა აღნიშნულის მიუხედავად, როგორც დანართი №1-იდან ირკვევა, 2010 და 2014 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდო (სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ შესაბამისი წლის კანონის დამტკიცების დღისათვის) უარყოფით სიდიდეს წარმოადგენდა და უდავოდ დამატებით იმპულსს აძლევდა, 2010-17 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პერმანენტულად დეფიციტური ხასიათის ფორმირების არასასურველ პროცესს.

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის, როგორც ფისკალური პოლიტიკის რეალიზების ერთ-ერთი ბერკეტის, კერძოდ მისი მიზანმიმართული ზრდის ხარჯზე, ეკონომიკის ერთობლივი მოთხოვნისა და აქედან გამომდინარე სამეწარმეო აქტივობის (ერთობლივი მიწოდების) ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორად გამოყენების აღიარებული პრაქტიკის მიუხედავად, უკანასკნელი წლების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პერმანენტულად დეფიციტური ხასიათი (იხ. დანართი №1) მეტად საყურადღებო და კრიტიკული შეფასების საგნად უნდა იქნეს მიჩნეული.

საქმე ისაა, რომ წლების განმავლობაში განხორციელებული არაეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, ქვეყნის საბიუჯეტო დეფიციტის დაბალანსებისათვის საჭირო საკუთარი სახსრების არ არსებობა, სახელმწიფო (საშინაო და საგარეო) ვალის ზრდას განაპირობებდა. აღნიშნულს ადასტურებს დანართი №1-ით წარმოდგენილი ის მეტად საგანგაშო მონაცემები,

[3] საქართველოს მთავრობა „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2019-2022 წლებისათვის (გადამუშავებული ვარიანტი).

რომელთა თანახმად, 2010-დან 2017 წლამდე ქვეყნის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის 37,0 პროცენტული ერთეულით ზრდის პირობებში, სახელმწიფო ვალის ოდენობა 80,6%-ით, (მათ შორის საშინაო ვალი 103,8%-ით, ხოლო საგარეო ვალი 74,9 პროცენტით) არის გაზრდილი.

სიტუაციას მნიშვნელოვნად ამძიმებს ის გარემოება, რომ სახელმწიფო ვალის ზრდის ტენდენცია შენარჩუნებულია საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის პარამეტრებით, კერძოდ 2019 წლისათვის საქართველოს სახელმწიფო ვალის ზღვრული ოდენობის ზრდა 19 715,8 მლნ. ლარამდე, ანუ 2010 წლის მონაცემებთან შედარებით 10 906,7 მლნ. ლარით, 123,9%-ის, (მათ შორის საშინაო ვალის 2 652,1 მლნ. ლარის – 51,7%-ის, ხოლო საგარეო ვალის 8 254,6 მლნ. ლარის – 116,9%-ის) ოდენობით არის გათვალისწინებული.

საქართველოს საზოგადოების გარკვეულ ნაწილში (მათ შორის პროფესიულ ეკონომისტთა წრეებში), სახელმწიფო ვალისადმი საკმაოდ ზედაპირული დამოკიდებულების არსებობის მიუხედავად, აღნიშნული საკითხის პრობლემატურ ხასიათზე დანართ №1-ით წარმოდგენილი ის მონაცემები მიგვანიშნებენ, რომელთა თანახმადაც, წლების განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლების ანუ ქვეყნის მიერ წინა წლებში აღებული ვალების მომსახურებისათვის განკუთვნილი თანხების ოდენობა, ზრდის მეტად მაღალი ტემპით ხასიათდება. კერძოდ 2010 წელს ამ თვალსაზრისით ქვეყნის ბიუჯეტიდან გაღებული 199,4 მლნ ლარი, 2019 წლისათვის 933,9 მლნ. ლარამდე, ანუ 368,4 პროცენტული ერთეულით არის გაზრდილი.

აღნიშნულთან ერთად მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს 2010-19 წლების კანონებით გათვალისწინებული, სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლების, ანუ ადრე აღებული ვალების მომსახურებისათვის განკუთვნილი თანხების უდიდესი ნაწილი, საგარეო ვალების მომსახურებაზე მოდის. კერძოდ 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით, საგარეო ვალდებულებების კლების, ანუ ადრე აღებული კრედიტების მომსახურებისათვის განკუთვნილი 135,4 მლნ. ლარი, 2019 წლისათვის 893,8 მლნ. ლარამდე არის გაზრდილი და რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ამავე წლის საბიუჯეტო ხარჯების საერთო ოდენობის 9,3%-ს უტოლდება.

ქვეყნის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის თითქმის 10%-ის, ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების სანაცვლოდ, საგარეო ვალების გადახდისათვის გამოყენების არასასურველ რეალობას, განსაკუთრებულ სიმძიმეს მატებს ის გარემოება, რომ აღნიშნული თანხების ქვეყნის გარეთ (უცხოეთში ვალების დასაფარად) გადაგზავნამდე, მათი უცხოურ ვალუტაში კონვერტირების პროცესი, ზრდის უცხოურ ვალუტაზე ქვეყანაში არსებულ ერთობლივ მოთხოვნას, რითაც დამატებით იმპულსს აძლევს ეროვნული ვალუტის კურსის გაუფასურებას და ამ პროცესით განპირობებულ მნიშვნელოვან ეკონომიკურ პრობლემებს, მათ შორის, ასტიმულირებს მყარ ვალუტაში არსებული ვალდებულებების (საგარეო ვალების) სამომავლო მომსახურებისათვის საჭირო საბიუჯეტო სახსრების სავარაუდო ზრდის პროცესს და კიდევ უფრო ამძიმებს საბიუჯეტო დეფიციტის პრობლემას.

შედეგადაც იქმნება მეტად რთული სიტუაცია, ერთგვარი „მოჯადოებული წრე", რომლის პირობებში ქვეყანა საბიუჯეტო დეფიციტის (სხვა ფაქტორებთან ერთად ქვეყნის საშინაო და საგარეო ვალების მომსახურებით გამოწვეული) დასაფარავად, იღებს ადრე აღებულთან შედარებით გაზრდილ (მათ შორის საგარეო) ვალს, რომლის გარკვეული პერიოდის შემდეგ, მომსახურებისათვის იძულებულია აიღოს ახალი, კიდევ უფრო გაზრდილი საგარეო და საშინაო ვალი. აღნიშნულ პროცესს დამატებით იმპულსს მატებს იმ გარემოება, რომ ქვეყნის მიერ ადრე აღებული ვალების სამომავლო მომსახურეობისათვის საჭირო მნიშვნელოვნად გაზრდილი და მეტად დეფიციტური საბიუჯეტო სახსრების მობილიზების აუცილებლობა, ერთის მხრივ სახელმწიფო ვალის ზრდის, ხოლო მეორეს მხრივ ქვეყნაში არსებული ფინანსური პოტენციალის საზღვრებს გარეთ, პრაქტიკულად ეკონომიკური უკუგების გარეშე გატანის, არასასურველ ტენდენციას განაპირობებს.

სახელმწიფო ვალის ზრდის არასასურველი და სახიფათო პროცესის თავიდან აცილების აუცილებლობაზე, მიგვანიშნებს ევროპის გაერთიანების 12 სახელმწიფოს მიერ, 1992 წელს ხელ-

მოწერილი „ევროპის კავშირის შექმნის შესახებ“, მაასტრიხტის ხელშეკრულების დებულებები და მათი ანალოგიით ჩამოყალიბებული „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის, პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის ის მოთხოვნები, რომელთა თანახმად, დაუშვებელია საქართველოს სახელმწიფო ვალის (საშინაო და საგარეო) ოდენობა აღემატებოდეს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 60%-ს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით აბსოლუტურად ცხადია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, მათ შორის დემოგრაფიული განვითარებისათვის, რაოდენ მნიშვნელოვანია სახელმწიფო, განსაკუთრებით საგარეო ვალის არსებული მდგომარეობის შესწავლა და კომპლექსური ანალიზი. ამ თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებო და დადებით მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ 2010-18 წლების საქართველოს სახელმწოფო ბიუჯეტის კანონებსა და 2019 წლის კანონპროექტის შესაბამისად (იხ. დანართი №1) „საქართველოს სახელმწიფო ვალის ზღვრული ოდენობის„ თანაფარდობა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობასთან არ აღემატება 43,7%-ს და სრულად შეესაბამება „ეკონიმიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ 60%-იან ზღვრულ მაჩვენებელს. ასევე პოზიტიურ მოვლენას წარმოადგენს ის გარემოება, რომ საკმაოდ დაბალ (მაქსიმუმ 36,0%-ი) დონეზე ფიქსირდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის 2010-1018 წლების კანონებით გათვალისწინებული: – „საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის ზღვრული მოცულობის“ თანაფარდობა მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობასთან. (იხ. დანართი №1).

ზემოაღნიშნული პოზიტიურისაგან განსხვავებული დამოკიდებულება იკვეთება დანართ №1-ით წარმოდგენილი ქვეყნის საგარეო ვალის ამსახველი ორი განსხვავებული გრაფის შეფასებისას. საქმე ისაა, რომ სრულიად ლოგიკურად იბადება შეკითხვა, რა განაპირობებს ეკონომიკური არსით, ერთი და იგივე კატეგორიის ორი განსხვავებული: „საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის ზღვრული მოცულობის“ და “საქართველოს მთლიანი საგარეო ვალის“ სახელწოდების მქონე გრაფების სახით არსებობას.

სიტუაციას კიდევ უფრო გაურკვეველს ხდის ის ფაქტი, რომ “საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი“-ს ამსახველი მონაცემები მნიშვნელოვნად აღემატება „საქართველოს სახელმწიფო ვალის ზღვრული ოდენობის“ გრაფის მონაცემებს, რაც თავისთავად არალოგიკურია, რადგან წარმოუდგენელია საქართველოს სახელმწიფო ანუ საგარეო და საშინაო ვალების ჯამური ოდენობა ნაკლები იყოს ქვეყნის საგარეო ვალის ოდენობაზე.

მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მონაცემებზე დაყრდნობით შედგენილ და „საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის ზღვრული მოცულობის“ გრაფაში ასახული მაჩვენებლებისაგან, რადიკალურად განსხვავებული მონაცემები ფიქსირდება, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით შედგენილ, „საქართველოს მთლიანი საგარეო ვალის“ სახელწოდების მქონე გრაფაში დაფიქსირებულ მონაცემებს შორის (იხ. დანართი 1).

„საქართველოს მთლიანი საგარეო ვალის“ გრაფის მონაცემები, გარდა იმისა რომ მნიშვნელოვნად აღმატება „საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის ზღვრული მოცულობის“ გრაფაში დაფიქსირებულ მონაცემებს, მათი თანაფარდობა 2010-17 წლების საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობასთან 81,6%-113,4%-ის დიაპაზონში მერყეობს და მნიშვნელოვნად აღემატება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი ზღვრულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელს.

როგორც საკითხის შესწავლა ცხადჰყოფს ყოველივე ზემოაღნიშნულს განაპირობებს საქართველოს საგარეო ვალის ორი განსხვავებული მონაცემის: „მთავრობის საგარეო ვალი“-სა და „მთლიანი საგარეო ვალი“-ს სახით აღრიცხვის დამკვიდრებული პრაქტიკა და მათი კალკულაციის განსხვავებული მეთოდოლოგიური თავისებურებები. აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით შედგენილი და ქვემოთ მოყვანილი დიაგრამის №1-ით წარმოდგენილი მონაცემები, 2012-17 წლების საქართველოს მთლიანი საგარეო და

მთავრობის საგარეო ვალის, ამავე წლების ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობის შესახებ.

მთლიანი საგარეო ვალის და მთავრობის საგარეო ვალის თანაფარდობა მშპ-სთან[4]



როგორც დიაგრამით წარმოდგენილი მონაცემებიდან ვრწმუნდებით, წლების განმავლობაში საქართველოს საგარეო ვალი ორი ურთიერთგანსხვავებული მიდგომის საფუძველზე იანგარიშება და აქედან გამომდინარე სხვადასხვა ოდენობით აღირიცხება, რაც ეკონომიკური ლოგიკის გარდა ფინანსური წესრიგის თვალსაზრისითაც სრულიად მიუღებელ მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული. შექმნილი სიტუაცია, მნიშვნელოვნად ართულებს ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი ზემოაღნიშნული ზღვრული მაკროეკონომიკური პარამეტრების დაცვისა და კონტროლის შესაძლებლობას.

საქმე ისაა, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონებში დაფიქსირებული „საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის ზღვრული მოცულობა“, როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვნად ნაკლებია ეროვნული ბანკის მიერ აღრიცხული „საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი“-ს მოცულობაზე და სრულად შეესაბამება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

ხოლო რაც შეეხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებულ „საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი“-ს ოდენობას, იგი მნიშვნელოვნად აღემატება, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს 2010-18 წლების კანონებსა და 2019 წლის კანონპროექტში საგარეო ვალის თაობაზე არსებულ მონაცემებს, ისე „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ ფისკალურ ზღვარს.

როგორ ანალიზი ცხადყოფს შექმნილი სიტუაციის გამომწვევ ძირითად მიზეზად „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული სახელმწიფო ვალის განმარტება უნდა იქნეს მიჩნეული. საქმე ისაა, რომ აღნიშნული განმარტების შესაბამისად სახელმწიფო ვალად მიჩნეულია: უცხოური კონვერტირებადი ვალუტით გამოხატული საქართველოს სახელმწიფო ვალის შემადგენელი იმ ძირითადი თანხების ერთობლიობა, რომლებიც წარმოქმნილია საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ასევე ფინანსთა სამინისტროს გარანტიით სხვა ორგანოების/დაწესებულებების მიერ, ნაკისრი შეუსრულებელი ვალდებულებებით, აგრეთვე საქართველოს სახელით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ უცხოურ კონვერტირებად ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსებიდან ან საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ, საქართველოსათვის დამტკიცებული საფინანსო რესურსებიდან მიღებული თანხებით.

როგორც ვხედავთ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქვეყნის სახელმწიფო ვალად არ მიიჩნევა და აქედან გამომდინარე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების პროცეს-

[4] ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები საქართველოს ეროვნული ბანკი https://www.nbg.gov.ge/index.php?m=494

ში მხედველობაში არ მიიღება, ფინანსური სახსრების ის მეტად სოლიდური ნაწილი, რომლებიც როგორც ეკონომიკური არსით ისე ქვეყნის ფულად-საფინასო სისტემაზე შესაძლო ზემოქმედების თვალსაზრისით სავსებით მიეკუთვნება საგარეო ვალის კატეგორიის,

აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სახელმწიფო საგარეო ვალის აღრიცხვისას გამოყენებული, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, „საგარეო ვალის სტატისტიკა"-ის („External Debt Statistics, Guide for Compilers and Users". International Monetary Fund. Washington, 2013) სახელმძღვანელო პრინციპებთან სრულად შესაბამისობაში მყოფი ის მეთოდოლოგიური მიდგომა რომლის თანახმადაც: – „მთლიანი საგარეო ვალი დროის მოცემული მომენტისათვის წარმოადგენს ფაქტობრივი, უპირობო ვალდებულებების გადაუხდელ თანხას, რომელიც მოითხოვს ამ ქვეყნის რეზიდენტი დებიტორის მიერ არარეზიდენტისათვის ძირითადი ან/და პროცენტის გადახდას მომავალი პერიოდის რომელიმე მომენტში".[5]

როგორც ვხედავთ საგარეო ვალის ზემოაღნიშნული განმარტება მეტად ტევადი ხასიათისაა და საგარეო ვალის კატეგორიაში ფინანსურ ოპერაციათა მეტად ფართო სპექტრს აერთიანებს. აღნიშნული მიდგომის შესაბამისად, ნებისმიერ ვალდებულება, რომელიც სამომავალოდ არარეზიდენტისათვის გადახდას ექვემდებარება ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალის კატეგორიად არის მიჩნეული. აღნიშნულ მიდგომასა და „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის ზემოაღნიშნულ განმარტებებს შორის არსებული განსხვავებები განაპირობებენ დანართი №2-ით წარმოდგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, საქართველოს მთლიანი საგარეო ვალის სახით აღრიცხულ მონაცემებსა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონებში დაფიქსირებულ მონაცემებს შორის გამოკვეთილ შეუსაბამობებს.

ქვეყნის საგარეო ვალის აღრიცხვა-სისტემატიზების თაობაზე არსებულ მეთოდოლოგიურ მიდგომათა სიმრავლის მიუხედავად, ჩვენი აზრით, სახელმწიფო ვალის კატეგორიად მიჩნეული უნდა იქნეს, ქვეყნის ხელისუფლებისა და რეზიდენტი იურიდიული პირების (მათ შორის სახელმწიფოს 100%-იან საკუთრებაში მყოფი საწარმოების) ყველა ის საგარეო ფინანსური ვალდებულება, რომლთა მომსახურებაც ამცირებს ქვეყნის ეკონომიკურ სივრცეში არსებულ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ფინანსურ პოტენციალს.

ზემოაღნიშნული მოსაზრების ლოგიკურობას ცხადყოფს, საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თაობაზე, საქართველოს პარლამენტისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია, სადაც ვკითხულობთ: – „ბიუჯეტის კანონის პროექტით წარმოდგენილ მთავრობის ვალში არ არის ასახული მუნიციპალიტეტების, სსიპ-ებისა და „საჯარო და კერძო პარტნიორობის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულება და იგი წარმოადგენს მხოლოდ ცენტრალური მთავრობის ვალს. ამ ეტაპზე არ არსებობს ვალის ერთიანი, სრულყოფილი ბაზა, რომლითაც მოხდება შეფასება თუ რა გავლენას მოახდენდა მათი დამატება მთავრობის ვალის მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელზე".[6]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მეტად საკამათოდ უნდა მივიჩნიოთ, „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონპროექტის თანმდევი დოკუმენტაციის პაკეტით წარმოდგენილი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შესატანი ის შესწორებები რომლთა თანახმადაც „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ" ქვეპუნქტის ფრაზა: – ***„სახელმწიფო ვალის შეფარდება*** მთლიან შიდა პროდუქტთან" იცვლება ფრაზით: – ***„მთავრობის ვალის შეფარდება*** მთლიან შიდა პროდუქტთან".

ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის ახალი (შემოთავაზებული) რედაქციით ***„მთავრობის ვალი"-ს*** ოდენობაში, ასახვას აღარ ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკის ვალდებულებები. აქედან გამომდინარე, საკმაოდ შეფარული ფორმით პრაქტიკულად იცვლება სახელმწიფო

[5] საგარეო სექტორის სტატისტიკა მეთოდოლოგიური განმარტებები https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304

[6] ინფორმაცია საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტზე საქართველოს პარლამენტისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე. გვ. 40 https://mof.ge/5187

ვალის მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობის, (1992 წლის მაასტრიხტის ხელშეკრულების ანალოგიურად დადგენილი) 60%-იანი ზღვრული მაჩვენებელი.

საქმე ისაა რომ, ზემოაღნიშნული „საკანონმდებლო ნორმის" ამოქმედება თავისთავად განაპირობებს სახელმწიფო ვალის მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობის დადგენილი ზღვრული მაჩვენებლის ზრდას, რადგან შემოთავაზებული საკანონმდებლო ნორმის ამოქმედების შედეგად, საქართველოს თუნდაც 2017 წლის საბიუჯეტო პარამეტრების პირობებში შესაძლებელი გახდება სახელმწიფო ვალის ზღვრული ოდენობის 292,4 მლნ დოლარით (იხ. დანართი №2), ანუ 731 მლნ. ლარით შემცირება. რაც მთლიან შიდა პროდუქტთან მისი თანაფარდობის არსებულ მაჩვენებელს ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე 41,8%-იდან, 39,9%-მდე შეამცირებს (იხ. დანართი №1).

სახელმწიფო საგარეო ვალის არსებული სიდიდის ეროვნული ბანკის ვალების ოდენობით შემცირება, როგორც ვხედავთ ავტომატურად იწვევს მთლიან შიდა პროდუქტთან მისი თანაფარდობის სადღეისო მაჩვენებლის შემცირებას და მოქმედი ზღვრული მაკროეკონომიკური პარამეტრის დამცავი ეფექტის შესუსტებას. რაც გარდა იმისა, რომ ხელსაყრელ პირობებს შეუქმნის სახელმწიფო ვალის დამატებითი (შემცირებული ოდენობით) ზრდის სრულიად არასასურველ პროცესს, მისი მიღება ასევე პრობლემებს შეუქმნის საქართველოს საგარეო ვალის დინამიკის სრულფასოვანი კონტროლის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქვეყნის საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში მიმდინარე პროცესების, მათ შორის უცხოურ ვალუტაში გამოხატული საერთაშორისო რეზერვების სასურველ დონზე შენარჩუნების, ეროვნული ვალუტის კურსისა და ინფლაციური პროცესების, ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების მოთხოვნებთან შესაბამისობაში შენარჩუნების პროცესის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

- საქართველოს სახელმწიფო (საშინაო და საგარეო) ვალის მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობის, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ზღვრული მაჩვენებლის შენარჩუნების პირობებში, მაქსიმალურად დეტალურ აღრიცხვას დაექვემდებაროს და აქედან გამომდინარე საქართველოს ეროვნული ბანკის მეთოდოლოგიასთან შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი საქართველოს საგარეო ვალის ამსახველი საბიუჯეტო პარამეტრები;
- ერთის მხრივ, სახელმწიფო საშინაო ვალის მომსახურებისათვის განკუთვნილი საბიუჯეტო ხარჯების მზარდი ტენდენციებით განპირობებული, მიმოქცევის არხებში ფულის მასის ზრდით, ხოლო მეორეს მხრივ, საგარეო ვალის მომსახურებისათვის საერთაშორისო რეზერვებზე მოთხოვნის ზრდით, სტიმულირებული არასასურველი პროცესების ნეიტრალიზების მიზნით, მაქსიმალურად შეიზღუდოს საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ავტომობილების, რბილი ავეჯისა და სხვა მსგავსი იმპორტის ზრდაზე ორიენტირებული საბიუჯეტო ხარჯების გამოყოფის არსებული პრაქტიკა;
- საბიუჯეტო ხარჯების ოპტიმიზების მიზნით, მაქსიმალურად შეიზღუდოს საბიუჯეტო დაწესებულებებისა და მარეგულირებელი ორგანოების, იჯარით აღებულ ძვირადღირებულ „საოფისე ფართებში" განთავსების პრაქტიკა;
- დაიწყოს მსჯელობა სახელმწიფო საწარმოთა სამეთვალყურეო საბჭოების ხშირად უფუნქციო და მაღალანაზღაურებადი წევრების დაფინანსების მიზანშეწონილების, აგრეთვე მარეგულირებელი კომისიების ფუნქციებისა და დაფინანსების წყაროების, მათი რეალური დამოუკიდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე;
- გაუქმდეს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ მხარჯავ დაწესებულებებად მიჩნეული: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი და ა(ა)იპ საქართველოს სოლიდარობის ფონდი. აღნიშნულ ფონდებში, აკუმულირებული საბიუჯეტო სახსრების განაწილება განხორციელდეს პროგრამული ბიუჯეტის შედგენის პრინციპების, კერძოდ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში სათანადო წესით ასახული მიზნობრივი პროგრამების მეშვეობით.

გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ წყაროები:

ინფორმაცია საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტზე საქართველოს პარლამენტისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე https://mof.ge/5187

მოსახლეობის რიცხოვნობა – მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები. სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf

მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა 1989. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%1989

საგარეო სექტორის სტატისტიკა მეთოდოლოგიური განმარტებები https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304

საქართველოს მთავრობა „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2019-2022 წლებისათვის (გადამუშავებული ვარიანტი)

ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებსა (http://www.Statistics.ge http://www.nbg.gov.ge/NBG New Geo/Pablications/Buletin/) და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ შესაბამისი წლების კანონების დღისათვის ამ კანონებში დაფიქსირებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები საქართველოს ეროვნული ბანკი https://www.nbg.gov.ge/index.php?m=494

საქართველოს სახელმწიფი ვალის დინამიკა და მართვის თავისებურებები

ანა ხუციშვილი

მაგისტრი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ლევან ჭელიძე

დოქტორანტი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

დავით ჭელიძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ანოტაცია

კვლევის მიზანია ქვეყნის საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში მიმდინარე პროცესების, კერძოდ საქართველოს სახელმწიფო საშინაო და განსაკუთრებით საგარეო ვალის არსებული დინამიკის შესწავლა. სახელმწიფო ვალის ზრდის ტემპისა და მისი ოდენობის მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობასთან თანაფარდობის, აღიარებული საერთაშორისო მიდგომებისა და ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრულ პარამეტრებთან შესაბამისობის ანალიზი და აღნიშნულ ანალიზზე დაყრდნობით არსებული ნაკლოვანებების გამოვლენა.

2010-19 წლების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების (მათ შორის საპროგნოზო) დინამიკისა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის ანალიზზე დაყრდნობით შემუშავებულია შესაბამისი დასკვნები.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო ვალის, მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობასთან თანაფარდობის, ზღვრული მაჩვენებლის დაცვისა და ქვეყანის საბიუჯეტო პროცესის სრულყოფის რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: *მშპ, ბიუჯეტი, დეფიციტი, სახელმწიფო ვალი*

Debt Dynamics and Governance Features of Georgian Government Debt

Ana Khutsishvili

Magister

Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

Levan Chelidze

Ph.D. Student

Staint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

David Chelidze

Academic Doctor of Economics

Staint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

Abstract

The aim of this research is to study current processes in the financial and budgetary sphere of the country, in particular the state of Georgia's domestic and especially external debt dynamics. The ratio of gross domestic product growth and the amount of its gross domestic product, Analyze compliance with recognized international approaches and parameters defined by the country's legislation and identify the existing shortcomings based on this analysis.

Based on the analysis of compliance with the dynamics of the Georgian state budget and the main macroeconomic parameters (including the forecast) of the country in 2010-19, the findings are made.

The final part of the work is presented in the recommendations of the state debt, protection of the marginal indicator of the ratio of the gross domestic product and the country's budgetary process.

Key words: *GDP, Budget, Deficiency, State debt*

დანართი 1

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების დინამიკა (მლნ. ლარი) *დანართი №1* [6]

მთლიანი შიდა პროდუქტი და სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები	2010	2011	2012	20-3	2014	2015	2016	2017	2018	2019 3ნ
მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში (ნომინალური)	**20 743,4**	**24 344,0**	**26 167,3**	**26 847,4**	**29 150,5**	**31 755,6**	**34 028,5**	**38 042,2**	***41 741,8****	***45 146,9****
ზრდის ტემპი 2010 = 100	*100%*	*117,4%*	*126,1%*	*129,4%*	*140,5%*	*153,1%*	*164,0%*	*183,4%*	*201,2%*	*217,6%*
მთლიანი შიდა პროდუქტი მუდმივ 2010 წლის ფასებში (რეალური)	**20 743,4**	**22 241,4**	**23 653,8**	**24 454,9**	**25 585,6**	**26 322,5**	**27 072,4**	**28 422,3**	-	-
ზრდის ტემპი 2010 = 100	*100%*	*107,2%*	*114,0%*	*117,0%*	*123,3%*	*126,9%*	*130,5%*	*137,0%*	-	-
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალები	**5 188,2**	**5 955,8**	**6 839,4**	**7 422,5**	**7 319,0**	**8 090,0**	**8 555,0**	**9 489,5**	**10 314,2**	**10 281,7**
ზრდის ტემპი 2010 = 100	*100%*	*114,8%*	*131,8%*	*143,1%*	*141,1%*	*155,9%*	*164,9%*	*182,9%*	*198,8%*	*198,2%*
ხვედრითი წილი ნომინალურ მშპ-თან	*25,0%*	*21,8%*	*26,1%*	*27,6%*	*25,1%*	*25,5%*	*25,1%*	*24,9%*	*24,7%*	*22,8%*
მ.შ. გადასახადები	**4 382,0**	**5 300,0**	**6 300,0**	**6 920,0**	**6 820,0**	**7 600,0**	**7 980,0**	**8 820,0**	**9 490,0**	**9 565,0**
ზრდის ტემპი 2010 = 100	*100%*	*120,9%*	*143,8%*	*157,9%*	*155,6%*	*173,4%*	*182,1%*	*201,3%*	*216,6%*	*218,3%*
ხვედრითი წილი ნომინალურ მშპ-თან	*21,1%*	*21,8%*	*24,1%*	*25,8%*	*23,4%*	*23,9%*	*23,5%*	*23,2%*	*22,7%*	*21,2%*
სახელმწიფო ბიუჯეტის სარჯები	**5 476,3**	**5 746,1**	**6 554,3**	**7 248,5**	**7 539,6**	**8 005,4**	**8 543,6**	**9 121,2**	**9 720,9**	**9 279,1**
ზრდის ტემპი 2010 = 100	*100%*	*104,9%*	*119,7%*	*132,4%*	*137,7%*	*146,2%*	*156,0%*	*166,5%*	*177,5%*	*169,4%*
ხვედრითი წილი ნომინალურ მშპ-თან	*26,4%*	*23,6%*	*25,0%*	*27,0%*	*25,9%*	*25,2%*	*25,1%*	*24,0%*	*23,3%*	*20,6%*
მ.შ. შრომის ანაზღაურება	**1 046,0**	**1 081,2**	**1 133,4**	**1 180,9**	**1 318,3**	**1 407,9**	**1 443,3**	**1 393,5**	**1 413,6**	**1 473,8**
ზრდის ტემპი 2010 = 100	*100%*	*103,4%*	*108,4%*	*112,9%*	*126,0%*	*134,6%*	*138,0%*	*133,2%*	*135,1%*	*140,9%*
ხვედრითი წილი ნომინალურ მშპ-თან	*5,0%*	*4,4%*	*4,3%*	*4,4%*	*4,5%*	*4,4%*	*4,2%*	*3,7%*	*3,4%*	*3,3%*
მ.შ. საქონელი და მომსახურება	**856,2**	**791,4**	**918,8**	**854,7**	**853,8**	**963,7**	**1 037,5**	**1 144,3**	**1 201,3**	**1 194,0**
ზრდის ტემპი 2010 = 100	*100%*	*92,4%*	*103,3%*	*99,8%*	*99,7%*	*112,6%*	*121,2%*	*133,6%*	*140,3%*	*139,5%*
ხვედრითი წილი ნომინალურ მშპ-თან	*4,1%*	*3,2%*	*3,5%*	*3,2%*	*2,9%*	*3,1%*	*3,1%*	*3,0%*	*2,9%*	*2,6%*
საოპერაციო სალდო	**-288,2**	**209,7**	**285,1**	**174,0**	**-220,6**	**84,4**	**11,4**	**368,2**	**593,3**	**1 002,6**
ბიუჯეტის მთლიანი სალდო-დეფიციტის ზღვრული ოდენობა	**-1 075,2**	**-505,8**	**-457,1**	**-446,9**	**-874,7**	**-683,7**	**-513,6**	**-540,8**	**-975,2**	**-1 019,7**
ზრდის ტემპი 2010 = 100	*100%*	*47,0%*	*42,5%*	*41,6%*	*81,4%*	*63,6%*	*47,8%*	*50,3%*	*90,7%*	*94,8%*
ხვედრითი წილი ნომინალურ მშპ-თან	*5,2%*	*2,1%*	*1,8%*	*1,7%*	*3,0%*	*2,2%*	*1,5%*	*1,4%*	*2,3%*	*2,2%*
საქართველოს სახელმწიფო ვალის ზღვრული ოდენობა	**8 809,1**	**10 670,5**	**10 039,5**	**9 578,1**	**10 410,1**	**11 808,6**	**14 575,5**	**15 909,4**	**17 931,4**	**19 715,8**
ზრდის ტემპი 2010 = 100	*100%*	*121,1%*	*114,0%*	*108,7%*	*118,2%*	*134,1%*	*165,5%*	*180,6%*	*203,6%*	*223,8%*
ხვედრითი წილი ნომინალურ მშპ-თან	*42,5%*	*43,8%*	*38,8%*	*35,7%*	*35,7%*	*37,2%*	*42,8%*	*41,8%*	*43,0%*	*43,7%*
საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის ზღვრული მოცულობა	**1 747,9**	**1 911,9**	**1 922,5**	**2 025,9**	**2 584,2**	**3 117,7**	**2 997,7**	**3 562,7**	**3 905,0**	**4 400,0**
ზრდის ტემპი 2010 = 100	*100%*	*109,4%*	*110,0%*	*115,9%*	*147,8%*	*178,4%*	*171,5%*	*203,8%*	*223,4%*	*251,7%*
ხვედრითი წილი ნომინალურ მშპ-თან	*8,4%*	*7,9%*	*7,3%*	*7,5%*	*8,9%*	*9,8%*	*8,8%*	*9,4%*	*9,4%*	*9,7%*
საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის ზღვრული მოცულობა	**7 061,2**	**8 758,6**	**8 117,0**	**7 552,2**	**7 825,9**	**8 690,9**	**11 577,7**	**12 346,7**	**14 026,4**	**15 315,8**
ზრდის ტემპი 2010 = 100	*100%*	*124,0%*	*114,9%*	*107,0%*	*110,8%*	*123,1%*	*164,0%*	*174,9%*	*198,6%*	*216,9%*
ხვედრითი წილი ნომინალურ მშპ-თან	*34,0%*	*36,0%*	*31,0%*	*28,1%*	*26,8%*	*27,4%*	*34,0%*	*32,5%*	*33,6%*	*33,9%*
საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი შესაბამისი წლის 31 დეკემბრისთვის ათასი აშშ დოლარი*	**10 238,8**	**11 717,9**	**13 414,9**	**13 433,5**	**13 989,4**	**15 259,1**	**15 880,9**	**17 260,0**	-	-
საგარეო ვალის ზღვრული მოცულობა გაანგარიშებულია გაცვლით კურსზე ერთი აშშ დოლარი / ლარი	**1,7**	-	**1,7**	**1,7**	**1,7**	**1,8**	**2,4**	**2,5**	**2,5**	**2,63**
საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი შესაბამისი წლის 31 დეკემბრისთვის მლნ. ლარი**	**10 238,8** X 1,7 **17 406,0**	**11 717,9** -	**13 414,9** X 1,7 **22 805,3**	**13 433,5** X 1,7 **22 837,0**	**13 989,4** X 1,7 **23 782,0**	**15 259,1** X 1,8 **27 466,4**	**15 880,9** X 2,4 **38 114,2**	**17 259,8** X 2,5 **43 149,5**	-	-
ზრდის ტემპი 2010 = 100	*100%*	-	*131%*	*131,2%*	*136,6%*	*157,8%*	*219,0%*	*250,0%*	-	-
ხვედრითი წილი ნომინალურ მშპ-თან	*83,9%*	-	*87,2%*	*85,1%*	*81,6%*	*85,6%*	*112,0%*	*113,4%*		
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდა – სახელმწიფოს მიერ მიღებული სახსრები და კრედიტები	**1 114,1**	**854,3**	**1 046,0**	**868,0**	**1 636,0**	**1 610,0**	**1 275,0**	**1 792,7**	**1 986,8**	**2 160,0**
ზრდის ტემპი 2010 = 100	*100%*	*76,7%*	*93,9%*	*77,9%*	*146,8%*	*144,5%*	*114,4%*	*160,1%*	*178,3%*	*193,9%*
ხვედრითი წილი ნომინალურ მშპ-თან	*5,4%*	*3,5%*	*4,0%*	*3,3%*	*5,6%*	*5,1%*	*3,7%*	*4,7%*	*4,8%*	*4,8%*
საგარეო	**1 213,5**	**754,3**	**946,0**	**718,0**	**1 036,0**	**1 010,0**	**1 075,0**	**1 392,7**	**1 586,7**	**1 160,0**
ზრდის ტემპი 2010 = 100	*100%*	*62,2%*	*78,0%*	*59,2%*	*85,4%*	*83,2%*	*88,6%*	*114,8%*	*130,8%*	*95,6%*
ხვედრითი წილი ნომინალურ მშპ-თან	*5,9%*	*3,1%*	*3,6%*	*2,6%*	*3,6%*	*3,2%*	*3,2%*	*3,7%*	*3,8%*	*2,6%*
საშინაო	**100,0**	**100,0**	**100,0**	**150,0**	**600,0**	**600,0**	**200,0**	**400,0**	**400,0**	**500,0**
ზრდის ტემპი 2010 = 100	*100%*	*100%*	*100%*	*150%*	*600%*	*600%*	*200%*	*400%*	*400%*	*500%*
ხვედრითი წილი ნომინალურ მშპ-თან	*0,5%*	*0,4%*	*0,4%*	*0,6%*	*2,1%*	*1,9%*	*0,6%*	*1,1%*	*1,0%*	*1,1%*
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება – სახელმწიფოს მიერ მიღებული სახსრებისა და კრედიტების მომსახურება	**199,4**	**244,0**	**219,4**	**549,4**	**589,1**	**419,2**	**444,4**	**526,2**	**760,1**	**933,9**
ზრდის ტემპი 2010 = 100	*100%*	*122,4%*	*110,0%*	*275,5%*	*295,4%*	*210,2%*	*222,9%*	*263,9%*	*381,3%*	*468,4%*
ხვედრითი წილი ნომინალურ მშპ-თან	*1,0%*	*1,0%*	*0,8%*	*2,0%*	*2,0%*	*1,3%*	*1,3%*	*1,4%*	*1,8%*	*2,1%*
საგარეო	**135,4**	**138,9**	**120,9**	**471,8**	**532,0**	**356,0**	**360,0**	**431,0**	**725,0**	**893,8**
ზრდის ტემპი 2010 = 100	*100%*	*102,6%*	*89,3%*	*348,4%*	*392,9%*	*262,9%*	*265,9%*	*318,3%*	*535,5%*	*660,1%*
ხვედრითი წილი ნომინალურ მშპ-თან	*0,7%*	*0,6%*	*0,5%*	*1,8%*	*1,3%*	*0,8%*	*1,1%*	*1,1%*	*1,7%*	*2,0%*
საშინაო	**64,0**	**105,2**	**98,5**	**77,6**	**66,1**	**63,2**	**84,4**	**95,2**	**35,1**	**40,1**
ზრდის ტემპი 2010 = 100	*100%*	*104,4%*	*153,9%*	*121,3%*	*103,3%*	*98,8%*	*131,9%*	*148,6%*	*54,8%*	*62,6%*
ხვედრითი წილი ნომინალურ მშპ-თან	*0,3%*	*0,4%*	*0,4%*	*0,3%*	*0,2%*	*0,2%*	*0,2%*	*0,3%*	*0,08%*	*0,09%*

დანართი 2

საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი (ათასი აშშ დოლარი) ***დანართი №2*** [7]

	31.12.2010	31.12.2011	31.12.2012	31.12.2013	31.12.2014	31.12.2015	31.12.2016	31.12.2017	30.06.2018
სამთავრობო სექტორი	**3 345 861.9**	**3 695 194.7**	**4 250 557.9**	**4 190 598.9**	**4 255 819.2**	**4 390 341.4**	**4 677 798.4**	**5 294 741.3**	**5 474 114.3**
ეროვნული ბანკი	**877 286.1**	**816 298.0**	**582 512.4**	**338 663.6**	**252 059.8**	**220 253.5**	**200 914.6**	**292 443.3**	**330 599.0**
ბანკები	**1 595 213.6**	**2 119 618.1**	**2 468 534.8**	**2 646 886.3**	**2 683 354.1**	**2 957 125.7**	**2 984 358.7**	**3 686 741.9**	**3 779 745.1**
სხვა სექტორები	**1 828 790.4**	**2 239 384.0**	**3 327 974.1**	**3 471 499.3**	**3 586 599.5**	**4 503 244.0**	**5 444 685.5**	**5 370 005.3**	**5 618 008.2**
პირდაპირი ინვესტიციები: კომპანიათაშორისი სესხები	**2 591 623.2**	**2 847 403.0**	**2 785 316.6**	**2 785 838.0**	**3 211 588.3**	**3 188 167.1**	**2 573 171.9**	**2 615 893.3**	**2 516 073.3**
მთლიანი საგარეო ვალი	**10 238 775.3**	**11 717 897.8**	**13 414 895.7**	**13 433 486.1**	**13 989 421.0**	**15 259 131.8**	**15 880 929.1**	**17 259 825.1**	**17 421 539.9**
გაცვლით კურსზე ერთი აშშ დოლარი / ლარი	**1.7**	-	**1.7**	**1.7**	**1.7**	**1.8**	**2.4**	**2.5**	**2,5**
მთლიანი საგარეო ვალი ლარებში	**17 405 918.0**		**22 805 322.7**	**22 836 917.9**	**23 782 015.7**	**27 466 437.2**	**38 114 229.8**	**43 149 562.8**	**43 5538 49.8**

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს ეკონომიკის სექტორებზე

დავით სიხარულიძე

ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვასილ კიკუტაძე

ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შესავალი

ქვეყნის ეკონომიკის ზრდისა და განვითარების მიზნით პუი-ის გავლენა განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდეს ისეთი ნაკლებად განვითარებული ქვეყნისათვის, როგორიც საქართველო არის. მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ პუი-ს შეუძლია უზრუნველყოს დადებითი მწარმოებლურობითი ეფექტი მიმღები ქვეყნის ეკონომიკაში, ხოლო მეორე ნაწილის შეხედულებით, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ეგზოგენური პოზიტიური ეფექტი მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე სუსტია. ეს აიხსნება ადგილობრივი პირობებით განპირობებული ქვეყნის შეზღუდული შესაძლებლობით, გამოიყენოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებით გამოწვეული უპირატესობა. კავშირი პუი-სა და ეკონომიკურ ზრდას შორის შესწავლილია მრავალ ემპირიულ ლიტერატურაში, რომლებიც ფოკუსირდება როგორც ინდუსტრიულ, ასევე განვითარებად ქვეყნებზე. ემპირიული კვლევები, ასევე, გვიჩვენებს, რომ პუი-ის დადებითი ეფექტი დამოკიდებულია მიმღები ქვეყნის ისეთ მახასიათებლებზე, როგორიცაა ადამიანისეული კაპიტალის დონე, სახელმწიფო პოლიტიკა, განვითარებული ფინანსური ბაზრები, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარების დონე[1]. პუი-ის გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე ისეთი მექანიზმით აიხსნება, როგორიცაა მასშტაბის, კომპეტენციების და ტექნოლოგიების გადაცემის და სტრუქტურული ეფექტი.

თეორიულ კონტექსტში, პუი-ს შეუძლია მიმღები ქვეყნის ინდუსტრიული ზრდა ტექნოლოგიების ტრანსფერის და დარგის რესტრუქტურიზაციის საშულებით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოდინებას შეუძლია, გავლენა იქონიოს ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე[2]. განსაკუთრებით ეს ეხებათ იმ ქვეყნებს, რომლებმაც საბაზრო ეკონომიკის სწრაფი მშენებლობის გზა აირჩიეს. საქართველო გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა ღია ეკონომიკით სადაც 1996 წლიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები მოედინება. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი 23 წლის განმავლობაში[3] პუი-მა საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კვლავ რჩება აქტუალური საკითხი იმის შესახებ თუ რა გავლენას ახდენს პუი-ი ეკონომიკის ცალკეულ სექტორებზე.

1997-2018 წლებში საქართველოში შემოდინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები $20 მილიარდს მიუახლოვდა, რაც მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, $5 000 აჭარბებს; საქსტატის მიხედვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სექტორული გადანაწილება 2007-2018 წლებში ასეთი იყო: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – $3.8 მილიარდი (23%); ენერგეტიკა – $2,1 მილიარდი (13%); დამამუშავებელი მრეწველობა – $1,9 მილიარდი (12%). (იხ. დიაგრამა 1).

[1] Borensztein, E., De Gregorio, J., & Lee, J.-W. (1998). How does foreign direct investment affect economic growth? Journal of International Economics, 45(1), 115-135. https://doi.org/10.1016/S0022- 1996(97)00033-0

[2] Dunning, J. H., & Lundan, S. M. (2008). Multinational Enterprises and the Global Economy (2nd Editio). Edward Elgar Publishing Limited

[3] დავით სიხარულიძე, ვახტანგ ჭარაია. უცხოური პირდაპირი ინვესტიციები: თეორია და საქართველოს გამოცდილება. გამომცემლობა უნივერსალი. 2018. 202 გვ.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის სექტორების მიხედვით[4]

დიაგრამა 1



საინტერესოა, რომ საქართველოს მიერ პრიორიტეტად გამოცხადებულ სოფლის მეურნეობაში უცხოელი ინვესტორების მიერ დაბანდებული სახსრების მხოლოდ 1% მოდის, რაც სექტორის დაბალი რენტაბელობით აიხსნება. სამაგიეროდ, საკმაოდ მნიშვნელოვანი წილი ენერგეტიკის სფეროზე მოდის (13%), რომელიც, ასევე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ქვეყანაში. უცხოელი ინვესტორები მნიშვნელოვან სახსრებს აბანდებენ ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაშიც, რაც ასევე პოზიტიური მომენტია ქვეყნის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების კუთხით[5].

ამგვარად, ნაშრომის მიზანია შევისწავლოთ ქვეყანაში შემოდინებული პუი-ის გავლენა სოფლის მეურნეობის სექტორზე, მომსახურების სექტორსა და ინდუსტრიაზე.

ლიტერატურის მიმოხილვა

პუი-სა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირი წარმოადგენს ცხარე დებატების საგანს სამეცნიერო ეკონომიკურ ლიტერატურაში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა უამრავ სამეცნიერო ნაშრომებში განიხილება, როგორც ტექნოლოგიების, მმართველობითი უნარების, ფინანსების გადაცემის ეფექტიანი საშუალება, რომელიც ასტიმულირებს ეკონომიკის ზრდასა და განვითარებას.

მულტი ნაციონალური საწარმოები ან საერთაშორისო ფირმები, რომლებიც აბანდებენ მიმღებ ქვეყნებში ინვესტიციებს ფლობენ მოწინავე ტექნოლოგიებს. ტექნოლოგიების ტრანსფერს ადგილი აქვს როდესაც ადგილობრივი ფირმა ცდილობს მულტი ნაციონალური საწარმოების ან საერთაშორისო ფირმების ტექნოლოგიების ათვისებას. მიმღები ქვეყნის კომპანიების მხრიდან არსებული კონკურენცია გავლენას ახდენს მულტი ნაციონალური საწარმოების ფილიალებსა და საერთაშორისო ფირმების საქმიანობაზე. ამგვარ სიტუაციაში მიმღები ქვეყნის ინდუსტრიული სტრუქტურა იცვლება ან რესტრუქტირდება საერთაშორისო ფირმებთან კონკურენციის მიზნით. Dunning და Lundan-ის თანახმად ეს გადადენის ეფექტი წარმოიქმნება პუი-სა და მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ აგენტებს შორის პირდაპირი კავშირების შედეგად[6].

---

[4] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

[5] დავით სიხარულიძე, ვახტანგ ჭარაია (2018).

[6] Dunning, J. H., & Lundan, S. M. (2008). Multinational Enterprises and the Global Economy (2nd Editio). Edward Elgar Publishing Limited.

ნეოკლასიკური ზრდის მოდელში, სოლოუ ხაზს უსვამდა ტექნოლოგიური პროგრესის სასიცოცხლო როლს ეკონომიკურ ზრდაში[7]. ამას გარდა, სოლოუმ ეკონომიკური ზრდა განსაზღვრა ზრდასთან დაკავშირებული სხვადასხვა ფაქტორებით. სოლოუს მოდელის საშუალებით Findlay-მ განავითარა მოდელი, რომელშიც ნაჩვენებია პოზიტიური დამოკიდებულება პუი-სა და ეკონომიკურ ზრდას შორის[8]. ამას გარდა, ის ამტკიცებდა, რომ პუი-ის მოდინება ზრდის ტექნოლოგიურ პროგრესს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდების გადაცემით. ენდოგენური ზრდის მოდელის საფუძველზე, Blomström and Kokko-მ ყურადღება გაამახვილეს პუი-ის ეკონომიკურ ეფექტზე ტექნოლოგიებისა და უნარების საშუალებით[9]. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის პუი-ი უნდა იზრდებოდეს განათლების დონის და ადგილობრივი ინვესტიციების ზრდასთან ერთად და შემდეგ მწარმოებლები აბანდებდნენ ტექნოლოგიებსა და ცოდნაში.

პუი-ის გავლენის შესახებ კვლევა ჩატარებულია როგორც მიკრო, ასევე მაკრო დონეზე. მაგალითად, Aitken and Harrison-მა შეისწავლეს 4000-ზე მეტი ფირმა ვენესუელაში 1976-1989 წლებში პუი-ის ეფექტის შესასწავლად[10]. მათ გამოავლინეს პოზიტიური მიმართება უცხოურ კაპიტალზე დაფუძნებულ ფირმებსა და მწარმოებლურობას შორის იმ საწარმოებში სადაც დასაქმებულთა რაოდენობა 50-ზე ნაკლებია. ამას გარდა, მათ გამოავლინეს პუი-ს არახელსაყრელი ეფექტი ადგილობრივ საწარმოების მწარმოებლურობაზე. მათ ასევე აღნიშნეს, რომ პუი-ის წმინდა გავლენა მთლიანად ეკონომიკაზე არის ძალზე მცირე. Borensztein-ი თავის კვლევაში აღნიშნავს, რომ პუი-ი არის განვითარებულ ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში ტექნოლოგიების გადაცემის საშუალება. მან გამოავლინა, რომ პუი-ს მაღალი მწარმოებლურობა დამოკიდებულია მიმღები ქვეყნის ადამიანური კაპიტალის დონეზე. ტექნოლოგიების შთანთქმის შესაძლებლობა დამოკიდებულია მიმღებ ქვეყანაში ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის დონეზე. ამგვარად, პუი-ის წვლილი ეკონომიკურ ზრდაში მაღალია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მიმღებ ქვეყანას გააჩნია მოწინავე ტექნოლოგიების შთანთქმის შესაძლებლობა.

ეროვნულ დონეზე პუი-ის ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის ანალიზის გარდა, მეცნიერთა განსაზღვრული ნაწილი ფოკუსირებას ახდენს პუი-ს გავლენაზე სექტორულ დონეზე. სექტორულ დონეზე Chakraborty and Nunnenkamp-მა გაანალიზა პუი-ის გავლენა ინდოეთისათვის. ამ კვლევაში გამოვლინდა მნიშნელოვანი მიზეზშედეგობრივი კავშირი პუი-სა და მრეწველობის სექტორს შორის და სუსტი კავშირი პირველად სექტორთან მიმართებით[11]. მომსახურების სექტორისათვის პუი-ი წარმოდგენილია, როგორ ზრდის მასტიმულირებელი გადადენის ეფექტის მქონე საშუალება. მათ დაასაბუთეს ის არგუმენტი, რომ პუი-ის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე დამოკიდებულია არა მხოლოდ პუი-ის მოცულობაზე, არამედ სტრუქტურულ კომპოზიციასა და სახეობაზე. Masron and Hassan-მა შეისწავლეს აშშ-ს პუი-ს გავლენა სამრეწველო სექტორზე მალაიზიაში 1999-2008 წლებში[12]. ამ კვლევამ არ აჩვენა პუი-ს შემოდინების პოზიტიური ეკონომიკური ეფექტი სამრეწველო ინდუსტრიის სხვადასხვა სექტორისათვის.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის სექტორზე პუი-ის გავლენას, მრავალი კვლევის მიხედვით დადგენილია პოზიტიური კავშირი პუი-სა და სოფლის მეურნეობის მწარმოებლურობის ზრდას შორის. მაგალითად, Oleyede-მ გამოვლინა პუი-სა და სოფლის მეურნეობას შორის დადებითი დამოკიდებულება როგორც მოკლევადიან ასევე გრძელვადიან პერიოდისათვის. Oleyede-ს მიხედვით, პუი-ი ასტიმულირებს შემოსავლების დივერსიფიკაციას რაც თავის მხრივ აისახება სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებაზე. Rakotoarisoa თანახმად, პუი-ს შეუძლია სოფლის

[7] Solow, R. M. (1957). Technical Change and the Aggregate Production Function. The Review of Economics and Statistics, 39(3), 312-320. https://doi.org/10.2307/1926047

[8] Findlay, R. (1978). Relative Backwardness, Direct Foreign Investment, and the Transfer of Technology: A Simple Dynamic Model. The Quarterly Journal of Economics, 92(1), 1-16. https://doi.org/10.2307/1885996

[9] Blomström, M., & Kokko, A. (2003). The Economics of Foreign Direct Investment Incentives (NBER Working paper series No. 9489). Cambridge. Retrieved from http://www.nber.org/papers/w9489%0A

[10] Aitken, B. J., & Harrison, E. (1999). Do Domestic Firms Benefit from Direct Foreign Investment? Evidence from Venezuela. The American Economic Review, 89, 605-618. https://doi.org/10.1257/aer.89.3.605

[11] Chakraborty, C., & Nunnenkamp, P. (2008). Economic Reforms, FDI, and Economic Growth in India: A Sector Level Analysis. World Development, 36(7), 1192-1212. https://doi.org/10.1016/j.worlddev.2007.06.014

[12] Masron, T. A., & Hassan, M. K. (2016). US Foreign Direct Investment (FDI) and Manufacturing Sector in Malaysia. Asian Academy of Management Journal, 21(1), 89-110.

მეურნეობის სექტორში გავლენა მოახდინოს წარმოებისა და მარკეტინგის სხვადასხვა ეტაპზე[13]. პუი-ის შეუძლია სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწების და შრომის მწარმოებლურობის ზრდა ფერმერებისთვის ტრენინგებისა და განათლების გადაცემით, ფერმერული ტექნიკის დანერგვით სასოფლო სამეურნეო ტექნოლოგიების გაუმჯობესებით[14]. პუი-ი ასევე გავლენას ახდენს სასოფლო სამეურნეო პროდუქტების ექსპორტზე და ხელს უწყობს ფერმერებს გქონდეს წვდომა ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე[15]. თუმცა, პუი-ის გავლენა სოფლის მეურნეობის სექტორზე არ არის ერთმნიშვნელოვანი. Findlay-is, Wang & Bloomstrom-ის[16] და UNCTAD[17]-ის თანახმად, ტექნოლოგიების, მმართველობითი ნოუ-ჰაუსა გადაცემა, ახალი პროცესების დანერგვა და დასაქმებულების ტრენინგები ძირითადად მრეწველობის სექტორში განხორციელებული პუი-ის საშუალებით ხდება ვიდრე სოფლის მეურნეობაში. კერძოდ, Alfaro აღნიშნავს, რომ პუი-ი სოფლის მეურნეობაში უარყოფით გავლენას ახდენს[18].

ამგვარად, არსებული ლიტერატურის თანახმად, პუი-ის გავლენა ეკონომიკურ ზრდასა და ეკონომიკის სექტორების ეფექტიანობაზე არ არის ერთმნიშვნელოვანი და დამოკიდებულია ქვეყნის სპეციფიურ მახასიათებლებზე. შესაბამისად ჩვენი კვლევის მიზანია შევისწავლოთ შემოდინებული პუი-ს გავლენა საქართველოს ეკონომიკის სექტორების ეფექტიანობაზე 1997-2018 წლებისათვის.

მეთოდოლოგია

ამ ნაწილში ჩვენ აღვწერთ კვლევის პროცესში გამოყენებულ მეთოდს, კერძოდ ეს ნაწილი მოიცავს თეორიულ მოდელის ანალიზსა და მის სპეციფიკაციას, შეფასების სტრატეგიას, მონაცემთა ბაზას და ცვლადების აღწერას.

თეორიული ჩარჩო და მოდელის სპეციფიკაცია

კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო იწყება ნეოკლასიკური ზრდის მოდელის ანალიზით. ნეოკლასიკური ზრდის მოდელში გათვალისწინებულია ძალზედ მნიშვნელოვანი მოსაზრება რომელიც ეხება ეკონომიკურ ზრდას. ამ მოდელით შეიძლება აღვწეროთ ზრდის პროცესი ორი ტოლობის გამოყენებით: საწარმოო და კაპიტალის აკუმულაციის ტოლობა. ნეოკლასიკური მოდელის საწარმო ფუნქცია განისაზღვრება შემოსავლების მიმდინარე ნაკადებით, როგორც არსებული კაპიტალის და შრომის მოცულობის ფუნქციით.

$$Y = AK^{a}L^{1-a} \qquad (1)$$

სადაც A წარმოადგენს მწარმოებლურობის პარამეტრს. $a < 1$. აქედან გამომდინარე, წარმოება წარმოდგენილია კაპიტალის კლებადი უკუგებით. კაპიტალის აკუმულაცია დამოკიდებულია ინვესტიციებსა და კაპიტალის ცვეთაზე.

$$K = sY - \delta K \qquad (2)$$

სადაც sY – არის ერთობლივი დანაზოგები და δK – არის ერთობლივი კაპიტალის ცვეთა. ერთობლივი დანაზოგები ტოლია ერთობლივი ინვესტიციების. ნეოკლასიკური ზრდის მოდელის მიხედვით, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, მწარმოებლურობა A ასევე უნდა გაიზარდოს დროთა განმავლობაში. სოლოუ განსაზღვრავს ამას ტექნოლოგიური პროგრესით,

[13] Rakotoarisoa, M.A. (2011) A Contribution to the Analysis of the Effects of Foreign Agricultural Investment on the Food Sector and Trade in Sub-Saharan Africa. Food and Agriculture Organization of the United Nations, Rome, Italy. http://www.fao.org/fileadmin/templates/est/PUBLICATIONS/Comm_Working_Pa pers/Working_paper_33.pdf

[14] Almfraji, M.A. and Almsafir, M.K. (2014) Foreign Direct Investment and Economic Growth Literature Review from 1994 to 2012. Procedia-Social and Behavioural Sciences, 129, 206-213. https://doi.org/10.1016/j.sbspro.2014.03.668

[15] Yiyong, C., Gunasekera, D. and Newth, D. (2015) Effects of Foreign Direct Investment in African Agriculture. China Agricultural Economic Review, 7, 167-184. https://doi.org/10.1108/CAER-08-2014-0080

[16] Wang, J.Y. and Blomström, M. (1992) Foreign Investment and Technology Trans fer: A Simple Model. European Economic Review, 36, 137-155. https://doi.org/10.1016/0014-2921(92)90021-N

[17] UNCTAD (2001) Trade and Investment Report. The United Nations, New York.

[18] Alfaro, L. (2003) Foreign Direct Investment and Growth: Does the Sector Matter? Working Paper, Harvard Business School, Harvard. http://www.grips.ac.jp/teacher/oono/hp/docu01/paper14.pdf

მაგრამ ეს კონცეფცია არ შეიძლება იყოს ახსნილი და რაციონალიზირებული მხოლოდ ნეოკლასიკური ზრდის მოდელით. არსებობს თეორიული მოდელის საჭიროება რომელშიც მწარმოებლურობის ზრდა არის ენდოგენური ზრდის პოლიტიკის ანალიზისათვის.

ენდოგენური ზრდის მოდელში დაძლეულია ეს საკითხები, რომელიც ვარაუდობს, რომ მწარმოებლურობის ზრდა არის ენდოგენური. საქართველოში დარგობრივ ჭრილში შემოდინებული პუი-ის ზრდაზე გავლენის შესწავლის მიზნით გამოვიყენებთ AK ტიპის საწარმოო ფუნქციას.

$$Y_t = A_t K_t^a \qquad (3)$$

სადაც Y, K და A არის ქვეყნის გამოშვება, კაპიტალი და მწარმოებლურობის პარამეტრები დროის განსაზღვრულ პერიოდში. პუი-ის და ვაჭრობის გახსნილობის გავლენის შესწავლა ეკონომიკის სექტორებზე. კვლევაში გამოყენებული მოდელი წარმოებულია ენდოგენური ზრდის მოდელიდან:

$$Yis_t = f\,(AFdi_i^{\beta_1} Gcf_t^{\beta_2} Top_t^{\beta_3} Cpi_t^{\beta_4}\, e_t^{\mu_t}) \qquad (4)$$

ყველა ცვლადის გალოგარითმებით, ჩვენ გარდავქმნით არაწრფივ ფუნქციას წრფივ ფუნქციად.

$$lnYis_t = lnA + \beta_1 lnFDI_t + \beta_2 lnGcf_t + \beta_3 lnTop_t + \beta_4 lnCpi_t + \mu_t \qquad (5)$$

სადაც, A – არის მწარმოებლურობის პარამეტრები, Yis – არის სოფლის მეურნეობის, მომსახურების, და ინდუსტრიის სექტორების დამატებული ღირებულების წილი მშპ-ში. FDI არის შემოდინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა t დროის განსაზღვრულ პერიოდში. Gcf – მთლიანი კაპიტალის ფორმირება t დროის განსაზღვრულ პერიოდში. Top – ვაჭრობის გახსნილობა t დროის განსაზღვრულ პერიოდში. Cpi – სამომხმარებლო ფასების ინდექსი ტ დროის განსაზღვრულ პერიოდში. e – შეცდომის წევრი. მე-5 ტოლობის მიხედვით ტექნოლოგია მიჩნეულია როგორც მუდმივი ცვლადი, ხოლო ემპირიული მოდელი ლოგარითმული წრფივი სპეციფიკაციით შემდეგნაირად არის ფორმულირებული:

$$lnYis_t = \beta_0 + \beta_1 lnFDI_t + \beta_2 lnGcf_t + \beta_3 lnTop_t + \beta_4 lnCpi_t + \mu_t \qquad (6)$$

სადაც, β_0 – არის გადაკვეთის პარამეტრი, ln – არის ნატურალური ლოგარითმი. მოდელში გამოყენებული ცვლადების კოეფიციენტები რომლის შემოწმებას ვაპირებთ არის $\beta_1 - \beta_4$.

მონაცემთა წყაროები და ცვლადების აღწერა

მოდელში გამოყენებული მონაცემები აღებულია მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზიდან საქართველოს ეკონომიკისათვის. მონაცემები მოიცავს 1997-2018 წლებს. მოდელში გამოყენებული ცვლადებია: მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მომსახურების დამატებული ღირებულების წილი მშპ-ში (LNAGR, LNSERV, LNIND – დამოკიდებული ცვლადი); მოდელში დამოუკიდებელი ცვლადის სახით გამოყენებულია პუი-ს წილი მშპ-ში (LNFDI) პროცენტებში მოკლევადიანი დინამიკისა და პუი-სა და ეკონომიკის სექტორებს შორის გრძელვადიანი მიმართების იდენტიფიცირებისათვის. ლიტერატურის ანალიზის მიხედვით პუი-სა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირი არის დადებითი. მეცნიერთა ერთმა ნაწილმა გამოავლინა მნიშვნელოვანი პოზიტიური კავშირი პუი-სა და ეკონომიკურ ზრდას შორის, მაშინ როდესაც მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ მათ შრის კავშირი სუსტია ან სტატისტიკურად ნაკლებად მნიშვნელოვანია[19][20]. პუი-ის გავლენა ეკონომიკის სექტორებზე და მთლიანად ეკონომიკაზე არ არის სწორხაზოვანი. მაგალითად, მოწინავე საწარმოო სიმძლავრეების გადაცემა, ახალი პროცესების დანერგვა და დასაქმებულთა გადამზადება, რომელიც პუი-თან ასოცირდება ძირითადად მიემართება სამრეწველო სექტორში ვიდრე სოფლის მეურნეობაში[21], ამ მიზეზის გამო პუი-ს აქვს მიდრეკილება

[19] Agrawal, G. (2015). Foreign Direct Investment and Economic Growth in BRICS Economies: A Panel Data Analysis. Journal of Economics, Business, and Management, 3(4), 421-424. https://doi.org/10.7763/JOEBM.2015.V3.221

[20] Bengoa, M ., M., & Sanchez-Robles, B. (2003). Foreign direct investment, economic freedom, and growth: New evidence from Latin America. European Journal of Political Economy, 19(3), 529-545. ttps://doi.org/10.1016/S0176-2680(03)00011-9

[21] UNCTAD. (2001). *Trade and Investment Report.* The United Nations,New Yorck.

უარყოფითი გავლენა მოახდინოს სოფლის მეურნეობის სექტორზე[22]. ასევე სხვადასხვა კვლევები გვიჩვენებს, რომ როგორც კი რეალური მშპ-ი იზრდება მცირდება სოფლის მეურნეობის ხარჯების წილი მთლიან ხარჯებში. აქედან გამომდინარე კვლევის ფარგლებში ჩატარდება პუი-ს კოეფიციენტების მნიშვნელობის ემპირიული ტესტირება ეკონომიკის სექტორებისათვის.

მოდელში ასევე გამოყენებულია შემდეგი დამოუკიდებელი ცვლადები: მთლიანი კაპიტალის ფორმირება (LNGCF) 2010 წლის ფასების დონით. კვლევაში ვარაუდობთ პოზიტიურ დამოკიდებულებას კაპიტალის აკუმულაციასა და ეკონომიკის სექტორებს შორის. ვაჭრობის გახსნილობა (LNTRADE) ფორმულირებულია როგორც ექსპორტისა და იმპორტის ჯამის თანაფარდობა მშპ-თან განსაზღვრული პერიოდისათვის. ვაჭრობის გახსნილობასა და მრეწველობის სექტორს შორის დამოკიდებულება პოზიტიურია ან ნეგატიური ქვეყნის სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით. მაგალითად, Sakyi-მა გამოავლინა გრძელვადიანი პოზიტიური დამოკიდებულება[23] მაშინ როდესაც Umer and Alam-მა აღმოაჩინა ნეგატიური გრძელვადიანი დამოკიდებულება ეკონომიკურ ზრდასა და ვაჭრობის გახსნილობას შორის[24].

სამომხმარებლო ფასების ინდექსი წარმოადგენს ეკონომიკის საშუალო ფასების დონის ზრდას დროთა განმავლობაში. კავშირი ინფლაციასა და ეკონომიკურ ზრდას შორის არის დებატების საგანი. ფიშერის თანახმად ინფლაცია არის ზრდის შემაფერხებელი ფაქტორი, რაც გამოწვეულია ინვესტიციების და შემოსავლების შემცირებით.[25] სხვა არგუმენტების თანახმად, ერთ ნიშნა ინფლაცია არის ხელსაყრელი ეკონომიკური ზრდისათვის, მაშინ როდესაც ორ ნიშნა ინფლაცია განაპირობებს ზრდის შენელებას. კვლევა ვარაუდობს პოზიტიურ დამოკიდებულებას კაპიტალის აკუმულაციასა და ეკონომიკის სექტორის ეფექტიანობას შორის საქართველოში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ემპირიული მტკიცებულება ინფლაციასა და ეკონომიკურ ზრდას შორის მიმართების შესახებ არ არის სწორხაზოვანი[26]. განსაკუთრებით კავშირი ამ ორ ცვლადს შორის ნაკლებად მკაფიო არის საშუალო და დაბალი ინფლაციის შემთხვევაში[27]. ასევე იმ ქვეყნებში, როდესაც ადგილი აქვს მოთხოვნის ინფლაციას, სასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდის გამო მწარმოებლები აბანდებენ კაპიტალს სოფლის მეურნეობის სექტორში, რაც ზრდის წარმოებას, რომელიც თავის მხრივ იწვევს სოფლის მეურნეობის წილის ზრდას მშპ-ში[28]. (De Sormeaux, 2011). სხვა კვლევებშიც ნაჩვენებია პოზიტიური და მნიშვნელოვანი კავშირი ინფლაციასა და სოფლის მეურნეობის ზრდას შორის. ამ არგუმენტების საპირისპიროდ, როდესაც ადგილი აქვს მიწოდების (დანახარჯების) ინფლაციას, ძირითადად ერთობლივი სოფლის მეურნეობის მიწოდების შემცირების გამო, რომელიც შეიძლება იყოს გამოწვეული ნედლეულზე ფასების ზრდით, სოფლის მეურნეობის წარმოების ხარჯები იზრდება რაც თავის მხრივ იწვევს სოფლის მეურნეობის წილის შემცირებას მშპ-ში[29].

ვაჭრობის გახსნილობასა და ეკონომიკის სექტორებს შორის კავშირი შეიძლება იყოს როგორც პოზიტიური ასევე ნეგატიური, რაც დამოკიდებულია მიმღები ქვეყნის სპეციფიურ მახასიათებლებზე. მაგალითად, Sakyi-მ აღმოაჩინა პოზიტიური დამოკიდებულება[30], მაშინ

[22] Alfaro, L. (2003). *Foreign Direct Investment and Growth: Does the Sector Matter?* . Harvard Business School

[23] Sakyi, D., Commodore, R., & Opoku, E. E. O. (2015). Foreign Direct Investment, Trade Openness and Economic Growth in Ghana: An Empirical Investigation. Journal of African Business, 16(1-2), 1-15. https://doi.org/10.1080/15228916.2015.1061283

[24] Umer, F., & Alam, S. (2013). Effect of Openness to Trade and FDI on Industrial Sector Growth: A Case Study for Pakistan. The Romanian Economic Journal, XVI(48), 179-198.

[25] Fischer, S. (1993). The role of Macroeconomic Factors in growth. Journal of Monetary Economics, 32, 485-512. https://doi.org/10.1016/0304-3932(93)90027-D.

[26] Bassanini, A. a. (2001). The Driving Forces of Economic Growth: Panel Data Evidence for the OECD Countries. *OECD Economic Studies,*, 33, 9-56. Retrieved from https://doi.org/10.1787/eco_studies-v2001-art10-en .

[27] Edey, M. (1994). Costs and Benefits from Moving from Low Inflation to Price Stability. *OECD Economic Studies, No. 23*, 109-130. Retrieved from https://www.oecd.org/eco/monetary/33929490.pdf

[28] De Sormeaux, A. a. (2011). *Factors Influencing Agriculture's Contribution to GDP: Latin America and the Caribbean.* . Trinidad: Department of Agricultural Economics and Extension, The University of the West Indies, St. Augustine Campus,

[29] De Sormeaux, A. a. (2011).

[30] Sakyi, D., Commodore, R., & Opoku, E. E. O. (2015). Foreign Direct Investment, Trade Openness and Economic Growth in Ghana: An Empirical Investigation. Journal of African Business, 16(1-2), 1-15. https://doi.org/10.1080/15228916.2015.1061283

როდესაც Umer da Alam-მ გამოავლინეს გრძელვადიანი უარყოფითი დამოკიდებულება ეკონომიკურ ზრდასა და ვაჭრობის გახსნილობას შორის.

კვლევის შედეგები და განხილვა
ARDL რეგრესიის ანალიზი

კვლევაში გამოყენებულია ჴესარან-ის მიერ შემუშავებული ARDL-ის მოდელი, რომლის შედეგები მოცემულია ცხრილი 2-ში. ჩვენ ვიყენებთ აკაიკეს ინფორმაციის კრიტერიუმებს ARDL რეგრესიის ანალიზისას მაქსიმალური ლაგით 4, როგორც დამოკიდებული ცვლადებისათვის ასევე დამოუკიდებელი ცვლადებისათვის. F-სტატისტიკის ალბათობა არის ძალზედ მნიშნელოვანი რაც მიუთითებს მოდელის მთლიან ეფექტიანობაზე. ის ფაქტი, რომ Durbin-Watson-ის მაჩვენებელი მაღალია R კვადრატის მნიშვნელობაზე გვიჩვენებს რომ მოდელი თავისუფალია საეჭვო რეგრესული შედეგების, სერიული კორელაციისა და ავტოკორელაციისაგან. ხოლო R კვადრატის მნიშვნელობა არის მისაღები რაც მიუთითებს მოდელის ვალიდურობაზე.

რეგრესიის შედეგები მოცემულია პირველი, მეორე და მესამე ცხრილში. პირველი ცხრილი გვიჩვენებს სოფლის მეურნეობაზე პუი-ის გავლენის შეფასებას. ცხრილიდან ჩანს რომ პუი-ი, მთლიანი კაპიტალის ფორმირება, ვაჭრობის გახსნილობა უარყოფით გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის სექტორზე, თუმცა ყველა ამ ცვლადების კოეფიციენტები არ არის მნიშნელოვანი. რაც შეეხება ინფლაციის დონეს ის დადებითად აისახება სოფლის მეურნეობის სექტორზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ ცვლადის კოეფიციენტი არ არის მნიშვნელოვანი.

ARDL რეგრესიის შედეგები სოფლის მეურნეობისათვის (დამოკიდებული ცვლადი: სოფლის მეურნეობის დამატებული ღირებულების წილი მშპ-ში)

ცხრილი 1

ცვლადები	კოეფიციენტი	სტანდარტული შეცდომა	t-Statistic	Prob.*
LNAGR(-1)	1.641758	0.319511	5.138345	0.1224
LNAGR(-2)	-0.329173	0.516664	-0.637112	0.6389
LNAGR(-3)	-1.851968	0.362163	-5.113630	0.1229
LNAGR(-4)	1.510076	0.473639	3.188245	0.1935
LNCPI	0.038987	0.035943	1.084693	0.4742
LNCPI(-1)	0.023597	0.042114	0.560316	0.6749
LNFDI	-0.266486	0.058788	-4.533015	0.1382
LNFDI(-1)	-0.203035	0.075468	-2.690349	0.2266
LNGCF	-0.174940	0.385132	-0.454234	0.7286
LNGCF(-1)	0.413879	0.216061	1.915563	0.3063
LNTRADE	-2.153257	0.586828	-3.669314	0.1694
LNTRADE(-1)	2.873511	0.838026	3.428904	0.1807
C	-3.021446	2.050324	-1.473643	0.3796
R-squared	0.999669	Mean dependent var		2.367658
Adjusted R-squared	0.995695	S.D. dependent var		0.429706
S.E. of regression	0.028194	Akaike info criterion		-5.081342
Sum squared resid	0.000795	Schwarz criterion		-4.487931
Log likelihood	48.56939	Hannan-Quinn criter.		-5.136273
F-statistic	251.5661	Durbin-Watson stat		2.434002
Prob(F-statistic)	0.049234			

მეორე ცხრილი გვიჩვენებს პუი-ის გავლენას მომსახურების სექტორზე. ცხრილიდან ჩანს, რომ პუი-ი დადებითად არის დაკავშირებული მომსახურების სექტორზე, და ამავე დროს არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. მთლიანი კაპიტალის ფორმირება უარყოფით გავლენას ახდენს მომსახურების სექტორზე, თუმცა ერთ წლიანი ლაგის გათვალისწინებით დადებით კავშირში იმყოფება მომსახურების სექტორის ზრდასთან, მაგრამ ამ შემთხვევაშიც სტატისტიკურად არ არის მნიშნელოვანი.

მომსახურების სექტორის ARDL რეგრესიის შედეგები
(დამოკიდებული ცვლადი: მომსახურების დამატებული ღირებულების წილი მშპ-ში)

ცხრილი 2

ცვლადები	კოეფიციენტი	სტანდარტული შეცდომა	t-Statistic	Prob.*
LNSERV(-1)	0.784101	0.061375	12.77567	0.0497*
LNSERV(-2)	-0.740400	0.135664	-5.457605	0.1154
LNSERV(-3)	-0.291205	0.112594	-2.586318	0.2349
LNSERV(-4)	0.238898	0.037678	6.340450	0.0996
LNCPI	-0.023178	0.001829	-12.66919	0.0501*
LNCPI(-1)	-0.008113	0.002732	-2.969612	0.2068
LNFDI	0.005379	0.003037	1.771354	0.3272
LNFDI(-1)	-0.044302	0.004451	-9.954153	0.0637*
LNGCF	-0.514184	0.045150	-11.38830	0.0558*
LNGCF(-1)	0.034211	0.034978	0.978092	0.5071
LNTRADE	-0.046189	0.021202	-2.178495	0.2740
LNTRADE(-1)	0.455324	0.025253	18.03063	0.0353*
C	4.014529	0.193124	20.78728	0.0306
R-squared	0.999905	Mean dependent var		4.022785
Adjusted R-squared	0.998764	S.D. dependent var		0.061175
S.E. of regression	0.002151	Akaike info criterion		-10.22806
Sum squared resid	4.63E-06	Schwarz criterion		-9.634646
Log likelihood	84.59639	Hannan-Quinn criter.		-10.28299
F-statistic	876.4843	Durbin-Watson stat		2.874534
Prob(F-statistic)	0.026390			

მესამე ცხრილი გვიჩვენებს პუი-ის გავლენას ინდუსტრიაზე. როგორც ცხრილიდან ჩანს პუი-ი დადებით გავლენას ახდენს ინდუსტრიაზე. თუმცა, ეს გავლენა არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. ინფლაციის გავლენა ინდუსტრიაზე დადებითია და სტატისტიკურად მნიშნელოვანი. მთლიანი კაპიტალის ფორმირება ასევე დადებით გავლენას ახდენს ინდუსტრიაზე და მისი გავლენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. ასევე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი და დადებითია ვაჭრობის გახსნილობის გავლენა ინდუსტრიის სექტორზე.

ინდუსტრიის ARDL რეგრესიის შედეგები
(დამოკიდებული ცვლადი: ინდუსტრიის დამატებული ღირებულების წილი მშპ-ში)

ცხრილი 3

ცვლადები	კოეფიციენტი	სტანდარტული შეცდომა	t-Statistic	Prob.*
LNIND(-1)	0.489913	0.170759	2.869029	0.0455
LNIND(-2)	-0.391094	0.251959	-1.552210	0.1956
LNIND(-3)	-0.626373	0.196681	-3.184716	0.0334
LNCPI	0.038231	0.016062	2.380171	0.0760**
LNCPI(-1)	0.041319	0.027703	1.491525	0.2101
LNFDI	0.038384	0.019134	2.006063	0.1153
LNGCF	0.526821	0.131004	4.021425	0.0158**
LNGCF(-1)	0.225330	0.108406	2.078568	0.1062
LNTRADE	0.470145	0.131342	3.579550	0.0232**
LNTRADE(-1)	-0.684854	0.125583	-5.453377	0.0055*
C	2.841560	0.481660	5.899520	0.0041
R-squared	0.979343	Mean dependent var		3.081056
Adjusted R-squared	0.927699	S.D. dependent var		0.067922
S.E. of regression	0.018264	Akaike info criterion		-5.022907
Sum squared resid	0.001334	Schwarz criterion		-4.503670
Log likelihood	48.67180	Hannan-Quinn criter.		-5.028438
F-statistic	18.96349	Durbin-Watson stat		2.858284
Prob(F-statistic)	0.006056			

დასკვნა

ამგვარად კვლევა გვიჩვენებს პუი-ის გავლენას საქართველოს ეკონომიკის ცალკეულ სექტორებზე 1997-2018 წლებში. ამ პერიოდის განმავლობაში დაახლოებით 20 მლრდ-ის მოცულობის პუი-ი შემოვიდა საქართველოში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სექტორული გადანაწილება 2007-2018 წლებში ასეთი იყო: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – $3.8 მილიარდი (23%); ენერგეტიკა – $2,1 მილიარდი (13%); დამამუშავებელი მრეწველობა – $1,9 მილიარდი (12%).

ნაშრომში განხილულია ეკონომეტრიკული მოდელი, რომლის საშუალებით ჩატარდა ემპირიული კვლევა. კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა პუი-ის გავლენა საქართველოს ეკონომიკის ცალკეულ სექტორებზე. კვლევის შედეგად გამოვლინდა, პუი-ი, მთლიანი კაპიტალის ფორმირება, ვაჭრობის გახსნილობა უარყოფით გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის სექტორზე, თუმცა, ყველა ამ ცვლადების კოეფიციენტები არ არის მნიშნელოვანი. ამგვარად, სოფლის მეურნეობის სექტორის, რომელშიც დასაქმებულია სამუშაო ძალის დიდი ნაწილი, წილი მშპ-ის ფორმირებაში სულ რაღაც 7 პროცენტია. რაც გულისხმობს იმას, რომ სოფლის მეურნეობის სექტორი არ არის ეფექტიანი. ასევე სოფლის მეურნეობის სექტორში დაბანდებული პუი-ის წილი 1 პროცენტია. რაც შეეხება ინფლაციის დონეს ის დადებითად აისახება სოფლის მეურნეობის სექტორზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ ცვლადის კოეფიციენტი არ არის მნიშვნელოვანი.

კვლევა ასევე გვიჩვენებს, რომ პუი-ი დადებითად არის დაკავშირებული მომსახურების და ინდუსტრიის სექტორზე, თუმცა სტატიკურად მნიშვნელოვანი არ არის. მთლიანი კაპიტალის ფორმირება უარყოფით გავლენას ახდენს მომსახურების სექტორზე, თუმცა ერთ წლიანი ლაგის გათვალისწინებით დადებით კავშირში იმყოფება მომსახურების სექტორის ზრდასთან, მაგრამ ამ შემთხვევაშიც სტატისტიკურად არ არის მნიშნელოვანი. ინფლაციის გავლენა ინდუსტრიაზე დადებითია და სტატისტიკურად მნიშნელოვანი. მთლიანი კაპიტალის ფორმირება ასევე დადებით გავლენას ახდენს ინდუსტრიაზე და მისი გავლენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. ასევე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი და დადებითია ვაჭრობის გახსნილობის გავლენა ინდუსტრიის სექტორზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

სიხარულიძე, დ. ჭარაია, ვ. (2018). უცხოური პირდაპირი ინვესტიციები: თეორია და საქართველოს გამოცდილება. გამომცემლობა უნივერსალი. 202 გვ.

Agrawal, G. (2015). Foreign Direct Investment and Economic Growth in BRICS Economies: A Panel Data Analysis. Journal of Economics, Business, and Management, 3(4), 421-424. https://doi.org/10.7763/JOEBM.2015.V3.221

Aitken, B. J., & Harrison, E. (1999). Do Domestic Firms Benefit from Direct Foreign Investment? Evidence from Venezuela. The American Economic Review, 89, 605-618. https://doi.org/10.1257/aer.89.3.605

Alfaro, L. (2003) Foreign Direct Investment and Growth: Does the Sector Matter? Working Paper, Harvard Business School, Harvard. http://www.grips.ac.jp/teacher/oono/hp/docu01/paper14.pdf

Almfraji, M.A. and Almsafir, M.K. (2014) Foreign Direct Investment and Economic Growth Literature Review from 1994 to 2012. Procedia-Social and Behavioural Sciences, 129, 206-213. https://doi.org/10.1016/j.sbspro.2014.03.668

Bassanini, A. a. (2001). The Driving Forces of Economic Growth: Panel Data Evidence for the OECD Countries. *OECD Economic Studies,*, 33, 9-56. Retrieved from https://doi.org/10.1787/eco_studies-v2001-art10-en .

Bengoa, M ., M., & Sanchez-Robles, B. (2003). Foreign direct investment, economic freedom, and growth: New evidence from Latin America. European Journal of Political Economy, 19(3), 529-545. ttps://doi.org/10.1016/S0176-2680(03)00011-9

Blomström, M., & Kokko, A. (2003). The Economics of Foreign Direct Investment Incentives (NBER Working paper series No. 9489). Cambridge. Retrieved from http://www.nber.org/papers/w9489%0A

Borensztein, E., De Gregorio, J., & Lee, J.-W. (1998). How does foreign direct investment affect economic growth? Journal of International Economics, 45(1), 115-135. https://doi.org/10.1016/S0022-1996(97)00033-0

Chakraborty, C., & Nunnenkamp, P. (2008). Economic Reforms, FDI, and Economic Growth in India: A Sector Level Analysis. World Development, 36(7), 1192-1212. https://doi.org/10.1016/j.worlddev.2007.06.014

De Sormeaux, A. a. (2011). *Factors Influencing Agriculture's Contribution to GDP: Latin America and the Caribbean.* Trinidad: Department of Agricultural Economics and Extension, The University of the West Indies, St. Augustine Campus, Dunning, J. H., & Lundan, S. M. (2008). Multinational Enterprises and the Global Economy (2nd Editio). Edward Elgar Publishing Limited.

Edey, M. (1994). Costs and Benefits from Moving from Low Inflation to Price Stability. *OECD Economic Studies, No. 23*, 109-130. Retrieved from https://www.oecd.org/eco/monetary/33929490.pdf

Findlay, R. (1978). Relative Backwardness, Direct Foreign Investment, and the Transfer of Technology: A Simple Dynamic Model. The Quarterly Journal of Economics, 92(1), 1-16. https://doi.org/10.2307/1885996

Fischer, S. (1993). The role of Macroeconomic Factors in growth. Journal of Monetary Economics, 32, 485-512. https://doi.org/10.1016/0304-3932(93)90027-D.

Masron, T. A., & Hassan, M. K. (2016). US Foreign Direct Investment (FDI) and Manufacturing Sector in Malaysia. Asian Academy of Management Journal, 21(1), 89-110.

Rakotoarisoa, M.A. (2011) A Contribution to the Analysis of the Effects of Foreign Agricultural Investment on the Food Sector and Trade in Sub-Saharan Africa. Food and Agriculture Organization of the United Nations, Rome, Italy.

Sakyi, D., Commodore, R., & Opoku, E. E. O. (2015). Foreign Direct Investment, Trade Openness and Economic Growth in Ghana: An Empirical Investigation. Journal of African Business, 16(1-2), 1-15. https://doi.org/10.1080/15228916.2015.1061283

Solow, R. M. (1957). Technical Change and the Aggregate Production Function. The Review of Economics and Statistics, 39(3), 312-320. https://doi.org/10.2307/1926047

Umer, F., & Alam, S. (2013). Effect of Openness to Trade and FDI on Industrial Sector Growth: A Case Study for Pakistan. The Romanian Economic Journal, XVI(48), 179-198.

UNCTAD (2001) Trade and Investment Report. The United Nations, New York

Wang, J.Y. and Blomström, M. (1992) Foreign Investment and Technology Trans fer: A Simple Model. European Economic Review, 36, 137-155. https://doi.org/10.1016/0014-2921(92)90021-N

Yiyong, C., Gunasekera, D. and Newth, D. (2015) Effects of Foreign Direct Investment in African Agriculture. China Agricultural Economic Review, 7, 167-184. https://doi.org/10.1108/CAER-08-2014-0080

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს ეკონომიკის სექტორებზე

დავით სიხარულიძე

ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ვასილ კიკუტაძე

ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

ნაშრომში გაანალიზებულია პუი-ის გავლენა საქართველოს ეკონომიკის ცალკეულ სექტორებზე. კვლევაში გამოყენებულია ARDL ეკონომეტრიკული მოდელი, რომელიც მიზნად ისახავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) მოცულობის ეკონომიკის სექტორებზე გრძელვადიანი გავლენის შესწავლას. ეკონომიკური სექტორების ზრდის მაჩვენებლად აღებულია შემდეგი განზომილება: სოფლის მეურნეობის, მომსახურების და ინდუსტრიის დამატებული ღირებულების წილი მშპ-ში. კვლევაში ასევე გამოყენებულია შემდეგი ცვლადები: ვაჭრობის გახსნილობა, ინფლაციის დონე, მთლიანი კაპიტალის ფორმირება. ემპირიული ტესტირება ჩატარდა 2007-2018 წლებისათვის. კვლევა გვიჩვენებს, რომ პუი-ის უარყოფით გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობაზე, თუმცა ეს გავლენა სტატისტიკურად არ არის მნიშნელოვანი. ხოლო პუი-ის გავლენა მომსახურების სექტორსა და ინდუსტრიაზე დადებითია.

საკვანძო სიტყვები: *პირდაპირი უცხოურ ინვესტიციები, ეკონომიკური ზრდა, ვაჭრობის გახსნილობა, მთლიანი კაპიტალის ფორმირება, ინფლაცია*

Impact of Foreign Direct Investment on Sectoral Growth of Georgian Economy

David Sikharulidze

Associate Professor, Doctor of Economics
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Vasil Kikutadze

Associate Professor, Doctor of Economics
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The process of globalization offers developing countries opportunities for rapid economic growth through access to international trade and capital. Consequently, along with this process, the importance of foreign direct investment has increased. FDI enables foreign investors to use their assets more efficiently, while offering the recipient countries the opportunity to incorporate better technology, international manufacturing and trade.

Foreign direct investments affect the international economic situation of the country, which is evident in its export potential, affecting trade and payment balance. The problem of attracting foreign investments increases the current situation in the Georgian economy: significant external debt, high unemployment, low standard of living, low level of investment activity, virtually no funds to operate production. Attracting and rational use of foreign investment is one of the major problems of economic reform in Georgia. The optimal solution to this problem depends on real transformation of the economy and organic involvement of the Georgian economy in the world economy. In the last

decade, developing countries have massively liberalized investment regimes to attract more foreign direct investment, as attracting investment is seen as a contributing factor to economic development, modernization, income growth and employment.

FDI has been shown to play an important role in promoting economic growth, raising a country's technological level, creating new employment opportunities and offering a source of external capital in developing countries. Apart from that, there is a learning advantage, whereby FDI provides a room for local governments, local businesses and citizens to learn new business practices, management techniques and concepts that help them develop local businesses and industries. In fact, FDI works as a means of integrating developing countries into the global market place and increasing the capital available for investment, thus, leading to increased economic growth needed to reduce poverty and raise living standards. This paper aims at assessing the impact and relationship of FDI and Growth at the sectoral level or the period 1997-2018. We use the Auto Regressive Distributed Lag (ARDL) model to identify the long-run relationship of the selected variables. The following dimension taken as an indicator of growth of economic sectors: agriculture, services and industry value added (percent of GDP). The study also uses the following variables: trade openness, inflation, gross capital formation. Empirical testing was conducted for 2007-2018. Research shows that FDI has a negative impact on agriculture, although this effect is not statistically significant. And FDI impact on the service sector and industry is positive but not statistically significant.

Keywords: *Foreign direct investments, Economic growth, Trade openness, Gross capital formation, Inflation*

ზრდის სტრატეგიის განხორციელების სირთულეები

გელა გრიგოლაშვილი
ასოცირებული პროფესორი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

მრავალი კომპანიის მთავარი საქმე ზრდის გზებისა და საშუალებების გამონახვაა. სწრაფი ზრდის მიღწევის ნაცად ხერხს დარგობრივი შეზღუდვებისგან გათავისუფლება წარმოადგენს, რომელიც სხვა სიკეთეებთან ერთად სამამულო კომპანიებს ქმედით შედარებით უპირატესობას სძენს და მყარად კონკურენტუნარიან ორგანიზაციად გადაქცევის შანსს აძლევს. დარგობრივი შეზღუდვები მომხმარებლის გადასახედიდან იძულებით კომპრომისად წარმოაჩენს თავს, ახშობს რა კანონიერ ალტერნატივას და ამცირებს სამომხმარებლო არჩევანის შესაძლებლობას.

შეზღუდვებისაგან გათავისუფლება, რომელსაც უმეტეს შემთხვევებში დერეგულაციის ფორმა აქვს, ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს ქმნის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დარგის წამყვანი კომპანიები ამისთვის მზად არიან. მათი მზაობის უტყუარ მაჩვენებელს მწარმოებლურობის მაღალი დონე წარმოადგენს. მაღალი მწარმოებლურობის მიღწევა მხოლოდ კარგად გამართული ოპერაციული სისტემების პირობებშია შესაძლებელი. გამართული ოპერაციული სისტემების შექმნას ათწლეულებს ანდომებენ კომპანიები. ამ დროის განმავლობაში გროვდება როგორც ინდივიდუალური, ასევე ორგანიზაციული გამოცდილება. განსაკუთრებით აღსანიშნავი გამოცდილების ორგანიზაციული დაგროვებაა, რომელიც არის როგორც ორგანიზაციული პრაქტიკული საქმიანობის სრულყოფის ასევე მართვაში, ტექნოლოგიებსა და ინჟინერინგში საჭირო ცვლილებების შედეგი.

ზრდის სტრატეგიების წარმატებით განხორციელება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისეთი კომპანიებისთვის არის, რომლებსაც დიდ ორგანიზაციებად გარდაქმნის პოტენციალი აქვთ. დიდი კომპანიები ყოველთვის ფლობენ უპირატესობას მცირე კომპანიებთან შედარებით ორი მხრივ. ჯერ ერთი, მათ შეუძლიათ ისარგებლონ მოცულობისმიერი ეკონომიის ხეირით და მეორე, ასევე შეუძლიათ შეამცირონ ხარჯები პროდუქციის დიდი რაოდენობით გამოშვების პრაქტიკით გამოცდილების დაგროვების მეშვეობით. კომპანიები კონკურენტულ ბრძოლაში ხშირად იყენებენ ორივე უპირატესობას ჩამოყალიბებული სტრატეგიის ფარგლებში. ზრდის კვალობაზე აგებენ ახალ საწარმოებს წარმოების მოცულობით განპირობებული მნიშვნელოვანი ეკონომიკური ხეირის მიღების განზრახვით და ცდილობენ ხარჯების მაქსიმალურ შემცირებას ფასწარმოქმნის კუთხით აგრესიული საბაზრო სტრატეგიის განხორციელებისათვის და პროდუქციის გასაღების მოცულობის გაზრდისათვის. შემდეგ ამას ემატება გამორჩეულობის სტრატეგიის დამუშავება და ამ ორი სტრატეგიის შერწყმული ვარიანტის გამოყენება საბაზრო ძალაუფლების განუსაზღვრელი ზრდის მიმართულებით.

შერწყმული სტრატეგია რომ წარმატებით დანერგოს და განახორციელოს ფირმამ, ის სტრატეგიულად საკმაოდ მოქნილი უნდა იყოს. ისეთი ორგანიზაციული სამუშაოსადმი, რომლითაც შესაძლებელია სტრატეგიული მოქნილობის გაზრდა და რომელიც შერწყმული სტრატეგიების დანერგვასთანაა დაკავშირებული, სამი მიდგომა არსებობს. მათგან ერთ-ერთია მოქნილი საწარმოო სისტემები. ამ სისტემის გამოყენების ფართო შესაძლებლობანი თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების პოტენციალის შედეგია. მოქნილი საწარმოო სისტემა ზრდის ადამიანური, ფიზიკური და ინფორმაციული რესურსების მოქნილობას, რომელიც შერწყმულია გამორჩეული პროდუქტის დაბალი დანახარჯებით შექმნის პროცესთან.

მოქნილი საწარმოო სისტემა[1] არის კომპიუტერულად კონტროლირებადი პროცესი მრავალფეროვანი პროდუქტების საჭირო მოქნილი რაოდენობით და მინიმალური ხელით შრომის გამოყენებით საწარმოებლად. ამ სისტემის მიზანია, გამორიცხოს ტრადიციული საწარმოო ტექნოლოგიებისათვის დამახასიათებელი დაბალი ხარჯებისა და მრავალფეროვანი პროდუქციის დაბალ ფასად გასაღებას შორის წინააღმდეგობა. მოქნილი საწარმოო სისტემით განხორციელებული მოქნილობა საწარმოს ერთი პროდუქტის მეორეთი მარჯვედ ჩანაცვლების შესაძლებლობას აძლევს. ამ სისტემის სათანადოდ გამოყენების შემთხვევაში იგი კომპანიას მომხმარებელთა საჭიროებების ცვლილებებისადმი უფრო მოქნილი პასუხების მომზადებაში ეხმარება დაბალი ხარჯების და პროდუქტის მყარი ხარისხის შენარჩუნების გათვალისწინებით. რადგან FMS დიდად ამცირებს ეფექტიანად პროდუქტის წარმოებისათვის საჭირო პარტიის მოცულობას, ვიწრო კონკურენტულ არეში ფირმის მომხმარებლების უნიკალური საჭიროებების მომსახურების უნარი იზრდება. ამგვარად, მოქნილი საწარმოო სისტემის ტექნოლოგია არის მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური პროგრესი, რომელიც საშუალებას აძლევს ფირმებს პროდუქტების დიდი მრავალფეროვნება აწარმოოს დაბალ ფასად. მაგალითად, კომპანია ლევი სტრაუსმა ეს სისტემა გამოიყენა, რათა ქალის ჯინსი ზუსტად ყოფილიყო მომხმარებლის შეფასებებს მორგებული. ფიჭური ტელეფონების მწარმოებელი კომპანიები წარმატებით იყენებენ FMS-ს, მომხმარებლის გამრავალფეროვნებულ მოთხოვნილებებს რომ მოარგონ თავიანთი პროდუქციის მახასიათებლები, პროგრამული უზრუნველყოფა, ფერი, ზომა და ფორმა.

FMS ქმედითად გამოყენება დაკავშირებულია ფირმის უნართან, კარგად გაიგოს ამ სისტემის ფარგლები, მისი შეზღუდულობები და შექმნას მანქანების, კომპიუტერების და სამუშაო ძალის წარმატებული ნაზავი. ამ მხრივ წარმატების შემთხვევაში საწარმოო ტექნოლოგიის ეს ტიპი აიოლებს ისეთი რთული კონკურენტული სტრატეგიების ათვისებას, როგორიცაა დაბალი ხარჯებისა და გამორჩეულობის შერწყმული სტრატეგია, რომელსაც კომპანია გლობალურ ბაზარზე სტრატეგიული კონკურენტუნარიანობის მოპოვებისაკენ მიყავს.შერწყმული სტრატეგია რომ წარმატებით დანერგოს და განახორციელოს ფირმამ, ის სტრატეგიულად საკმაოდ მოქნილი უნდა იყოს. ისეთი ორგანიზაციული სამუშაოსადმი, რომლითაც შესაძლებელია სტრატეგიული მოქნილობის გაზრდა და რომელიც შერწყმული სტრატეგიების დანერგვასთანაა დაკავშირებული, სამი მიდგომა არსებობს. ფირმებშორისი საინფორმაციო ქსელი, საყოველთაო ხარისხის მართვის სისტემა და მოქნილი საწარმოო სისტემები. FMS სისტემის გამოყენების უფრო ფართო შესაძლებლობა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების პოტენციალის შედეგია. მოქნილი საწარმოო სისტემა ზრდის ადამიანური, ფიზიკური და ინფორმაციული რესურსების მოქნილობას, რომელიც შეხამებულია გამორჩეული პროდუქტის დაბალი დანახარჯებით შექმნის პროცესთან.

ასეთი რთული ქვესისტემებით დატვირთული ორგანიზაციის მართვას ღრმად განსწავლული მენეჯმენტი და მუშაკები სჭირდება, რადგან სწორედ ისინი ქმნიან ძირეულ კომპეტენციებს, – თანამედროვე გლობალურად დიდად წარმატებული მრავალი კომპანიის მყარი კონკურენტული უპირატესობის მთავარ საყრდენს. ბევრმა კომპანიამ თვითონ ჩამოაყალიბა საკუთარი უნივერსიტეტი განსაკუთრებულ სამუშაო ძალაზე თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და ამით მშობლიურ ქვეყანაში ბიძგი მისცა სწავლების სტანდარტების თვისებრივი გაუმჯობესების საქმეს. ასეთი კომპანიები სხვებისაგან იმით გამოირჩევიან, რომ ისინი მსწავლელ ორგანიზაციებს წარმოადგენენ; დღენიადაგ სწავლობენ გარემოს (შესაძლებლობებისა და საფრთხეების გამოვლენის მიზნით), საკუთარ თავს (ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის და ძირეული კომპეტენციების დადგენის მიზნით) და სხვა უამრავ საგანსა და მოვლენას, რათა განვითარებას არ ჩამორჩნენ და თავიანთ კონკურენტებზე ყოველთვის წინ იყვნენ.

ნებისმიერ სახელმწიფოს სურს, მის ტერიტორიაზე გლობალური გაქანების წარმატებული კომპანიები ფუნქციონირებდნენ. ისინი უპირველეს ყოვლისა მაღალი მწარმოებლურობით გამოირჩევიან. წარსული გამოცდილებით მიღებული მემკვიდრეობა მაღალ მწარმოებლურო-

[1] **FMS –** Flexible Manufacturing System

ბასთან ერთად საზოგადოებაში კეთილდღეობის დონის ზრდას განაპირობებს, ხოლო სამივეს წარმატებული კომბინაცია ქმნის ერის კონკურენტუნარიანობის დონეს. ამ მოსაზრების ჭეშმარიტება დაადასტურა 2009-2010 წლების მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კვლევითმა ჯგუფმა მაიკლ პორტერის ხელმძღვანელობით. [1,11-16]

საფუძველი, რომელზეც ერის კონკურენტუნარიანობის გამაძლიერებელი მწარმოებლურობა უნდა ჩამოყალიბდეს, მარტივი და სწორხაზოვანი არ არის. ის მოიცავს ეკონომიკური და საზოგადოებრივი ყოფიერების ყველა დონეზე გამორჩეულობის მოპოვების ამოცანას. ხსენებულ კომპანიებს ჩვენი ცივილიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე აღარ აკმაყოფილებთ ის, რომ მსწავლელ ორგანიზაციებს წარმოადგენენ; მათ სჭირდებათ, რომ ის გარემო, სადაც მათი სათავო ოფისი მდებარეობს, თავად წარმოადგენდეს მსწავლელ საზოგადოებას, რადგან მხოლოდ ამგვარ პირობებშია შესაძლებელი, მწარმოებლურობის მაღალი დონის მიღწევა, შენარჩუნება და განვითარება.

დიდი ხანია, ცნობილია, რომ ცხოვრების განვითარებული სტანდარტები განვითარებული ტექნოლოგიების შედეგია და არა კაპიტალის კონცენტრაციისა. დაბალგანვითარებული ქვეყნების მთავარი პრობლემა არის არა რესურსების დეფიციტი, არამედ ცოდნის ნაკლებობა. სასურველი ტემპები, რომლითაც ამგვარმა ქვეყნებმა შესაძლოა განიცადონ ზრდა, უმეტესად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დაძლევენ ისინი სწორედ საჭირო ცოდნის დეფიციტის შევსების ამოცანას.

ამგვარად, იმის გასაგებად, ზრდის რა პოტენციალს ფლობს ერი, გადამწყვეტია, გაარკვიო, როგორ და რას სწავლობს მაღალი მწარმოებლურობის მისაღწევად და როგორ ირჯება მთავრობა განათლების მიმართულებით. თანამედროვეობის ნიშანი არ არის მხოლოდ კარგად განათლებული საზოგადოების შექმნა, არამედ მსწავლელი საზოგადოების ჩამოყალიბებაა. თავისუფალი ბაზრის ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის სირთულეს წარმოადგენს ის, რომ ბაზარს დამოუკიდებლად არ შეუძლია ცოდნის წარმოება და გადაცემა. თუმცა განათლების დეფიციტის დაძლევა და ცხოვრებას ჩამორჩენილი ადამიანების დახმარება საჭირო განათლების შეძენისთვის ზრდისა და განვითარების მთავარ საკითხს წარმოადგენს. მსწავლელი საზოგადოების შექმნა ობიექტურად არსებითი საქმეა იმგვარად განვითარებული ცხოვრების სტანდარტების მისაღწევად, რომლის გარეშე გამძლე და ამტანი მსწავლელი საზოგადოების ყოფიერება შეუძლებელია და თანამედროვე კონკურენტუნარიანი ორგანიზაციებისა და საზოგადოების გრძელვადიანი არსებობა – წარმოუდგენელი.

ცხადია, რომ აქ საუბარი ენდოგენურ ზრდას ეხება. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ამგვარი ზრდა მხოლოდ სათანადოდ აწყობილ სახელმწიფოშია შესაძლებელი, სადაც პოლიტიკის მკეთებლებს კარგად ესმით, მათმა გადაწყვეტილებებმა ხელი როგორ შეიძლება შეუწყოს ან, პირიქით, შეუშალოს განათლების სისტემის განვითარებას ქვეყანაში. ნეოლიბერალურ დოქტრინებს, რომლებიც სტატიკური რესურსების გამოყენებას ეყრდნობიან, არ შეუძლიათ ჯეროვანი წვლილის შეტანა ამგვარი საზოგადოების წარმოქმნის და განვითარების საქმეში, პირიქით მათ ამ მხრივ საშური პროცესების დაბრკოლების პოტენციალი მოეპოვებათ.

რაც შეეხება თავად განათლების სისტემის მიზნებს, ეს ცალკე მსჯელობის საგანია. განათლების სისტემა საერთოდ უნდა უზრუნველყოფდეს ისეთ გარემოს, სადაც ნებისმიერი შეძლებს აიღოს იმდენი და იმგვარი ცოდნა, რამდენიც და როგორიც მის ნიჭს, უნარებს და სურვილებს შეესატყვისება. აქ ტოტალური მართვის ჩვენთვის ცნობილი რეციდივები, კერძოდ, საზოგადოების რომელიმე ჯგუფს ჰქონდეს რაიმეგვარი შესაძლებლობა, თავისი უბადრუკი შეხედულებების მიხედვით აკონტროლოს, ვინ რა და როგორი წარმატებით ისწავლოს, სრულიად შემწყნარებელი და დრომოჭმულია. დიდი ხანია, რაც სწავლა პრივილეგია აღარ არის, ის აუცილებლობაა. ამიტომ განათლების მხრივ ხელოვნურად პრივილეგირებული ჯგუფების შექმნა მათი სამომავლო ელიტად წარმოჩენის განზრახვით, რაც ნამდვილად ნიჭიერი და გამორჩეული ადამიანების დათრგუნვას მოითხოვს მათი განვითარების ადრეულ ეტაპზევე, გადმონაშთია და თანამედროვე საზოგადოებრივ მიზნებს და განწყობებს სრულიად არ შეესაბამება.

განათლების სისტემას უამრავი მიზნის მიღწევა ევალება. მისი სხვადასხვა ქვესისტემის მიზნები ერთმანეთისაგან განსხვავდება და იმავდროულად ერთმანეთს ავსებს. სკოლამდელი განათლების სისტემის მიზანს ბალღებისთვის სწავლის პირველი უნარ-ჩვევების განვითარება წარმოადგენს, დაწყებითმა განათლებამ სისტემატური სწავლის საწყისი უნარ-ჩვევები უნდა გამოუმუშაოს აღსაზრდელებს, შემდეგმა საფეხურმა არართული პროფესიების დასაუფლებლად უნდა მოამზადოს ჭაბუკები, საჯარო სკოლების სრულად კურსდამთავრებულები ანალიზის საწყის უნარ-ჩვევებს უნდა ფლობდნენ. უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის დონე ანალიტიკური აზროვნების შეძენას და სისტემური აზროვნების საწყისი უნარ-ჩვევების მოპოვების შესაძლებლობას უნდა უზრუნველყოფდეს, მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე ყმაწვილს სისტემური აზროვნების უნარი მოეთხოვება, ხოლო დოქტორის აკადემიური ხარისხი ინტეგრირებული აზროვნების უნარს უნდა იძლეოდეს. მხოლოდ ინტეგრირებული აზროვნების მქონე პიროვნებებს საჭირო უნარ-ჩვევების შეძენის შემდეგ შეიძლება ანდო თანამედროვე მრავალგანზომილებიან გარემოში ბიზნესით დაკავებული სოლიდური კომპანიისთვის სტრატეგიული ხასიათის საკითხების გადაჭრა, რადგან ამგვარი ინტელექტუალური რესურსი შეუდარებლად უფრო საიმედოა რთული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, განსაკუთრებით როცა საქმე ზრდის სტრატეგიებს ეხება და სახელმწიფოს და წამყვან კომპანიებს როცა გრძელვადიანი ზრდის მოპოვების განაზრახი ამოძრავებთ. ცხადია, აქ საუბარი გაწონასწორებული საზოგადოების შესახებ შეიძლება იყოს, სადაც სხვადასხვა ფენები ფართო სოციალური კონსესუსით სარგებლობენ.

აქვე უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი საკითხი. ინტეგრირებული აზროვნების მქონე პიროვნებები შრომის ბაზრის მხოლოდ მცირე წილს იჭერენ, ანუ ეს რესურსი დიდად შეზღუდულია და ასევე დიდად საჭირო გრძელვადიანი ზრდის უზრუნველსაყოფად. მასზე მოთხოვნა განვითარებულ საზოგადოებაში მაღალია. დადასტურებული ფაქტია, რომ ის კომპანიები ახერხებენ წარმატებით მის მოზიდვას, რომლებიც ბიზნესის კეთების მაღალი ეთიკური სტანდარტების მიმდევრები არიან და შესაბამისად საარსებო გარემოს მიმართ ფრთხილი დამოკიდებულებით გამოირჩევიან. ეს მათ კარგ სახელს უქმნის და მათთვის მუშაობას სასურველს და პრესტიჟულს ხდის, რომ არაფერი ვთქვათ შრომისათვის მეტად მიმზიდველ შიდა ვითარებაზე.

აშკარაა, რომ ეს არ არის მხოლოდ მენეჯმენტის ან ეკონომიკის საკითხი. ის მჭიდროდ უკავშირდება კულტურის თემასაც. მსწავლელ ორგანიზაციაში დასაქმებული ადამიანები, რომლებსაც ქმედითი ორგანიზაციული კულტურა აქვთ გათავისებული და უწყვეტი განათლების სისტემის აქტიური მონაწილენი არიან, ამდიდრებენ ეროვნული კულტურის ფასეულობებს და საყურადღებო წვლილი შეაქვთ მისი განვითარების პროცესში. ამგვარად ენდოგენურად უმჯობესდებიან არა მხოლოდ კომპანიები, არამედ ასევე მთელი საზოგადოებაც მძლავრ იმპულსს იძენს შინაგანი განვითარებისთვის.

კომპანიები რომლებიც თავს ართმევენ ზრდის მაღალი ან შთამბეჭდავად მაღალი ტემპების (მაგ., წლიურად 20 პროცენტზე მეტად) აკრეფასა და ხანგრძლივად შენარჩუნებას, ძირეულად განსხვავდებიან რიგითი ფირმებისაგან. ისინი თვითონ საჭირო აგრესიულობით ქმნიან მათთვის სასურველი ზრდის პირობებს. ამგვარი კომპანიები წარმატებით ახერხებენ გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილებას, რომელთა შუაგულში მოგება ძევს; იქვეა ფირმის პოტენციალი, შეზღუდვები, გრძელვადიანი პრობლემები და მთავარი ნაკლოვანებები. ხსენებული კრიტერიუმები ოთხ ასპექტს გულისხმობს. ესენია საბაზრო ასპექტი, შესაძლებლობების გამოყენების ასპექტი, სტრატეგიული ასპექტი და სამმართველო-ორგანიზაციული ასპექტი. ბაზრის გადასახედიდან მნიშვნელოვანია სწორი ადგილისა და დროის შერჩევა, შეძენის ძლიერი საჭიროება, შესატყვისი მომხმარებელი და ბაზარზე გატანის არხები. შესაძლებლობების გამოყენების მხრივ ყურადსაღებია ინოვაციები, კონკურენტული უპირატესობა, გამძლეობა და გაფართოების შესაძლებლობები. სტრატეგიული თვალსაზრისით საჭიროა მკაფიო ხედვა, გრძელვადიანი სტრატეგია, ხისტი საზღვრები და რისკების მართვა. სამმართველო-ორგანიზაციული ასპექტი ითხოვს უნარიან სამმართველო გუნდს და მომგებიანობას [3, 3].

წარმატებული ზრდის პრინციპები

№	კრიტერიუმები	შინაარსი
ა	**საბაზრო ასპექტი**	
1	ადგილისა და დროის შერჩევა	დრამატული ცვლილებების გარემო ქმნის როგორც შესაძლებლობებს ასევე საფრთხეებს. სათანადო დროისა და ადგილის შერჩევა დიდად აძლიერებს შესაძლებლობების გამოყენების შანსებს და ასუსტებს საფრთხეების ძალას.
2	პროდუქტის შეძენის ძლიერი საჭიროება	ბიზნესის არსებობას შემოსავლები უზრუნველყოფს. შემოსავლებს მომხმარებლების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უნარის დონე განაპირობებს.
3	შესატყვისი მომხმარებელი	მაღალი ზრდის პოტენციალის მქონე წარმატებული ბიზნესი ფლობს საჭირო მომხმარებლის მოძებნის უნარს. კარგად აქვს შესწავლილი მისი მოთხოვნილებები, საგემოვნო მიდრეკილებები და აკეთებს სწორ პროგნოზს თავისი არსებული თუ პოტენციური მომხმარებლის მყოფადი საჭიროებების შესახებ.
4	ბაზარზე გატანის არხები	მაღალი ზრდის მქონე ბიზნესი ფლობს საჭირო სიმძლავრის და გამტარუნარიანობის მქონე მიზნობრივ მომხმარებლამდე პროდუქტების მიწოდების არხების შექმნის უნარს. აქ იგულისხმება როგორც საბითუმო ასევე საცალო ვაჭრობის, როგორც უშუალო მიყიდვის ასევე ელექტრონული კომერციის ფორმის გავრცელების საშუალებები. სხვაგვარად შეუძლებელია სტაბილური ზრდის მხარდაჭერის უზრუნველყოფა.
ბ	**შესაძლებლობების გამოყენება**	
5	ინოვაციურობა	სიახლეების შექმნას მამოძრავებელ ფაქტორად განიხილავენ ზრდის სტრატეგიის მიმდევარი კომპანიები. აქ იგულისხმება ინოვაციები ფასეულობათა მწკრივის ნებისმიერ უბანზე, რომელიც ქმნის მეტ ფასეულობას ხარჯების შემცირების ან მომხმარებლებისთვის მეტი სარგებლიანობის შეთავაზების გზით.
6	კონკურენტული უპირატესობა	მაღალი ტემპებით ზრდა ბაზარზე ისეთი ადგილის მოპოვებას ითხოვს, რომელიც კომპანიას თავის მიზნობრივ მომხმარებლებთან ურთიერთობის გარკვეულ თავისუფლებას შესძენს. ბიზნესს ისეთი მდგომარეობა სჭირდება, რომელიც მისი ძირითადი ბაზრის შესატყვისი იქნება.
7	მდგრადობა	მაღალი ტემპებით ზრდისთვის საწყისი პირობები, რომელიც შეიძლება შეიქმნას ინოვაციებით, უშუალო კონკურენტებმა, მოსალოდნელია, გამოფიტონ ეს უპირატესობა. ბიზნესის ირგვლივ მხოლოდ გრძელვადიანი წინაღობების შექმნით არის შესაძლებელი საკუთარი მომხმარებლების წრის დაცვა და კონკურენტებთან დისტანციის შენარჩუნება. ეს მთელი მოწოდებათა მწკრივის დაცვას გულისხმობს, რამეთუ დროთა განმავლობაში კონკურენტები ცალკე აღებული უპირატესობის გამოფიტვის ხერხს მიაგნებენ.
8	გაფართოების შესაძლებლობები	ზრდის სტრატეგია ბიზნესისგან გაფართოების საკითხის გადაჭრას ითხოვს. მრავალი ბიზნესია შეზღუდული მცოდნე და უნარიანი პერსონალის ან არსებითი შემადგენლების დეფიციტით. მხოლოდ სტაბილური პროცესის განვითარებით, რომლითაც ბიზნესი მოახერხებს გაფართოების უზრუნველყოფას მზარდი ან მოქნილი სისტემების ანდა პროცესების ან იოლად განვრცობადობის მოპოვებით, არის შესაძლებელი სწრაფი და ხანგრძლივი ზრდის მიღწევა. აქ იგულისხმება, რომ ცოდნა სისტემატიზებულია, გადაწყვეტილებები სწორად დელეგირებული, ხოლო ორგანიზაციული სტრუქტურა კარგად უმკლავდება ამგვარი ზრდისთვის საჭირო საბაზრო მოთხოვნას.

№	კრიტერიუმები	შინაარსი
გ	**სტრატეგიული ასპექტი**	
9	მკაფიო ხედვის ჩამოყალიბება	კარგად გაქვს რა გაცნობიერებული, რას წარმოადგენ, რას აკეთებ და საით მიდიხარ, საქმის წარმატების არსებითი შემადგენელია. მკაფიო ხედვის გარეშე ნებისმიერი საქმე შეიძლება ჩაფლავდეს. არასრულყოფილი ხედვა მრავალ გადაწყვეტილებაზე ახდენს ცუდ გავლენას და არასწორ მიმართულებას აძლევს პროცესებს, ხშირად გვერდს უქცევს სწორედ იმ პირობებს, რომელიც მომავალში ზრდის მამოძრავებელ ძალად უნდა იქცეს.
10	გრძელვადიანი სტრატეგია	დამაჯერებელი ზრდა მოითხოვს, რომ გამოინახოს პროდუქტის ბაზარზე დამკვიდრების საშუალოდ გრძელვადიანი გზა. ზრდის მაღალი ტემპების მისაღწევად ხშირად სცენარული დაგეგმვა ხდება საჭირო. ეს კი თავის მხრივ განვითარების ტაქტიკური გეგმების შექმნას ითხოვს. მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ზრდის ხელშემშლელი ფაქტორები და ინვესტიციები მათ დასაძლევად წარიმართოს.
11	ხისტი საზღვრები	საერთოდ მაღალი ზრდა საშუალო დარგობრივ მაჩვენებელზე მეტ ტემპს გულისხმობს. ეს შეიძლება განპირობებული იყოს პროდუქტის, პროცესის, ინოვაციური მიდგომის ან აღმატებული მენეჯმენტის მიერ, რომელიც საშუალებას აძლევს ბიზნესს მეტოქეებზე უკეთ იმოქმედოს, უფრო ქმედითად მოერგოს გარემოს და უფრო მეტი მთლიანი მოგების მარჟა ჰქონდეს.
12	რისკების მართვა	დამაჯერებელი ზრდის მიღწევა რისკების მართვის პროცესში მენეჯმენტის მნიშვნელოვან ჩართულობას გულისხმობს გაუთვალისწინებელი გარემოებების თავიდან აცილების მხრივ. რისკების შერბილება ხდება პარტნიორების მოზიდვით, მოქნილობის განვითარებით, რისკების გამოვლენის მხარდაჭერით და მოვლენებზე რეაგირებისთვის წინმსწრები მომზადებით. სცენარული დაგეგმვა განმეორებადი რისკების გათვალისწინებით ხორციელდება, რომლის დროს ბიზნესზე სხვადასხვა დაშვების გავლენის გააზრება ხდება ნეგატიური გავლენების შემცირების მიზნით.
დ	**სამმართველო-ორგანიზაციული ასპექტი**	
13	უნარიანი სამმართველო გუნდი	მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ ცალკე აღებულ ადამიანს არ შეუძლია ყველაფრის გაკეთება, ხელმძღვანელს და ლიდერს მაინც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ხელმძღვანელი და ლიდერი გარდა იმისა, რომ ინტელექტუალურად სათანადოდ მომზადებული ადამიანი უნდა იყოს და კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული მთელი პროცესი, პიროვნულად თავად უნდა განასახიერებდეს დასახულ მიზანს და თავისი ბუნებით თავსებადი უნდა იყოს შესასრულებელი სამუშაოების ხასიათთან. უმაღლესი რგოლის მენეჯმენტი კოლექტიურად უნდა ფლობდეს სათანადო უნარებს, ცოდნას და გამოცდილებას ზრდის პირობებში მართვის პროცესის ქმედითად წარმართვისათვის. მასში საჭირო რაოდენობით უნდა იყვნენ შემოქმედებითი უნარის მქონე პროფესიონალები და უნდა შეეძლოთ ერთ გუნდად მუშაობა განსაკუთრებით შესაძლებლობების გამოყენების ჟამს, რაც თავისთავად ზრდის მხარდამჭერ და მამოძრავებელ ფაქტორს წარმოადგენს.
14	მომგებიანობა	მომგებიანობას მომგებიანი ოპერაციების სწორად მართვა განაპირობებს. მომგებიანი ოპერაციები მოითხოვს საუკეთესო ქმნადობისა და მონიტორინგის სისტემებს, პასუხისმგებლობის არეების, ანგარიშვალდებულებებისა და სამმართველო ქვემდებარეობების ცხად განაწილებას, ასევე პრობლემების გამოვლენის მიმართ აქტიურ დამოკიდებულებას. ამის შემდეგ ბიზნესმა უნდა შეძლოს პოზიტიური ფულადი ნაკადების წარმოქმნა.

მსწავლელი ორგანიზაცია უწინარეს ყოვლისა შემოქმედებითი აზროვნებისთვის ღია ორგანიზაციაა; ის რასაც იქ ყველა აკეთებს, არის ცოდნაზე დაყრდნობით ქმედებების განხორციელება, რომელიც თითოეულ მათგანს სძენს კრიტიკულად შემოქმედებითი აზროვნების უნარს განვითარების სტრატეგიის ჩარჩოებში. რადგან განვითარება და ზრდა აქ განუყოფელი ცნებებია, ასეთი ორგანიზაცია თავად ცდილობს შექმნას საკუთარი მომავალი, საუკეთესოდ მოერგოს გარემოს და საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით შეძლებისდაგვარად უკეთესობისაკენ შეცვალოს იგი. ამგვარ ორგანიზაციაში დასაქმებულები თავად იმყოფებიან უწყვეტი სწავლის რეჟიმში, უწინარესად იდეების ჩამოყალიბებას და გამოწვევებისთვის პასუხის მოძებნას სწავლობენ სამუშაო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, რომელმაც ორგანიზაციული იერარქიული ბარიერების შერბილება და ადამიანური შესაძლებლობების სრულად გამოყენება უნდა მოიტანოს. ასეთ ორგანიზაციაში სწორედ ისეთი ადამიანები ახერხებენ პოზიციების შენარჩუნებას, რომლებიც ახერხებენ ისწავლონ, თუ როგორ ისწავლონ და ისწავლონ, როგორ ისწავლონ ერთად გაუმჯობესების და განვითარების მისაღწევად.

პიტერ სენგსი კომპანიის შიგნით სწავლების ხუთ მიმართულებას გამოყოფს, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია მსწავლელი ორგანიზაციის ჩამოყალიბება; ესენია სისტემური აზროვნება, პირადი ოსტატობა, მენტალური მოდელები, ერთობლივი ხედვის შექმნა და გუნდური სწავლება. [2]

სისტემური აზროვნება მოვლენის მთლიანობაში დანახვის და მისი შემადგენელი ნაწილების ადგილისა და როლის ერთიანად გააზრების უნარს წარმოადგენს. სისტემური აზროვნება ნაკლებად ტოვებს ნაკლოვანებების გამო გარე ფაქტორების დადანაშაულების ადგილს. ის წარმოქმნილი პრობლემების მიზეზებს შიგნით ეძებს და ცდილობს, მისი გადაჭრის ქმედითი გზები იპოვოს.

პირადი ოსტატობა უწყვეტი სწავლებისთვის დამახასიათებელ განწყობას ესადაგება. პირადი განვითარება შესაძლებლობების სრულად გამოყენებისაკენ და უნარების გაფართოებისა და გამრავალფეროვნებისაკენ სწრაფვას ნიშნავს. ის არ გულისხმობს მხოლოდ პიროვნულ მახასიათებელს, არამედ ორგანიზაციული კულტურითაა განპირობებული და კომპანიის განვითარების ქვაკუთხედს შეადგენს.

მენტალური მოდელები ასევე მხედველობის არეში უნდა იყოს მოქცეული, რადგან ის წინ უძღვის ახალ უფრო ძლიერ გამჭრიახობას და ორგანიზაციული ქცევის თარგებს. პროცესი იწყება თვითრეფლექსიით, ღიაობის წინ წამოწევით; შემდეგ ვლინდება ღრმად არსებული ფასეულობითი სტრუქტურა და თანდათან ყალიბდება გაგება იმისა, თუ როგორ ახდენს ის გადამწყვეტ გავლენას ზოგადად ქცევაზე.

ერთობლივი ხედვის შექმნა, რა თქმა უნდა, ინდივიდუალური ხედვებიდან იღებს სათავეს, რომელიც შეიძლება ხშირ შემთხვევაში ეთანხმებოდეს ან არ ეთანხმებოდეს ლიდერის ხედვას. აქ ორგანიზაციას მკაფიო, ყველასათვის გასაგები და ცხადი ხედვის გამომუშავება ესაჭიროება, რომელსაც ექნება დაქირავებულების ერთ გუნდად გაერთიანების უნარი.

გუნდური სწავლება ფართო გაგებით უმნიშვნელოვანესია იმდენად, რამდენადაც თანამედროვე ორგანიზაციები გუნდური მოქმედების პრინციპებზეა აგებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ორგანიზაცია ვერაფერს ისწავლის, თუ მისი წევრები ერთობლივი სწავლების პროცესებში ვერ ერკვევიან და ამ მხრივ არ თანამშრომლობენ ერთმანეთთან. გუნდურ სწავლებას უნიკალური უნარების განვითარება და სასურველი შედეგები მოაქვს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მსწავლელი ორგანიზაცია მხოლოდ უმაღლესი მენეჯმენტის აზროვნების წესს არ ეყრდნობა; ის ამ მხრივ აფართოებს თავის ბაზისს და გამოწვევას თავაზობს ყველა დასაქმებულს, მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი შინაგანი შესაძლებლობები და რესურსები და თავის წვლილი შეიტანოს სწავლის კოლექტიური სურვილის მქონე თავისუფალი ერთობის ჩამოყალიბებაში, რომელიც მოიაზრება როგორც გრძელვადიანი და მყარი ზრდის საიმედო საფუძველი.

ჩვენს ქვეყანაში ასეთი ორგანიზაციების წარმოქმნა ჯერჯერობით შეუძლებელია, რადგან ჩვენი საზოგადოება თავად არ წარმოადგენს მსწავლელ საზოგადოებას. არ არსებობს უწყვეტი

სწავლისა და განვითარების ძლიერი სტიმულები. ამიტომაა რომ ინოვაციების მხრივ სავალალო მდგომარეობა გვაქვს. ამ მხრივ ვითარება იმდენად რთულია, რომ შეუძლებელია უახლოეს მომავალში მდგომარეობის გამოსწორების იმედის არსებობა. რაც შეეხება საშუალოვადიან ან შორეულ მომავალს, ამისათვის სათანადო სტრატეგია უნდა ჩამოყალიბდეს სახელმწიფოში, რათა თანამედროვე ორგანიზაციების წარმოქმნას სათანადო ნიადაგი შეექმნას.

გამოყენებული ლიტერატურა:

გაგნიძე, ი. მსოფლიო და გლობალური კონკურენტუნარიანობა – ცნებიდან პოლიტიკამდე. *საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებში: პრობლემები, პერსპექტივები.* ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მეორე სამეცნიერო კონფერენციის მასალები.

Senge, P. (1990). The Fifth Discipline: *the Art and Practice of the Learning Organization.* New York: Doubleday

McKaskill, T. (2010). Ultimate Growth Strategies: *A practical guide to engineer high growth into your business.*

https://hbr.org/1993/07/building-a-learning-organization

http://www.knowledge-management-tools.net/leadership-and-the-learning-organization.html

http://infed.org/mobi/the-learning-organization/

ზრდის სტრატეგიის განხორციელების სირთულეები

გელა გრიგოლაშვილი

ასოცირებული პროფესორი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

მრავალი კომპანიის მთავარი საქმე ზრდის გზებისა და საშუალებების გამონახვაა. სწრაფი ზრდის მიღწევის ნაცად ხერხს დარგობრივი შეზღუდვებისგან გათავისუფლება წარმოადგენს, რომელიც სხვა სიკეთეებთან ერთად სამამულო კომპანიებს ქმედით შედარებით უპირატესობას სძენს და მყარად კონკურენტუნარიან ორგანიზაციად გადაქცევის შანსს აძლევს. შეზღუდვებისაგან გათავისუფლებას უმეტეს შემთხვევებში დერეგულაციის ფორმა აქვს.

თუმცა ეს არ ქმნის მთავარ სირთულეს კომპანიებისათვის. მთავარი გამოწვევა საჭირო ცოდნის, გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების მქონე მუშაკების არსებობაა. მათ გარეშე კომპანია წარმატებულად ვერ განახორციელებს არა მხოლოდ შერწყმულ სტრატეგიას არამედ დივერსიფიკაციის ნებისმიერ ფორმას.

თანამედროვე წარმატებული კომპანიები მსწავლელი ორგანიზაციები არიან და თავისთავად არ წარმოქმნილან; ისინი ასევე მსწავლელი საზოგადოების სრულფასოვან წევრებს წარმოადგენენ და ოთხ ძირითად კრიტერიუმს აკმაყოფილებენ. ესენია საბაზრო ასპექტი, შესაძლებლობების გამოყენების ასპექტი, სტრატეგიული ასპექტი და სამმართველო-ორგანიზაციული ასპექტი. მსწავლელი ორგანიზაცია უწინარეს ყოვლისა შემოქმედებითი აზროვნებისთვის ღია ორგანიზაციაა; ის რასაც იქ ყველა აკეთებს, არის ცოდნაზე დაყრდნობით ქმედებების განხორციელება. მენეჯმენტის პროცესში აზროვნების უნიკალური ფორმები ყალიბდება, რომელიც შესაძლოა კომპანიის კონკურენტული უპირატესობის მყარ ბაზისს შეადგენდეს.

ჩვენს ქვეყანაში ასეთი ორგანიზაციების წარმოქმნა ჯერჯერობით შეუძლებელია, რადგან ჩვენი საზოგადოება თავად არ წარმოადგენს მსწავლელ საზოგადოებას. არ არსებობს უწყვეტი სწავლისა და განვითარების ძლიერი სტიმულები. ამიტომაა, რომ ინოვაციების მხრივ სავალალო მდგომარეობა გვაქვს. ამ მხრივ ვითარება იმდენად რთულია, რომ შეუძლებელია უახლოეს მომავალში მისი გამოსწორების იმედის არსებობა. რაც შეეხება საშუალოვადიან ან შორეულ მომავალს, ამისათვის სათანადო სტრატეგია უნდა შეიქმნას სახელმწიფოში, რათა თანამედროვე ორგანიზაციების წარმოქმნას სათანადო ნიადაგი ჰქონდეს.

საკვანძო სიტყვები: *სტრატეგიული მენეჯმენტი, ზრდის სტრატეგიები, მსწავლელი ორგანიზაციები*

Difficulties of Implementation Growth Strategies

Gela Grigolashvili

Associate Professor
East European University

Abstract

To find ways of growth is the main business for most business organizations. The proven way to reach rapid growth is eliminate over industry restrictions; this gives to local companies effective comparative advantages and possibility to turn into stable competitive organization. This process mainly needs political decision to deregulate markets.

However this is not the greatest problem for companies. The main challenge is to find skilled employees with relevant knowledges without whom company is not enable to implement and improve integrated strategy and diversification strategies. Modern successful business companies are learning organizations. Their headquarters located among learning society of developed states. They meet four criteria such are market, opportunity, strategic and organizational criteria. First of all learning organization is open for creativity. It always acts on the base researches and knowledge. It is born unique ways of thinking in process of management of such organization as the stable and long term base of competitive advantages of the company.

Forming learning business organization is scarcely impossible in our country so far because our society is not learning society. There are not strong motivation forces for permanent learning and development and the innovation index is poor. So it is needed relevant midterm- and long-term governmental strategies for speed up development of system of education to create a reliable base for forming learning organizations.

Keywords: *Strategic management, Growth strategies, Learning business organizations*

კულტურული პარადიგმის როლი სოციალური მენეჯმენტის განვითარებაში

ლევან ლაზვიაშვილი

ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი

შესავალი. მენეჯმენტის პიროვნებათაშორისი და ინფორმაციული როლებიდან გამომდინარე გასათვალისწინებელია ქცევითი ფასეულობების მექანიზმის მართვა. პერსონალის ქცევას უპირველეს ყოვლისა განსაზღვრავს ორგანიზაციული კულტურა, რაც სოციალური მენეჯმენტის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.ნაშრომის კონტექსტი ეხება ისეთ თანამედროვე პრობლემატიკას, როგორიცაა კომპანიის სასიცოცხლო ციკლის მანძილზე მართვის კულტურის გავლენა ორგანიზაციის მდგრადობაზე და ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაზე. ბაზრის კვლევამ (დაკვირვების და შემთხვევების ანალიზის მეთოდის გამოყენებით) აჩვენა, რომ კულტურის ტრანსფორმაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მმარტველობითი გუნდის ფორმირებაზე და ზოგადად, ლიდერის არქტიპის ევოლუციაზე. თემას აქტუალობას სძენს სოციალური პარტნიორობის როლის პრიორიტეტულობა, რომელშიც კომბინირებულია შიდა და საგარეო ორიენტირები და ფოკუსირებულია კავშირი კომპანიის ხედვასა და საბაზრო სტრატეგიებს შორის. უცხოურ კომპანიებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ექცევა ხელმძღანელობისა და თვით კომპანიის ფასეულობით დესკრიპტორებს, ამიტომ მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების ბენჩმარკინგი.

ძირითადი ნაწილი. ორგანიზაციის ფორმირების ეტაპზე კულტურულ ორიენტირებს განსაზღვრავს დამფუძნებელი და გუნდის ერთიანობა კულტურის ინტეგრაციასთან შესაბამისობაში უზრუნველყოფილია „ფსიქოლოგიური მაგნიტით“. კომპანიის დამფუძნებელი არის იმიჯის ორგანიზატორი და მის კომპეტენციაში შედის კულტურის იდენტიფიკაცია და ფსიქოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა. დაფუძნების ეტაპზე მნიშვნელოვანია „საკუთარი ტერიტორიის დაცვა“, ხოლო შემდეგ თანმიმდევრულად მისი ევოლუცია ახალ მმართველობით სტრუქტურაში (კულტურული დივერსიფიკაცია და შემოქმედებითი სინთეზი მართვის ახალ სისტემაში). ორგანიზაციული განვითარების შემდეგ ეტაპზე კულტურული მრავალფეროვნების ფორმირებაზე გავლენას ახდენს პროფესიული და დარგობრივი სუბკულტურების შექმნა, რაც შესაბამისად განაპირობებს მარკეტინგის უნარების განვითარებას (საბაზრო მენეჯმენტის პრიორიტეტულობა). სასიცოცხლო ციკლის ზრდის ეტაპზე მნიშვნელოვანია ჰიბრიდული კულტურული გარემოს შექმნა. კულტურული პარადიგმის ტრანსფორმაციული ცვლილება გულისხმობს, რომ მენეჯმენტი დაქირავებულ პერსონალს საშუალებას აძლევს კარიერული წინსვლისა, რომელთა პირადი იდეალები შეესაბამება საბაზრო გარემოს ახალ რეალიებს, ამასთან ეთანხმებიან კომპანიის კულტურულ ბირთვს.

თანამედროვე მენეჯერის არქტიპი: პატერნალისტი – მყარი და სამართლიანი („ერთიანი ოჯახის უფროსი“); ბროკერი – თანამშრომლების უკმაყოფილების შემსუბუქება (კრიზისის დროს „სრულყოფილების მახის“ გადალახვა); ორგანიზატორი – პლურალიზმი მენეჯმენტის გადაწყვეტილების მიღებაში და დროის რაციონალიზაციაში (მმართველი საბჭოს შექმნა. უნიტარული გარემოს უზრუნველყოფა); დიპლომატი – ეფექტური ადამიანური კონტაქტების შექმნა (დიპლო-

მატიური შესაძლებლობების გამოყენება ბიზნეს კავშირების ოპტიმალურად მართვის მიზნით); ლიდერი – ადამიანური რესურსების მენეჯმენტი (პროფესიული და ემოციური-პიროვნული ფასეულობების უზრუნველყოფა); პედაგოგი – ოპტიმალური თანაფარდობა მორალს, პროფესიონალიზმსა და საკუთარი ქცევას შორის (მორალურ-ეთიკური გარემოს შექმნა და „სოციალური სინდისის" როლის შესრულება); ინოვატორი – ინოვაციის განხორციელება და მიმართულების ოპტიმიზაცია („გაუმჯობესების გეგმის" წამოწყება და ხედვის პროგრამასთან შესაბამისობა); მმართველი – ბალანსი ძალასა და ადამიანობას შორის (ძალაუფლების ბალანსი; კონცენტრირება მმართველისა და შემსრულებლის სუბკულტურებზე).

ორგანიზაციის ფუნქციონირების შუა ეტაპზე მიმდინარეობს ბრძოლა მემკვიდრეობასთან და მეტოქეობა კონსერვატორებსა და ლიბერალებს შორის, ძლიერი საბაზრო პოზიციის მისაღებად (სერვისის ხარისხის მოდელი: მომხმარებლის მოლოდინი – მენეჯმენტის წარმოდგენა – ხარისხის სტანდარტი – ფაქტიური სერვისი – საგარეო კომუნიკაცია). კომპანიის ფილოსოფია ამ ეტაპზე მიანიშნებს, რომ მნიშვნელოვანია სტრუქტურისა და პროცესის მართვაში კულტურული ცვლილება, ძველი იდეოლოგიური ელემენტების შენარჩუნებით. კომპანიის განვითარების მიმართულების ცვლილება განაპირობებს ახალი კულტურული ფასეულობების ფორმირებას. ეს კი მიანიშნებს იმის აუცილებლობაზე, რომ ხელმძღვანელ თანამდებობაზე სასურველია დაინიშნოს სუბკულტურების წარმომადგენლები. სუბკულტურების მრავალფეროვნება განაპირობებს ადაპტაციის შესაძლებლობების გაფართოებას. ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები უზრუნველყოფენ არსებული კულტურული წარმოდგენების გადაფასებას და განსხვავებული ფასეულობების მიღებას. სოციოტექნიკურ ცვლილებას თან სდევს ორგანიზაციული ქცევის ცვლილება.

ორგანიზაციის ფუნქციონირების სასიცოცხლო ციკლის ბოლოს მნიშვნელოვანია რეორგანიზაცია, კრიზისული სიტუაციის მართვა, ცვლილების პროგრამის ინიცირება, კერძოდ, „ტრანსფორმაციის ლიდერის" არსებობა საბაზრო წარმოდგენების ცვლილების შესაბამისად. იგი ვალდებულია ჩამოაყალიბოს „ცვლილებათა აგენტების" გუნდი.

დასკვნა/შედეგები. ფორმირების ეტაპზე მენეჯმენტი ვალდებულია ფოკუსირებული იყოს ადამიანური რესურსების განვითარებაზე. კომპანიის ეფექტურ ფუნქციონირებას განაპირობებს პერსონალთა წარმოდგენების მოდიფიცირება, ე.ი.კოორდინაცია პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრაში და თანხმობა იდეის ინიციატორსა და კოლეგიალურ საბჭოს შორის – ინდივიდუალური პასუხისმგებლობისა და ავტონომიის ბაზაზე დაყრდნობით (კოგნიტიური სივრცის ფორმირება ურთიერთგაგების უზრუნველყოფის მიზნით). ზრდის ეტაპზე ჰიბრიდული მენეჯერის კომპეტენციაში უნდა შედიოდეს საბაზრო კონცეფციების კომბინირებული გამოყენება, ადაპტაციური მენეჯმენტის პრაქტიკული რეალიზაცია, შესაბამისობა განსხვავებულ წარმოდგენით ფასეულობებსა და შიდა ორგანიზაციულ კულტურას შორის. შუა ეტაპზე საბაზრო გარემო მნიშვნელოვან როლს თამაშობს კულტურულ რეორგანიზაციაში. იერარქიული სუბკულტურების ფუნქციონირებამ ხელი უნდა შეუწყოს ორგანიზაციული ცვლილების სრულყოფას – ლიდერის მანდატის მქონე მენეჯერის შეხედულების წინ წამოწევა და კონფლიქტის მოგვარება ძველ და ახალ წარმოდგენებს შორის („ორგანიზაციული განვითარების" ძიება). ინოვაციურ მენეჯერს უნდა მიეცეს სრული თავისუფლება ახალი ორგანიზაციული კრედოს ჩამოყალიბებაში. ინოვაციური სუბკულტურის განვითარება აპრიორი არ ნიშნავს უარს ძირითად კულტურაზე. სასიცოცხლო ციკლის ბოლოს ტრანსფორმაციის ლიდერმა უნდა შეიმუშაოს „ახალი ხედვის" მოდელი – საბაზრო,სასაქონლო და კონკურენტულ პოლიტიკაში. ტურბულენტური მომავლის პირობებში პრიორიტეტულია რისკის მართვა – „კულტურათა იმპორტი" იდეასთან მიმართებაში და „ცვლილების და სრულყოფის" პროექტის შემუშავება. თანამედროვე მენეჯმენტის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს სოციალური პარტნიორობა, რაც სრულ შესაბამისობაშია სოციალური განვითარების ალგორითმიზაციასთან – ოპტიმალური თანაფარდობა სამომხმარებლო და აქციონერულ ფასეულობებს შორის

სქემა 1. სოციალური პარტნიორობის მოდელი



ცხრილი 1. ორგანიზაციული კულტურის საერთაშორისო გამოცდილება

დასავლური ფასეულობა	**აღმოსავლური ფასეულობა**
პლურალიზმი	უნიტარული გარემო
რაციონალური მართვა და კრიტიკული აზროვნება	ორგანიზაციული თვითმყოფადობა
პრაგმატული ორიენტაცია	დაქვემდებარების დაცვა
საკუთარი „სამუშაო ზონა“	„ვერტიკალური ზონა“
პროტესტანტული ეთიკა	კონსერვატორული ეთიკა
„ჰიპოთეთური ცენტრის“ და „პლატინის საბჭოს“ შექმნა	„მრჩეველთა კომიტეტის“ შექმნა

გამოყენებული ლიტერატურა:

Richard Wilson, Colin Gilligan – Strategic Marketing Management. Second Edition, UK. 1997
Patrick J.Montana, Bruce H. Charm –Management. Third edition. Barron's. 2000
Yuri Afonin – Social Management. University of Moscow. 2004

კულტურული პარადიგმის როლი სოციალური მენეჯმენტის განვითარებაში

ლევან ლაზვიაშვილი

ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი

ანოტაცია

წარმოდგენილი სტატია ეხება კულტურული ფასეულობის მენეჯმენტს და მასში ყურადღება გამახვილებულია ორგანიზაციის სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპზე სოციალურ–კულტურული მექანიზმის ცვლილებაზე და სუბკულტურების როლზე მმართველობითი იერარქიის ფორმირებაში და მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებაში. ბაზრის კვლევამ (დაკვირვება და შემთხვევების ანალიზი) აჩვენა, რომ სო-

ციალური განვითარების ალგორითმიზაციაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ინოვატორი და ტრანსფორმატორი ლიდერის ქცევა, რის საფუძველზეც ფორმირდება „ცვლილებათა გუნდი“ და ყალიბდება „ახალი და სიტუაციური ხედვა“. ინსტიტუციონალური მენეჯმენტის კომპეტენტურობა უკავშირდება კონსერვატორულ და ლიბერალურ ფასეულობებს შორის ოპტიმალური თანაფარდობის დაცვას. სტატია ფოკუსირებულია სოციალური თანამსრომლობის მნიშვნელობაზე და შემუშავებულია სოციალური პარტნიორობის მოდელი. საბაზრო მენეჯმენტის პრინციპებიდან გამომდინარე, შემუსავებულია სერვისის ხარისხის მოდელი, რაც მიანიშნებს საგარეო კომუნიკაციის მნიშვნელობაზე. სამეცნიერო ნაშრომში აქტუალიზირებულია დასავლური და აღმოსავლური კომპანიების ფასეულობების მენეჯმენტი, რომლის გათვალისწინება მნიშვნელოვანი იქნება სიტუაციური მართვის მოდელიდან გამომდინარე.

საკვანძო სიტყვები: *ფასეულობათა ტრანსფორმაცია, სოციალური განვითარება, ლიდერის ევოლუცია, სოციალური პარტნიორობა, ჰიბრიდული კულტურა*

The Role of the Cultural Paradigm in the Development of Social Management

Levan Lazviashvili

Associate Professor, Doctor of Economics
Teaching University Geomedi

Abstract

The present article deals with the management of cultural values and focuses on changing the socio-cultural mechanism at every stage of the organization's life cycle and the role of subcultures in the formation of governance hierarchies and decision-making. Market research (observation and case analysis) has shown that innovator and transformational leader behavior plays a key role in social development algorithms, forming a "change team" and forming a "new and situational vision". Institutional management competence is associated with maintaining the optimal balance between conservative and liberal values. The article focuses on the importance of social partnership and develops a model of social partnership. Based on the principles of market management, the service quality model is outlined, indicating the importance of external communication. In the research paper the management of the values of western and eastern companies is actualized, which will be important given the situational management model.

Keywords: *Transformation of values, Social development, The evolution of a leader, Social partnership, Hybrid culture*

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შემოქმედებითობისა და ინოვაციურობის ხელშემწყობი საორგანიზაციო კულტურის ფორმირების გზები

თათია ღერკენაშვილი

დოქტორანტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

შესავალი

გლობალური კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში დღეს ორგანიზაციები ძირითადად ცოდნაზე ორიენტირებულნი არიან და მათი წარმატება/წარუმატებლობის საკითხი შემოქმედებითობით, ინოვაციურობისა და სიახლეების შექმნის უნარიანობით წყდება. ამრიგად, ორგანიზაციების ლიდერები უფრო და უფრო მეტად ცდილობენ ორგანიზაციაში შექმნან ისეთი ინსტიტუციური ჩარჩო, სადაც შემოქმედებითობა და ინოვაციურობა ტექნოლოგიურ, თუ სხვა სახის ფაქტორებთან ერთად აღიარებული იქნება ორგანიზაციის ძირითად ნორმებად.

საქართველოში დღეს არსებული ეკონომიკური მდგომარეობა, არაკონკურენტუნარიანი ბიზნეს გარემო, კადრების ხშირი გადინება, როგორც დამსაქმებელთა, ასევე დასაქმებულთა უკმაყოფილება თვალშისაცემი რეალობაა და ყველასათვის პრობლემას წარმოადგენს, ყოველივე ზემოაღნიშნულის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად კი სრულყოფილი საორგანიზაციო კულტურის არარსებობა ითვლება, რასაც ადასტურებს გასულ წლებში ჩატარებული არაერთი სამეცნიერო კვლევის შედეგი, რომლის მიხედვითაც მსოფლიოს წარმატებულ ორგანიზაციებში, მათ შორის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, როგორც ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ფორმირების ინსტიტუციებში იკვეთება ეფექტიანი საორგანიზაციო კულტურის, როგორც ორგანიზაციის წარმატების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორის საჭიროება.

ნაშრომში გაანალიზებულია სხვადასხვა ავტორის მიერ წარმოდგენილი ინოვაციური კულტურის მოდელები და ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენდნენ ორგანიზაციის შემოქმედებითობასა და ინოვაციურობაზე, საბოლოოდ კი ორგანიზაციულ კულტურაზე. ასევე შეთავაზებულია საკვანძო მსაზღვრელებისგან შემდგარი ერთიანი ინოვაციური საორგანიზაციო კულტურის მოდელი, რომლის დანერგვაც ხელს შეუწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, როგორც ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ფორმირების ინსტიტუციებს, შეინარჩუნონ კონკურენტუნარიანობა და მარტივად ადაპტირდნენ ბაზარზე არსებულ ცვლილებებთან.

საორგანიზაციო კულტურა

საორგანიზაციო კულტურის კონცეფცია პირველად ჰოთონრის კვლევებში გამოიყენეს (Mayo, 1933[1]; Roethlisberger & Dickson, 1939[2]), რაც აღწერდა სამუშაო გუნდის კულტურას. 1980-იანი წლებიდან კი გამოიცა რამდენიმე წიგნი საორგანიზაციო კულტურის შესახებ, მათ შორის Terrence Deal and Allan Kennedy – ის კორპორაციული კულტურები (1984)[3], რომლის მიხედვითაც *„კორპორაციული კულტურა ორგანიზაციის წარმატება/წარუმატებლობის განმაპირო-*

[1] Mayo, E. (1933). The Human Problems of an Industrial Civilization. New York, NY: Macmillan.
[2] Roethlisberger, F. J., & Dickson, W. J. (1939). Management and the Worker. Cambridge, MA: Harvard University
[3] Understanding culture, Deal and Kennedy's Cultural Mode: https://www.mindtools.com/pages/article/newSTR_86.htm

ბებელი ფაქტორია. სწორი კულტურა უბიძგებს ორგანიზაციას წარმატებისკენ, მაშინ როცა არასწორი კულტურა ხელს უშლის ორგანიზაციას სწრაფად ცვალებად სამყაროსთან ადაპტირებაში". Tom Peters და Robert Waterman-ი წიგნში „სრულყოფილების ძიებაში" (1982)[4] აღნიშნავენ, რომ *„წარმატებული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია დომინანტი და მდგრადი საორგანიზაციო კულტურა".*

აღნიშნული თემის ირგვლივ მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის კულტურის ჰოლანდიელ მკვლევარებს მამა-შვილ Hofstede-ეებს (1991, p.5)[5], რომლებიც კულტურას განმარტავენ, როგორც *„გონების კოლექტიური დაპროგრამებას, რაც განასხვავებს გუნდის წევრებს ერთმანეთისგან".*

საორგანიზაიცო კულტურის თაობაზე Furnham და Gunder (1993)[6] აღნიშნავენ, რომ *„თუ საორგანიზაციო კულტურა ვერ ასრულებს თავის ფუნქციებს, მან შესაძლოა მნიშვნელოვნად შეამციროს ორგანიზაციის ეფექტიანობა".*

Cernetic-ს (1997)[7] მიაჩნია, რომ *„საორგანიზაციო კულტურა ყალიბდება პრობლემების ერთობლივად გადაწყვეტის პროცესში. თავდაპირველად ორგანიზაციაში არიან პირები, რომელთაც აერთიანებს საერთო მიზნები, რაც ხელს უწყობს ახალი გუნდის ფორმირებას ერთობლივი თანამშრომლობისა და პრობლემათა გადაწყვეტის მეშვეობით".*

საორგანიზაციო კულტურის უპირატესობები (Eren 2000)[8]:

- საორგანიზაციო კულტურა ეხმარება თანამშრომლებს კონკრეტული სტანდასრტების, ნორმებისა და ღირებულებების უკეთ აღქმაში, აქედან გამომდინარე იგი გადამწყვეტია ჰარმონიული მუშაობისთვის;
- საორგანიზაციო კულტურა რაციონალურად ანაწილებს ბიზნესის კეთების პროცედურებს, შესაბამისად პოზიტიურად ზემოქმედებს დასაქმებულის ფსიქოლოგიასა და მორალზე;
- საორგანიზაციო კულტურა მნიშვნელოვან მედიატორ როლს თამაშობს თანამშრომლებს შორის კომუნიკაციაში;
- საორგანიზაციო კულტურა უკვდავჰყოფს საორგანიზაციო ცხოვრებას სიმბოლოებით, ცერემონიებით, გმირებით, სლოგანებითა და ისტორიებით. კულტურა მაიდენტიფიცირებელი ბარათივითაა, ვინაიდან ორგანიზაციის შეფასება კულტურის გავლით ხდება.

საორგანიზაციო კულტურის უმთავრესი დანიშნულებაა ორგანიზაციაში სინერგიის მიღწევა. სინერგია კოოპერაციული საქმიანობაა, რომელსაც ადგილი აქვს სხვადასხვა შეხედულებების მქონე თანამშრომლებისგან შემდგარ ჯგუფებს შორის ერთობლივად მუშაობისას. მისი მიზანია ცოდნის, შემეცნებისა და შეხედულებების გაზიარების გზით ეფექტიანობის გაზრდა. სინერგია უფრო მეტია ვიდრე მხოლოდ ერთობლივად მუშაობა დასახული მიზნების მისაღწევად. მისი ძალა იმაში მდგომარეობს, რომ *„პრობლემების გადაწყვეტისას, გუნდები უფრო მეტად ჭკვიანები არიან, ვიდრე მასში არსებული ცალკეული ინდივიდები"* (Surowiecki, 2004, p. G1).[9]

„საორგანიზაციო კულტურა არის კომპანიის სოციალური და სულიერი წყარო, რომელიც ფორმირებულია მატერიალური და არამატერიალური, ხილვადი და უხილავი, გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი პროცესებით, რომლებიც ერთობლივად განსაზღვრავენ ორგანიზაციის პერსონალის ფილოსოფიას, იდეოლოგიას, ღირებულებებს, პრობლემის გადაწყვეტის მიდგომებს და ქცევის ფორმებს, რომლებსაც აქვთ უნარი მისცენ ორგანიზაციას გეზი წარმატებისკენ" (Solomanidina, 2007)[10].

---

[4] Peters and Robert Waterman's In Search of Excellence (1982).
[5] Hofstede, G. H. 1991. Cultures and Organizations. London: McGraw-Hill.
[6] Furnham, A. and Gunter, B. (1993).*Corporate Assessment: Auditing a Company's Personality, Routledge, London.*
[7] Černetič Metoda, 1997. Poglavja iz sociologije organizacije. Kranj: Moderna organizacija.
[8] Eren, E. (2000), "Örgütsel Davranış ve Yönetim Psikolojisi", Beta Basım Yayım Dağıtım AŞ., İstanbul
[9] Surowiecki, J. 2004. The wisdom of crowds. Why the many are smarter than the few and how collective wisdom shapes business, economies, societies, and nations, 1st ed. Doubleday, New York.
[10] Solomanidina, T.O. (2011). Organizational culture of companies. Moscow: INFRA-M

Olivares Farías, 2013[11]-ის მიხედვით *„კულტურა უნდა ვაღიაროთ ორგანიზაციის გადარჩენის წინაპირობად“*.

„ორგანიზაციები იყენებენ სხვადასხვა რესურსებსა და პროცესებს ქცევისა და ცვლილების სამართავად. მენეჯერები იყენებენ რაციონალურ მექანიზმებს და პროცესებს, როგორიცაა: სტრატეგია, მიზნები, სტრუქტურა და კომუნიკაცია, გადაწყვეტილების მიღება, კოოპერაცია და ინტერპერსონალური ურთიერთობები. კულტურა თავის მხრივ აღწერს ორგანიზაციის ხასიათს, რომელიც გამოიხატება სიმბოლოებით, გრძნობებით, საჭიროებებით, ქცევით, ფიზიკური პარამეტრებით და არტეფაქტებით“ (Chiritescu, 2016)[12].

ინოვაციისა და შემოქმედებითობა

საწარმო იმ მიზნით ყალიბდება, რომ იყოს მომგებიანი, რისთვისაც მას მოეთხოვება ფოკუსირდეს შემოქმედებითობასა და ინოვაციურობაზე. OECD და EUROSTAT-ის მონაცემების მიხედვით (2018)[13] ინოვაცია ცენტრალურ როლს თამაშობს ორგანიზაციის მწარმოებლობის, პროდუქტიულობისა და კოკნურენტუნარიანობის ზრდის გზაზე, შესაბამისად ამ ორმა ფაქტორმა ყველა ორგანიზაციისთვის, რომლებსაც სურთ სამყაროში მიმდინარე გლობალიზაციის, იდეებისა და ცოდნის მაღალი ტემპით ზრდისა და მოზღვავების პირობებში კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება, სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა, ვინაიდან სწორედ ეს განსაზღვრავს მის წარმატების ხარისხს ხანგრძლივვადიან პერსპექტივაში.

ინოვაციის შესახებ ლიტერატურაში არსებული განმარტებები განსხვავებულია. ზოგიერთი მათგანი ზოგადი და ფართოა, ზოგი კი მას განმარტავს როგორც იდეის იმპლემენტაციას ახალი პროდუქციის, ან მომსახურების შექმნისთვის.

West and Farr-ის მიხედვით (1990)[14], ინოვაცია გაიგივებულია სიახლესთან, რომელიც ცვლილების წინაპირობას წარმოადგენს.

ზოგი განმარტებით შემოქმედებითობა ფოკუსირებულია ფიქრის პროცესთან და ინტელექტუალურ აქტივობასთან პრობლემის გადაჭრისთვის ახალი გადაწყვეტილებების გენერირებისთვის. სხვანი კი აღნიშნავენ, რომ *„ესაა ინდივიდის მახასიათებელი და ინტელექტუალური შესაძლებლობები, რომელიც მიმართულია ახალი, განსხვავებული მახასიათებლების მქონე პროდუქციის შექმნისკენ“* (Arad et al., 1997)[15].

Plsek (1997, in Pesut, 2013) ასახელებს 4 ფაქტორს, რაც ხაზს უსვამს შემოქმედებითობისა და ინოვაციურობის აუცილებლობას ორგანიზაციაში:

1. ორგანიზაციის გრძელვადიანი ფინანსური პროდუქტიულობა დაკავშირებულია ინოვაციასთან;
2. მომხმარებლები ითხოვენ ინოვაციას;
3. კონკურენტები უკეთესნი ხდებიან წარსული ინოვაციების გამოცდილების გათვალისწინებით;
4. ახალი ტექნოლოგიები ხელს უწყობენ ინოვაციას;

Schein-ის მიხედვით *„იმისათვის რომ იყო წარმატებული და გარემოსთან ადაპტირებული, ბიზნესმა უნდა შექმნას ისეთი კულტურა, რომელიც ხელს შეუწყობს შემოქმედებითობასა და*

[11] Olivares Farías, R. (2013). La cultura Organizacional, un activo clave para la supervivencia de la empresa: los casos de CEMEX, 3M, Google y Costco. *Daena: International Journal of Good Conscience*, *8*(3), 72-91.

[12] Chiritescu, D. D. (2016). In asteptarea noului Keynes. Retrieved from http/:www.dilemaveche.ro in February 12, 2016.

[13] OECD and Eurostat. (2018). *The Measurement of Scientific, Technological and Innovative Activities. GUIDELINES FOR COLLECING, REPORTING AND USING DATA ON INNOVATION, Oslo Manual* (4th ed.). https://www.oecd-ilibrary.org/docserver/9789264304604-en.pdf?expires=1572960711&id=id&accname=guest&checksum=AE37318C1C541EB3EB44B320B15FE315

[14] West, M.A., Farr, J.L., (1990). "Innovation at work", West M.A., Farr, J.L., Innovation and Creativity at Work: Psychological and Organizational Strategies, Wiley, Chichester, 3-13.

[15] Arad, S., Hanson, M.A. Schneider, R.J., (1997). "A framework for the study of relationships between organizational characteristics and organizational innovation", The Journal of Creative Behavior, 31, 1, 42-58.

ინოვაციურობას" (Schein, 2004).[16]

Anderson and Markides (2006)[17] ამტკიცებენ, რომ კონკურენტებს შორის უპირატესობის მისაღწევად საჭიროა სხვადასხვა სტრატეგიის შემუშავება, როგორიცაა მაგალითად „ფიქრი ჩარჩოებს გარეთ", თუმცა სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ახალი, კრეატიული და განსხვავებული ბიზნეს მოდელის, მომსახურების, ან პროდუქციის შექმნა, რაც სცდება ჩარჩოებს და არღვევს თამაშის წესებს რთულად მიღწევადი პროცესია.

OSLO სახელმძღვანელოს[18] მე-4 გამოცემის – ***„სამეცნიერო, ტექნოლოგიური და ინოვაციური აქტივობების განსაზღვრა"*** მიხედვით: ტერმინი „ინოვაცია" შესაძლოა აღნიშნავდეს აქტივობასაც და მის შედეგსაც. ინოვაციის ზოგადი განმარტება შემდეგია: *„ინოვაცია არის ახალი, ან გაუმჯობესებული პროდუქტი, ან პროცესი, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ორგანიზაციის უწინ არსებული პროდუქტებისა და პროცესებისგან".*

Kotter და Heskett (1992)[19] კი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ *„სტრატეგიულად სწორი საორგანიზაციო კულტურის მატარებელი ფირმები, რომლებიც ხელს უწყობენ ინოვაციებს ორგანიზაციაში უფრო მეტად წარმატებულები არიან ხანგრძლივვადიან პერსპექტივაში".*

ინოვაციური კულტურა

ინოვაციური კულტურა შესაძლოა განიმარტოს როგორც *„მრავალგანზომილებიანი გარემო, რომელშიც ერთიანდება ღირებულებები, პასუხისმგებლობები, ორგანიზაციის წევრების მიერ გაზიარებული შეხედულებები, რომლებიც მიმართულია ახალი ცოდნისა და შესაძლებლობების აღმოსაჩენად და იდეების გენერირებისთვის"* (Duygulu E, Ozeren E, Bagiran D, Appolloni A, Mavisu M., 2015).[20]

Ahmed (1998)[21]-ის მიხედვით *„კულტურა ინოვაციის ძირითადი მსაზღვრელია".* იგი ეთანხმება Kuh და Whitt (1998)-ს და აღნიშნავს, რომ *„კულტურა უნდა ერგებოდეს ორგანიზაციის კონტექსტს".*

ინოვაციური კულტურა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მდგრადი ნორმების, ღირებულებების, პრაქტიკის, რწმენებისა და პასუხისმგებლობების მოდელს წამორადგენს, რომელიც ფორმას აძლევს ინდივიდებისა და კოლექტივის ქცევას უნივერსიტეტებში (Kuh და Whitt, 1988).[22]

შემოქმედებითობისა და ინოვაციურობის ხელშემწყობი საორგანიზაციო კულტურის მოდელები

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ორგანიზაციებს ჰქონდათ უკვე მცდელობა იმისა, რომ ხელი შეეწყოთ ინოვაციურობასა და შემოქმედებითობისთვის ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე ფოკუსირებით, შესაძლოა ეს პროცესი შეფერხებულიყო სხვა ზემოქმედი ფაქტორების გამოისობით. აქედან გამომდინარე აუცილებელია იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც ხელს უწყობს შემოქმედებითობასა და ინოვაციურობას ორგანიზაციაში, რათა მათი გათვალისწინებით შესაძლებელი გახდეს სწორი საორგანიზაციო მოდელის ჩამოყალიბება.

ქვევით წარმოდგენილია სხვადასხვა ავტორის მიერ განხორციელებული კვლევების შედეგად ჩამოყალიბებული ინოვაციური კულტურის მოდელების შემადგენელი მსაზღვრელები და მათი ანალიზი.

---

[16] Schein E.H., 2004, *Organizational Culture and Leadership*, San Francisco: Jossey-Bass.

[17] Anderson, J., & Markides, C. (2006). Creativity is not enough: ICT enabled Strategic Innovation. *European Journal of Innovation Management , 9* (2), 129 - 148.

[18] OECD and Eurostat. (2018). *The Measurement of Scientific, Technological and Innovative Activities. GUIDELINES FOR COLLECING, REPORTING AND USING DATA ON INNOVATION, Oslo Manual* (4th ed.).p. 20

[19] Kotter, J. P., & Heskett, J. L. (1992). *Corporate Culture and Performance.* New York: Free Press.

[20] (Duygulu E, Ozeren E, Bagiran D, Appolloni A, Mavisu M., (2015) *Gaining insight into innovation culture within the context of R&D centres in Turkey. International Journal of Entrepreneurship and Innovation Management.* 2015;19(1/2):117. DOI: 10.1504/IJTM.2016.081576

[21] Ahmed, P.K. (1998). Culture and climate for innovation. *European Journal of Innovation Management,* 1 (1), 30-43.

[22] Kuh, George D.; Whitt, Elizabeth J. TITLE The Invisible Tapestry. Culture in American Colleges and Universities. ASHE-ERIC Higher Education, Report No. 1, 1988.

Martins და Terblanch (2003)[23]-მ აღწერეს ინტეგრირებულ-ინტერაქტიული მოდელი, რომელიც აერთიანებს კულტურულ ღირებულებებსა და ნორმებს, რაც გავლენას ახდენს შემოქმედებითობასა და ინოვაციურობაზე ორგანიზაციაში. აღნიშნული მოდელი ეფუძნება Edgar Schein-ის ნაშრომს, რომელიც წარმოადგენს ღია სისტემის მოდელს და რომლის საწყისი იდეაც ეკუთვნის Ludwig van Bertalanfy-ს (1950)[24]. აღნიშნული მოდელით მათ განსაზღვრეს შემოქმედებითობისა და ინოვაციურობის ხელშემწყობი საორგანიზაციო კულტურის 5 ფაქტორი: **სტრატეგია, სტრუქტურა, მხარდაბჭერი მექანიზმები, ქცევა, რომელიც ასტიმულირებს ინოვაციას და კომუნიკაცია.**

McLaughlin (2005)[25]**-**მა **Greenwood and Hinings (1993)**[26]**-**ის საორგანიზაციო ნიმუშების კონცეფციასა და Schein-ის (1984) საორგანიზაციო კულტურის მოდელზე დაყრდნობით წარმოადგინეს კონრკეტული მახასიათებლები სრული ინოვაციური კულტურის მოდელის ჩამოსაყალიბებლად. ეს მახასიათებლებია: **პროცედურები, სტრუქტურა, ადამიანები, ორგანიზაციული ასპექტები, ფოკუსი და მენეჯმენტი.**

R.E. Quinn (1988)[27]-ის კონკურენტულ ღირებულებათა ჩარჩოზე (Competing Values Framework) დაყრდნობით, რომელიც აღწერს 4 სახის საორგანიზაციო კულტურას: კლანური, ადჰოკრატული, იერარქიული და საბაზრო, – **K. Cameron და S. Freeman**-მა (Cameron and Freeman, 1991) შეიმუშავეს ორგანიზაციის საკვანძო ასპექტები, კერძოდ:

1. მოქნილობა და მზარდი პროგრესი სტაბილურობასა და კონტროლის ნაცვლად;
2. გარე ფოკუსი და დიფერენციაცია შიდა ფოკუსსა და ინტეგრაციის ნაცვლად.

აღნიშნული მოდელი საშუალებას იძლევა საორგანიზაციო კულტურისთვის საჭირო ასპექტების გამოსავლენად:

- ორგანიზაციის წამყვანი მახასიათებლები – ანუ ორგანიზაციის სტრუქტურა
- ლიდერობის სტილი;
- პერსონალის მენეჯმენტი, რომელიც განსაზღვრავს სამუშაო გარემოს;
- ორგანიზაციის მხარდამჭერი მექანიზმები, რაც კრავს ორგანიზაციას;
- ორგანიზაციის სტრატეგიული ორიენტირი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი მიმართულება ამოქმედებს ორგანიზაციაის სტრატეგიას;
- წარმატების კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა არის წარმატება და რა არის ჯილდოს მიღების საწინდარი.

Büschgens (2013)[28]**-**ის მიერ წარმოდგენილი მოდელით აღნიშნა, რომ Quinn და Rohrbaugh-ის კონკურენტულ ღირებულებათა ჩარჩო (Competing Values Framework) იდეალურია კულტურასა და ინოვაციას შორის კავშირის აღსაქმელად. მათ წარმოადგინეს შემდეგი 3 პარამეტრი, რომლებიც აერთიანებენ იმ ცვლადებს, რომლებიც საჭიროა ინოვაციური კულტურის საკვლევად:

1. მოქნილობა კონტროლის პირისპირ;
2. გარე ორიენტაცია შიდას პირისპირ;

[23] Martins, E.C., Terblanche, F., (2003). Building organizational culture that stimulates creativity and innovation. European Journal of Innovation Management, Vol 6 (1), 64-74.
[24] Ludwig van B. (1950), *General System Theory, Functions, Development, Applications*, University of Alberta Edmonton) Canada.
[25] Mclean LD. Organizational culture's influence on creativity and innovation: A review of the literature and implications for human resource development. *Advances in Developing Human Resources.* 2005;**7**(2):226-246. DOI: 10.1177/1523422305274528.
[26] Greenwood, R. and C. R. Hinings, *The Academy of Management Journal*, Vol. 36, No. 5 (Oct., 1993), pp. 1052-1081.
[27] Quinn, R.E. (1988). Beyond Rational Management: Mastering the Paradoxes and Competing Demands of High Performance. Jossey-Bass, San Francisco, CA. ISBN: 978-1555423773
[28] Bъschgens, T., Bausch, A., Balkin, DB. (2013). Organizational culture and innovation: A metaanalytic review. *Journal of Product Innovation Management.* 30 (4):763-781. DOI: 10.1111/jpim.12021e

3. ორგანიზაციული პროცესები და შედეგები.

Rao and Weintraub (2013)[29]-მა წარმოადგინეს ინოვაციური კულტურის 6 კომპონენტი:

1. ღირებულებები – რომლებიც განსაზღვრავენ პრიორიტეტებს;
2. ქცევები – ინოვაციის წინაშე მდგარი პერსონალის მიერ განხორციელებული აქტივობა
3. კლიმატი – რომელიც უბიძგებს კონკრეტულ პირს უსაფრთხო გარემოში რისკების გაწევისკენ და რომელიც ხელს უწყობს სწავლასა და დამოუკიდებლად ფიქრს
4. რესურსები – რომელიც მოიცავს ადამიანებს, სისტემებსა და პროექტებს
5. პროცესები – რომელიც ინოვაციის განვითარებისკენ მიმართული გზაა
6. წარმატების აღქმა – გარემოს, ბიზნესისა და ინდივიდის დონეზე

Julia Clemencia Naranjo Valencia და Gregorio Calderon Hernandez (2008)[30]-მა წარმოადგინეს ინოვაციური კულტურის მოდელი, რომელიც შედგება 5 კატეგორიისა (რომელსზეც თანხმდებიან სხვა ავტორებიც) და 4 დონისგან:

I. დონე – კულტურის მსაზღვრელები (სტრატეგია, სტრუქტურა, ლიდერობა, ჯილდო, გარემო)

II. დონე – კულტურული თვისებები (თავისუფლება, რისკის გაწევა, ინდივიდის ვალდებულება, მენტალური მოქნილობა, კონსესუსის მიღწევა რაციონალური გზით, განსხვავებული იდეების/ადამიანების მიღება, ცნობისმოყვარეობა/ინტერესის ქონა, კავშირის წარმატებით დამყარება, ინდივიდის დაფასება), რომელზეც გავლენას ახდენს მენეჯმენტის კომპეტენციები და ორგანიზაციის შესაძლებლობები (ეფექტიანი კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა, შეცდომის მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება, მრავალმხრივი განვითარების უნარი, მომხმარებელსა და ბაზარზე ფოკუსირების უნარი, სისხარტის უნარი, ეფექტიანი უერთიერთობების დამყარების უნარი, გენერირებული იდეის განხორციელების უნარი, ცვლად გარემოსთან ადაპაციისა და მოსალოდნელი ცვლილებების პროგნოზირების უნარი, ფოკუსირება მეწარმეობაზე

III. დონე – ქცევითი როლები (გამომგონებლის, ან იდეის გენერატორი პირის როლი, პროდუქტის ჩემპიონის /იდეის მხარდამჭერის ან წამხალისებლის როლი და იდეის პროდუქტად გადაქცევის/დამნერგავის როლი

IV. დონე – შედეგები

ჰარვარდის უნივერსიტეტის პრაქტიკა

ქვევით გაანალიზებულია მსოფლიოს მოწინავე უნივერსიტეტში, კერძოდ ჰარვარდის უნივერსიტეტში არსებული საორგანიზაციო კულტურის მდგენელები კერძოდ: **მისია, სტრუქტურა, მართვა და გადაწყვეტილების მიღება, სწავლება და კვლევა,** რომლებიც უნივერსიტეტების იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. თითოეული მათგანის ანალიზი პასუხობს შემდეგ კითხვებს:

- რატომ არსებობს ორგანიზაცია? (მისია)
- როგორ აღწევს ორგანიზაცია დასახულ მიზნებს? (სტრუქტურა, მართვა, გადაწყვეტილების მიღება)
- რას აკეთებს ორგანიზაცია იმისათვის რომ ეფექტიანად უპასუხოს ორგანიზაციის შიგნითა და მის გარეთ არსებულ საზოგადოებას? (სწავლება და კვლევა).

მისია: ორგანიზაციის მისია მდგომარეობს მისივე არსებობის არსში. მაგალითად **ჰარვარდის**

[29] Rao, J., & Weintraub, J. (2013). MITSloan Management Review: *Cultivating Innovation: CORPORATE CULTURE, p.29*

[30] Julia C. Naranjo-Valencia and Gregorio Calderon-Hernández (November 13th 2018). Model of Culture for Innovation, Organizational Culture, Jolita Vveinhardt, IntechOpen, DOI: 10.5772/intechopen.81002. Available from: https://www.intechopen.com/books/organizational-culture/model-of-culture-for-innovation

უნივერსიტეტის მისიაა მისცეს განათლება ქვეყნის მოქალაქეებსა და მათ ლიდერებს. *„ჩვენ ამას ვაკეთებთ განათლების ლიბერალური ხელოვნებისა და მეცნიერების ტრანსფორმაციული ძალისხმევის მხარდაჭერით. საკლასო აუდიტორიებიდან დაწყებული ჩვენ ხელს ვუწყობთ სტუდენტებს წარმოადგინონ ახალი იდეები და ცოდნის ახლებური გზები, რისი მეშვეობითაც სტუდენტები განიცდიან ინტელექტუალურ ტრანსფორმაციას. ამ ყოველივეს საფუძველზე ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ სტუდენტები დაიწყებენ თავიანთი ცხოვრების ფორმირებას იმ ტალანტებზე, ღირებულებებზე და ინტერესებზე დაყრდნობით, რომლებიც მათ გააჩნიათ და იფიქრებენ იმაზე, თუ როგორ ემსახურონ მსოფლიოს უკეთესად“* (www.harvard.org). აღნიშნული მისიის ცენტრალური ფიგურაა სტუდენტი, რომელიც ახალი იდეების გენერირებით და ინტელექტუალური ტრანსფორმაციის გავლით შეძლებს გაეცნოს სოციუმში მიმდინარე მოვლენებს და ასევე შეძლებს ნათელი სურათის დანახვას თუ რა სურს მას, რომ ცხოვრებაში აკეთოს.

სტრუქტურა, მართვა და გადაწყვეტილების მიღება

უნივერსიტეტები ის დაწესებულებებია, რომლებიც უნდა უწყობდნენ ხელს ისეთ *ღირებულებებს,* როგორიცაა ავტონომია, თავისუფლება, ასევე უნდა ასტიმულირებდნენ დეპარტამენტებსა და ფაკულტეტებს შორის *ურთიერთობებს* და უნდა უჭერდნენ მხარს *ინფორმაციაზე წვდომასა* და *კომუნიკაციას* ხელმძღვანელობასა და ფაკულტეტებს შორის.

სტრუქტურა ხაზს უნდა უსვამდეს გარკვეულ ღირებულებებს როგორიცაა მოქნილობა, თავისუფლება და კოოპერატიული გუნდები. განსაკუთრებით ყურადსაღებია მოქნილობის ღირებულებები, რომლებიც Arad (1997)[31]-ს აქვს თავის ნაშრომში მოხსენიებული და რომელიც აპირისპირებს თავისუფლებას და კონტროლს ერთმანეთთან.

თავისუფლება, როგორც ძირეული ღირებულება ავტონომიით, უფლებამოსილებითა და გადაწყვეტილების მიღებით გამოიხატება. ამით ვლინდება ის, რომ მეცნიერები თავისუფლები არიან ავტონომიური და შემოქმედებითი გზით მიზნების მიღწევაში, მათ ასევე აქვთ თავისუფლება საქმის კეთებისას და პროცესების დასახვის გზაზე (Judge et.al, 1997)[32]. მენეჯმენტმა უნდა წაახალისოს მეცნეიერები, რათა ისინი იყვნენ უფრო შემოქმედებითები და არა მკაცრი კონტროლის ქვეშ. მათი თავისუფლებისა და ავტორიტეტის ხარისხი გადაწყვეტილების მიღებასა და პრობლემების გადაწყვეტის პროცესში განსაზღვრავს მათსავე მხარდაჭერის დონეს მენეჯმენტის მხრიდან, რაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ეფექტიანობის საფუძველს წარმოადგენს.

კოოპერატიული გუნდები სხვადასხვა ავტორების მიხედვით გადამწყვეტია შემოქმედებითობისა და ინოვაციურობისთვის. „ჩვენ ჩამოვაყალიბეთ გუნდები სხვადასხვა ტალანტებისგან, რომლებიც ავსებენ ერთმანეთს და კვლევასა და სწავლებაში განხორციელებული საქმიანობით ხელს უწყობენ უნივერსიტეტის შემოქმედებითობასა და ინოვაციურობას[33]. ურთიერთ გადამკვეთ გუნდებს, რომლებიც ხელს უწყობენ სოციალურ და ტექნიკურ ურთიერთობებს წევრებს შორის შეუძლიათ კოლექტიური შემოქმედებითობის გაუმჯობესება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გუნდის შემოქმედებითობა დამოკიდებულია იმ გზაზე, რომელსაც ისინი იყენებენ ერთმანეთთან და სხვა გუნდებთან საურთიერთოდ სამუშაოს შესრულებისას, იქნება ეს ინფორმაციის გაზიარება თუ სხვა. სწორედ ნდობა და პატივისცემა ქმნის ჯანსაღ ურთიერთობას ორგანიზაციის წევრებს შორის“ (Tierney, 2008)[34]. ასეთი ეფექტიანი გუნდები ნაწილობრივ დაფუძნებულია მათი წევრების უნარებსა და შესაძლებლობებზე, ნაწილობრივ კი გაზიარებულ ღირებულებებზე.

[31] Arad, S., Hanson, M. A., Schneider, R. J. (1997). A Framework for the Study of Relationships Between Organizational Characteristics and Organizational Innovation. The Journal of Creative Behavior, 31(1): 42-58.

[32] Judge, W. Q., Fryxell, G. E. and Dooley, R. S. (1997). The New Task of R&D Management: Creating GoalDirected Communities for Innovation. California Management Review, 39(3): 72-85.

[33] Arad, S., Hanson, M. A., Schneider, R. J. (1997). A Framework for the Study of Relationships Between Organizational Characteristics and Organizational Innovation. The Journal of Creative Behavior, 31(1): 42-58.

[34] Tiernay, W. G. (2008). Trust and Organizational Culture in Higher Education. Center for Higher Education Policy Analysis: University of Southern California)

მიუხედავად იმისა, რომ ჰარვარდის უნივერსიტეტი მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების სიაშია, მას ძალიან პატარა ადმინისტრაციული გუნდი ჰყავს სათავეში. იგი მნიშვნელოვნად დეცენტრალიზებულია სხვადასხვა აქტივობებით ბოსტონსა და კემბრიჯში, მასაჩუსეტში. დასაქმებული პერსონალის უმეტესობა უნივერსიტეტის 4 სკოლაში არიან განაწილებულნი. თითოეულ სკოლას თავისი დეკანი ჰყავს შესაბამისი მატერიალური უზრუნველყოფით, ჰარვარდის შემდეგი ფილოსოფიის შესაბამისად: „every tub on its own button – დამოუკიდებელი უნდა იყოს ყველა".

ჰარვარდი იმ მცირე უნივერსიტეტებს შორისაა, სადაც სკოლები ინდივიდუალურად ირჩევენ საკუთარ კალენდარს. თითოეულ სკოლას აქვს ინდივიდუალური ფინანსური ***ავტონომია და პასუხისმგებლობა.*** პროფესორებსაც უდიდესი ავტონომია გააჩნიათ, ვინაიდან სკოლების უმეტესობაში თითქმის სრულ კონტროლს ახორციელებენ იმ კურსებზე, რომლებსაც თავად ასწავლიან, იმ კვლევებზე, რომლებსაც ატარებენ და იმ აქტივობებს, რომლებსაც ახორციელებენ.

სწორედ **ავტონომია და დეცენტრალიზაციაა,** რომლებიც ჰარვარდის უნივერსიტეტს მოქნილს ხდიან. ყველა სკოლას საკუთარი ადმინისრეაციული სტრუქტურა აქვს. ადმინისტრაციული პერსონალი უფრო მეტად აღიქმება როგორც მხარდამჭერი სტრუქტურა, რომელსაც რესურსების (ფული, შენობა და სხვა კეთილმოწყობილობანი) მართვა უწევს, რათა მხარი დაუჭიროს სკოლების აქტივობებს: სწავლება, კვლევა, მომსახურება. სკოლა იმართება დეკანის ან მისი გუნდის მიერ. სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება მკაფიო და გამჭვირვალეა. ის ასევე მოიცავს ყველა ფაკულტეტის წევრის ჩართულობას.

სწავლება

ჰარვარდის უნივერსიტეტმა განავითარა სწავლისა და სწავლების ინიციატივა (HILT), რომელიც მიმართულია უნივერსიტეტში ინოვაციისა და სწავლა სწავლების ხელშესაწყობად. მისი მიზნებია: ჰარვარდის ძალების მომართვა სწავლისა და სწავლების პროცესისკენ, სტუდენტების საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილება, სწავლის მეცნიერების განვითარება და სწავლებისა და სწავლის ძლიერი ქსელის დანერგვა.

კვლევითი კულტურა

კვლევების დეპარტამენტის დირექტორები ჰარვარდის უნივერსიტეტში ცდილობენ უნივერსიტეტის ინტელექტუალურ საზოგადოებას ხელი შეუწყონ იმ კვლევებს, რომლებიც მულტიდისციპლინარულ კითხვებს პასუხობენ. მაგალითად მათ ჰყავთ:

- კვლევითი მწვრთნელები – რომლებიც ეხმარებიან ფაკულტეტებს სამეცნიერო ნაშრომების ჟურნალში გამოქვეყნებაში
- კვლევითი ლაბორატორიები – რომელიც ხელს უწყობს ფაკულტეტების მიერ გაზიარებულ ინტერესებს
- დამხმარეები ქეისების წერაში

შეთავაზებული საორგანიზაციო კულტურის მოდელი

აღნიშნული მოდელი მოიცავს შემდეგ ფაქტორებს:

- **სტრატეგია** *(მომხმარებელზე ორიენტირებული მარკეტინგი, ძირეული ღირებულებების ინტეგრაცია, ცვლილებაზე რეაგირება, მართვის ცოდნა, სწავლებასა და კვლევაზე ორიენტაცია).*
  - ✓ **მომხმარებელზე ორიენტირებული მარკეტინგი** ფოკუსირებულია არსებულ და პოტენციურ მომხმარებელთა შინაგანი და გარეგანი საჭიროებების შეცნობასა და დაკმაყოფილებას მომსახურებისა და მოქნილობის გაზრდით. ძირეული ღირებულებები უნდა ინტეგრირდეს აქტივობებსა და შედეგებში.
  - ✓ **ცვლილებებზე რეაგირება** მნიშვნელოვანია, ვინაიდან სტრატეგიის მხარდამჭერი მექანიზმია.

- ✓ ხოლო რაც შეეხება **მართვის ცოდნას,** ესეც მნიშვნელოვან ფაქტორადაა წარმოდგენილი, ვინაიდან ტოპ მენეჯმენტი, რომელიც ყველაზე მეტადაა ინოვაციების ხელშეწყობის პროცესში ჩართული, ყველაზე კარგად იცნობს ორგანიზაციის სამომავლო მიმართულებას და მის ფუნქციონირებას.
- ✓ **სწავლებასა და კვლევაზე ორიენტაცია,** ინოვაციის შექმნა, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ უნივერსიტეტი ორიენტირებულია სტუდენტების საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, შესაბამისი რესურსების გაღებაზე, მეცნიერების განვითარებასა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების დანერგვაზე.

❖ **სტრუქტურა** *(მისიის, ხედვის, მიზნებისა და ამოცანების გაცნობიერება და მათ განხორციელებაში ჩართულობა, მენეჯმენტის მხარდაჭერა და ქცევა, სამუშაო გარემო).*

- ✓ **მისიის, ხედვის, მიზნებისა და ამოცანების გაცნობიერება**, ორგანიზაციაში დასაქმებული პირები უნდა იცნობდნენ და ასევე აცნობიერებდნენ ორგანიზაციის ძირეულ ღირებულებებს როგორიცაა მისია, ხედვა, მიზნები და ამოცანები და უნდა იყვნენ მათ განხორციელებაში ჩართულნი.
- ✓ **მენეჯმენტის მხარდაჭერა და ქცევა:**
  - იდეის გენერირება (გამომგონებლის როლი), გენერირებული იდეის ხელშეწყობა/წახალისება (მენეჯმენტის როლი), იდეის პროდუქტად გადაქცევა (დამნერგავის როლი).
  - რისკის გაწევა – მენეჯმენტმა უნდა შექმნას ისეთი ღირებულებები, რაც ხელს შეუწყობს რისკის გაწევას თანამშრომლების მიერ.
  - გადაწყვეტილების მიღება – Shattow's (1996, p. 4)[35]-ის მიხედვით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა უფრო მეტი იდეის გენერირებას უწყობს ხელს
  - ღია კომუნიკაცია და სანდო ურთიერთობა – ღია კომუნიკაცია თანამშრომლებს, მენეჯერებსა და სხვადასხვა დეპარტამენტებს შორის აუცილებელი პირობაა ორგანიზაციის შემოქმედებითობისა და ინოვაციურობის გზაზე. სანდო ურთიერთობა ორგანიზაციაში გაძლიერდება, მხოლოდ მაშინ რაც თანამშრომლები ღიად ითანამშრომლებენ ერთმანეთთან. როგორც ორგანიზაციაში დასაქმებული პირები, ასევე მენეჯერები უნდა ენდობოდნენ ერთმანეთს.
  - ხელმისაწვდომი აღჭურვილობა და წყაროები – მენეჯმენტის მხარდაჭერაზეა დამოკიდებული
  - შეცდომების მიმართ ტოლერანტობა – აუცილებელია ასევე მენეჯმენტის მხრიდან თანამშრომელთა მიერ დაშვებული შეცდომების მიმართ ტოლერანტობის გამოჩენა
  - წესებსა და კანონებთან ადაპტაცია – ასევე მენეჯმენტის მხრიდან ცვლილების (წესებისა და კანონებთან ადაპტაციით) მხარდაჭერა გავლენას ახდენს შემოქმედებითობასა და ინოვაციურობაზე.
  - თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლება – შინაგანი და გარეგანი მოთხოვნების გამოვლენა და დაკმაყოფილება

❖ **ადამიანური რესურსი –** ორგანიზაციის უმთავრეს ნაწილადაა მიჩნეული, ვინაიდან ორგანიზაციაში დასაქმებულ პირებზეა ძირითადად დამოკიდებული ორგანიზაციის წარმატების ხარისხი.

❖ **სამუშაო გარემო** *(მიზნებისა და ამოცანების ინტეგრაცია, კონფლიქტების მოგვარება, კოოპერაციული გუნდები, სანდო ურთიერთობა, მონაწილეობა, საკუთარი სამუშაოს კონტროლი).*

[35] Shattow, M. (1996). Out of the blue. Electric perspectives, 21 (3), 44-54.

- **მიზნებისა და ამოცანების ინტეგრაცია,** პირადი მიზნებისა და ამოცანების თანხვედრა ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებთან ხელს უწყობს შემოქმედებითობასა და ინოვაციას ორგანიზაციაში.
- **კონფლიქტების მოგვარება,** კონფლიქტები უნდა მოგვარდეს კონსტრუქტიულად. Robbins (1997, p. 169)-ის მიხედვით ზოგიერთი კონფლიქტი ხელს უწყობს გუნდის ეფექტიანობის ზრდას.[36]
- **კოოპერაციული გუნდები,** შემოქმედებითობასა და ინოვაციურობაზე გავლენას ახდენს ასევე კოოპერაციული გუნდებისა და სანდო ურთიერთობის არსებობა.
- **მონაწილეობა,** მნიშვნელოვანია ასევე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობრივი სამუშაო გარემოს არსებობაც.
- **საკუთარი სამუშაოს კონტროლი,** აუცილებელია ორგანიზაციაში დასაქმებულმა თითოეულმა პირმა გააცნობიეროს მისი როლი ორგანიზაციაში და აკონტროლოს შესრულებული სამუშაო.

❖ **მართვის სტილი** *(ავტორიტარული, დემოკრეტიული და ტრანსფორმაციული), უნდა იყოს ორგანიზაციაში დასაქმებულთა ცნობიერების დონის განვითარების სტადიის შესაბამისი*[37].



მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოდელი ვერ ჩაითვლება იდეალურად, ვინაიდან ვერ მოერგება ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, იგი მაინც ნათელს ჰფენს კულტურის სხვადასხვა ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს ორგანიზაციის შემოქმედებითობასა და ინოვაციურობაზე. სამომავლო პერსპექტივაში აღნიშნული საკითხის ირგვლივ შეისწავლება და დამუშავდება თეორიული მასალა შემოქმედებითობასა და ინოვაციურობაზე გავლენის მქონე ფაქტორების შესახებ, გაანალიზდება მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები, ჩატარდება კვლევები და შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდება რეკომენდაციები ახალი მოდელის ჩამოსაყალიბებლად შესაბამისი საორგანიზაციო კულტურის ფორმირების მიზნით.

დასკვნა და რეკომენდაციები

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შემოქმედებითობისა და ინოვაციურობის ხელშემწყობი საორგანიზაციო კულტურის კვლევა და ფორმირება ქართულ სინამდვილეში მეტად აქტუალურია, ვინაიდან ქვეყნის მისწრაფება ევროპული თანამეგობრობისკენ, სადაც უმეტესად განვითარებული ქვეყნებია წარმოდგენილი მთელი სიმწვავით აყენებს ჩვენი ორგანიზაციების ეფექტიანობის ამაღლებისთვის საჭირო ამოცანების გადაწყვეტას, რაც ქვეყნის განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია. ქვეყანაში არსებული მატერიალური

[36] Robbins, S.P. (1996). Organizational behaviour: Concepts, controversies, applications (7th ed.). Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall.

[37] Kohlberg, L. (1995). Moral Stages and Moralization: The Cognitive-Developmental Approach, in "Moral Developmental and Behavior", Business Ethics Quarterly 5, no. 1, pp. 43-54.

და ადამიანური რესურსების მაქსიმალური ეფექტიანობით (რაც გულისხმობს ორგანიზაციის წევრების არა მხოლოდ პროფესიული უნარების სწორად გამოყენებას, მათ კარიერულ წინსვლის ხელშეწყობას, ასევე ორგანიზაციაში არსებულ გუნდებში ურთიერთობების ჰარმონიზაციასა და ჯანსაღი ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნას) გამოყენება ორგანიზაციული კულტურის განვითარებითაა შესაძლებელი, რაც არ მოითხოვს ისეთი ოდენობის დანახარჯების გაღებას, რაც შეიძლება ქვეყნისთვის პრობლემატური იყოს. შესაბამისად უდავოდ მნიშვნელოვანია საორგანიზაციო კულტურისა და მართვის უცხოური (მაგალითად ამერიკული და იაპონური) მოდელების უფრო სიღრმისეული შესწავლა და მათგან ყველაზე ოპტიმალური მოდელის საქართველოში არსებული უსდ.ების რეალობის გათვალისწინებით პრაქტიკაში დანერგვა. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციული კულტურის ფორმირების პროცესი ხანგრძლივია, ვინაიდან ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ორგანიზაცია აღქმული იყოს როგორც ერთიანი სისტემა და რომ მას ესაჭიროება ფორმირებისთვის საჭირო ყოვლისმომცველი მიდგომა და მრავალმხრივად დაგეგმილი ძალისხმევეა, საჭიროა ორგანიზაციის ლიდერებმა გააცნობიერონ ორგანიზაციის კულტურის მნიშნელობა და მიმართონ რესურსი მის გაუმჯობესებისკენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

Mayo, E. (1933). The Human Problems of an Industrial Civilization. New York, NY: Macmillan.

Roethlisberger, F. J., & Dickson, W. J. (1939). Management and the Worker. Cambridge, MA: Harvard

University Understanding culture, Deal and Kennedy's Cultural Mode: https://www.mindtools.com/pages/article/newSTR_86.htm

Peters and Robert Waterman's In Search of Excellence (1982).

Hofstede, G. H. 1991. Cultures and Organizations. London: McGraw-Hill.

Furnham, A. and Gunter, B. (1993).*Corporate Assessment: Auditing a Company's Personality, Routledge, London.* Černetič Metoda, 1997. Poglavja iz sociologije organizacije. Kranj: Moderna organizacija.

Eren, E. (2000), "Örgütsel Davranış ve Yönetim Psikolojisi", Beta Basım Yayım Dağıtım AŞ., İstanbul

Surowiecki, J. 2004. The wisdom of crowds. Why the many are smarter than the few and how collective wisdom shapes business, economies, societies, and nations, 1st ed. Doubleday, New York.

Solomanidina, T.O. (2011). Organizational culture of companies. Moscow: INFRA-M

Olivares Farías, R. (2013). La cultura Organizacional, un activo clave para la supervivencia de la empresa: los casos de CEMEX, 3M, Google y Costco. *Daena: International Journal of Good Conscience*, *8*(3), 72-91.

Chiritescu, D. D. (2016). In asteptarea noului Keynes. Retrieved from http/:www.dilemaveche.ro in February 12, 2016.

OECD and Eurostat. (2018). *The Measurement of Scientific, Technological and Innovative Activities.*

GUIDELINES FOR COLLECING, REPORTING AND USING DATA ON INNOVATION, Oslo Manual (4thed.).https://www.oecd-ilibrary.org/docserver/9789264304604-en.pdf?expires=1572960711&id=id&accname=guest&checksum=AE37318C1C541EB3EB44B320B15FE315

West, M.A., Farr, J.L., (1990). "Innovation at work", West M.A., Farr, J.L., Innovation and Creativity at Work: Psychological and Organizational Strategies, Wiley, Chichester, 3-13.

Arad, S., Hanson, M.A. Schneider, R.J., (1997). "A framework for the study of relationships between organizational characteristics and organizational innovation", The Journal of Creative Behavior, 31, 1, 42-58.

Schein E.H., 2004, *Organizational Culture and Leadership*, San Francisco: Jossey-Bass.

Anderson, J., & Markides, C. (2006). Creativity is not enough: ICT enabled Strategic Innovation. *European Journal of Innovation Management , 9* (2), 129 - 148.

OECD and Eurostat. (2018). *The Measurement of Scientific, Technological and Innovative Activities. GUIDELINES FOR COLLECING, REPORTING AND USING DATA ON INNOVATION, Oslo Manual* (4th ed.).p. 20

Kotter, J. P., & Heskett, J. L. (1992). *Corporate Culture and Performance.* New York: Free Press.

(Duygulu E, Ozeren E, Bagiran D, Appolloni A, Mavisu M., (2015) *Gaining insight into innovation culture within the context of R&D centres in Turkey. International Journal of Entrepreneurship and Innovation Management.* 2015;19(1/2):117. DOI: 10.1504/IJTM.2016.081576

Ahmed, P.K. (1998). Culture and climate for innovation. *European Journal of Innovation Management,* 1 (1), 30-43.

Kuh, George D.; Whitt, Elizabeth J. TITLE The Invisible Tapestry. Culture in American Colleges and Universities. ASHE-ERIC Higher Education, Report No. 1, 1988.

Martins, E.C., Terblanche, F., (2003). Building organizational culture that stimulates creativity and innovation. European Journal of Innovation Management, Vol 6 (1), 64-74.

Ludwig van B. (1950), *General System Theory, Functions, Development, Applications*, University of Alberta Edmonton) Canada.

Mclean LD. Organizational culture's influence on creativity and innovation: A review of the literature and implications for human resource development. *Advances in Developing Human Resources.* 2005;**7**(2):226-246. DOI: 10.1177/1523422305274528.

Greenwood, R. and C. R. Hinings, *The Academy of Management Journal*, Vol. 36, No. 5 (Oct., 1993), pp.1052-1081.

Quinn, R.E. (1988). Beyond Rational Management: Mastering the Paradoxes and Competing Demands of High Performance. Jossey-Bass, San Francisco, CA. ISBN: 978-1555423773

Bьschgens, T., Bausch, A., Balkin, DB. (2013). Organizational culture and innovation: A metaanalytic review. *Journal of Product Innovation Management.* 30 (4):763-781. DOI: 10.1111/jpim.12021e

Rao, J., & Weintraub, J. (2013). MITSloan Management Review: *Cultivating Innovation: CORPORATE CULTURE, p.29*

Julia C. Naranjo-Valencia and Gregorio Calderon-Hernández (November 13th 2018). Model of Culture for Innovation, Organizational Culture, Jolita Vveinhardt, IntechOpen, DOI: 10.5772/intechopen.81002. Available from: https://www.intechopen.com/books/organizational-culture/model-of-culture-for-innovation

Arad, S., Hanson, M. A., Schneider, R. J. (1997). A Framework for the Study of Relationships Between Organizational Characteristics and Organizational Innovation. The Journal of Creative Behavior, 31(1): 42-58.

Judge, W. Q., Fryxell, G. E. and Dooley, R. S. (1997). The New Task of R&D Management: Creating GoalDirected Communities for Innovation. California Management Review, 39(3): 72-85.

Arad, S., Hanson, M. A., Schneider, R. J. (1997). A Framework for the Study of Relationships Between Organizational Characteristics and Organizational Innovation. The Journal of Creative Behavior, 31(1): 42-58.

Tiernay, W. G. (2008). Trust and Organizational Culture in Higher Education. Center for Higher Education Policy Analysis: University of Southern California)

Shattow, M. (1996). Out of the blue. Electric perspectives, 21 (3), 44-54.

Robbins, S.P. (1996). Organizational behaviour: Concepts, controversies, applications (7th ed.). Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall.

Kohlberg, L. (1995). Moral Stages and Moralization: The Cognitive-Developmental Approach, in "Moral Developmental and Behavior", Business Ethics Quarterly 5, no. 1, pp. 43-54

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შემოქმედებითობისა და ინოვაციურობის ხელშემწყობი საორგანიზაციო კულტურის ფორმირების გზები

თათია ღერკენაშვილი

დოქტორანტი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის

ანოტაცია

საქართველოში დღეს არსებული ეკონომიკური მდგომარეობა, არაკონკურენტუნარიანი ბიზნეს გარემო, კადრების ხშირი გადინება, როგორც დამსაქმებელთა ასევე დასაქმებულთა უკმაყოფილება თვალშისაცემი რეალობაა და ყველასათვის პრობლემას წარმოადგენს. ყოველივე ზემოაღნიშნულის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად კი შემოქმედებითობისა და ინოვაციურობის ხელშემწყობი საორგანიზაციო კულტურის არარსებობა ითვლება, რომლის მიხედვითაც გასულ წლებში ჩატარებული კვლევების თანახმად მსოფლიოს მოწინავე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (აშშ.ს ჰარვარდის უნივერსიტეტის მაგალითზე), როგორც ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ფორმირების ინსტიტუციებში ყოველთვის იკვეთებოდა საორგანიზაციო კულტურის საჭიროება.

ინოვაცია და შემოქმედებითობა დღეს მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ეკონომიკის განვითარებაში, ორგანიზაციების პროდუქტიულობის ამაღლებასა და მათი კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებაში ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესებისა და უკეთესი პირობების შექმნის გზაზე, შესაბამისად მნიშვნელოვანია სხვადასხვა ავტორის მიერ წარმოდგენილი ინოვაციებისა და შემოქმედებითობის ხელშემწყობი მსაზღვრელებისგან შემდგარი ინოვაციური კულტურის მოდელების გააანალიზება და მის საფუძველზე ახალი ინოვაციური საორგანიზაციო კულტურის მოდელის შეთავაზება საკითხით დაინტერესებულ პირებისთვის, რომლის დანერგვაც ხელს შეუწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეინარჩუნონ კონკურენტუნარიანობა და მარტივად ადაპტირდნენ გლობალიზაციის პირობებში ბაზარზე არსებულ ცვლილებებთან.

საკვანძო სიტყვები: *ორგანიზაციული კულტურა, ინოვაცია და შემოქმედებითობა, ინოვაციური კულტურის მოდელები*

Ways For Forming Organizational Culture that Promotes Creativity
and Innovation in Higher Education Universities

Tatia Gherkenashvili

Ph.D. Student
East European Unievrsity

Abstract

Current economic situation in Georgia, uncompetitive business environment, frequent outflow of personnel, as well as the dissatisfaction of employers and employees is an obvious reality and serves as a problem for everyone. One of the main reasons of aforementioned problems lies under non existence of organizational culture cultivating creativity and innovation. Aaccording to the researches carried out in previous years, there always was the need of organizational culture in the leading universitities (example of Harvard University in U.S.) as the intellectual formation institutions.

Innovation and creativity play an crucial role in economic development, productivity improvement, and maintaining their the competitiveness on the way of improving living standards and the creation of better conditions.

Hence it's important to analyze innovative culture models that encompass dimensions presented by various authors and to suggest new organizationl culture model to the interested parties, the implementation of which will boost to higher education universities maintain competitiveness and easily adapt to the market changes under the globalization conditions.

Keywords: *Organizational culture, Innovation and creativity, Innovative culture models*

ურბანული სივრცის მენეჯმენტი: რა ღონის ცოდნა არის აუცილებელი მუნიციპალიტეტის მმართველებისთვის

გიორგი გიორგაძე

ასოცირებული პროფესორი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

დიდ ქალაქში ცხოვრება ხშირად უკავშირდება სტრესებს, რომლებიც განპირობებულია მთელი სამუშაო დღის განმავლობაში ჩვენს მიერ განხორციელებული ყოველდღიური აქტივობით. პრობლემები, რომლებიც ამ სტრესებს იწვევენ, სხვადასხვა ბუნებისაა, მაგრამ მათი უმრავლესობა პირდაპირ კავშირშია მენეჯმენტთან, უფრო სწორად – ურბანული სივრცის არასწორ მართვასთან. ძირითადი და აუცილებელი კომუნალური ვალდებულებების შესრულებისას, მუნიციპალური სამსახურები მიჰყვებიან ოფიციალურ განაწესებს და ქალაქის ბიუჯეტიდან გამოყოფილ სახსრებს. როგორც წესი, ეს განაწესები უკვე მოძველებული იყო ქალაქის საკრებულოს მიერ მათ დამტკიცებამდე, ხოლო ფინანსები ... ყოველთვის არასაკმარისია.

ქალაქის სივრცის თავისებურებები

ქალაქები, რომლებიც განთავსებულია სიბრტყეზე, ხასიათდებიან სწორი ქუჩებით და მინიმალური ვერტიკალური „ნახტომებით“ არსებულ ტოპოგრაფიაში, გააჩნიათ მდგრადი ბიოკლიმატური მონაცემები, შედარებით ადვილად უმკლავდებიან ურბანულ სტრესებს. რადიკალურად განსხვავებული სურათით არის წარმოდგენილი ქალაქი, გადაკვეთილი ოროგრაფიით, ურბანული განვითარების რთული მორფოლოგიური ქსოვილით, მკვეთრი და ხშირად ცვლადი ამინდით და ა.შ. როდესაც მთელი ეს „სასიცოცხლო გარემო“ ივსება მოტორიზაციის წარმოუდგენლად მაღალი დონით. მოუწესრიგებელი ურბანული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით და გამწვანების დაბალი მაჩვენებლებით, ძლიერდება უიმედობის შეგრძნება, დგება ურბანული კოლაფსის საფრთხე. როდესაც ადამიანის ადგილს ქალაქის სივრცეში – სპორტულ მოედნებზე, ტროტუარებზე, ისტორიული და კულტურული ფასეულობების უშუალო სიახლოვეში იკავებს ავტომობილი, სოციუმისთვის კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ქალაქის სივრცეში მისი პრიორიტეტულობის საკითხი (Giorgi Giorgadze, The History of Land Transport, 2017).

ეკოლოგიური ბალანსის რღვევა

ხეები ვერ მეტყველებენ და დახმარებისკენ ვერ მოუწოდებენ, როდესაც თავისუფალ ადგილებში ბეტონის და მინის „სასახლეების“ აშენება იგეგმება. მცირე მდინარეები ვერ უმკლავდებიან ბულდოზერებს, რომლებიც მათ მიწით ფარავენ. ხეების ნაცვლად მეტყველებენ უხეში ფაქტები: – გვიან ღამით, მძინარე მოქალაქეების სახლებში შემოვარდნილი ღვარცოფები, მძვინვარე მდინარეები, რომლებიც მზად არიან წალეკონ მთელი უბნები.

მუნიციპალიტეტის შეცდომები

1. ნაჩქარევი, დაუსაბუთებელი გადაწყვეტები ქალაქის ურბანული ქსოვილის მნიშვნელოვანი კომპონენტის – სატრანსპორტო მოძრაობის სქემის ფორმირების პროცესში.

   ამ კატეგორიის შეცდომებმა თავი იჩინეს თბილისში, პუშკინის ქუჩის რეკონსტრუქციის პროცესში. ეს ქუჩა წარმოადგენს მთელი დღის განმავლობაში ინტენსიურად დატვირთულ მონაკვეთს, რომელიც ბარათაშვილის ხიდის გაგრძელებას წარმოადგენს და

ანაწილებს ორმხრივ ინტენსიურ სატრანსპორტო ნაკადებს მტკვრის გაღმა-გამოღმა. ქ. თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, უკანასკნელი ათწლეულის პერიოდში ორჯერ (!) ჩატარდა პუშკინის ქუჩის მასშტაბური რეკონსტრუქცია: – პირველი რეკონსტრუქციის შედეგად მოძრაობა გახდა ცალმხრივი; ძალიან მალე აღმოჩნდა, რომ ეს გადაწყვეტილება იყო მცდარი და ჩატარდა მეორე რეკონსტრუქცია, რომლის შედეგადაც აღდგა ორმხრივი მოძრაობის საწყისი სქემა.

სატრანსპორტო მოძრაობის ხანგრძლივი გადაკეტვა აღნიშნულ მონაკვეთზე, ქალაქის ბიუჯეტიდან მილიონიანი ფინანსირების უმიზნო ფლანგვა, სპეც. ტექნიკის და მუშახელის მოცდენა, დამატებითი საცობები ერთ-ერთ საკვანძო სატრანსპორტო არტერიის მისადგომებთან და კატასტროფულად მზარდი გამონაბოლქვის კონცენტრაცია შესაბამის არეალებში – ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ შედეგების, რომლებიც თან ახლდა განხილულ შეცდომას.

მსგავსი შეცდომები კვლავაც მეორდება თბილისის სატრანსპორტო სქემის სხვადასხვა მონაკვეთზე, მაგალითად: ვახუშტი ბაგრატიონის ხიდის მისადგომებთან, თამარ მეფის გამზირზე, გმირთა მოედანზე ცირკის მხრიდან მისასვლელთან პანდუსზე და სხვ.

ამ შეცდომების წინაპირობას წარმოადგენს შესაბამისი მუნიციპალური სამსახურების: – ურბანული, სატრანსპორტო, არქიტექტურის და სხვ. მიერ საკითხის ცალმხრივი გააზრება და უმთავრესი მიზეზის კომპლექსური შეფასების აუცილებლობის უგულვებელყოფა.

ქალაქის ურბანული სივრცის მაფორმირებელი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის – სატრანსპორტო სქემის რეორგანიზაცია წარმოუდგენელია მხოლოდ სატრანსპორტო მოძრაობის გრაფიკების გადაადგილება-მონაცვლეობით, შუქნიშნების დამატებით და ა.შ. უპირველეს საზრუნავს შესაბამისი მუნიციპალური სამსახურებისთვის წარმოადგენს არანაკლებ მნიშვნელოვანი კომპონენტების – შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურის ობიექტების რადიკალური რეკონსტრუქცია სატრანსპორტო არტერიების, ქუჩების და გზების ფიზიკური პარამეტრების გაზრდით, ახალი ელემენტების დამატებით და სხვ.

2. ეკოლოგიური ბალანსის რღვევა. მწვანე მშენებლობის არაეფექტური დანერგვა.

ხეები ვერ მეტყველებენ და დახმარებისკენ ვერ მოუწოდებენ, როდესაც თავისუფალ ადგილებში ბეტონის და მინის „სასახლეების“ აშენება იგეგმება. მცირე მდინარეები ვერ უმკლავდებიან ბულდოზერებს, რომლებიც მათ მიწით ფარავენ. ხეების ნაცვლად მეტყველებენ უხეში ფაქტები: – გვიან ღამით, მძინარე მოქალაქეების სახლებში შემოვარდნილი ღვარცოფები, მძვინვარე მდინარეები, რომლებიც მზად არიან წალეკონ მთელი უბნები.

შეცდომების ამ ჯგუფს მიეკუთვნება მუნიციპალიტეტის პასიური, გარკვეულ შემთხვევებში გაუმართლებლად წამყრუებლური პოზიცია ქალაქის მასშტაბით მწვანე მშენებლობასთან მიმართებაში. მხოლოდ ცალკეული მწვავე სიგნალების, მოქალაქეთა პერმანენტული საპროტესტო აქციების, გარემოს დამცველთა საინიციატივო ჯგუფების აქტიური მოქმედებების შედეგად ხდება შესაძლებელი თბილისის ცალკეულ უბნებში გაცემული სამშენებლო ნებართვების შეჩერება და განადგურებული მწვანე საფარის თუნდაც ნაწილობრივ შენარჩუნება. ხშირად მსგავსი აქციებიც უძლურია მერიის თვითნებური მოქმედების წინააღმდეგ, როგორც ეს მოხდა, მაგალითად „პანორამა თბილისის“ შემთხვევაში. ჯერაც გაურკვეველია მრავალი შიდა საუბნო სპორტული თუ სათამაშო მოედნის, სკვერის სამომავლო ბედ-იღბალი. მაგალითისთვის შეიძლება განხილულ იქნას „ოქროს უბნის“ მოსახლეობის აქტიური სამოქალაქო პოზიცია, რომლის მეშვეობითაც დროებით შესაძლებელი გახდა დეველოპერთა ინტენსიური შეტევის შეჩერება და ერთადერთი სპორტულ-სარეკრეაციო სივრცის შენარჩუნება უბანში. ამ შემთხვევაშიც მუნიციპალური სამსახურები პასიური მაყურებლის როლში იმყოფებოდნენ.

ათწლეულების განმავლობაში ვერ ხერხდება მდინარე მტკვრის და მისი შენაკადების ინტენსიური ჩართვა ქალაქის მწვანე მშენებლობაში. ევროკავშირის დაფინანსებით დამუშავებული „მდინარე მტკვრის ხარისხის გაუმჯობესების პროექტი“. თბილისის მერიამ გაუმართლებლად

გრძელი ვადით შემოდო თაროზე. კურიოზს წარმოადგენს ფაქტი, რომ აღნიშნული პროექტი თვით თბილისის მერიის მიერ იყო ინიცირებული (?!) და მან ევროკავშირის კომისიის მიერ უმაღლესი შეფასება მიიღო. პროექტი მოიცავს კონკრეტულ რეკომენდაციებს და სთავაზობს ქალაქის მმართველობას არგუმენტირებულ დასკვნებს თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდ. მტკვრის და მისი შენაკადების ეფექტური გამოყენების კუთხით.[1]

3. სუსტი და წინააღმდეგობების მქონე საკადრო პოლიტიკა ურბანული სივრცის მართვის რგოლებში.

   ამ კატეგორიის შეცდომებს ქალაქის მერია პერმანენტულად იმეორებს უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში. ურბანული მართვის შეცდომები საქალაქო მუნიციპალური სამსახურების პროფესიონალური კადრებით დაკომპლექტების არასწორი და წინააღმდეგობრივი პოლიტიკის შედეგია, რაც შემდეგში გამოიხატება:

   – დაბალია პროფესიული ცოდნის ხარისხი წამყვანი მუნიციპალური სამსახურების სპეციალისტებში. აღნიშნული ერთნაირად ეხება მართვის ყველა რგოლს – დაბალიდან ხელმძღვანელი და პასუხისმეგებელი პერსონების ჩათვლით; ხშირ შემთხვევებში, მნიშვნელოვან თანამდებობებზე გვევლინებიან შეუსაბამო პროფილით დასაქმებულები. მაგალითისთვის გამოდგება არქიტექტურის და ურბანული საქალაქო სამსახურები, სადაც ხელმძღვანელებად მუშაობენ არქიტექტორის და ურბანული დაგეგმარების პროფილით განათლების არმქონე პირები; საშუალო რგოლის მენეჯერებს არ მოეთხოვებათ მაგისტრის ხარისხი და პრაქტიკული გამოცდილება ვაკანსიების დაკავების საკონკურსო პირობებით (?!).

   – მუნიციპალური სამსახურები არ ატარებენ მათ მიერ შესრულებული სამუშაოების პერიოდულ მონიტორინგს და არ აქვეყნებენ ხარისხის შეფასების კონტროლს შიდა მოკვლევების საფუძველზე.

   – მნიშვნელოვანი ურბანული საკითხების განხილვა არ ტარდება საჯაროდ ქ. თბილისის მერიის მიერ; არ ხდება დამოუკიდებელი ექსპერტების ჩართვა უმნიშვნელოვანესს არქიტექტურულ და სივრცითი დაგეგმარების პროექტებში.

ქალაქის სივრცითი განვითარების საკვანძო დოკუმენტის – თბილისის მიწათმოწყობის გენერალური გეგმის მიღება ხანგრძლივი დროის მანძილზე დაემსგავსა „ცალ კარში თამაშს“ – მერია ერთპიროვნულად სწყვეტდა რა სახის დოკუმენტი იყო საჭირო მისთვის. საერთაშორისო ექსპერტების მნიშვნელოვანი დასკვნების უგულვებელყოფით იქნა მიღებული, საქალაქო ბიუჯეტიდან სოლიდურად დაფინანსებული ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელშიც ჯერაც ბევრი „თეთრი ლაქები“ შეიმჩნევა.

მიღებულ დოკუმენტთან არ იქნა შეჯერებული სხვა საკონკურსო პროექტებში დამუშავებული საყურადღებო საკითხები, რომლებითაც შესაძლებელი გახდებოდა აღნიშნულის „თეთრი ლაქების“ გადაფარვა.[2]

საერთო დასკვნის სახით, მუნიციპალური სამსახურების და ზოგადად თბილისის მერიის მენეჯმენტისთვის მოსალოდნელი შეცდომების აცილების და მათი შედეგების შერბილების მიზნით შესაძლებელია შემდეგი სახის რეკომენდაციების ჩამოყალიბება:

- ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურები, როგორც მუნიციპალური მომსახურების ოფიციალური სტრუქტურები მუდმივად უნდა ატარებდნენ ურბანული სივრცის მართვის მიმდინარე სამუშაოების მონიტორინგს და შიდა მოკვლევების ამსახველ რეალურ სურათს პერმანენტულად აცნობდნენ ფართო საზოგადოებას. განსაკუთრებული როლი ამ კუთხით ენიჭება არქიტექტურის, ურბანულ, სატრანსპორტო, გარემოს დაცვის სამსახურებს.

[1] Ensuring the Improvement of the Mtkvari River Management in the Tbilisi Area. ECFDC Reference: 061310 (EC Ref 2012/294630, December 2012.

[2] Revision of General Plan for Land Use of Tbilisi. Competitive Bid Response. SCP Consultants Pte Ltd. 2015.

პერიოდულად უნდა ქვეყნდებოდეს მნიშვნელოვან ურბანულ პროექტებზე საქალაქო ბიუჯეტიდან გახარჯული თანხების ნუსხა.

- რადიკალურად უნდა შეიცვალოს პროფესიული კადრებით მერიის საქალაქო სამსახურების დაკომპლექტების პოლიტიკა. ყურადსაღები უნდა გახდეს განათლების პროფილი და ცენზი, საერთო სამუშაო სტაჟი და პროფესიონალური მზაობა კონკრეტულ თანამდებობაზე საკონკურსო წესით ვაკანსიის შევსებისას.
- განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ურბანული დაგეგმარების პროექტების შეფასების დროს აუცილებელ პირობად უნდა იქნას მიჩნეული დამოუკიდებელი საექსპერტო შეფასების და საზოგადოებრივი აზრის რეალურად გათვალისწინება. აღდგენილ იქნას არქიტექტურულ-გეგმარებითი საბჭოს გამჭვირვალე მუშაობის პრინციპი და ფართო საზოგადოებისთვის წვდომა განხილვების პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

Giorgi Giorgadze. The Development of Transport Infrastructure Among Cities with a Cultural Heritage (on the example of Tbilisi, Georgia). The History of Land Transport, 2017, 3(1): 4-14.

Ensuring the Improvement of the Mtkvari River Management in the Tbilisi Area. ECFDC Reference: 061310 (EC Ref 2012/294630, December 2012).

Revision of General Plan for Land Use of Tbilisi. Competitive Bid Response. SCP Consultants Pte Ltd. 2015.

ურბანული სივრცის მენეჯმენტი: რა დონის ცოდნა არის აუცილებელი
მუნიციპალიტეტის მმართველებისთვის

გიორგი გიორგაძე

ასოცირებული პროფესორი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

დიდ ქალაქში ცხოვრება ხშირად უკავშირდება სტრესებს, რომლებიც განპირობებულია მთელი სამუშაო დღის განმავლობაში ჩვენს მიერ განხორციელებული ყოველდღიური აქტივობით.
პრობლემები, რომლებიც ამ სტრესებს იწვევენ, სხვადასხვა ბუნებისაა, მაგრამ მათი უმრავლესობა პირდაპირ კავშირშია მენეჯმენტთან, უფრო სწორად – ურბანული სივრცის არასწორ მართვასთან.

ძირითადი და აუცილებელი კომუნალური ვალდებულებების შესრულებისას, მუნიციპალური სამსახურები მიჰყვებიან ოფიციალურ განაწესებს და ქალაქის ბიუჯეტიდან გამოყოფილ სახსრებს. როგორც წესი, ეს განაწესები უკვე მოძველებული იყო ქალაქის საკრებულოს მიერ მათ დამტკიცებამდე, ხოლო ფინანსები ... ყოველთვის არასაკმარისია.

ქალაქები, რომლებიც განთავსებულია სიბრტყეზე, ხასიათდებიან სწორი ქუჩებით და მინიმალური ვერტიკალური "ნახტომებით" არსებულ ტოპოგრაფიაში, გააჩნიათ მდგრადი ბიოკლიმატური მონაცემები, შედარებით ადვილად უმკლავდებიან ურბანულ სტრესებს.

რადიკალურად განსხვავებული სურათით არის წარმოდგენილი ქალაქი, გადაკვეთილი ოროგრაფიით, არსებული ურბანული განვითარების რთული მორფოლოგიური ქსოვილით., მკვეთრი და ხშირად ცვლადი ამინდით და ა.შ. როდესაც მთელი ეს „სასიცოცხლო გარემო" ივსება მოტორიზაციის წარმოუდგენლად მაღალი დონით. მოუწესრიგებელი ურბანული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით და გამწვანების დაბალი მაჩვენებლებით, ძლიერდება უიმედობის შეგრძნება, დგება ურბანული კოლაფსის საფრთხე ...

ხეები ვერ მეტყველებენ და დახმარებისკენ ვერ მოუწოდებენ, როდესაც თავისუფალ ადგილებში ბეტონის და მინის „სასახლეების" აშენება იგეგმება. მცირე მდინარეები ვერ უმკლავდებიან ბულდოზერებს, რომლებიც მათ მიწით ფარავენ. ხეების ნაცვლად მეტყველებენ უხეში ფაქტები: – გვიან ღამით, მძინარე მოქალაქეების სახლებში შემოვარდნილი ღვარცოფები, მძვინვარე მდინარეები, რომლებიც მზად არიან წალეკონ მთელი უბნები.

რა არ იციან ქალაქის „მამებმა“? სად დაუშვეს ისევ შეცდომები? ვისგან შეუძლიათ მიიღონ აუცილებელი ინფორმაცია და გამოიტანონ შესაბამისი დასკვნები? რა აუცილებელ ცოდნას უნდა ფლობდნენ ურბანული სივრცის სწორი მართვისთვის? ისინი არ უნდა ცდილობდნენ მცირე და საშუალო ზომის პრობლემების მოგვარებას და ამ მიზნით ქალაქის ისედაც მცირე ბიუჯეტიდან ხშირ-ხშირად არასაკმარისი თანხების უაზროდ ხარჯვას. რევოლუციური პროცესის გავლაა აუცილებელი შეუქცევადი ურბანული ცვლილებისთვის.

მდგრადი, ეკონომიურად გაწონასწორებული მწვანე ურბანიზმის ცოდნის კონტექსტში შესაძლებელია პასუხების პოვნა, ამ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე.

საკვანძო სიტყვები: *ურბანული სივრცე, ურბანული სტრესები, სასიცოცხლო გარემო, მორფოლოგიური ქსოვილი*

Urban Space Management: What kind of knowledge is Essential for Municipal Governors?

Giorgi Giorgadze

Associate Professor
East European University

Abstract

Life in a large city is often associated with stresses caused by processes that are, as it were, the daily rituals performed by us during a full working day.

The problems that cause these stresses are completely different, but most of them are directly related to the management, more precisely – the poor management of the urban space.

In the course of fulfilling the basic and necessary communal commitments, the municipal services follow the legalized stencils and the finances allocated from the city budget. As a rule, these stencils have become obsolete even before they were approved by the City Council, and finances ... they are always lacking.

The city what is located on a flat site, with the straight streets, with the minimal vertical and horizontal “jaggies” in the available topography, without the special bioclimatic “jumps” can still cope with the urban stresses.

Radically another picture is drawn in a city with a crossed orography, with a complex morphological pattern of the existing urban development, sharp and often illogical weather changes, etc. When all this “still life” is supplemented by an incredibly high level of the motorization with a depreciated urban transport infrastructure and the low indicators of greening, there is a pressure of hopelessness, the approach of urban collapse...

The trees can’t speak and call for help when they are cut to build concrete and glass “palaces” in the liberated areas. Free-running rivers are weak in front of bulldozers, which are covered them with earth. Instead of trees speak the harsh facts: - landslides that carried the buildings and lives of citizens in the places of log houses; Blowing after a downpour, late at night buried under the earthen layer raging rivers are ready to sweep entire districts.

What the “Fathers” of this City do not know? Where did they make again the mistakes? From whom they can and must draw the necessary knowledge? Maybe they should not try to solve small and medium-sized problems and throw the last crumbs from a meager city budget for these efforts and go through the revolutionary process – to change the management of the urban economy drastically and irreversibly?

In the context of the Green Urbanism, it is possible to find answers, at least to some of these questions.

Keywords: *Urban space, Urban stresses, Living environment, Morphological fabric*

მოსამზადებელ სტადიაზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გაუმართლებლობა

გია ლილუაშვილი

ასოცირებული პროფესორი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

შესავალი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომლის შემუშავებაშიც და დანერგვაშიც აქტიურად მონაწილეობდა ცნობილი გერმანელი მეცნიერი ჰელმუტ ჰაინრიხსი, სასამართლოში საქმის წარმოებას ყოფს ორ ნაწილად: **მოსამზადებელ სტადიად, (ანუ როდესაც ხდება საქმის მომზადება მთავარ სხდომაზე განსახილველად**, რასაც მხარეთა წერილობითი შეჯიბრის-წერილობითი წარმოების სტადია შეიძლება ვუწოდოთ) და **სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმეთა განხილვის სტადიად** (ანუ როდესაც მხარეთა ზეპირი შეჯიბრი მიმდინარეობს). ეს ორი სტადია, თავისი შინაარსით და ფორმით, სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისგან. წინამდებარე სტატიაში განსახილველი პრობლემის მეტი თვალსაჩინოებისათვის, მოკლედ აღვნიშნავ, რომ მოსამზადებელ სტადიაზე მოსარჩელის სარჩელი და თანდართული მტკიცებულებები გადაეცემა მოპასუხეს, ხოლო მისი შესაგებელი თანდართული მტკიცებულებებით გადაცემა მოსარჩელეს. ამასთან ერთად, მხარეები სასამართლოს წინაშე აყენებენ გარკვეული სახის შუამდგომლობებსაც. ამ დოკუმენტების ერთ პირს კი, კანონის თანახმად, მოსამართლეს უტოვებენ. ივარაუდება, რომ მოსამართლე ეცნობა ამ დოკუმენტებს, საჭიროების შემთხვევაში, შუამდგომლობების განხორციელებაში ეხმარება მათ. მაგალითად, მოსამართლე გამოითხოვს მტკიცებულებებს სხვადასხვა დაწესებულებებიდან და მოქალაქეებიდან (სსკ 203.1 „ბ“ პუნქტი). ზოგჯერ, მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ზოგიერთი საკითხის გასარკვევად მხარეებს ავალებს მათ მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები შეავსონ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, განმარტონ კიდეც (სსკ 203.1. „ა“ პუნქტი). მოცემული მუხლის ჩამონათვალი ამომწურავი არ არის. მოსამართლეს კანონით უფლება აქვს ამა თუ იმ კონკრეტულ სამოქალაქო საქმეზე შეასრულოს სხვა საპროცესო მოქმედებები, რომელთა შესრულებაც, მისი აზრით, აუცილებელია კონკრეტული საქმის დროულად და სწორად გადასაწყვეტად.[1] ამდენად, სსკ-ის 203-ე მუხლი მთლიანად მოსამართლეს ეხება, რადგანაც ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებები მოსამართლის განსახორციელებელია.

მოსამზადებელ სტადიაზე, კანონით გამონაკლის შემთხვევებში, მოსამართლემ შეიძლება დანიშნოს მოსამზადებელი სხდომაც, მაგალითად, სსკ-ის 205-ე მუხლით ასეთი გამონაკლისი შემთხვევა შეიძლება იყოს:

ა) თუ მხარეების მიერ წარმოდგენილი მასალა მოსამართლისათვის იმის ვარაუდს ქმნის რომ მხარეები შეიძლება მორიგდნენ

ბ) მოპასუხემ ცნოს სარჩელი

გ) მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე

დ) საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესი ამას მოითხოვს.

[1] ქურდაძე, შ. და ხუნაშვილი, ნ. (2015). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამ. „მერიდიანი“, გვ. 413.

ყველა ზემოთ დასახელებული ქმედებები, გარდა მოსამზადებელი სხდომისა, წერილობითი ფორმით ხორციელდება, რაც ამართლებს ამ სტადიის სახელსაც – წერილობითი შეჯიბრი. ეს სტადია მხარეთა პროცესუალური უფლებების გამოვლენის სტადიაა, რომელიც აგებულია დისპოზიციურობის, შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის ფუნდამენტურ პრინციპებზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2007–2011 წლებში განხორციელებული ცვლილებებით, ამ წერილობითი შეჯიბრის სტადიაზე, სასამართლოს მიეცა უფლება გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება შესაგებლის წარუდგენლობისათვის. ამავე ცვლილებებით, სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრდა წესი, როდესაც მოსამზადებელ სტადიაზე ჩანიშნულ მოსამზადებელ სხდომაზე – მხარის გამოუცხადებლობისათვის სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

რამდენად გამართლებულია საქმის მომზადების პროცესში დაუსწრებელი გადაწყვეტილების, როგორც სანქციის გამოყენება?

ა) მოსამზადებელ სტადიაზე შესაგებლის წარუდგენლობისთვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების მართებულობა

2007 წლის დეკემბრამდე, 201-ე მუხლში ცვლილებების შეტანამდე, მოქმედებდა წესი, რომლის თანახმადაც, საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების მიზნით, მოსამართლე გადაუგზავნიდა მოპასუხეს სარჩელს და კოდექსით გათვალისწინებულ საბუთების ასლებს, დაუნიშნავდა მოპასუხეს ვადას, რათა მას სარჩელზე და თანდართულ საბუთებზე თავისი აზრი წარედგინა და ა.შ.

ზემოაღნიშნული წესი მოსამზადებელ სტადიაზე, მისი არსიდან გამომდინარე, წარმოადგენდა მოპასუხის უფლებას და არა ვალდებულებას. მას უნდა სცოდნოდა, რომ სსკ-ის 206 მუხლიდან გამომდინარე, არასაპატიო მიზეზით მოსამართლის მითითებების, წერილობითი მასალების წარუდგენლობისათვის, აგრეთვე სხვა მოქმედებების შეუსრულებლობისათვის, მათ შორის შუამდგომლობების დაუყენებლობისათვისაც (სსკ 215-ე მუხლის მე-2 ნაწილი), აღარ ქონდა უფლება შეესრულებინა ასეთი მოქმედებები საქმის არსებითად განხილვის დროს.

ამდენად, ნორმა, რომელიც დარგის სპეციალისტ გერმანელ იურისტებთან ერთად შემუშავდა, ნათლად აღნიშნავდა, რომ თუ მოსამზადებელ სტადიაზე საპატიო მიზეზის გარეშე არ შეასრულებდა მოსამართლის მითითებებს, მათ ვეღარ შეასრულებდა მთავარ სხდომაზე, რაც, ფაქტობრივად, საქმის წაგებასაც ნიშნავდა. ეს იყო საქმის განხილვის გაჭიანურების წინააღმდეგ მიმართული შესანიშნავი მექანიზმი. თუ პრაქტიკაში რომელიმე მოსამართლე ამ მექანიზმს ვერ ახორციელებდა, ეს იყო არა ამ ნორმის ბრალი, არამედ სასამართლო პრაქტიკის პრობლემა, რაც გამოსწორებას საჭიროებდა. მაგრამ, როგორც ჩანს, პრაქტიკის პრობლემის გამოსწორებას ამჯობინეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანა და საპროცესო ურთიერთობის მონაწილეზე მისი გადატანა.

ვფიქრობ, ზემოაღნიშნულმა ცვლილებებმა გამოიწვია არა მხოლოდ საპროცესო კოდექსის ფუნდამენტური პრინციპების და სისტემის დარღვევა, არამედ, აგრეთვე, სტადიების აღრევაც. თუ რაში ვლინდება ყოველივე ეს, ქვემოთ მოკლედ გავაანალიზებთ.

2007 წლის და 2011 წლის 28 დეკემბრის კანონებით „სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“, 201-ე მუხლში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც მოპასუხეს **დაეკისრა ვალდებულება:**

ა) პასუხი გაეცა სარჩელზე და მასში დასმულ საკითხებზე

ბ) გამოეთქვა თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ

გ) სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მიეწოდებინა სასამართლოსთვის თავისი პასუხი (შესაგებელი)

დ) მიეთითებინა მიზეზებისთვის და დაესაბუთებინა თუ რატომ არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას

ე) შესაგებლისთვის დაერთო მასში მითითებული ყველა მტკიცებულება

ვ) თუ საპატიო მიზეზით არ შეეძლო მტკიცებულებების წარდგენა – მიეთითებინა ამის შესახებ პასუხში.

გარდა იმპერატიული მითითებებისა, ზემოაღნიშნულ მუხლში ოთხჯერ არის ნახსენები ფრაზა: **„მოპასუხე (იგი) ვალდებულია“.** ვალდებულების დარღვევისათვის მოპასუხის მიმართ სამი განსხვავებული შედეგი დგება:

პირველი, თუ „სრულყოფილად“ და „თანმიმდევრულად“ **არ გასცემს დასაბუთებულ პასუხს,** ან პასუხში მითითებულ მტკიცებულებებს არ დაურთავს შესაგებელს, მას ერთმევა უფლება შეასრულოს ასეთი მოქმედება მთავარ სხდომაზე საქმის არსებითად განხილვის დროს (სსკ 201-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილები).

მეორე, თუ არ შეასრულებს **მოსამართლის მითითებებს**, არა საპატიო მიზეზით არ წარადგენს **წერილობით მასალას,** ან **არ შეასრულებს სხვა მოქმედებებს,** მას აღარ ექნება უფლება შეასრულოს ეს მოქმედებები **მთავარ სხდომაზე** და, ამასთან, მოსამართლეს შეუძლია 50 ლარით **დააჯარიმოს** ის მხარე (სსკ 206-ე მუხლი).

მესამე, თუ მოპასუხე სარჩელს **არ გასცემს პასუხს** არასაპატიო მიზეზით**,** მის მიმართ გამოტანილი იქნება **დაუსწრებელი გადაწყვეტილება** (სსკ 201-ე მუხლის მე-7 ნაწილი).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, სსკ-ის 206-ე მუხლი ოდნავ დეტალურად ჩაიშალა 201-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილში, რომელიც ისედაც იყო ასახული სსკ-ის 206 მუხლით გათვალისწინებულ „მოსამართლის მითითებებში“ ან „სხვა მოქმედებების შეუსრულებლობაში“. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, დასახელებული მე-4 და მე-5 ნაწილით გათვალისწინებული წესები დადებითად უნდა შეფასდეს.

მეორე შედეგთან მიმართებაში სსკ-ის 206-ე მუხლი თითქმის იგივე დარჩა, თუმცა გაუგებარი ხდება მოსამზადებელ სტადიაზე დაჯარიმების წესის დამკვიდრება.

ზემოდასახელებული 206-ე მუხლის არსიდან გამომდინარე, მოსამართლე უფლებამოსილია მისი ყოველი მითითების შეუსრულებლობისათვის მხარეს ჯარიმები დააკისროს. სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის ჯარიმების დაკისრება კიდევ გასაგებია, მაგრამ საქმის მომზადების დროს უფლების განუხორციელებლობისათვის კი – არა. ჩემი აზრით, თუ მხარე ვერ წარადგენს წერილობით მასალებს, ან ვერ ასრულებს სხვა მოქმედებას, რომელიც მოსამართლის მითითებების მიხედვით უნდა შეესრულებინა, ის ამას ვეღარ აკეთებს საქმის არსებითად განხილვის დროს რის გამოც, როგორც უკვე აღვნიშნე, შეიძლება საქმე წააგოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯარიმის დაკისრება ზედმეტად მიმაჩნია. ამიტომ მისი მიზანიც გაუგებარია.

რაც შეეხება **მესამე შემთხვევას,** კერძოდ, შესაგებლის წარუდგენლობისათვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას – ეს წესი 2007 წლის 28 დეკემბრის ცვლილებით დამკვიდრდა.

2007 წლის დეკემბრამდე მოქმედი წესით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსამართლის მიერ განსაზღვრულ ვადაში არასაპატიო მიზეზით შესაგებლის წარმოუდგენლობისათვის, მხარეს ერთმეოდა უფლება შეესრულებინა ეს მოქმედებები მოსამზადებელი სტადიის დასრულების შემდეგ, ანუ მთავარ სხდომაზე. აღნიშნული წესი აბსოლუტურად თავსდებოდა დისპოზიციურობის, შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპებში. ეს თავსებადობა მოკლედ შეიძლება ასე განვმარტოთ: **დისპოზიციურობის პრინციპის** დროს მხარის უფლებაა ის, თუ რას მოიმოქმედებს თავისი უფლების დასაცავად, ანუ მისი გადასაწყვეტია – გასცემს სარჩელს პასუხს თუ არ გასცემს.

დისპოზიციურობის პრინციპი სამოქალაქო პროცესში, რომელიც სამოქალაქო მატერიალური სამართლის ერთ-ერთ ფუნდამენტური პრინციპის – ნების ავტონომიის სრული ანარეკლია, ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას განკარგოს თავიანთი არამარტო მატერიალური, არამედ საპროცესო უფლებები.[2] მიუხედავად მხარის ასეთი უფლებებისა, ეს პრინციპი სამოქალაქო

[2] ლილუაშვილი, თ. და სხვა ავტორები (2014). სამოქალაქო საპროცესო სამართალი, წიგნი პირველი, გამ. „სამართალი“. გვ. 80.

საპროცესო სამართალში გარკვეულ ჩარჩოებშია მოქცეული, რაც იმას გულისხმობს, რომ ზოგი უფლების გამოყენება მოსამზადებელ სტადიაზე სრულდება (მაგალითად, სარჩელზე პასუხის გაცემა), ზოგიც მთავარ სხდომაზე უნდა იქნეს გამოყენებული და ა.შ.

შეჯიბრებითობის პრინციპი, რაზედაც ასევე აგებულია სამოქალაქო სამართალწარმოება, მე-4 მუხლით არის გათვალისწინებული. ამ მუხლის მიხედვით, მხარეები სარგებლობენ **თანაბარი უფლებებითა** და **შესაძლებლობებით** დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს, ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

ამდენად, საპროცესო კოდექსი ნათლად გვიჩვენებს, რომ მოთხოვნის დასაბუთებისათვის, უარყოფისათვის და გაქარწყლებისათვის, მათ შორის მტკიცებულებებისაც, მხარეებს აქვთ **უფლებები**, და ამ უფლებების განხორციელებაში ისინი **თანასწორნი** უნდა იყვნენ. ძალიან ძნელია დავინახოთ მხარეთა თანასწორობა იმ შემთხვევაში, როდესაც კანონი სანქციის გამოყენების გზით ავალდებულებს მხარეს თავისი უფლების შესრულებას.

დღეს არსებული წესი შეჯიბრებითობის პრინციპს არღვევს როგორც მოპასუხის მიმართ – ავალდებულებს მას, რომ უფლება განახორციელოს, ასევე მოსარჩელის მიმართაც, რომელსაც შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპების სწორად მოქმედების შემთხვევაში, შეეძლო საქმე მოეგო იმით, რომ მოსამზადებელ სტადიაზე მოპასუხე ზერელედ მოეკიდა თავისი უფლებების განხორციელებას. დღევანდელი წესებით კი საქმის მომზადების სტადიაზე კანონი მოპასუხეს მოუწოდებს, რომ:

ა) მან **„სრულყოფილად“** და **„თანმიმდევრულად“** ასახოს თავისი მოსაზრებები თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით;

ბ) მიუთითოს მიზეზები თუ რატომ არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ გარემოებებს და დაასაბუთოს ისინი შესაბამისი არგუმენტაციით.

რაც შეეხება **მხარეთა თანასწორობის პრინციპს, ის ასევე** ზემოთ აღნიშნული მე-4 მუხლით არის გარანტირებული, კერძოდ: „მხარეები სარგებლობენ **თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით** დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები“.

ამრიგად, წერილობითი შეჯიბრის დროს, რომელიც მოსამართლის მხრიდან არ წარმოადგენს გადაწყვეტილების გამოტანის სტადიას, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაწესება ფუნდამენტური პრინციპების საწინააღმდეგოდ მიმაჩნია.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, 2007 წლის დეკემბერის ცვლილებებით, 201-ე მუხლის მე-7 ნაწილში შესაგებლის წარუდგენლობისათვის დამკვიდრდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. ამავე ცვლილებებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატა ახალი, 232[1]-ე მუხლი, რომლის სათაური და შინაარსი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

„მუხლი 232[1]. მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შედეგები

მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადაში პასუხის **(შესაგებლის) წარუდგენლობისას,** თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, **მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.** ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს **მთავარ სხდომას**, რის შესახებაც ეცნობება მხარეებს ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.“

ამ პერიოდში 201-ე მუხლის მე-2 ნაწილი კი სულ სხვა რამეს ითვალისწინებდა, კერძოდ ჩამონათვალს იმ საკითხებისა, რაც უნდა გაეთვალისინებინა მოპასუხეს თავის წერილობით პასუხში. ამიტომაც, მე-2 ნაწილზე მითითება შეცდომა იყო.

2010 წლის დეკემბრის კანონით 201-ე მუხლში შევიდა ცვლილებები, რომლის ძალითაც მე-2 ნაწილი **შეიცვალა 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ"ქვეპუნტით,** რომელიც ითვალისწინებდა შემდეგს: „დაუნიშნავს მოპასუხეს ვადას იმისთვის, რომ მან წერილობით შეადგინოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე...". **ანუ ხარვეზი გამოსწორდა. ამავე ცვლილებებით სსკ-ის 232[1] მუხლიდან** ამოიღეს სიტყვა „მთავარი" და დატოვეს სიტყვა „სხდომა". ამის შედეგად წინადადება ასე ჩამოყალიბდა: „წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს **სხდომას**, რის შესახებაც ეცნობება მხარეებს...".

2011 წლის დეკემბრის კანონით, სსკ-ის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსი შეიცვალა: გაუქმდა „ა" და „ბ" პუნქტები. მაგრამ 232[1] -ე მუხლი 2010 წლის დეკემბრის რედაქციით დღემდე მოქმედებს, ანუ 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" პუნქტზე მითითება დღეს უკვე ხარვეზად უნდა მივიჩნიოთ[3].

სსკ-ის 232[1]-ე მუხლის შინაარსი მიუღებელია სულ მცირე 2 მიზეზით:

პირველი: გაუგებარია შესაგებლის წარუდგენლობისათვის როდის გამოაქვს მოსამართლეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება – მოსამზადებელ სტადიაზე, თუ საქმის არსებითად განხილვის სტადიაზე? ტერმინი „ზეპირი მოსმენა" მთავარ სხდომას ანუ საქმის არსებითად განხილვას უკავშირდება, არადა მუხლის შინაარსიდან გამომდინარე მოსამართლე მთავარ სხდომას არ ნიშნავს, უფრო მეტი უცნაურობა ის არის რომ მოსამართლე არცერთ მხარეს არ ატყობინებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. მსგავსი წესი ანუ როდესაც ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს გადაწყვეტილება მოქმედებს, მაგალითად, სააპელაციო სასამართლოში, კერძოდ, 376[1]-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე თუ ზეპირი მოსმენის გარეშე უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება, სასამართლო წინასწარ აცნობებს მხარეებს ამის შესახებ, ამასთან მას საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თარიღის შესახებ გამოაქვს განჩინება. მსგავსი წესი მოქმედებს საკასაციო ინსტანციაშიც (მუხლი 408). 232[1]-ე მუხლით კი მხარეებისთვის შეტყობინება არ ხდება, ამიტომაც ეს მუხლი ამოვარდნილია „ლოგიკური თანმიმდევრობიდან".

მეორე: დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა ხდება ისე, რომ მოსამართლე არ ეკითხება მოსარჩელე მხარეს – სურს თუ არა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. ამ წესის შემოტანით კანონმდებელმა დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუთანაბრა ჩვეულებრივ გადაწყვეტილებას რაც მიუღებლად უნდა იქნეს მიჩნეული. დაუსწრებელი გადაწყვეტილება თავისი ფორმით, შინაარსით და გასაჩივრების წესით ჩვეულებრივი გადაწყვეტილებისგან სრულიად განსხვავებული ინსტიტუტია. მისი ერთ-ერთი, საყოველთაოდ აღიარებული თვისება ის არის რომ იგი გამოიტანება მხოლოდ მხარის თხოვნით და არა სასამართლოს ინიციატივით. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, სხდომის ჩატარების შესახებ სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში ატყობინებს მხარეებს თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. აქაც პრობლემა იგივე რჩება – გაუგებარია თუ რომელ სხდომას ნიშნავს მოსამართლე – მოსამზადებელს თუ მთავარ სხდომას?

ბ) **მოსამზადებელ სტადიაზე ჩანიშნულ მოსამზადებელ სხდომაზე – მხარის გამოუცხადებლობისათვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მართებულობა**

მხარეთა წერილობითი შეჯიბრის პროცესში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა ბოლო ეტაპზე, **გამონაკლის შემთხვევაში** დაუშვა მხარეთა შეხვედრა მოსამართლესთან. ამ შეხვედრას **„მოსამზადებელი სხდომა"** ეწოდა (სსკ მუხლი 205). ამ მუხლიდან ნათლად იკვეთება, თუ რაში მდგომარეობს მოსამზადებელი სხდომის არსი[4]. კერძოდ, „თუ წარმოდგენილი წერილობითი მასალები მოსამართლეს აძლევს **ვარაუდის** საფუძველს, რომ მხარეებმა შეიძლება:

[3] კანონმდებლობის ხარვეზზე მიუთითებს, აგრეთვე ქურდაძე შ. და ხუნაშვილი ნ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 640.
[4] ლიტერატურაშიც ეს საკითხი ფართოდ არის განხილული, მაგალითად, ლილუაშვილი თ. და ხრუსტალი ვ. 2007, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე. ქურდაძე შ. და ხუნაშვილი ნ. დასახელებული ნაშრომი.

ა) საქმე მორიგებით დაამთავროს

ბ) მოპასუხემ ცნოს სარჩელი

გ) მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე

დ) თუ, მოსამართლის აზრით, სასამართლო განხილვისათვის საქმის **სათანადოდ მომზადების ინტერესი** ამას მოითხოვს

მოსამართლეს შეუძლია მხარეთა წერილობითი მასალის **მიღების შემდეგ** დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა...“

მომზადების ეტაპი უნდა გაიაროს უკლებრივ ყველა საქმემ, დამოუკიდებლად იმისა, რთულია თუ მარტივი ეს საქმე.[5]

ზემოაღნიშნული წესი მიანიშნებს არა მხოლოდ მოსამართლისა და მხარეების შეხვედრის საფუძვლებზე, არამედ, აგრეთვე, საქმის შეწყვეტის საფუძვლებზედაც. კერძოდ:

1. თუ მოსამართლე წარმოდგენილი მასალებიდან ჩათვლის, რომ მხარეები შეიძლება მორიგდნენ, მოსამართლე ნიშნავს მოსამზადებელ სხდომას და გამოაქვს განჩინება მხარეთა მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ (სსკ 272-ე მუხლის „დ“ პუნქტი).
2. თუ წარმოდგენილი მასალებიდან, მაგალითად, შესაგებლიდან ჩანს, რომ მოპასუხე ცნობს სარჩელს, მოსამართლე ნიშნავს მოსამზადებელ სხდომას და გამოაქვს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.
3. თუ მოსარჩელე უარს ამბობს თავის სარჩელზე, ამ შემთხვევაშიც მოსამართლე ნიშნავს მოსამზადებელ სხდომას და გამოაქვს განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ (სსკ 272-ე მუხლის „გ“ პუნქტი).

როგორც ვხედავთ, სამივე შემთხვევაში საქმის წარმოების შეწყვეტა მხარის თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე ხდება, ანუ სასამართლოს დადგენილება გამოაქვს სამოქალაქო საპროცესო სამართლის ფუნდამენტური პრინციპის – დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე. აღნიშნული პრინციპის მიხედვით, „მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი“ (სსკ მე-3 მუხლის მეორე ნაწილი).

ამრიგად, მოსამზადებელი სტადია, თავისი არსიდან და ბუნებიდან გამომდინარე, ისე არის აგებული, რომ მოსამართლის მხრიდან მხარის მიმართ „დასჯის“ მექანიზმის გამოყენება გაუგებრობად უნდა ყოფილიყო მიჩნეული. მიუხედავად ამისა, „დასჯის“ მექანიზმი სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მაინც იქნა შემოტანილი. მისი შემოტანა გაამართლეს იმით, რომ არაკეთილსინდისიერი მხარის მხრიდან აღკვეთილიყო საქმეთა განხილვის გაჭიანურება. ერთი შეხედვით, თუნდაც პრაქტიკოსი იურისტის თვალით, აღნიშნული მექანიზმის დანერგვა გამართლებულია – არასაპატიო მიზეზით არ გასცემ სარჩელზე პასუხს – გამოტანილი იქნება დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რითაც აღიკვეთება საქმის განხილვის გაჭიანურება. ეს წესი დამკვიდრდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი 2007 წლის 15 დეკემბრის ცვლილებებითა და დამატებებით, კერძოდ, სსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილში.

რაც შეეხება **მოსამზადებელი სტადიის მოსამზადებელ სხდომაზე** დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, ეს წესი სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრდა 2010 წლის 15 დეკემბერს სსკ-ის 229-ე მუხლის პირველ ნაწილიდან სიტყვა „მთავარი“-ს ამოღების შემდეგ. აღნიშნული მუხლის პირველი და მეორე ნაწილი დღეს ასეა ჩამოყალიბებული:

1. თუ **სასამართლო სხდომაზე** არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის

[5] ლილუაშვილი, თ., ხრუსტალი, ვ. დასახელებული კომენტარი, მუხლი 200, გვ. 359.

საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

2. თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რაც უკავშირდება 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები. თუ მოპასუხე სარჩელის განუხილველად დატოვების წინააღმდეგია, სასამართლო **გადადებს** საქმის განხილვას. მოსარჩელის განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

საერთოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIV თავი – დაუსწრებელი გადაწყვეტილება – შინაარსობრივად ისეა აგებული, რომ სიტყვა „მთავარი"-ს ამოღება მას მაინც არ აიგივებს სასამართლოს მოსამზადებელ სხდომასთან. ეს კარგად ჩანს 229-ე მუხლის შინაარსიდანაც, რომლის პირველი ნაწილი ეხება მოსარჩელის გამოუცხადებლობის შედეგს, ხოლო მეორე ნაწილი კი, პირველი ნაწილიდან გამომდინარე, მოპასუხის ორ უფლებას: ა) არ მოითხოვოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მოსარჩელის წინააღმდეგ და ბ) არ იქნეს გამოტანილი განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. ამრიგად, ეს არის ერთი მუხლის ორი განუყოფელი ნაწილი.

ზემოაღნიშნული ორივე ნაწილი რომ მხოლოდ მთავარ სხდომას ეხება, ჩანს თავად წესში არსებული ფრაზიდანაც: **„სასამართლო გადადებს საქმის განხილვას." ამ ფრაზაში** გამოყენებული ტერმინები ნათლად მიანიშნებს რომ ისინი მთავარ სხდომას, ანუ საქმის არსებითად განხილვის სტადიას ეხება. მაგალითად, **„საქმის განხილვა"** მოსამზადებელ სხდომაზე არ ხდება. ამ სხდომაზე განსახილველი არაფერია, იქ მოსამართლე მხოლოდ არკვევს და აზუსტებს სსკ-ის 205-ე მუხლიდან გამომდინარე ზოგიერთ საკითხს. ამავე მუხლშია მითითებული, რომ „თუ მოსამართლის აზრით, **სასამართლო განხილვისათვის** საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესები ამას მოითხოვს, მოსამართლე უფლებამოსილია..." ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ეს ტერმინი, რომელიც ხშირად გამოიყენება, მხოლოდ მთავარ სხდომას უკავშირდება.

იგივე შეიძლება ითქვას სიტყვა **„გადადება"**-ზეც, რომელიც ასევე მხოლოდ მთავარ სხდომაზე საქმის არსებითად განხილვას უკავშირდება და არა მოსამზადებელ სხდომას. მაგალითად, სსკ-ის 190-ე მუხლის თანახმად: 1. თუ შეგებებული სარჩელი აღძრული და მიღებულია საქმის წინასწარი მომზადების დამთავრების შემდეგ, მოსარჩელის თხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით შეიძლება ამ საქმის განხილვის სხვა დროისათვის **გადადება.**

212-ე მუხლი, რომელიც ეხება სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას. ამ მუხლის მე-10 ნაწილით: ამ მუხლით გათვალისწინებული პატიმრობის შესახებ საქმის განხილვისას სასამართლო დაკავებულ პირს აცნობებს საქმის განხილვის დროსა და ადგილს. მხარის გამოუცხადებლობა არ იწვევს სხდომის **გადადებას.**

216-ე მუხლი კი საერთოდ განმარტავს თუ რა მოიაზრება „გადადება"-ში და „გაგრძელება"-ში. მათი შინაარსი მიგვანიშნებს იმაზე რომ სიტყვა „გადადება" და „გაგრძელება" მხოლოდ მოსამზადებელი სტადიის დასრულების შემდეგ ანუ მთავარ სხდომაზე გამოიყენება.

ამრიგად, არ შეიძლება გადავდოთ მოსამზადებელი სხდომა, საჭიროების შემთხვევაში ის შეიძლება მხოლოდ თავიდან ჩავნიშნოთ.

რაც შეეხება ტერმინს **„სასამართლო სხდომა"** – სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ანალიზი იძლევა იმის აღნიშვნის საფუძველს, რომ ის უპირატესად მთავარ სხდომასთან მიმართებაში გამოიყენება.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ზოგჯერ მოსამართლის მიერ გამოტანილ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში გამოყენებულია ტერმინი „მთავარი (მოსამზადებელი) სხდომა". ასეთი ტერმინი სამოქალაქო საპროცესო კოდექსისთვის უცნობია, ამიტომ გაუგებარი

ხდება თუ რომელ სტადიაზე იქნა მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება? მითუმეტეს, თუ ის არც გადაწყვეტილების შინაარსიდან იკვეთება.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მოსამზადებელ სხდომაზე გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების პრობლემაც დგება. მაგალითად, თუ მხარე გაასაჩივრებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას იმ მოტივით, რომ მას გამოუცხადებლობისათვის საპატიო მიზეზი ქონდა, როგორ წარიმართება ვითარება: საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო თავიდან ჩანიშნავს მოსამზადებელ სასამართლო სხდომას?

ამრიგად, სწორი იქნება, თუ სასამართლო პრაქტიკა მხარის გამოუცხადებლობისათვის მოსამზადებელ სხდომაზე არ გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, მითუმეტეს, რომ ამის საფუძველს არ იძლევა არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და არც მოსამზადებელი სტადიის ბუნება.

თუ გადავხედავთ საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობას, ზემოთ განხილული ძირითადი პრობლემური ნორმები ძალიან გავს ლატვიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსს[6]. ამ კოდექსის 150-ე მუხლის თანახმად:

1. თუ მხარე საპატიო მიზეზის გარეშე სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს შესაგებელს, დადგენილ ვადაში არ უპასუხებს მოსამართლის მოთხოვნებს, მოსამართლეს უფლება აქვს დააჯარიმოს 50 ლატით[7]
2. თუ მხარე, საპატიო მიზეზის გარეშე არ გამოცხადდება მოსამზადებელ სხდომაზე, მოსამართლეს უფლება აქვს დააჯარიმოს 50 ლატით.
3. თუ მოპასუხემ არ წარმოადგინა შესაგებელი და საპატიო მიზეზის გარეშე არ გამოცხადდა მოსამზადებელ სხდომაზე, სასამართლოს უფლება აქვს გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

როგორც ზემომითითებული წესიდან ჩანს, მსგავსად საქართველოში მოქმედი წესისა, მოსამართლე პირადი ინიციატივით ღებულობს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას. მაგრამ საქართველოში მოქმედი წესისგან განსხვავებით, ერთდროულად უნდა არსებობდეს ორი გარემოება: შესაგებლის წარმოუდგენლობა და საპატიო მიზეზის გარეშე მოსამზადებელ სხდომაზე გამოუცხადებლობა. თუმცა, თუ გავაანალიზებთ ამავე კოდექსის 149-ე მუხლს-მოსამართლის მოქმედება სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადების მიზნით და 149[1] მუხლს-მოსამზადებელი სხდომა, ზემოთ დასმული იგივე კითხვები გაგვიჩნდება ამ მუხლების მიმართაც. გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ მოსამზადებელი სხდომის ჩატარება, ლატვიის სამოქალაქო საპროცესო კანონით, მსგავსად ქართული წესისა არ არის სავალდებულო.

დასკვნა

მოსამზადებელ სტადიაზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული საკითხის კვლევამ დაგვანახა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2007-2011 წლებში განხორციელებული ცვლილებები არ იყო სათანადოდ შესწავლილი და გააზრებული. აღნიშნულმა გარემოებამ ხელი შეუწყო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძვლების არასწორად გაფართოებას. გარდა ამისა, ზოგიერთი ტერმინის ცვლილებების შედეგად გაუქმებამ პირველი ინსტანციის სასამართლო პრაქტიკაში შექმნა რამდენიმე არასწორი პრეცედენტი, როდესაც დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოსამზადებელ სხდომაზეც იქნა გამოტანილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროდ მიმაჩნია მოსამზადებელ სტადიაზე შესაგებლის წარუდგენლობისათვის და მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობისათვის გაუქმდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წესები.

6 ლატვიის სამოქალაქო საპროცესო კანონი, 2010 წლის მდგომარეობით,https://likumi.lv/ta/id/50500-civilprocesa-likums/redakcijas-datums/2010/02/01

7 ლატვიაში ლატები მოქმედებდა 2014 წლის 1-ელ იანვრამდე, შემდეგ დამკვიდრდა ერთიანი ევროპული ვალუტა – ევრო.

გამოყენებული ლიტერატურა:

ლატვიის სამოქალაქო საპროცესო კანონი, 2010 წლის მდგომარეობით, https://likumi.lv/ta/id/50500-civilprocesa-likums/redakcijas-datums/2010/02/01

ლილუაშვილი, თ. და სხვა ავტორები (2014). სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „სამართალი".

ლილუაშვილი, თ. და ხრუსტალი, ვ. (2007). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემცლობა „სამართალი".

ქურდაძე, შ. და ხუნაშვილი, ნ. (2015). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი".

მოსამზადებელ სტადიაზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გაუმართლებლობა

გია ლილუაშვილი

ასოცირებული პროფესორი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თავისი ბუნებით, გადაწყვეტილების ერთ-ერთ საინტერესო და მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენს. ის ერთგვარი სანქციაა იმ პირის მიმართ, რომელიც, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საპატიო მიზეზის გარეშე არ ასრულებს სასამართლოს მითითებებს.

აღნიშნული ინსტიტუტი არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შექმნის მომენტიდან, თუმცა დროთა განმავლობაში მისი მიღების საფუძვლები გაფართოვდა. 2007-2011 წლებში დამკვიდრდა წესი, რითაც, გარკვეულ შემთხვევებში დაუსწრებელი გადაწყვეტილება დაშვებულ იქნა სამოქალაქო სამართალწარმოების მოსამზადებელ სტადიაზეც. ამ წესის დამკვიდრების მიზანი მხარის არაკეთილსინდისიერი ქმედებით მოსამზადებელი სტადიის გაჭიანურების აღკვეთა იყო. თუმცა ასეთი გაჭიანურების მცდელობის თავიდან ასაცილებლად სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გარკვეულ წესს ისედაც ითვალისწინებდა.

ეს წესი კეთილსინდისიერ მხარეს აძლევდა შესაძლებლობას მოეგო სამოქალაქო დავა სასამართლოს მთავარ სხდომაზე.

სტატიაში დასაბუთებულია მოსამზადებელ სტადიაზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გაუმართლებლობა.

საკვანძო სიტყვები: *დაუსწრებელი გადაწყვეტილება, სამოქალაქო სამართალწარმოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი*

The Unjustifiably of a Judement by Default on the Preparatory Stage

Gia Liluashvili

Associate Professor
East European University

Abstract

The Judgment by default, by its nature, is one of the most interesting and important form of judgment. It is a sanction against a person, who does not comply with courts instructions and does not provide an adequate reason for noncompliance, for example, does not appear at the trial.

The Judgment by default rule has been in existence since the Civil Procedure Code was created, but the grounds for its adoption have gradually expanded over time. In 2007 - 2011, the rule, which in some cases had allowed a default judgment at the preparatory stage of civil proceedings was entered into force.

The purpose of this rule was to prevent the party from delaying the pretrial process. However, the Civil Procedural Code has already provided for a rule to prevent such delays.

This rule made it possible for the bona fide party to be otherwise protected in return for a default judgment at the Preparatory Stage.
In this article the unjustifiably of a Judgment by default on the preparatory stage is argued.

Keywords: *Judement by default, Civil proceedings, Civil procedure code*

რუანდის გენოციდის გამომწვევი საგარეო ფაქტორები

ბაქარ მაცაბერიძე

დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შესავალი

1994 წლის 6 აპრილს, კიგალისთან[1] დაუდგენელი პირების მიერ განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტმა,[2] რუანდაში ათწლეულების განმავლობაში არსებული სამოქალაქო დაპირისპირების ახალი ტალღის ინსპირირება გამოიწვია. მომდევნო 100 დღის განმავლობაში, ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევებით გამოწვეული უმწვავესი ჰუმანიტარული კრიზისისა და *,,მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ყველაზე არაორაზროვანი გენოციდის შემთხვევის"*[3] შედეგად, სხვადასხვა მონაცემებით 500 000-დან 800 000-მდე ადამიანი იქნა მოკლული,[4] ხოლო მილიონობით ადამიანს იძულების წესით საკუთარი სახლ-კარის მიტოვება მოუხდა.

საერთაშორისო თანამეგობრობა და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უძლური აღმოჩნდა გენოციდის ნაადრევი პრევენციის მოსახდენად, რომლის ნიშნები 1994 წლამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა.[5] რუანდაში მიმდინარე მოვლენების პასუხად, 1994 წლის 8 ნოემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს №955-ე რეზოლუციის თანახმად, 1994 წლის 1 იანვრიდან 1994 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, რუანდის ტერიტორიაზე და რუანდის მოქალაქეების მიერ მეზობელ სახელმწიფოებში, გენოციდის, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებული სერიოზული დარღვევებისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში პასუხისმგებელი პირების სამართალში მიცემის, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების, ქვეყანაში ეროვნული შერიგების, მშვიდობის აღდგენისა და ხელშეწყობის მიზნით, რუანდის თაობაზე საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი იქნა დაფუძნებული,[6] რაც ექსტრაორდინალურ ქმედებასა[7] და მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს[8] დაფუძნების გზაზე ერთერთ ყველაზე გარდამტეხ ეტაპს წარმოადგენდა.

იუგოსლავიისა[9] და რუანდის საერთაშორისო დროებითი ტრიბუნალები მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პირველად შექმნილ საერთაშორისო დროებით ტრიბუნალებს წარმოადგენდ-

---

[1] კიგალი – რუანდის დედაქალაქი.

[2] 1994 წლის 6 აპრილს, დღემდე დაუდგენელი პირების მიერ განხორციელებული სარაკეტო თავდასხმის შედეგად ჩამოგდებულ იქნა ტანზანიიდან ბურუნდის მიმართულებით მფრინავი თვითმფრინავი, რომლის ბორტზე მყოფი თორმეტივე მგზავრი, მათ შორის, რუანდის პრეზიდენტი იუვენალ ჰაბიარიმანა და ბურუნდის ახლადარჩეული პრეზიდენტი, სიპრიენ ნტარიამინა იქნა მოკლული.

[3] Gourevitch P., (1999). "We Wish to Inform You That Tomorrow We Will Be Killed with Our Families'. (New York: Farrar, Straus and Giroux) p.170

[4] Desforges, A. (1999). "Leave None to Tell the Story", Genocide in Rwanda, Human Rights Watch, pp.17-18

[5] იხ: Report of the International Commission of Investigation on Human Rights Violations in Rwanda Since October 1, 1990, (January 7-21, 1993), page 51, და Ndiaye B.W., Special Rapporteur to Rwanda from 8 to 17 April 1993, Question of the Violations of Human Rights and Fundamental Freedoms in Any Part of the World, With Particular Reference to Colonial and Other Dependent Countries and Territories, United Nations, Economic and Social Council, Commission on Human Rights, U.N. Doc.E/CN.4/1994/7Add.1.(1993), para. 78-81

[6] United Nations, Security Council Resolution 955 (1994). Statute of the International Tribunal for Rwanda, article 1 Competence of the International Tribunal for Rwanda, U.N. Doc. S/RES/955 (1994), page 3

[7] Blewitt, G.T., (1995). Ad Hoc Tribunals Half a Century after Nuremberg, 149 MIL. REV. pp. 103-104

[8] Rome Statute of the International Criminal Court, United Nations Diplomatic Conference of Plenipotentiaries on the Establishment of an International Criminal Court, Rome, Italy 1998, A/CONF.183.9* (1998). p. 5

[9] იხ: United Nations, Security Council Resolution 808 (1993), U.N. Doc. S/RES/808, (1993)

ნენ და მიუხედავად იმისა, რომ ისინი შორს იყვნენ სრულყოფილებისაგან, მათ საერთაშორისო სისხლის სამართლის სიცოცხლისუნარიანობისა და საერთაშორისო მართლმსაჯულების შესაძლებლობის დემონსტრირება მოახდინეს. ტრიბუნალების დაარსებამ, მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს შექმნის იდეისადმი ინტერესის განახლება გამოიწვია, რომლის საბოლოო გამოხატულება რომის 1998 წლის დიპლომატიური კონფერენცია იყო.[10]

საერთაშორისო სისხლის სამართლის დარგისათვის უმნიშვნელოვანესი კონტრიბუციისა და ზემოთ ხსენებული ისტორიული მნიშვნელობის გათვალისწინებით, იუგოსლავიისა და რუანდის საერთაშორისო დროებითი ტრიბუნალების საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების კვლევასთან ერთად, მკვლევართათვის ამოუწურავი ინტერესისა და შესწავლის საგანს, უშუალოდ ტრიბუნალების შექმნის გამომწვევი მიზეზების, 1990-იან წლებში ზემოთხსენებულ ქვეყნებში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტების კვლევა და ანალიზი წარმოადგენს, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი რუანდაში განხორციელებულ გენოციდს უჭირავს.

რუანდის გენოციდი, ისევე როგორც ყველა სხვა გენოციდი, კომპლექსურ ფენომენს წარმოადგენს, რომელიც გრძელვადიანი, არაერთი დამოუკიდებელი, თანაბარი მნიშვნელობის მქონე ფაქტორის კომბინაციის შედეგია, რაც გენოციდის ანალიზის მცდელობისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულად არც-ერთი დამოუკიდებელი ცალკე აღებული ფაქტორი, იქნება ეს სიღარიბე, კოლონიური მმართველობის ისტორიული მემკვიდრეობა თუ ისტორიის არასწორი აღქმა, გენოციდის უშუალო გამომწვევი მიზეზი არ გამხდარა, ყველა ამ გარემოებამ საბოლოოდ ჩამოაყალიბა კონტექსტი, რომლის შედეგად რუანდელებმა კრიზის პერიოდში გენოციდის განხორციელების გადაწყვეტილება მიიღეს.[11]

რუანდის გენოციდის გამომწვევ მიზეზთა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი ე.წ. საგარეო ფაქტორებს უჭირავს, რომელთა შესწავლა და ანალიზი წინამდებარე სტატიის მიზანს წარმოადგენს.

რუანდა
ტუტსი, ჰუტუ, ტვა

რუანდა აფრიკის კონტინენტზე, ე.წ. „დიდი ტბების რეგიონში“[12]კონგოს, უგანდას, ტანზანიასა და ბურუნდის შორის მდებარე სახელმწიფოს წარმოადგენს, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს გერმანელი კოლონიალისტების ხელში აღმოჩნდა და გერმანიის აღმოსავლეთ აფრიკის ნაწილი გახდა.[13] გერმანიის იმპერიის მმართველობა რეგიონში დიდხანს არ გაგრძელებულა. პირველ მსოფლიო ომში განცდილი მარცხის შემდგომ რუანდა და ბურუნდი ბელგიურ ადმინისტრაციას დაექვემდებარა.[14]

ევროპული კოლონიური მმართველობის დამყარებამდე რუანდის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი ტუტსები, ჰუტუ და ტვა, მრავალი საუკუნის განმავლობაში ერთი მეფის (მვამის) ქვეშ გაერთიანებულ სამეფოში მცხოვრებ, საერთო ტრადიციების, ენის, კულტურისა და ისტორიის მქონე ხალხს წარმოადგენდნენ. რუანდის სახელმწიფოს განვითარებასთან ერთად გარკვეული მმართველი ელიტა ჩამოყალიბდა, რომელთაც ტუტსები ეწოდათ, ხოლო ხალხის დანარჩენი ნაწილი კი ჰუტუს სახელით გახდა ცნობილი. ბელგიელმა კოლონიზატორებმა ქვეყანაში საუკუნეების მანძილზე არსებული სოციალურ-ეკონომიკური დაყოფის არასწორი ინტერპრეტაცია მოახდინეს და სამი სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფი, ეთნიკურ ჯგუფებად დაყვეს. მათი იდეოლოგიის თანახმად, ტუტსები დამპყრობელ რასას, ხოლო ჰუტები და ტვა ადგილობრივ ბანტუს ხალხს მიეკუთვნებოდნენ.[15]

[10] Ford S., (2018).The Impact of the Ad Hoc Tribunals on the International Criminal Court, pp.2-3
[11] Human Rights Watch, (2006). ’’ The Rwandan Genocide: ’’How it was prepared’’, p.2
[12] აღმოსავლეთ აფრიკის ტბები – ტბათა სისტემა, რომელიც აღმოსავლეთ აფრიკაში მდებარეობს.
[13] იხ: Scholz A., (2015). Hutu, Tutsi and Germans: Racial Cognition in Rwanda Under German Colonia Rule, Leiden University, pp.25-28
[14] The Unity of Rwandans Before The Colonial Period and Under The Colonial Rule – Under The First Republic, Republic of Rwanda, Office of The President of The Republic, Kigali (1999). p.12
[15] Nikuze D., (2014).The Genocide Against the Tutsi in Rwanda: Origins, Causes, Implementation, Consequences, and the Post-Genocide Era, International Journal of Development and Sustainability, Vol3, Numb.5, pp.1089-1090

ევროპელი კოლონიალისტების ხელშეწყობით რუანდელებმა ისტორიის დამახინჯებული ვერსია მიიღეს, რომლის თანახმად ტუტსები რუანდის ტერიტორიაზე ჩრდილო აღმოსავლეთ აფრიკიდან შემოსულ დამპყრობელ ჯგუფს წარმოადგენდნენ, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობა სამხედრო ძალაზე დაყრდნობით დაიმორჩილეს.[16]

კოლონიალისტების ხელშეწყობით განვითარებული რასობრივი თეორიების, საიდენტიფიკაციო ბარათებში ეთნიკური კუთვნილების ამსახველი ჩანაწერებისა და გატარებული საერთო პოლიტიკის შედეგად,[17] ჰუტუსა და ტუტსის კატეგორიები უფრო შესამჩნევად გაიყო, დაუპირისპირდა ერთმანეთს და შეიქმნა რეალობა, რომელშიც ტუტსების ელიტა მართვის ექსკლუზიური უფლების მქონე ზემდგომ, ხოლო ჰუტები კი თავს შევიწროებულ ჯგუფებად მიიჩნევდნენ. კოლონიალისტების დამოკიდებულება ჯგუფების მიმართ მკვეთრად განსხვავებული იყო. მაშინ როდესაც, ტუტსები უფრო უპირატეს მდგომარეობაში იყვნენ ჩაყენებულნი და ბუნებრივ ლიდერებად განიხილებოდნენ, რომელთა რიგებიდანაც მმართველი ელიტა უნდა შემდგარიყო, საჯარო სამსახურებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჰუტების მცირე ნაწილი იყო წარმოდგენილი.[18]

1946-1962 წლებში რუანდა-ურუნდის[19] ტერიტორია საერთაშორისო სამეურვეო სისტემის ნაწილს წარმოადგენდა,[20] რის თაობაზედ ადგილობრივი მოსახლეობისათვის ცოტა რამ იყო ცნობილი.[21]გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ტერიტორიებზე ადგილობრივი მოსახლეობის პოლიტიკური ევოლუციის პროგრესი ფასდებოდა როგორც ნელი. ამასთან, პროცესების დაჩქარება შესაძლოა დიდი უბედურებისა და ქაოსის მაპროვოცირებელი მიზეზი გამხდარიყო. ბელგიური ადმინისტრაცია კი თავის მხრივ, ადგილობრივ ტომობრივ ინსტიტუციებში წყნარ ვითარებაში შეტანილი ცვლილებებით ამაყობდა.[22]

1950-იან წლებში, რუანდის კოლონიურმა ბელგიურმა ადმინისტრაციამ საერთაშორისო საზოგადოებისა და პირველ რიგში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზეწოლის შედეგად, ჰუტებისათვის რუანდის საჯარო ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობების ზრდა დაიწყო. რამდენიმე ჰუტუ ადმინისტრაციის საპასუხისმგებლო პოზიციებზე განაწესეს. ამასთან, ადმინისტრაციის ხელშეწყობით გაიზარდა ჰუტუ სტუდენტობის რაოდენობა, რამაც ჰუტუს რიგებში განათლებული ელიტის ფორმირების პროცესს შეუწყო ხელი.[23] როგორც ზემოთხსენებული ცვლილებების კომენტირებისას ელისონ დეს ფორჯესი აღნიშნავს, *,,ცვლილებები ტუტსების შესაშინებლად საკმარისი თუმცა, ჰუტების დასაკმაყოფილებლად არასაკმარისი აღმოჩნდა".*[24]

რუანდის მოახლოებულ დამოუკიდებლობასთან ერთად ტუტსები უმრავლესობის მმართველობის დამყარებამდე ბელგიელთა ჩანაცვლებას, ხოლო რადიკალი ჰუტები პოლიტიკურ სისტემაზე კონტროლის დამყარებას ქვეყნიდან კოლონიალისტების გასვლამდე იმედოვნებდნენ.[25]

---

[16] Human Rights Watch, (2006).The Rwandan Genocide: How It Was Prepared, p.3 ზემოთხსენებული თეორია გაზიარებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური წარმომადგენლის 1948 წლის მოხსენებაშიც, რომლის თანახმად, ქამიტი მწყემსი ბატუტსებმა დღევანდელი რუანდის ტერიტორიაზე მოსვლის შემდგომ ადგილობრივი ბა-ჰუტები ეკონომიკური ზემოქმედების შედეგად დაიმორჩილეს, მიითვისეს საძოვრები, შეიქმნეს ფეოდალური უფლებები და გახდნენ მმართველნი. იხ: H. Laurentie, E.W.P. Chinnery, L. Mousheng, R.E. Woodbridge, UN Visiting Mission to the Trust Territories of Ruanda-Urundi and Tanganyika, U.N. Doc. T/217 (1948), pp. 34-36

[17] იხ: Van Brakel R., Kerckhoven V.X., (2014). The Emergence of the Identity card in Belgium and its Colonies, Histories of State Surveillance in Europe and Beyond, Routledge, pp. 8-11

[18] Nikuze D., (2014). The Genocide against the Tutsi in Rwanda: Origins, Causes, Implementation, Consequences, and the Post-Genocide Era, International Journal of Development and Sustainability, Vol. *3,* Numb. 5, (2014). pp.1089-1091

[19] ურუნდი – დღევანდელი ბურუნდი

[20] იხ:United Nations, General Assembly, Proposed Trusteeship Agreement for Mandated Territory of Ruanda-Urundi Submitted by The Belgian Government, U.N. Doc. A/159/Rev.2 (1946)

[21] H.Laurentie, E.W.P.Chinnery, L.Mousheng, R.E.Woodbridge, UN Visiting Mission to the Trust Territories of Ruanda-Urundi and Tanganyika, U.N. Doc. T/217 (1948).p. 7

[22] იქვე: 16

[23] Childress E.S., (2015). From Revolution to Ruin: A Preliminary Look at Rwanda's First Two Presidents, Gregoire Kayibanda and Juvenal Habyarimana, and Their Administrations, University of Missouri-Kansas City, p.136

[24] Desforges A., (1999). 'Leave None to Tell the Story", Genocide in Rwanda, Human Rights Watch, p.36

[25] იქვე: გვ. 36

კონფლიქტის დასაწყისი

ტუტსების ოლიგარქიისათვის პირველ მნიშვნელოვან გამოწვევას 1957 ჰქონდა ადგილი, როდესაც ჰუტებმა ე.წ. „ბაჰუტუს მანიფესტი“[26] გამოაქვეყნეს, რომელიც მათ ემანსიპაციასა და უმრავლესობის მმართველობას მოითხოვდა. აღნიშნული, ჰუტებსა და ტუტსებს შორის პოლიტიკური ბრძოლის დასაწყისად მიიჩნევა.[27]

ჰუტების მიერ „ბაჰუტუს მანიფესტის“ მიღება რეგიონში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური წარმომადგენლის მისიას უძღვოდა წინ, რომლის ანგარიშის თანახმად, ტერიტორიებზე ფეოდალური მმართველობის ნიშნების არსებობის მიუხედავად, ქვეყნის დემოკრატიულ პრინციპებზე გადასვლა მაინც განხორციელდებოდა. სპეციალური წარმომადგენლის მოხსენების თანახმად – *„არსებობს ყველა იმედი იმისა, რომ გარდასვლა მინიმალური დაძაბულობისა და სირთულეების ფონზე მოხდება,“* რასაც იგი ბელგიური ადმინისტრაციის დამსახურებად მიიჩნევდა, რომელიც *„40 წლის მანძილზე მიზანმიმართულ პოლიტიკას აუჩქარებლად, გონივრულად და პროგრესულად ატარებდა“.*[28] ოპტიმისტური განწყობისა და *„ადგილობრივ ტომობრივ ინსტიტუციებში წყნარ ვითარებაში შეტანილი ცვლილებების“* მიუხედავად, *„პოლიტიკური ევოლუციის პროცესი“* და *„ქვეყნის დემოკრატიულ პრინციპებზე გადასვლა“*, *„დიდი უბედურებისა და ქაოსის“* ფონზე წარიმართა.

1959 წლის ივლისში რუანდის მეფის, მუტარა III რუდაჰიგვას[29] საეჭვო ვითარებაში გარდაცვალებამ[30]არსებული მძიმე სიტუაციის კიდევ უფრო გართულებასა და მხარეთა რადიკალიზაციას შეუწყო ხელი. ქვეყანაში მოახლოებული კრიზისის შეგრძნება სუფევდა, მოსახლეობის შიში კი იმაში მდგომარეობდა, რომ მეფის გარდაცვალების შემდგომ ჰუტები რესპუბლიკის გამოცხადებას მოითხოვდნენ, რასაც თავისმხრივ, ტუტსების წინააღმდეგობა მოჰყვებოდა.[31]

ქვეყანაში არსებული მწვავე პოლიტიკური კრიზისი 1959 წლის ნოემბერში სისხლისღვრაში გადაიზარდა, როდესაც რადიკალურად განწყობილი როიალისტი ტუტსები,[32] ჰუტების ერთერთ ბელადს თავს დაესხნენ, რაზეც ამ უკანასკნელებმა მეტი სისასტიკით უპასუხეს.[33] ჰუტებმა ტუტსი ბელადების მკვლელობები ქვეყნის ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილში განახორციელეს, რასაც ქვეყნის სამხრეთში ტუტსების მხრიდან ჰუტების პოლიტიკური პარტიების წევრების მკვლელობა მოჰყვა. ჰუტების მიერ უპირატესად მმართველი ტუტსი ელიტის წინააღმდეგ მიმართული ძალადობის შედეგად, მრავალი ტუტსი ბელადი იქნა მოკლული, ხოლო ცოცხლად გადარჩენილნი, ბელგიელი კოლონიზატორების ხელშეწყობით, დაკავებული პოზიციები და გათავისუფლებულნი და ჰუტებით იქნენ ჩანაცვლებულნი.[34] შედეგად, პოლიტიკურმა პარტია პარმენჰუტუმ[35] ადვილად მოიგო 1960 წლის არჩევნები და 1961 წლის რეფერენდუმი, რომლის თა-

[26] იხ: ,“Manifeste des Bahutu, Note sur l’aspect social du probleme racial indigene au Ruanda”, (1957)

[27] Melvern L.R., (2000). A People Betrayed: The Role of the West in Rwanda’s Genocide, London, Zed Books, p.13

[28] Dorsinville M.H., Hamilton R.N., Maung U.T., Cedile J., UN Visiting Mission to Trust Territories in East Africa 1957, Report on Ruanda-Urundi, U.N. Doc. T/1402 (1958),at. 2-4

[29] მუტარა III რუდაჰიგვას – რუანდის მეფე 1931-1959 წლებში

[30] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1960 წლის ანგარიშის თანახმად, 1959 წლის 25 ივლისს მეფე ბელგიელი ექიმის მონახულების შემდეგაც მალევე გარდაიცვალა. გარდაცვალების რეალური მიზეზების დადგენა ვერ მოხერხდა, რამაც მრავალი ჭორისა და სხვადასხვა თეორიების განვითარებას შეუწყო ხელი. იხ: United Nations, Trusteeship Council, Twenty-Sixth Session, Visiting Mission to Trust Territories in East Africa, 1960 Report on Ruanda-Urundi, T/1538, (1960). para.148-150, ელისონ დეს ფორჯესის თანახმად, რუანდელებმა მეფის გარდაცვალებაში ბელგიელები დაადანაშაულეს. იხ: Desforges A., (1999). ‘‘Leave None to Tell the Story”, Genocide in Rwanda, Human Rights Watch, p.51 ხსენებული ვერსიის გამყარებას მეფის მიერ ბელგიური ოკუპაციის დაუყოვნებლივი დასრულებისა და ქვეყნისათვის სრული დამოუკიდებლობის მინიჭების მოთხოვნის არაერთგზის დაყენება უწყობდა ხელს. იხ: Addington Saint-David S., The Kings of Rwanda: Fathers of a Nation, The Royal Rwandan Association of Knighthood and Nobility, p. 25

[31] United Nations, Trusteeship Council, Twenty-Sixth Session, Visiting Mission to Trust Territories in East Africa, 1960 Report on Ruanda-Urundi, T/1538, (1960). para. 153

[32] რუანდის ნაციონალური კავშირის, იგივე უნარის წევრები-Union Nationale Rwandaise–UNAR)

[33] Des Forges A., Leave None to Tell the Story: Genocide in Rwanda, Human Rights Watch, (1999). p.36

[34] The Unity of Rwandans - Before TheColonial Period and Under The Colonial Rule – Under The First Republic, Republic of Rwanda, Office of The President of The Republic, Kigali (1999).p.78

[35] პოლიტიკური პარტია – ბაჰუტუს განმათავისუფლებელი მოძრაობის პარტია, *Parmehutu - Parti du mouvement de l’émancipation des Bahutu*

ნახმად რუანდის მოსახლეობის 80%-მა მხარი მონარქიის დასრულებას დაუჭირა. აღნიშნულ მოვლენებს ე.წ. „ჰუტუს რევოლუცია ეწოდება.

ასეთ პირობებში ხვდებოდა რუანდა მოახლოებულ დამოუკიდებლობას.

რუანდის დამოუკიდებლობა
ტუტსების რეპატრიაციის პირველი მცდელობები

1962 წლის 23 თებერვალს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ჩამოყალიბებულისპეციალურ კომისიის მიზანს, რუანდა-ურუნდის ტერიტორიაზე სხვადასხვა პოლიტიკური ძალების გაერთიანება, ლტოლვილთა დაბრუნების საკითხის, კანონისა და წესრიგის, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების, მათ შორის გამოხატვის თავისუფლების, ქვეყნების დამოუკიდებლობამდე ბელგიური სამხედრო კონტიგენტის სრული გაყვანა და გაეროს მიერ მივლენილი ექსპერტების მიერ ადგილობრივი მოსახლეობისაგან შემდგარი ძალების წვრთნა წარმოადგენდა. ამავე რეზოლუციის თანახმად, 1962 წლის 9 აპრილის, ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში დაწყებული კონფერენციის, მიზანს რუანდა-ურუნდის შორის, ყველაზე უფრო ახლო პოლიტიკური, ეკონომიკური და ადმინისტრაციული ურთიერთობების ფორმის – *„მხარეთათვის, მისაღები ფორმულის“* შემუშავება წარმოადგენდა.[36]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხედვით, რუანდა-ურუნდის ერთ სახელმწიფოში გაერთიანება, საერთო ეკონომიკა, ერთიანი თავდაცვა, საგარეო ურთიერთობებში ერთ სუბიექტად წარმოჩენა, სამომავლოდ ტერიტორიების სტაბილური განვითარების გარანტი უნდა ყოფილიყო. ამასთან, პარადოქსული იქნებოდა ორმოცი წლის მანძილზე ერთ კოლონიურ ადმინისტრაციის ქვეშ არსებული, ერთიდაიგივე ეთნიკური შემადგენლობისა და ამასთან ესოდენ ლიმიტირებული ეკონომიკური პერსპექტივების მქონე ტერიტორიის ორ სახელმწიფოდ გაყოფა[37]. სპეციალური კომისიის თავმჯდომარის ენჯი ბრუქსის განცხადებით, – *„გაერთიანებულ ერების ორგანიზაციაში არ არსებობს წევრი ქვეყანა, რომელიც აღნიშნულ ხედვას არ იზიარებს“.*[38]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. ბურუნდისა და რუანდის მთავრობები მომავალში რაიმე სახის პოლიტიკურ ერთობას არ განიხილავდნენ, იქნებოდა ეს ფედერაცია თუ კონფედერაცია. რუანდის დელეგაციის მიერ კომისიისათვის წარდგენილი ანგარიშის მიხედვით, ორივე ტერიტორიის წარმომადგენლების შეხვედრაზე, ერთიანობის იდეა არცერთი მხარის მიერ არ იქნა გაზიარებული. დელეგატების აზრით, აღნიშნული უახლოეს მომავალში არ იყო შესაძლებელი.[39]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ, 1962 წლის 27 ივნისის N1748 (XVI) რეზოლუციის თანახმად, რუანდასა და ურუნდის შორის ერთიანობის შენარჩუნების მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. გენერალურმა ასამბლეამ, რუანდა-ურუნდისთან მიმართებაში 1946 წლის 13 დეკემბრის სამეურვეო შეთანხმების შეწყვეტა, 1962 წლის 1 ივლისისათვის დაადგინა. ასამბლეის მიერ ორივე ქვეყნის ტერიტორიიდან ბელგიური კოლონიური ჯარების გაყვანის მოთხოვნა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ მათი ორგანიზაციაში მიღების რეკომენდაცია იქნა გაცემული.[40]

ადის-აბებას კონფერენციაზე მხარეების მიერ გაჟღერებული „ძმური სულისკვეთების“ მიუხედავად ახლადშექმნილ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა მალევე გამწვავდა, რაც 1959 წლის შემდგომ რუანდიდან განდევნილი, ბურუნდიში მყოფი ტუტსი ლტოლვილების რეპატრი-

[36] United Nations, GeneralAssembly, The Future of Rwanda-Urundi, U.N. Doc. A/RES/1743 (XVI), (1962).

[37] A. Brooks, Report of the United Nations Commission for Rwanda-Urundi, UN. Doc. A/5126/ Add.1 (1962). Annex VI, p.20

[38] *„როგორც გენერალური ასამბლეისა და მეოთხე კომიტეტში გამართული დებატების ოქმები მოწმობენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მიერ გამოთქმული მოსაზრების თანახმად, რუანდა-ურუნდის ტერიტორიამ დამოუკიდებლობას როგორც ერთმა, გაერთიანებულმა სახელმწიფომ უნდა მიაღწიოს“, იხ:* Report of the United Nations Commission for Ruanda-Urundi Established Under General Assembly Resolution 1743 (XVI), Question of the Future of Ruanda-Urundi, UN. Doc. A/5126 (1962), Para 29

[39] იქვე, Annex XII, at 67, Annex X, at 44, Annex XII, at 68-70, Annex XIV, at 71-74

[40] United Nations, GeneralAssembly, The Future of Rwanda-Urundi, U.N. Doc. A/RES/1748 (XVI), (1962).

აციის მცდელობებს უკავშირდებოდა. აღსანიშნავია, რომ 1961-67 წლებში რუანდის ოთხივე მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიიდან, ტუტსი ლტოლვილების მიერ ათამდე შეიარაღებული თავდასხმა განხორციელდა,[41] რომელთა მიზანს ქვეყანაში ტუტსების მმართველობის აღდგენა წარმოადგენდა. ზემოთხსენებული მიზეზებიდან გამომდინარე, რუანდის მთავრობის ორ უმთავრეს გამოწვევას ქვეყნის გარეთ მყოფი ტუტსების მიერ კონტრ-რევოლუციის საფრთხის აღკვეთა და კონტ-რევოლუციის წარმატების ალბათობის შემცირების მიზნით, ქვეყნის შიგნით მხარდაჭერის მოპოვება წარმოადგენდა.[42]

ტუტსი ლტოლვილების მიერ განხორციელებული ყოველი წარუმატებელი თავდასხმა, რუანდაში 1959 წლის შემდგომ დარჩენილი ტუტსებისათვის უფრო დიდი ტრაგედიის და შევიწროების მიზეზი ხდებოდა, რომლის შედეგად ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, მომდევნო ორი წლის განმავლობაში რუანდის ოთხივე მეზობელ სახელმწიფოში მყოფი ტუტსი ლტოლვილების რაოდენობა 150 000 მდე გაიზარდა.[43]

უგანდა
რუანდის პატრიოტული ფრონტი

რუანდელ ტუტსებს, ლტოლვილობის საწყის ეტაპზე, ე.წ. „მიმღები სახელმწიფოების" მხრიდან ყველაზე კარგი დახვედრა უგანდაში ჰქონდათ[44] თუმცა, აღნიშნული დამოკიდებულება წლების განმავლობაში მკვეთრად იცვლებოდა[45]. რუანდელი ტუტსები უგანდაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებში, ათწლეულების განმავლობაში წარმოებული სამოქალაქო ომებსა თუ სამხედრო გადატრიალებებში აქტიურად აღმოჩდნენ ჩართულნი, რაც მომავალში რუანდის ტრაგედიის ერთერთი წინაპირობა გახდება.

1979 წელს იდი ამინის[46]უსასტიკესი რეჟიმის დამხობის შემდგომ, რუანდელი ტუტსები ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან შურისძიებისა და იერიშების სამიზნე გახდნენ.[47]ძალადობრივი ქმედებების პასუხად, უგანდაში მყოფმა რუანდელმა ტუტსებმა, დაზარალებული ლტოლვილების დახმარების მიზნით, – *რუანდელი ლტოლვილების დახმარების ფონდი* ***(Rwanda Refugee Welfare Foundation – RRWF)*** შექმნეს, რომელსაც იმავე წელს, როგორც სახელი ***(რუანდის ნაციონალური ერთობის ალიანსი – (Rwanda Alliance for National Unity – RANU)*** ასევე ძირითადი მიზნებიც შეეცვალა. ამჯერად, ორგანიზაციის გაცხადებულ მიზანს, არა მხოლოდ დაზარალებული ლტოლვილების დახმარება, არამედ რუანდაში მათი რეპატრიაცია წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციამ არ გაიზიარა 1960-იანი წლებში ტუტსი ლტოლვილების სულისკვეთება რუანდაში მონარქიული სისტემის აღდგენის შესახებ და სამშობლოში ძალისმიერი გზით დაბრუნებაზე უარი განაცხადა.[48]გაცხადებული პოზიციის მიუხედავად, ორგანიზაციის წევრებს შორის წლების განმავლობაში ღვივდებოდა იდეა რუანდაში შესაძლო სამხედრო გზით დაბრუნების თაობაზე. 1985 წელს კენიაში გამართულ ორგანიზაციის საიუბილეო კონგრესზე ორგანიზაციის ზოგიერთი წევრი ევროპული ქვეყნების მიერ რუანდაში ლტოლვილების მშვიდობიანი დაბრუნების ცარიელი დაპირებებით გამოწვეულ აღშფოთებას არ მალავდა.[49]

---

[41] Lemarchand R., (1970). Rwanda and Burundi, Praeger Publishers, New York, N.Y., U.S.A., p.21

[42] იქვე: 198

[43] The United Nations and Rwanda 1993-1996, (1996). The United Nations Blue Books Series, Volume X, The United Nations Department of Public Information, Reproduction Section, New York, NY. გვ.10

[44] იხ: Segal A., (1964). Massacre in Rwanda, Fabian Research Series 240, Fabian Society, 11 Dartmouth Street, S.W.1.,p.18

[45] იხ: Lemarchand R.,(1970). Rwanda and Burundi, Praeger Publishers, New York, N.Y., U.S.A., p.198,
Kuperman A.J., (2003). Explaining the Ultimate Escalation in Rwanda: How and Why Tutsi Rebels Provoked a Retaliatory Genocide, p.4

[46] იდი ამინი – უგანდის მესამე პრეზიდენტი 1971-1979 წლებში

[47] იხ:Kuperman A.J.,(2003). Explaining the Ultimate Escalation in Rwanda: How and Why Tutsi Rebels Provoked a Retaliatory Genocide, Paper presented at The American Political Science Association Conference, Philadelphia, PA. p.4

[48] გაცხადებული პოზიციის მიუხედავად, რანუ 1983 წლიდან მოყოლებული მუსევენის აჯანყებულთა შორის მებრძოლებს გზავნიდა, რათა რუანდაში ძალადობრივი გზით დაბრუნების სცენარის შემთხვევაში მის წევრებს გარკვეული სამხედრო გამოცდილება ჰქონოდათ. იხ: Kuperman A.J.,(2003). Explaining the Ultimate Escalation in Rwanda: How and Why Tutsi Rebels Provoked a Retaliatory Genocide, p.5

[49] Kuperman A.J., Explaining the Ultimate Escalation in Rwanda: How and Why Tutsi Rebels Provoked a Retaliatory Genocide, p.5

1986 წელს რუანდის პრეზიდენტ იუვენალ ჰაბიარიმანას მიერ ტუტსი ლტოლვილების რუანდაში დაბრუნების აკრძალვამ და უგანდაში მუსევენის[50] აჯანყებულების მიერ კამპალას[51] სამხედრო გზით აღებამ,[52] ორგანიზაციის შიგნით ლტოლვილების ე.წ. ძალისმიერი მეთოდით დაბრუნების მსურველთა პოზიციების გამყარება გამოიწვია, რის შედეგადაც 1987 წელს **რანუში** საბოლოდ მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ორგანიზაცია რუანდაში ლტოლვილების დაბრუნების მიზნის მისაღწევად, საჭიროების შემთხვევაში, სამხედრო ძალის გამოყენებას არ გამორიცხავდა. ცვლილებების აღსანიშნად 1987 წლის დეკემბერში ორგანიზაციამ შეიცვალა სახელი და მას რუანდის პატრიოტული ფრონტი ეწოდა.

რუანდის პატრიოტული ფრონტის მიერ გაჟღერებულმა ახალმა პოლიტიკამ ორგანიზაციაში მრავალი რუანდელი ლტოლვილის, მათ შორის უგანდის წინააღმდეგობის არმიაში (***NRA)*** მყოფი ტუტსი სამხედროების მოზიდვა და შესაბამისად უგანდაში მყოფი ტუტსების კონსოლიდაცია გამოიწვია.[53]

უგანდაში მყოფი რუანდელების მდგომარეობა დროთა განმავლობაში კვლავგართულდა. დაპირებული მასობრივი ნატურალიზაციის პირობები არ იქნა შესრულებული, უგანდის არმიაში მყოფი უმაღლესი რანგის რუანდელი ტუტსები 1989 წელს თანამდებობებიდან გათავისუფლდნენ, რასაც მიწის ფლობის უფლების აკრძალვაც დაერთო. სახლში დაბრუნება უფრო მიმზიდველი არჩევანი იყო ლტოლვილობაში მყოფი ტუტსებისათვის.[54]

1990 წლის 1 ოქტომბერს რუანდის პატრიოტულმა ფრონტმა, უგანდის ტერიტორიიდან 7000 ჯარისკაციათჰაბიარიმანას მთავრობის წინააღმდეგ მასირებული სამხედრო იერიში წამოიწყო,[55] თუმცა, ტუტსების მეთაურის ფრედი რვიგემას[56] გარდაცვალებისა და ჰაბიარიმანას მთავრობისათვის აღმოჩენილი საერთაშორისო სამხედრო მხარდაჭერის[57] შედეგად რუანდის სამთავრობო არმიამ, რუანდის პატრიოტული ფრონტის უკან, უგანდის საზღვართან განდევნა ერთ თვეში მოახერხა. განხორციელებული შეტევისა და საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლის შედეგად, რუანდის მთავრობამ 1990 წლის ოქტომბრის ბოლოს რუანდის პატრიოტულ ფრონტთან ლტოლვილების დასახლების საკითხებთან დაკავშირებით მოლაპარაკებები დაიწყო.[58]სამშვიდობო მოლაპარაკებების მიუხედავად, 1990 წლიდან მოყოლებული რუანდაში ტუტსების წინააღმდეგ მიმართული ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევებისა[59]და გენოციდის ფაქტები[60] არ წყდებოდა.1993 წლის თებერვალში რუანდის პატრიოტულმა ფრონტმა დაარღვია ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება და ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში დაწყებული სწრაფი სამხედრო იერიშის შედეგად დედაქალაქ კიგალის აღებით დაემუქრა. რუანდის პატრიოტული ფრონტის წინსვლა და ცეცხლის განახლებამდე არსებულ პოზიციებზე დაბრუნება, მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოების დაჟინებული მოთხოვნის შედეგად გახდა შესაძლებელი.

რუანდის პატრიოტული ფრონტის მიერ განხორცილებულმა სწრაფმა და წარმატებულმა სამხედრო იერიშმა რუანდის არმიის სისუსტე ნათლად წარმოაჩინა. რუანდის ხელისუფლების

[50] იოვერი მუსევენი – უგანდის პრეზიდენტი 1986 წლიდან დღემდე

[51] კამპალა – უგანდის დედაქალაქი

[52] მუსევენის მიერ კამპალას დაკავებისას 14000 აჯანყებულთა შორის დაახლოებით 3000 მებრძოლი რუანდელი ტუტსი იყო.

[53] რუანდის პატრიოტულ ფრონტში გაწევრიანებულთა შორის რუანდის მოქმედი პრეზიდენტი პოლ კაგამეც იყო.

[54] African Union, Rwanda: The Preventable Genocide International panel of eminent personalities, (2000). para. 6.6

[55] The United Nations and Rwanda, 1993-1996 (1996). The United Nations Blue Book Series, Volume X, United Nations Reproduction Section, New York, NY. Para 29

[56] ფრედი რვიგემა - რუანდის პატრიოტული ფრონტის დამაარსებელი

[57] იხ: Verwimp P.,(1999). Development Ideology, the Peasantry and Genocide: Rwanda Represented in Habyarimana's Speeches, Genocide Studies Program, Yale University, Center for International and Area Studies. New Haven, CT, (1999) pp. 27-28, p. 42

[58] The United Nations and Rwanda, 1993-1996. The United Nations Blue Book Series, Volume X, United Nations Reproduction Section, New York, NY 1996. Para 30-32

[59] Verwimp P., (1998). Foreign Intervention in Rwanda on the Eve of Genocide (1990-1993): A Game Theory Model, Genocide Studies Program, Yale University, New Haven, at 28

[60] იხ: Report of the International Commission of Investigation on Human Rights Violations in Rwanda Since October 1, 1990, (1993), p. 51

სამხედრო და პოლიტიკურმა ლიდერებმა, 1960 იანი წლების მსგავსად[61] დაიწყეს ზრუნვა სამოქალაქო ძალის ჩამოყალიბებაზე, რომელსაც რუანდის პატრიოტული ფრონტის გამარჯვების გზაზე როგორც ალტერნატიულ ბარიერს უნდა ემოქმედა. პრეზიდენტმა ჰაბიარიმანამ აღნიშნული იდეა 1993 წლის მარტში წამოაყენა.[62]

1993 წელს ურთიერთდაპირისპირებული სხვადასხვა პარტიის ლიდერებმა ნელ-ნელა სვლა ჰაბიარიმანას მიმართულებით დაიწყეს რის მიზეზიც, ერთის მხრივ, რუანდის პატრიოტული ფრონტის მიერ 1993 წლის თებერვალში წამოწყებული უეცარი თავდასხმა გახლდათ, რომელმაც შოკური რეაქცია იქონია მათზე და ბევრი სერიოზულად დააფიქრა მასზედ, რომ რუანდის პატრიოტულ ფრონტის მიზანს, არა ძალაუფლების დაყოფის პრინციპზე მოლაპარაკებები, არამედ ტოტალური სამხედრო გამარჯვება წარმოადგენდა,[63] ხოლო მეორეს მხრივ, 1993 წლის ოქტომბერში ახალი მომაკვდინებელი იარაღი მოულოდნელად აღმოჩნდა რადიკალი ჰუტების ხელში, როდესაც მეზობელ ბურუნდიში განვითარებული მოვლენები მათ საბოლოო მტკიცებულებად აღიქვეს, რომ ძალაუფლების გაყოფა ტუტსებსა და ჰუტებს შორის შეუძლებელი იყო, და რომ ტუტსების ნდობა არ შეიძლებოდა. [64]

ბურუნდიში განვითარებული მოვლენების ზეგავლენა რუანდის გენოციდზე

ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ბურუნდის მეფის უფროსი შვილის, პრინც ლუი რვაგასორეს მიერ მულტიეთნიკური – ეროვნული ერთობისა და პროგრესის პარტია იგივე უპრონა (“Union pour le progrés national”) იქნა დაფუძნებული.[65] თუმცა, მალევე *„ეროვნული გმირი, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა პოლიტიკური ოპონენტების მიერ, როგორც ჩანს, ბელგიელებთან შეთანხმებით იქნა მოკლული“*.[66] აღნიშნულის შემდგომ დამოუკიდებელი ბურუნდის პირველი მეთაური, პრემიერ-მინისტრი, ტუტსი ანდრე მუჰირვა[67]გახდა, ხოლო ქვეყანა, რუანდასაგან განსხვავებით, კონსტიტუციურ მონარქიად ჩამოყალიბდა.[68] თუმცა, აღსანიშნავია, რომ 1966 წლის ნოემბერში სამხედრო გადატრიალების შედეგად საუკუნეების განმავლობაში არსებული მონარქია გაუქმდა და 1993 წლამდე ბურუნდის მმართველ ელიტას მხოლოდ სამხედრო გადატრიალებების გზით მოსული ტუტსი სამხედროები მართავდნენ.[69]

1988 წელს ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში ჰუტების მიერ რამდენიმე ასეული ტუტსის მოკვლის საპასუხად, ბურუნდის არმიის მიერ ასობით ჰუტუ იქნა მოკლული ხოლო ათი ათასობით ჰუტუმ კი თავი რუანდას შეაფარა. საერთაშორისო საზოგადოების მძაფრი რეაქციის შედეგად ბუიოიამ[70] ხელისფლების ლიბერალიზაციისაკენ გადადგა ნაბიჯები და ჰუტებს, არსებული ერთპარტიული სისტემის მოშლის გარეშე, პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვის საშუალება მისცა. დასავლეთის ქვეყნების მიერ ხელშეწყობილი დემოკრატიზაციის პროცესის კულმინაცია 1993 წელს გამართული პირველი დემოკრატიული საპრეზიდენტო არჩევნები გახლდათ, რომელშიც გამარჯვება მოიპოვა და ქვეყნის მმართველი, ისტორიაში პირველად, ჰუტუ, მელქიორ ნდადაიე გახდა.[71]

გამართული საპრეზიდენტო არჩევნებიდან რამდენიმე თვეში,1993 წლის 21 ოქტომბერს ნდადაიე ტუტსი სამხედროების მიერ იქნა მოკლული. პრეზიდენტის მკვლელობის შესახებ

[61] იხ: Segal A., (1964) Massacre in Rwanda, Fabian Research Series 240, Fabian Society, 11 Dartmouth Street, S.W.1, გვ.14-15
[62] Human Rights Watch, (2006). The Rwandan Genocide: How It WasPrepared, p.7, p.10
[63] იქვე. P.10
[64] Caplan G., (2007). Rwanda: Walking The Road to Genocide, The Media and The Rwanda Genocide, Pluto Press, London,p. 25
[65] International Commission of Inquiry for Burundi: Final Report, United States Institute of Peace, (2002). Para .80
[66] Nkurunziza D.J., (2018). The Origin and Persistence of State Fragility in Burundi, The LSE-Oxford Commission on State Fragility and Development, p. 9
[67] ანდრე მუჰირვა ბურუნდის პრემიერ-მინისტრი, რომელიც 1962 წელს ადის აბებაში გამართულ კონფერენციაზე ბურუნდის დელეგაციას ხელმძღვანელობდა
[68] International Commission of Inquiry for Burundi: Final Report, United States Institute of Peace, (2002). Para .80
[69] იხ: Nkurunziza D.J.,(2018). The Origin and Persistence of State Fragility in Burundi, The LSE-Oxford Commission on State Fragility and Development, p. 9
[70] პიერ ბუიოია – ბურუნდის პრეზიდენტი 1986-1993 და 1996-2003 წლებში
[71] მელქიორ ნდადაიე – ბურუნდის პრეზიდენტი 1993 წლის 10 ივლისი - 1993 წლის 21 ოქტომბერი

გავრცელებულ ინფორმაციას ბურუნდელი ჰუტების მიერ ტუტსების წინააღმდეგ მიმართული ძალადობა მოჰყვა. დაუდგენელია ხსენებული ძალადობა სპონტანურ ხასიათს ატარებდა თუ მიზანმიმართულ ქმედებას წარმოადგენდა,[72] მაგრამ მის საპირისპიროდ, ქვეყანაში წესრიგის დამყარების მიზნით, ტუტსი სამხედროების მიერ დაწყებულ კამპანიას ჰუტების, ძირითადად სამოქალაქო პირების, მასობრივი მკვლელობები მოჰყვა. შედეგად, ათი ათასობით გარდაცვლილი იყო ორივე მხარეს.[73]

ნდადიეს მკვლელობის შემდგომ მოყოლილმა ჰუტების ჟლეტამ რუანდაში მცხოვრებ ჰუტებში გარკვეული ისტორიული მოგონებები აღძრა. როგორც ცნობილია, დიდი ტბების რეგიონში პირველი გენოციდი არა 1994 წელს რუანდაში, არამედ 1972 წელს ბურუნდიში განხორციელდა, რომლის შედეგად 200 000 დან 300 000 ჰუტუ იქნა მოკლული, ხოლო ასი ათასობით ლტოლვილობაში მეზობელ სახელმწიფოებში, მათ შორის რუანდაში აღმოჩნდა.1972 წლის მოვლენები ღრმად ჩაილექა არა მხოლოდ ბურუნდელ, არამედ უფროსი თაობის რუანდელი ჰუტების კოლექტიურ მეხსიერებაში.[74]

ბურუნდიში, ქვეყნის ისტორიაში პირველი დემოკრატიული არჩევნების შედეგად არჩეული, პირველი ჰუტუ მმართველის მკვლელობამ ბევრი ჰუტუ პოლიტიკური ლიდერი დაარწმუნა იმაში, რომ ჰაბიარიმანას გარშემო გაერთიანებულიყვნენ.[75] პრეზიდენტის მკვლელობას რუანდაში დიდი მასშტაბის საპროტესტო აქცია მოჰყვა, რომელმაც მანამდე დაპირისპირებული ყველა პოლიტიკური პარტიის წევრი მიიზიდა და ქვეყანა ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა, რეალობისა რომელშიც ეთნიკურმა სოლიდარობამ პარტიული კუთვნილება გადაწონა. რუანდის პოლიტიკური ცხოვრება გენოციდამდე რამდენიმე თვით ადრე მტკიცედ ორი ეთნიკური პოლუსის გარშემო იქნა რეორგანიზებული.[76]

დასკვნა

რთულია, წარმოდგენა იმისა, თუ როგორ განვითარდებოდა რუანდის მომავალი ისტორია, რომ არა ქვეყნის კოლონიალისტური წარსული, მაგრამ ფაქტია, რომ რუანდელებს შორის წარმოშობილი დაპირისპირება სწორედ, რომ ზემოთხსენებულ პერიოდს, განსაკუთრებით კი ბელგიური ადმინისტრაციის მმართველობას, უკავშირდება, რომელიც კოლონიალისტებისა და ოკუპანტებისათვის ჩვეული ,,დაყავი და იბატონეს" პრინციპით მოქმედებდნენ. ბელგიური ადმინისტრაციის მიერ საუკუნეების მანძილზე არსებული სამეფო დინასტიისა და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის უხეში ჩარევის ფორმით მოშლამ, საიდენტიფიკაციო ბარათებში ეთნიკურობის აღმნიშვნელი ჩანაწერების გაჩენამ და შედეგად წარმოქმნილ ჯგუფებთან მიმართებაში წარმოებულმა დისკრიმინაციულმა დამოკიდებულებამ ჰუტებსა და ტუტსებს შორის დაპირისპირება წარმოშვა. აღსანიშნავია, რომ ბელგიური ადმინისტრაციის ხელშეწყობით რუანდაში მმართველობა ჰუტებს, ხოლო ბურუნდიში ტუტსებს დარჩათ, რამაც წლების განმავლობაში ორი მეზობელი ქვეყნის დეზინტეგრაცია გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ ბელგიელი კოლონიზატორების მიერ რეგიონში მცხოვრები ხალხის ეთნიკური ნიშნით დაყოფის შედეგად წარმოქმნილმა დაპირისპირებამ, მომავალში არა მხოლოდ რუანდის, არამედ მთელი რეგიონის დესტაბილიზაცია გამოიწვია და რომელიც დღესაც გრძელდება.

ბელგიური ადმინისტრაციის პარალელურად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უარყოფითი როლი შესამჩნევია, რომელიც 1946 წლიდან მოყოლებული, ფაქტობრივად ბელგიური ადმინისტრაციის საქმიანობის მონიტორინგს ახორციელებდა. მიუხედავად იმისა, რომ დღეს-დღეობით საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ 1994 წელს ორგანიზაციამ ვერ შეძლო გენოციდის დროული პრევენცია, ნაკლებად ისმის კითხვები ორგანიზაციის მიერ 1946-1960 იან

[72] Uvin P., (1999). Ethnicity and Power in Burundi and Rwanda: Different Paths to Mass Violence, Comparative Politics, Vol 31, No 3. p. 262

[73] Dowden R., (2007). The Media's Failure: A Reflection on The Rwanda Genocide, The Media and The Rwanda Genocide, Pluto Press, London, p. 252

[74] Lemarchand R., The Burundi Genocide, From Century of Genocide, 3rd Edition, Taylor & Francis, Inc., (2009)p.406

[75] Human Rights Watch, (2006). The Rwandan Genocide: How It Was Prepared, p.10

[76] Caplan G., (2007). Rwanda: Walking The Road to Genocide, The Media and The Rwanda Genocide, Pluto Press, London 2007, p. 25

წლებში განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებით, როდესაც გაერომ ტუტსების წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი ქმედებების აღკვეთა ვერ უზრუნველყო. ისევე როგორც, რუანდის მეზობელ სახელმწიფოებში მყოფი ლტოლვილების ყოველდღიური საკითხების მოგვარებასთან ერთად მათი სამშობლოში რეპატრიაციის საკითხის გადაჭრა, რამაც განსაკუთრებით უგანდაში ლტოლვილობაში მყოფი ტუტსების რადიკალიზაციას შეუწყო ხელი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მთლიანად საერთაშორისო თანამეგობრობის პასუხისმგებლობის ქვეშდგასასევე1972 წელს ბურუნდიში განხორციელებული გენოციდის, სათანადო შეფასებისა და რეაგირების გარეშე დატოვება. გენოციდისა რომელმაც რუანდელი ტუტსების ცნობიერებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია და ამასთან რეგიონში პირველი, დაუსჯელი გენოციდის პრეცენდენტი შექმნა.

1972 წელს ბურუნდიში განხორციელებული გენოციდი, ისევე როგორც ჰუტების წინააღმდეგ მიმართული არაერთი ძალადობრივი აქტი, ქვეყნის ისტორიაში პირველი დემოკრატიული არჩევნების შედეგად არჩეული, პირველი ჰუტუ მმართველის მკვლელობა, რუანდაში აქტიურად მოღვაწე პროპაგანდისტების მიერ წარმატებით იქნა გამოყენებული, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში ტუტსების წინააღმდეგ რუანდელი ჰუტების რადიკალურ დამოკიდებულებას აღრმავებდნენ. შედეგად, რიგითი რუანდელები გენოციდის მოვლენებში აქტიურად აღმოჩდნენ ჩართულნი. ამავე დროს, უგანდაში ათწლეულების განმავლობაში არსებული დიქტატორული რეჟიმების, სამოქალაქო დაპირისპირებისა და გაუთავებელი კონფრონტაციის ნიაღში ჩამოყალიბებული რუანდის პატრიოტული ფრონტის მიერ 1990 წელს უგანდის ტერიტორიიდან რუანდაზე განხორციელებული სამხედრო თავდასხმა, ბელგიელი კოლონიალისტების მიერ ქვეყანაში გატარებულ მიზანმიმართულ პოლიტიკასთან ერთად, რუანდის ისტორიის ერთერთ ყველაზე კრიტიკულ და გადამწვეტ ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე ეჭვგარეშეა, რომ 1994 წელს რუანდაში განხორციელებული გენოციდი მრავალი წლის მანძილზე არსებული მოვლენების კულმინაციას წარმოადგენდა, რომელიც მეტწილად ქვეყნის გარეთ დაგეგმილმა და მეზობელ სახელმწიფოებში განვითარებულმა მოვლენებმა გამოიწვია.

გამოყენებული ლიტერატურა:

"Manifeste des Bahutu, Note sur l'aspect social du probleme racial indigene au Ruanda", (1957). Retrieved from http://francegenocidetutsi.org/ManifesteDesBahutuLettreEtCommentaires1958.pdf

A. Brooks, Report of the United Nations Commission for Rwanda-Urundi, UN. Doc. A/5126/ Add.1 (1962).

Addington Saint-David S., The Kings of Rwanda: Fathers of a Nation, The Royal Rwandan Association of Knighthood and Nobility. Retrieved from http://www.nobility-association.com/PDF%20Files/s.%20a.%20saint-david%20kings%20of%20rwanda%20Copy.pdf

African Union, Rwanda: The Preventable Genocide International panel of eminent personalities, (2000). Retrieved from https://www.refworld.org/docid/4d1da8752.html

Blewitt, G.T., (1995). Ad Hoc Tribunals Half a Century After Nuremberg, 149 MIL. REV.

Caplan, G. (2007). Rwanda: Walking The Road to Genocide, *The Media and The Rwanda Genocide,* London, Pluto Press

Childress, E.S. (2015). From Revolution to Ruin: A Preliminary Look at Rwanda's First Two Presidents, Gregoire Kayibanda and Juvenal Habyarimana, and Their Administrations, University of Missouri-Kansas City. Retrieved from https://www.researchgate.net/publication/286450317_FROM_REVOLUTION_TO_RUIN_A_PRELIMINARY_LOOK_AT_RWANDA'S_FIRST_TWO_PRESIDENTS_GREGOIRE_KAYIBANDA_AND_JUVENAL_HABYARIMANA_AND_THEIR_ADMINISTRATIONS

Desforges, A. (1999). ''Leave None to Tell the Story'' Genocide in Rwanda, *Human Rights Watch.* Retrieved from https://www1.essex.ac.uk/armedcon/story_id/Leave%20None%20to%20tell%20the%20story-%20Genocide%20in%20Rwanda.pdf

Dorsinville, M.H., Hamilton, R.N., Maung, U.T., Cedile, J. UN Visiting Mission to Trust Territories in East Africa 1957, Report on Ruanda-Urundi, U.N. Doc. T/1402 (1958), Retrieved from https://digitallibrary.un.org/record/1299065/files/T_1402-EN.pdf

Dowden, R. (2007). The Media's Failure: A Reflection on The Rwanda Genocide, *The Media and The Rwanda Genocide,* London, Pluto Press,

Ford, S. (2018). The Impact of the Ad Hoc Tribunals on the International Criminal Court. Retrieved from https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3128531

Gourevitch, P. (1999). We Wish to Inform You That Tomorrow We Will Be Killed with Our Families. *Farrar, Straus and Giroux,* New York, NY.

H. Laurentie, E.W.P. Chinnery, L. Mousheng, R.E. Woodbridge, UN Visiting Mission to the Trust Territories of Ruanda-Urundi and Tanganyika, U.N. Doc. T/217 (1948).Retrieved from https://digitallibrary.un.org/record/711068?ln=en http://www.nobility-association.com/PDF%20Files/s.%20a.%20saint-david%20kings%20of%20rwanda%20Copy.pdf

Human Rights Watch, (2006). The Rwandan Genocide: How It Was Prepared. Retrieved from https://reliefweb.int/report/rwanda/rwandan-genocide-how-it-was-prepared-human-rights-watch-briefing-paper

International Commission of Inquiry for Burundi: Final Report, United States Institute of Peace, (2002). Retrieved from https://www.usip.org/sites/default/files/file/resources/collections/commissions/Burundi-Report.pdf

Kuperman A.J., (2003). Explaining the Ultimate Escalation in Rwanda: How and Why Tutsi Rebels Provoked a Retaliatory Genocide, Paper presented at The American Political Science Association Conference, Philadelphia, PA. Retrieved from http://www.gsdrc.org/docs/open/ss12.pdf

Lemarchand R., (1970), Rwanda and Burundi, New York, N.Y., U.S.A., Praeger Publishers. Lemarchand, R. (2009). The Burundi Genocide, From Century of Genocide, 3rd Edition, Taylor & Francis, Inc.

Melvern, L.R. (2000). A People Betrayed: *The Role of the West in Rwanda's Genocide,* London, Zed Books.

Ndiaye, B.W. (1993). Special Rapporteur to Rwanda from 8 to 17 April 1993, Question of the Violations of Human Rights and Fundamental Freedoms in Any Part of the World, With Particular Reference to Colonial and Other Dependent Countries and Territories, United Nations, Economic and Social Council, Commission on Human Rights, fiftieth Session, U.N. Doc E/CN.4/1994/7Add.1.

Nikuze, D. (2014). The Genocide Against the Tutsi in Rwanda: Origins, Causes, Implementation, Consequences, and the Post-Genocide Era, International Journal of Development and Sustainability, *Vol 3,* Numb. 5. Retrieved from https://isdsnet.com/ijds-v3n5-13.pdf

Nkurunziza D.J., (2018). The Origin and Persistence of State Fragility in Burundi, The LSE-Oxford Commission on State Fragility and Development, Retrieved from https://www.theigc.org/wp-content/uploads/2018/04/Burundi-report-v2.pdf

Report of the International Commission of Investigation on Human Rights Violations in Rwanda Since October 1, 1990, (January 7-21, 1993), Federation Internationale Des Droits De l'Homme – FIDH (Paris), Union Interafricaine Des Droits De l'Homme Et Des Peuples – UIDH (Ouagadougou), Centre Internationale Des Droits De la Personne Et Du Developpement Democratique - CIDPDD/ICHRDD (Montreal), Africa Watch (New York, Washington, London) (1993).

Report of the International Commission of Investigation on Human Rights Violations in Rwanda Since October 1, 1990, (1993).

Report of the United Nations Commission for Ruanda-Urundi Established Under General Assembly Resolution 1743 (XVI), Question of the Future of Ruanda-Urundi, UN. Doc. A/5126 (1962). Retrieved from https://undocs.org/en/A/5126

Rome Statute of the International Criminal Court, United Nations Diplomatic Conference of Plenipotentiaries on the Establishment of an International Criminal Court, Rome, Italy 1998, A/CONF.183.9* (1998).

Scholz, A. (2015). Hutu, Tutsi and Germans: Racial Cognition in Rwanda Under German Colonia Rule, Leiden University. Retrieved from https://openaccess.leidenuniv.nl/bitstream/handle/1887/35741/MA%20Thesis%20Anton%20Scholz.pdf?sequence=1

Segal, A. (1964). Massacre in Rwanda, Fabian Research Series 240, Fabian Society, 11 Dartmouth Street, S.W.1., p.18

The United Nations and Rwanda 1993-1996, (1996). The United Nations Blue Books Series, Volume X, The United Nations Department of Public Information, Reproduction Section, New York, NY.

The Unity of Rwandans - Before The Colonial Period and Under The Colonial Rule – Under The First Republic, Republic of Rwanda, Office of The President of The Republic, Kigali (1999). Retrieved From http://eastafrica-schoolserver.org/content/_public/Local%20Topics/Rwanda/Rwanda%20Unity.pdf

U.N. General Assembly, Proposed Trusteeship Agreement for Mandated Territory of Ruanda-Urundi Submitted by The Belgian Government, U.N. Doc. A/159/Rev.2 (1946). Retrieved from https://digitallibrary.un.org/record/828944

United Nations, General Assembly, The Future of Rwanda-Urundi, U.N. Doc. A/RES/1743 (XVI), (1962). Retrieved from https://www.refworld.org/docid/3b00f1dc4c.html

United Nations, GeneralAssembly, The Future of Rwanda-Urundi, U.N. Doc. A/RES/1748 (XVI), (1962). Retrieved from https://undocs.org/A/RES/1748%20(XVII)

United Nations, Security Council Resolution 808 (1993), U.N. Doc. S/RES/808, (1993). Retrieved from https://undocs.org/S/RES/808(1993)

United Nations, Security Council Resolution 955 (1994). Statute of the International Tribunal for Rwanda, article 1 Competence of the International Tribunal for Rwanda, U.N. Doc. S/RES/955 (1994). Retrieved from https://undocs.org/S/RES/955(1994)

United Nations, Trusteeship Council, Twenty-Sixth Session, Visiting Mission to Trust Territories in East Africa, 1960 Report on Ruanda-Urundi, T/1538, (1960). Retrieved from http://www.francegenocidetutsi.org/t1538en.pdf

Uvin P., (1999) Ethnicity and Power in Burundi and Rwanda: Different Paths to Mass Violence, Comparative Politics, Vol 31, No 3. Retrieved from https://www.jstor.org/stable/422339?seq=1#page_scan_tab_contents

Van Brakel R., Kerckhoven V.X., (2014). The Emergence of the Identity card in Belgium and its Colonies, Histories of State Surveillance in Europe and Beyond, Routledge. Retrieved from https://www.researchgate.net/publication/258763996_The_emergence_of_the_identity_card_in_Belgium_and_its_colonies

Verwimp P., (1998). Foreign Intervention in Rwanda on the Eve of Genocide (1990-1993): A Game Theory Model, Genocide Studies Program, Yale University, Center for International and Area Studies. New Haven, CT, Retrievd from https://css.ethz.ch/en/services/digital-library/publications/publication.html/46598

Verwimp P., (1999). Development Ideology, the Peasantry and Genocide: Rwanda Represented in Habyarimana's Speeches, Genocide Studies Program, Yale University, Center for International and Area Studies. New Haven, CT, (1999). Retrieved from https://www.files.ethz.ch/isn/46636/GS13.pdf

რუანდის გენოციდის გამომწვევი საგარეო ფაქტორები

ბაქარ მაცაბერიძე

დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

მეოცე საუკუნის 90 იანი წლების დასაწყისში რუანდაში მრავალი წლის განმავლობაში არსებული კონფლიქტის განახლება, ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევებით გამოწვეული, კაცობრიობის ისტორიაში ერთერთი ყველაზე ფართომასშტაბიანი ჰუმანიტარული კატასტროფისა და ამასთან, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გენოციდის დანაშაულის გამოვლინების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითის გამომწვევი მიზეზი გახდა. რუანდაში მიმდინარე გენოციდის პასუხად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ, ყოფილი იუგოსლავიის დროებითი ტრიბუნალის მსგავსად, რუანდის თაობაზე ჩამოყალიბებული დროებითი საერთაშორისო ტრიბუნალი, შემდგომში დაფუძნებული მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ფორმირების რთულ გზაზე ერთერთ ყველაზე კრიტიკულ და უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს, რომელმაც თანამედროვე საერთაშორისო სისხლის სამართლის ფორმირების პროცესზე უდიდესი ისტორიული გავლენა იქონია და შესაბამისად, როგორც საერთაშორისო სისხლის სამართლის, თანამედროვე საერთაშორისო საჯარო სამართლისა და მრავალი დარგის მკვლევართათვის ამოუწურავი ინტერესისა და კვლევის საგანს წარმოადგენს. რუანდის საერთაშორისო დროებითი ტრიბუნალის დაფუძნებასთან და შემდგომში მისი საქმიანობას შესწავლასთან ერთად, თანაბარმნიშვნელოვანია ტრიბუნალის შექმნის უშუალო გამომწვევი მიზეზის, შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად განხორციელებული გენოციდის შესწავლა, მისი გამომწვევი ფაქტორების კვლევა და ანალიზი, რაც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არასათანადოდ არის წარმოდგენილი. 1994 წელს რუანდაში განხორციელებული გენოციდი კომპლექსურ ფენომენს წარმოადგენს და არაერთი დამოუკიდებელი, თანაბარი მნიშვნელობის მქონე ფაქტორის შედეგია.
წინამდებარე კვლევითი ნაშრომის მიზანს, რუანდის გარშემო წლების განმავლობაში არსებული საგარეო მოვლენების შესწავლა და ანალიზი წარმოადგენს, რომელთაც საბოლოოდ გავლენა იქონიეს რუანდაში განხორციელებულ გენოციდზე.

საკვანძო სიტყვები: *რუანდა, გენოციდი, კონფლიქტი*

External Factors Causing Rwandan Genocide

Bakar Matsaberidze

Ph.D. Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

At the beginning of the 1990s renewal of the conflict existed for many years in Rwanda, became the cause of one of the largest scales of humanitarian catastrophe in the human history caused by mass violation of human rights and at the same time the cause of one of the most vivid examples expressing the crime of genocide after the World War II. As a response to the genocide in Rwanda, the International Temporary Tribunal established for Rwanda by the United Nations, like the Temporary Tribunal of former Yugoslavia, is one of the most critical and important stages on a path of the formation of the permanent International Criminal Court established afterwards. It had a major historical impact on the process of the formation of modern international criminal law, and is therefore the subject of endless interest and research for scholars in the fields of international criminal law, modern international public law and many other disciplines. Along with the establishment of the International Temporary Tribunal for Rwanda and further studies of its activity it is equally important to study the direct cause of the tribunal establishment, the genocide carried out as a result of the armed conflict, research and analysis of causing factors, which are poorly presented in Georgian scientific literature. In 1994 the Rwandan Genocide is a complex phenomenon and is the result of various independent, equally important factors.

The goal of the present research paper is to study and analyze the external events that have taken place in Rwanda for years and have ultimately influenced the Rwandan Genocide.

Keywords: *Rwanda, Genocide, Conflict*

ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დამუშავება და საკანონმდებლო რეგულირება ევროპის ქვეყნებში

ილია ხუციშვილი

დოქტორანტი
„ნიუ ვიუენ“ უნივერსიტეტი

შესავალი*

პერსონალური მონაცემების დაცვა ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა. მისი აქტუალურობა საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და ტექნოლოგიური საშუალებების განვითარებასთან ერთად უფრო მატულობს. აღნიშნული უფლების დაცვა კიდევ უფრო აქტულური ხდება როდესაც საქმე ეხება სამართალდამცავი ორგანოებისა და უსაფრთხოების სამსახურების მიერ ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მიზნებისათვის ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დამუშავებას.

სამართალდამცავი ორგანოები აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სისტემას წარმოადგენს, რომლის ძირითად ფუნქციებს დანაშაულის პრევენცია/აღკვეთა, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვა განეკუთვნება. აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად სამართალდამცავ უწყებებს კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ ფარული საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება, აქედან გამომდინარე, არსებობს მათი არასათანადოდ გამოყენების რისკი, ამიტომ მათი საქმიანობის ეფექტიანი ზედამხედველობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანის უფლებების დაცვას, მასში დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო ჩარევებისაგან.

ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილი თანამშრომლის, ედუარდ სნოუდენის მიერ სადაზვერვო ინფორმაციების გასაჯაროებამ ევროპის ქვეყნებში უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობისადმი გააჩინა გარკვეული ეჭვები. მასშტაბური ელექტრონული თვალთვალით განპირობებულმა პრობლემებმა კიდევ ერთხელ წამოჭრა კითხვები სამართალდამცავი ორგანოებისა და უსაფრთხოების სამსახურების ზედამხედველობის ეფექტიანობის შესახებ. სამართალდამცავი ორგანოების ზედამხედველობა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას არის მნიშვნელოვანი გარანტი იმისა, რომ აღნიშნულმა ორგანოებმა საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფასთან ერთად დაიცვან ადამიანის ფუნდამენტური უფლებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხის კვლევა და იმის დადგენა, თუ რა პრაქტიკა არსებობს ევროპის სახელმწიფოებში სამართალდამცავი ორგანოებისა და უსაფრთხოების სამსახურების მიერ ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დამუშავებისას მათზე ზედამხედველობისა და კონტროლის პროცესში აქტუალურია იმდენად, რამდენადაც აღ-

* ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს რომელიმე ორგანიზაციის ან უწყების ოფიციალურ პოზიციას;

ნიშნული სტრუქტურები ყველაზე მეტად უქმნიან საფრთხეს კონსტიტუციით, ევროპული კონვენციითა და სხვა საერთაშორისო აქტებით აღიარებულ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას.

1. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

გერმანიაში, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა და ფარული საგამოძიებო მოქმედებები დარეგულირებულია გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით,[1] რომელიც განსაზღვრავს გამოძიებისა და სისხლსის სამართლის წარმოების ეტაპეზე ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების პროცედურებს, ვადებსა და კონტროლის ფორმებს.

გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 110a, 110b და 110c პარაგრაფებით რეგულირდება საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც განსაზღვრავენ ელექტრონული კომუნიკაციებისა და ინტერნეტურთიერთობაზე ფარული დაკვირვების საფუძვლებს.

გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია სატელეკომუნიკაციო ზედამხედველობა და ფარული დაკვირვება ინტერნეტ ურთიერთობებზე, რაც მიმდინარეობს გამოძიების წარმოებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის პროცესში,[2] რომელიც სასამართლოს კონტროლისა და ნებართვის გარეშე არ ხორციელდება.[3]

აღსანიშნავია, რომ გერმანიის თითოეულ მიწას გააჩნია საკუთარი კანონი პოლიციის შესახებ, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად დარეგულირებულია ფარული და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელება. მაგალითად, გერმანიის ერთ-ერთი მიწის – ბრანდენბურგის პოლიციის შესახებ კანონში[4] განსაზღვრულია ის საკითხები და პროცედურები თუ რა შემთხვევაში შეუძლია სამართალდამცავ ორგანოს მოახდინოს პერსონალური მონაცემების დამუშავება და მოცემულია ის გარემოებები რომელთა არსებობის დროსაც არის შესაძლებელი ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელება, ესენია:[5] 1) დანაშაულის თავიდან აცილება (პრევენცია) 2) პირის უფლებების დაცვა 3) კანონის აღსრულების უზრუნველყოფა და 4) კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ამოცანების შესრულება. კანონით აგრეთვე განსაზღვრულია ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მოპოვების ღონისძიებები და საფუძვლები.[6]

ბრანდენბურგის პოლიციის შესახებ კანონში აგრეთვე განსაზღვრულია ფარული მეთვალყურეობის საფუძვლები, ვადები და პროცედურები, რომლის მიხედვით პიროვნებაზე ფარული მეთვალყურეობა შესძლებელია განხორციელდეს როგორც ოცდაოთხი საათის განმავლობაში, აგრეთვე გრძელვადიანი მონიტორინგი,[7] რომლის მაქსიმალური ვადაა 1 (ერთი) თვე, რომლის გაგრძელებაზე ნებართვა გაიცემა სასამართლოს მიერ და აღნიშნული ქმედებები წარმოადგენს სასამართლო კონტროლის საგანს.

---

[1] Criminal Procedure Code (StPO) of Germany, eighth section, investigative measures, §110a Undercover agent Section, 110b Procedure when using a Covert Investigator, §110c Powers of the Undercover Investigator, 12.09.1950, https://www.gesetze-im-internet.de/stpo/BJNR006290950.html#BJNR006290950BJNG000202311 [წვდომის თარიღი: 07.08.2019].

[2] Criminal Procedure Code (StPO) of Germany, Eighth Section, Investigative Measures, Telecommunications Surveillance, §100a, 12.09.1950;

[3] იქვე, §100e;

[4] Gesetz über die Aufgaben, Befugnisse, Organisation und Zuständigkeit der Polizei im Land Brandenburg (Brandenburgisches Polizeigesetz - BbgPolG) (Law on the Duties, Powers, Organization and Responsibility of the Police in the State of Brandenburg (Brandenburg Police Law - BbgPolG)), http://bravors.brandenburg.de/gesetze/bbgpolg_2016#33 [წვდომის თარიღი: 14.08.2019];

[5] Gesetz über die Aufgaben, Befugnisse, Organisation und Zuständigkeit der Polizei im Land Brandenburg (Brandenburgisches Polizeigesetz - BbgPolG), Section 2, Data Processing, Subsection 1, Data collection, §30 Data collection, part 1-st, http://bravors.brandenburg.de/gesetze/bbgpolg_2016#29 [წვდომის თარიღი: 14.10.2018];

[6] იქვე, §33-Data collection through the covert use of technical means for interception and recording of the spoken word and for the production of image recordings and image recordings, http://bravors.brandenburg.de/gesetze/bbgpolg_2016#29 [წვდომის თარიღი: 14.08.2019];

[7] იქვე, §32-Data collection by observation, part 2, http://bravors.brandenburg.de/gesetze/bbgpolg_2016#29 [წვდომის თარიღი: 14.08.2019];

გერმანია მიეკუთვნება იმ სახელმწიფოთა რიცხვს, რომელმაც უკვე მოახდინა ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 1995 წლისა[8]და 2016 წლის დირექტივების[9] და რეგულაციების[10] იმპლემენტაცია თავის შიდა კანონმდებლობაში „პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და პერსონალური მონაცემების თავისუფალი ბრუნვის შესახებ".

გერმანიაში პერსონალურ მონაცემთა დაცვა რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო ბაზით: გერმანიის 1949 წლის კონსტიტუციის მე-10 მუხლთ,[11] რომლითაც უზრუნველყოფილია პირადი მიმოწერის, ფოსტისა და ტელეკომუნიკაციის ხელშეუხებლობა, როგორც გერმანიის მოქალაქეთა ხელშეუვალი უფლება, 2004 წლის „კანონი ტელეკომუნიკაციების შესახებ"[12] და 2017 წლის ფედერალური კანონი „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ".[13] აღნიშნული აქტები ეხება ინდივიდის პირადი ცხოვრების უფლების დაცვას მის შესახებ პერსონალური მონაცემების მოპოვების, დამუშავების და გამოყენების პროცესში. გერმანიაში პერსონალური მონაცემების მოპოვების, დამუშავებისა და გამოყენების მთლიან პროცესზე მეთვალყურეობა ევალება პერსონალური მონაცემების დაცვის ფედერალურ კომისარს.[14]

1.1. პერსონალური მონაცემთა დაცვის ფედერალური კომისარი

ფედერალური კომისარი აბსოლუტურად დამოუკიდებელია თავისი ფუნქციების განხორციელებისას. იგი უფლებამოსილია, მონიტორინგი გაუწიოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ პერსონალური მონაცემების მოპოვების დამუშავებისა და გამოყენების პროცესს.

ფედერალურ კომისარს აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს საჩივრით, თუ აღმოაჩენს, რომ ირღვევა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას კანონის რომელიმე დებულება. იგი ვალდებულია, გააკეთოს მოხსენება როგორც თავისი საქმიანობის, ისე მიმდინარე პროცესების შესახებ. კომისარი ანგარიშვალდებულია, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ წარსდგეს პარლამენტის წინაშე შესაბამისი მოხსენებით.

რაც შეეხება პერსონალური მონაცემების გადაცემის საკითხს, იგი ნებადართულია ევროკავშირის როგორც წევრი, ისე არაწევრი სახელმწიფოსთვის. პერსონალური მონაცემების სუბიექტის თანხმობა საჭიროა არა მარტო მონაცემების მოპოვების პროცესის დასაწყებად, არამედ მოპოვებული მონაცემების სხვა სახელმწიფოსათვის გადასაცემად.*

მონაცემების სუბიექტის შეტყობინების ვალდებულება, მასზე არსებული მონაცემების სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით, ეკისრება მონაცემების გადამცემ ორგანოს.

---

[8] Directive 95/46/EC of the European Parliament and of the Council of 24 October 1995 on the protection of individuals with regard to the processing of personal data and on the free movement of such data, https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv:OJ.L_.1995.281.01.0031.01.ENG&toc=OJ:L:1995:281:TOC [წვდომის თარიღი: 17.06.2019];

[9] Directive (EU) 2016/680 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the protection of natural persons with regard to the processing of personal data by competent authorities for the purposes of the prevention, investigation, detection or prosecution of criminal offences or the execution of criminal penalties, and on the free movement of such data, and repealing Council Framework Decision 2008/977/JHA, https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX-%3A32016L0680 [წვდომის თარიღი: 17.06.2019];

[10] Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the protection of natural persons with regard to the processing of personal data and on the free movement of such data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation), https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32016R0679 [წვდომის თარიღი: 17.06.2019];

[11] Basic Law for the Federal Republic of Germany, Article 10, https://www.gesetze-im-internet.de/gg/BJNR000010949.html [წვდომის თარიღი: 17.06.2019];

[12] Telecommunications Act, https://www.itu.int/ITU-D/treg/Legislation/Germany/TelecomAct.pdf [წვდომის თარიღი: 17.06.2019];

[13] Federal Data Protection Act (BDSG) Bundesdatenschutzgesetz, https://www.gesetze-im-internet.de/bdsg_2018/BJNR209710017.html [წვდომის თარიღი: 17.06.2019];

[14] Basic Law for the Federal Republic of Germany, Chapter 4. The Federal Commissioner for Data Protection and Freedom of Information, https://www.gesetze-im-internet.de/bdsg_2018/BJNR209710017.html [წვდომის თარიღი: 17.06.2019];

* მონაცემების გადაცემა დაუშვებელია: 1) მონაცემების სუბიექტის თანხმობის გარეშე; 2) თუ გადაცემის შედეგად გარდაუვალია მონაცემების სუბიექტის კანონიერი უფლებების და კანონიერი ინტერესებისათვის ზიანის მიყენება; 3) მონაცემების მიმღებ სახელმწიფოს არ გააჩნია მონაცემების და მონაცემთა სუბიექტის დაცვის შესაბამისი დონის კანონმდებლობა;

შეტყობინება შეიძლება არ გაიგზავნოს იმ შემთხვევაში, როცა: ა) მონაცემების სუბიექტი სხვა წყაროს მიერ უკვე ინფორმირებულია აღნიშნულის შესახებ ბ) როცა შეტყობინება საფრთხეს უქმნის საზოგადოების საჯარო ინტერესებს, გერმანიის ფედერაციის სახელმწიფო ინტერესებს. მონაცემების გადაცემის კანონიერებაზე პასუხისმგებელია მონაცემების გადამცემი ორგანო.[15] გარდა პერსონალური მონაცემთა დაცვის ფედერალური კომისრის ზედამხედველობისა, გერმანიაში სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებულ სპეციალურ ღონისძიებებს ზედამხედველობს სპეციალიზირებული საპარლამენტო კომიტეტი.

1.2. გერმანიის უსაფრთხოების სამსახურზე საპარლამენტო ზედამხედველობა

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ფუნქციონირებს საპარლამენტო ზედამხედველობის ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი ფორმა. სპეციალიზებულ საპარლამენტო კომიტეტს „საპარლამენტო კონტროლის ჯგუფს“ აქვს გერმანიის ყველა სპეცსამსახურზე ზედამხედველობის მანდატი.[16] „საპარლამენტო კონტროლის ჯგუფის“ საქმიანობას არეგულირებს და მის კომპეტენციას განსაზღვრავს „კანონი სპეციალური ფედერალური სამსახურების საპარლამენტო კონტროლის შესახებ (Gesetz über die parlamentarische Kontrolle nachrichtendienstlicher Tätigkeit des Bundes (Kontrollgremiumgesetz - PKGrG) .[17]

საპარლამენტო კონტროლის ჯგუფის კომპეტენციაში შედის სამართალდამცავი ორგანოებისა და უსაფრთხოების სამსახურების შიდა საქმიანობის შესწავლა და მათ მიერ ფარული და ოპრატიულ-სამძებრო ღონისძიებების, მათ შორის ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დამუშავებისა და კანონიერების კონტროლი.[18]

საპარლამენტო კონტროლის ჯგუფს გააჩნია ფართო ზედამხედველობის საშუალებები და უფლებამოსილებები. ის იყენებს ყველა სტანდარტულ ზედამხედველობის საშუალებას (ანგარიშების წარდგენა, საკომიტეტო მოსმენები, შეკითხვა). საპარლამენტო კონტროლის ჯგუფს როგორც უსაფრთხოების სამსახურების პოლიტიკის, ისე ოპერაციების შემოწმების მანდატი მიანიჭა კანონმდებელმა.[19] ამ ფუნქციების განსახორციელებილად, მას გააჩნია ფედერალური მთავრობისგან და უსაფრთხოების სამსახურებიდან დოკუმენტებისა და ელექტრონული მასალის[20] გამოთხოვის უფლებაც.[21]

გერმანიამ, საპარლამენტო ზედამხედველობის კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით, შეიტანა ცვლილებები კანონში და შექმნა საპარლამენტო წარმომადგენლის ინსტიტუტი,[22] რომელსაც აქვს ჯგუფის სახელით მოკვლევისა და ბიუჯეტის ხარჯვის შემოწმების უფლებამოსილება. წარმომადგენელს შეუძლია ნდობის ჯგუფის (უსაფრთხოების სამსახურების საბიუჯეტო ზედამხედველობის სპეციალიზებული საპარლამენტო კომიტეტი) და G10 კომისიის (ექსპერტთა

[15] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, (2007). პერსონალური მონაცემების დაცვა საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზი, რედ. ხათუნა ყვირალაშვილი, თბილისი, წელი, 64-73;

[16] Töpfer E., 2016, National intelligence authorities and surveillance in the EU: Fundamental rights safeguards and remedies, 10-22;

[17] Gesetz über die parlamentarische Kontrolle nachrichtendienstlicher Tätigkeit des Bundes (Kontrollgremiumgesetz – PKGrG), (Law on of the parliamentary control of Federal intelligence service) 29.07.2009, http://www.gesetze-im-internet.de/pkgrg/BJNR234610009.html [წვდომის თარიღი: 01.08.2019];

[18] Surveillance by intelligence services: (2017). fundamental rights safeguards and remedies in the EU Volume I: Member States' legal frameworks, European Union Agency for Fundamental Rights;

[19] ბორნი ჰ., ლეიფი ი., (2005). დაზვერვის ანგარიშვალდებულების დანერგვა: დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობის სამართლებრივი სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკა, თავი 15: საპარლამენტო ზედამხედველობის ორგანოს მანდატი, ოსლო, 86-90;

[20] Gesetz über die parlamentarische Kontrolle nachrichtendienstlicher Tätigkeit des Bundes (Kontrollgremiumgesetz – PKGrG), (Law of the parliamentary control of Federal intelligence service), §5 Powers of the supervisory body, administrative assistance, http://www.gesetze-im-internet.de/pkgrg/BJNR234610009.html [წვდომის თარიღი: 01.09.2019];

[21] Gesetz über die parlamentarische Kontrolle nachrichtendienstlicher Tätigkeit des Bundes (Kontrollgremiumgesetz – PKGrG), (Law of the parliamentary control of Federal intelligence service), §4 Obligation of the Federal Government for information http://www.gesetze-im-internet.de/pkgrg/BJNR234610009.html [წვდომის თარიღი: 01.09.2019];

[22] იქვე, Paragraph §5a, Permanent Authorized Representative, Part 1;

ზედამხედველობის ორგანო),[23] ყველა შეხვედრაზე დასწრება, რაც სხვადასხვა ზედამხედველობის ორგანოებს შორის კოორდინაციის გაძლიერებასაც ემსახურება.[24]

2. ლიეტუვის რესპუბლიკა

ფარული საგამოძიებო მოქმედების ძირითადი პრინციპები, პროცედურული საკითხები, ფარული საგამოძიებო ღონისძიებები და მათი საკანონმდებლო საფუძვლები დარეგულირებულია 2012 წლის 2 ოქტომბრის ლიეტუვის რესპუბლიკის კანონით „ფარული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ",[25] რომელმაც საკანონმდებლო დონეზე დაარეგულირა ფარული საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა განხორციელება, ხოლო მეორე საკანონმდებლო აქტი ლიეტუვის რესპუბლიკის კანონი „სპეციალური საგამოძიებო ორგანოს შესახებ"[26] განსაზღვრავს საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების საფუძვლებს სამოხელეო დანაშაულების მიმართ.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ნებართვა გაიცემა რეგიონალური სასამართლოების მიერ პროკურორის მიმართვის/განცხადების საფუძველზე, რომელიც მზადდება იმ უწყებების დირექტორებთან შეთანხმებით, რომლებიც ახორციელებენ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს. აღნიშნულ მიმართვაში განმარტებული უნდა იყოს კონკრეტულ შემთხვევაში გამოძიების ცალკეული მეთოდის გამოყენების აუცილებლობა.

გადაუდებელი აუცილებლობის დროს როდესაც არსებობს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრების, ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხელყოფის დიდი საშიშროება, პროკურორმა მიღებული მიმართვა/განცხადება 24 საათის განმავლობაში უნდა წარუდგინოს მოსამართლეს. იმ შემთხვევაში თუ ფარულ საგამოძიებო მოქმედებაზე ნებართვა არ გაიცემა აღნიშნული მიმართვა/განცხადება დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს.[27]

ფარული საგამოძიებო მოქმედების წარმოების მაქსიმალური ვადაა 6 თვე, თუმცა საჭიროებისა და ადეკვატური დასაბუთების შემთხვევაში ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს კიდევ 6 თვით. გადავადებების მაქსიმალური რაოდენობა დადგენილი არ არის. პროკურორს შეუძლია, დასაბუთებული წერილობითი ფორმით, უარი განაცხადოს ღონისძიების გაგრძელებაზე.

რაც შეეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იგი დარეგულირებულია როგორც ლიეტუვის რესპუბლიკის 1992 წლის 25 ოქტომბრის კონსტიტუციით,[28] ასევე კანონით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" (მიღებულია 1996 წლის 11 ივნისს, ბოლო ვერსია მიღებულია 2003 წლის 21 იანვარს, ძალაში შევიდა 2003 წლის 1 ივლისს),[29] და საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

ლიეტუვის კონსტიტუციის 22-ე მუხლის თანახმად, ინდივიდის პირადი ცხოვრება არის ხელშეუხებელი.[30] ინფორმაცია, რომელიც ეხება ინდივიდის პირად ცხოვრებას, შეიძლება მოპოვებულ და დამუშავებულ იქნეს მხოლოდ სასამართლოს ბრძანებითა და შესაბამისი კანონის

[23] Committees of the 18th electoral term, https://www.bundestag.de/ausschuesse/ausschuesse18/gremien18/g10 [წვდომის თარიღი: 01.09.2019];

[24] Gesetz zur Beschränkung des Brief-, Post- und Fernmeldegeheimnisses, (Law of the limitation of postal and telecommunications secrecy) (Article 10 Law - G 10), Date of completion: 26.06.2001, http://www.gesetze-im-internet.de/g10_2001/BJNR125410001.html [წვდომის თარიღი: 01.09.2019];

[25] The Republic Of Lithuania Criminal Intelligence Law, No. Vilnius, 02.10.2012, https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAP/TAIS.427828 [წვდომის თარიღი:07.08.2019]

[26] Republic Of Lithuania Law On The Special Investigation Service, Article 8. Functions of the Special Investigation Service, May 2, 2000, No.VIII-1649, Vilnius, http://www.stt.lt/documents/laws/stt_law.pdf ; [წვდომის თარიღი: 07.08.2019]

[27] The Republic Of Lithuania Criminal Intelligence Law, Article 12. Tasks of law enforcement authorities, No. Vilnius, 02.10.2012, https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAP/TAIS.427828 [წვდომის თარიღი: 07.08.2019];

[28] Constitution of the Republic of Lithuania, https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/TAIS.1890?jfwid=-umo1q4ckk [წვდომის თარიღი: 12.08.2019];

[29] Law on Legal Protection of Personal Data Republic of Lithuania, https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/ef70b5d-2f14811e78f3dc265493430ae?jfwid=nz8qn7vvf [წვდომის თარიღი: 12.06.2019];

[30] Constitution of the republic of Lithuania, Article 22, https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/TAIS.1890?jfwid=-umo-1q4ckk [წვდომის თარიღი: 12.07.2019];

დაცვით. კანონი და სასამართლო იცავს პირებს თვითნებური ან არაკანონიერი ჩარევისაგან მათ პირად და ოჯახურ ცხოვრებაში. ლიეტუვის რესპუბლიკის კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ შეიცავს დეტალურ დებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პერსონალურ მონაცემთა დაცვას, რომელიც შესაბამისობაშია ევროკავშირის 1995 წლის 24 ოქტომბრის N95/46/EC დირექტივასთან.[31]

ვინაიდან ლიეტუვის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მიხედვით,[32] ლიეტუვის რესპუბლიკაში პერსონალურ მონაცემთა სამართლებრივი დაცვა შესაბამისობაში უნდა იყოს ზემოხსენებული დირექტივის მოთხოვნებთან,[33] ამისათვის, ლიეტუვაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, შექმნილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სახელმწიფო ინსპექცია.[34]

2.1. პერსონალური მონაცემთა დაცვის სახელმწიფო ინსპექცია

ლიეტუვის რესპუბლიკის კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე აწესებს ზედამხედველობის ინსტიტუტს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სახელმწიფო ინსპექციის სახით.[35] ლიეტუვის მთავრობის N1156 რეზოლუციით მიღებული დებულებით, მონაცემთა დაცვის სახელმწიფო ინსპექციის შესახებ და მისი დამატებით (2005 წლის 24 იანვარი), ინსპექციას მიენიჭა უფლებამოსილება, ზედამხედველობა გაუწიოს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას კანონის მოთხოვნათა დაცვას.

ინსპექციას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომლის დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება ხდება ლიეტუვის რესპუბლიკის საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოთხოვნათა დაცვით.[36]

ინსპექცია არის სახელმწიფო ორგანო,[37] რომელიც ფინანსდება ბიუჯეტიდან. იგი პასუხს აგებს მთავრობის წინაშე. მონაცემთა დაცვის სახელმწიფო ინსპექცია ხელმძღვანელობს ლიეტუვის რესპუბლიკის კონსტიტუციით, კანონებით, ლიეტუვის რესპუბლიკის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

ინსპექციის შესახებ დებულების მე-6 მუხლის თანახმად,[38] ინსპექციის მიზნებს წარმოადგენს: მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფა, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების დროს კონტროლის განმახორციელებელ პირთა საქმიანობაზე ზედამხედველობა, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მართლზომიერებაზე კონტროლის განხორციელება, მონაცემთა დამუშავების დროს დარღვევებზე რეაგირება და მონაცემთა სუბიექტების უფლებების დაცვა.

პირს, რომელსაც მიადგა ზიანი კონტროლის განმახორციელებლის, დამმუშავებლის ან სხვა

[31] EU Directive N 95/46/EC On The Protection Of Individuals With Regard To the Processing Of Personal Data and On the Free Movement of Such Data, THE European Parliament, 24 October, 1995, https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:31995L0046&from=en [წვდომის თარიღი: 12.08.2019];

[32] Law on Legal Protection of Personal Data Republic of Lithuania, Article 1. Objective, Purpose and Scope of the Law, part 7, https://e-seimas.lrs.lt/portal/documentSearch/lt [წვდომის თარიღი: 12.08.2019];

[33] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, (2007). პერსონალური მონაცემების დაცვა საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზი, რედ. ხათუნა ყვირალაშვილი, თბილისი, 24-38;

[34] Law on Legal Protection of Personal Data Republic of Lithuania, Article 27. Right of the Data Subject to Object to the Processing of His Personal Data, https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/ef70b5d2f14811e78f3dc265493430ae?jfwid=nz8qn7vvf [წვდომის თარიღი: 12.08.2019];

[35] იქვე, Article 29. Assistance to the Data Subject in Exercising His Right of Access to His Personal Data, https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/ef70b5d2f14811e78f3dc265493430ae?jfwid=nz8qn7vvf [წვდომის თარიღი: 12.08.2019];

[36] იქვე, Article 12, Organisation Of Wwork Of The Inspectorate, No.1156, 25 September, 2001, Vilnius, https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/TAIS.312997?jfwid=qjs00gs0d [წვდომის თარიღი: 12.08.2019];

[37] Government Of The Republic Of Lithuania Resolution On The Structural Reform Of The State Data Protection Inspectorate, Granting Authorization To The State Data Protection Inspectorate, The Aproval Of The Regulations Of The State Data Protection Inspectorate And The Partial Amendement Of The Related Resolutions Of The Government Of The Republic Of Lithuania, No.1156, 25 September, 2001, Vilnius, https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/TAIS.312997?jfwid=qjs00gs0d/ [წვდომის თარიღი: 12.08.2019];

[38] იქვე, Article 6, II. Objectives, Tasks And Functions Of The Inspectorate, No.1156, 25 September, 2001, Vilnius, https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/TAIS.312997?jfwid=qjs00gs0d [წვდომის თარიღი: 12.07.2019];

პირის მიერ განხორციელებული მოქმედებების ან უმოქმედობის შედეგად, უფლება აქვს, მოითხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება. ზიანის ოდენობა განისაზღვრება სასამართლოს მიერ.[39]

2.2 ლიეტუვის უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურებზე საპარლამენტო და სასამართლო ზედამხედველობა

ლიეტუვაში უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების მიერ ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დამუშავებისას სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს საპარლამენტო კომიტეტი ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საკითხებში.[40]

ლიეტუვის ეროვნული უსაფრთხოების და თავდაცვის საპარლამენტო კომიტეტის უფლებამოსილება (Seimo Nacionalinio saugumo ir gynybos komitetas) [41] (მისი დებულება ან რეგულაცია) არ არის განსაზღვრული ერთ ცალკეული სამართლებრივი აქტით, შესაბამისად, მისი მანდატის ფარგლები არ არის დაკონკრეტებული.[42]

ეროვნული უსაფრთხოების და თავდაცვის საპარლამენტო კომიტეტს (Seimo Nacionalinio saugumo ir gynybos komitetas) აქვს წვდომა ყველა ინფორმაციაზე, რომელიც ემსახურება პარლამენტის მიერ მისთვის დაკისრებული საზედამხედველო[43] ფუნქციების შესრულებას სამართალდამცავი ორგანოების ზედამხედველობის კუთხით.[44]

კომიტეტების მიერ პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშების წარდგენის კანონით დადგენილი ვალდებულება არ არსებობს. თუმცა პარლამენტის დებულება (Seimo statutas) ითვალისწინებს, რომ პარლამენტს შეუძლია საჭიროებისამებრ მოითხოვოს საპარლამენტო კომიტეტებისგან ანგარიშების წარდგენა.[45]

რაც შეეხება სასამართლო ზედამხედველობას, ლიეტუვის რესპუბლიკის დაზვერვის შესახებ კანონის (Lietuvos Respublikos žvalgybos įstatymas) მე-13 მუხლი განსაზღვრავს,[46] თუ რომელი ღონისძიებები მოითხოვს სასამართლოს ნებართვას პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას, ესენია: 1) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით, მიმოწერებითა და სხვა პირადი კომუნიკაციებით გადაცემული ინფორმაციის შინაარსის მონიტორინგი და ჩაწერა; 2) პირის საცხოვრებლის ან მანქანის შემოწმება და დათვალიერება; 3) დოკუმენტების ან ნივთების ამოღება ან ფარული შემოწმება და ჩაწერა; 4) ელექტრონული ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დამუშავება და მონაცემების მოპოვება; 5) ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების, ელექტრონული გადარიცხვებისა და სხვა ფინანსური ოპერაციების მონიტორინგი და აღრიცხვა.

---

[39] Law on Legal Protection of Personal Data Republic of Lithuania, Article 34. Registration of Data Controllers, https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/ef70b5d2f14811e78f3dc265493430ae?jfwid=nz8qn7vvf [წვდომის თარიღი: 17.08.2019];

[40] Lithuania, Seimas (2012), Law on Intelligence of the Republic of Lithuania (Lietuvos Respublikos žvalgybos įstatymas), No. XI-2289, 17 October 2012, as amended, Art. 21 (5), https://eseimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/TAIS.106097/FYHcBALWYG [წვდომის თარიღი: 24.08.2019];

[41] Lithuania, Seimas (1997), Law on the State Defence Council of the Republic of Lithuania (Lietuvos Respublikos valstybės gynimo tarybos įstatymas), No. VIII-209, 30 April 1997, as amended, Art. 2, 4, https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/TAIS.38353/tFCCcCMzjU [წვდომის თარიღი: 24.08.2019];

[42] Short Thematic Report, (2016). National intelligence authorities and surveillance in the EU: Fundamental rights safeguards and remedies, 5-11;

[43] Wills A., (2015). Democratic and efective oversight of national security services, The Council of Europe Commissioner for Human Rights, 42-43;

[44] Lithuania, Seimas (1998), Statute of the Seimas of the Republic of Lithuania (Lietuvos Respublikos Seimo statutas), No. VIII-1000, 22 December 1998, as amended, Art. 44 (7), https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/TAIS.70489?positionInSearchResults=0&searchModelUUID=25bcdfc2-b8be-4e81-8991-185fe08c5d78 [წვდომის თარიღი: 24.08.2019];

[45] Lithuania, Seimas (1998), Statute of the Seimas of the Republic of Lithuania (Lietuvos Respublikos Seimo statutas), No. VIII-1000, 22 December 1998, as amended, Art. 48 (2), https://eseimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/TAIS.70489?positionInSearchResults=0&searchModelUUID=25b cdfc2-b8be-4e81-8991-185fe08c5d78 [წვდომის თარიღი: 24.08.2019];

[46] Lithuania, Seimas (2012), Law on Intelligence of the Republic of Lithuania (Lietuvos Respublikos žvalgybos įstatymas), No. XI-2289, 17 October, 2012, https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/TAIS.106097/FYHcBALWYG [წვდომის თარიღი: 24.08.2019];

დასკვნა

განხილული ქვეყნების საკანონმდებლო პრაქტიკისა და საერთაშორისო კანონმდებლობის მიმოხილვისა და გაანალიზების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვა, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დამუშავება და მათ დამუშავებაზე ეფექტიანი ზედამხედველობა, ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხის პირდაპირპროპორციულია.

ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დამუშავება და საკანონმდებლო რეგულირება ყოველ კონკრეტულ ქვეყნაში თავისებურია, რაც განპირობებულია იმით, თუ რა საკანონმდებლო მექანიზმებით რეგულირდება სამართალდამცავი ორგანოების ოპერატიულ-საგამოძიებო საქმიანობა და არის თუ არა იგი სახელმწიფოში არსებული ოპერატიული ვითარების თანხვედრი. სწორედ მათი სათანადო განხილვა იძლევა შესაძლებლობას, რომ სრულყოფილად გაანალიზდეს და შესწავლილ იქნას სამართალდამცავი სექტორისა და მისი ზედამხედველი ორგანოების ურთიერთდამოკიდებულება.

აღსანიშნავია, რომ სამართალდამცავი ორგანოებისა და უსაფრთხოების სამსახურის მართვისა და ზედამხედველობის ერთიანი და საუკეთესოდ აღიარებული სისტემა არ არსებობს. თითოეული ქვეყანა განსხვავებულ გარემოებებსა და მუდმივად ცვალებად გლობალურ უსაფრთხოების გარემოში ცდილობს არაერთ საფრთხესთან გამკლავებას და შესაბამისი ბალანსის უზრუნველყოფას სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებულ სპეციალურ ღონისძიებებსა და ადამიანის უფლებათა დაცვას შორის.

აქედან გამომდინარე, სამართალდამცავი ორგანოებისა და უსაფრთხოების სამსახურების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება, გადაცემა, შენახვა და დაცვა უნდა მოხდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აგრეთვე, სახელმწიფომ უნდა დაიცვას ბალანსი ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მიზნებისათვის განხორციელებულ სპეციალურ ღონისძიებების ფარგლებსა და ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებას შორის.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბორნი ჰ., ლეიფი ი., (2005). დაზვერვის ანგარიშვალდებულების დანერგვა: დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობის სამართლებრივი სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკა, თავი 15: საპარლამენტო ზედამხედველობის ორგანოს მანდატი, ოსლო, 86-90;

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, (2007). პერსონალური მონაცემების დაცვა – საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზი, რედ. ხათუნა ყვირალაშვილი, თბილისი, 24-38;

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, (2007). პერსონალური მონაცემების დაცვა-საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზი, რედ. ხათუნა ყვირალაშვილი, თბილისი, 64-73;

Basic Law for the Federal Republic of Germany, Article 10, https://www.gesetze-im-internet.de/gg/BJNR000010949.html

Basic Law for the Federal Republic of Germany, Chapter 4. The Federal Commissioner for Data Protection and Freedom of Information, https://www.gesetze-im-internet.de/bdsg_2018/BJNR209710017.html

Constitution of the republic of Lithuania, Article 22, https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/TAIS.1890?jfwid=umo1q4ckk

Constitution of the Republic of Lithuania, https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/TAIS.1890?jfwid=umo1q4ckk

Criminal Procedure Code (StPO) of Germany, Eighth section, investigative measures, telecommunications surveillance, §100a, 12.09.1950.

Criminal Procedure Code (StPO) of Germany, Eighth section, investigative measures, §110a Undercover agent Section, 110b Procedure when using a Covert Investigator, §110c Powers of the Undercover Investigator, 12.09.1950, https://www.gesetze-im-internet.de/stpo/BJNR006290950.html#BJNR006290950BJNG000202311

Directive 95/46/EC of the European Parliament and of the Council of 24 October 1995 on the protection of individuals with regard to the processing of personal data and on the free movement of such data,https://eur-lex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/?uri=uriserv:OJ.L_.1995.281.01.0031.01.ENG&toc=OJ:L:1995:281:TOC

Directive (EU) 2016/680 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the protection of natural persons with regard to the processing of personal data by competent authorities for the purposes of the prevention, investigation, detection or prosecution of criminal offences or the execution of criminal penalties, and on the free movement of such data, and repealing Council Framework Decision 2008/977/JHA, https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32016L0680

EU Directive N 95/46/EC On The Protection Of Individuals With Regard To the Processing Of Personal Data and On the Free Movement of Such Data, THE European Parliament, 24 October, 1995, https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:31995L0046&from=en

Federal Data Protection Act (BDSG) Bundesdatenschutzgesetz, https://www.gesetze-im-internet.de/bdsg_2018/BJNR209710017.html Gesetz über die parlamentarische Kontrolle nachrichtendienstlicher Tätigkeit des Bundes (Kontrollgremiumgesetz - PKGrG), (Law on of the parliamentary control of Federal intelligence service) 29.07.2009, http://www.gesetze-im-internet.de/pkgrg/BJNR234610009.html

Surveillance by intelligence services: fundamental rights safeguards and remedies in the EU Volume I:Member States' legal frameworks, European Union Agency for Fundamental Rights, 2017;

Gesetz über die parlamentarische Kontrolle nachrichtendienstlicher Tätigkeit des Bundes (Kontrollgremiumgesetz - PKGrG), (Law of the parliamentary control of Federal intelligence service), § 5 Powers of the supervisory body, administrative assistance, http://www.gesetze-im-internet.de/pkgrg/BJNR234610009.html

Gesetz über die parlamentarische Kontrolle nachrichtendienstlicher Tätigkeit des Bundes (Kontrollgremiumgesetz - PKGrG), (Law of the parliamentary control of Federal intelligence service), § 4 Obligation of the Federal Government for information http://www.gesetze-im-internet.de/pkgrg/BJNR234610009.html

Committees of the 18th electoral term, https://www.bundestag.de/ausschuesse/ausschuesse18/gremien18/g10

Gesetz zur Beschränkung des Brief-, Post- und Fernmeldegeheimnisses, (Law of the limitation of postal and telecommunications secrecy) (Article 10 Law - G 10), Date of completion: 26.06.2001, http://www.gesetze-im-internet.de/g10_2001/BJNR125410001.html

Gesetz über die Aufgaben, Befugnisse, Organisation und Zuständigkeit der Polizei im Land Brandenburg (Brandenburgisches Polizeigesetz - BbgPolG), Section 2, Data Processing, Subsection 1, Data collection, §30 Data collection, part 1-st, http://bravors.brandenburg.de/gesetze/bbgpolg_2016#29

Government Of The Republic Of Lithuania Resolution On The Structural Reform Of The State Data Protection Inspectorate, Granting Authorization To The State Data Protection Inspectorate, The Aproval Of The Regulations Of The State Data Protection Inspectorate And The Partial Amendement Of The Related Resolutions Of The Government Of The Republic Of Lithuania, No.1156, 25 September, 2001, Vilnius https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/TAIS.312997?jfwid=qjs00gs0d/

Gesetz über die Aufgaben, Befugnisse, Organisation und Zuständigkeit der Polizei im Land Brandenburg (Brandenburgisches Polizeigesetz - BbgPolG) (Law on the Duties, Powers, Organization and Responsibility of the Police in the State of Brandenburg (Brandenburg Police Law - BbgPolG)), http://bravors.brandenburg.de/gesetze/bbgpolg_2016#33

Law on Legal Protection of Personal Data Republic of Lithuania, https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/ef70b5d2f14811e78f3dc265493430ae?jfwid=nz8qn7vvf

Law on Legal Protection of Personal Data Republic of Lithuania, Article 1. Objective, Purpose and Scope of the Law, part 7, https://e-seimas.lrs.lt/portal/documentSearch/lt

Law on Legal Protection of Personal Data Republic of Lithuania, Article 27. Right of the Data Subject to Object to the Processing of His Personal Data, https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/ef70b5d2f14811e78f3dc265493430ae?jfwid=nz8qn7vvf

Law on Legal Protection of Personal Data Republic of Lithuania, Article 34. Registration of Data Controllers, https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/ef70b5d2f14811e78f3dc265493430ae?jfwid=nz8qn7vvf

Lithuania, Seimas (2012), Law on Intelligence of the Republic of Lithuania (Lietuvos Respublikos žvalgybos įstatymas), No. XI-2289, 17 October 2012, as amended, Art. 21 (5), https://eseimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/TAIS.106097/FYHcBALWYG

Lithuania, Seimas (1997), Law on the State Defence Council of the Republic of Lithuania (Lietuvos Respublikos valstybės gynimo tarybos įstatymas), No. VIII-209, 30 April 1997, as amended, Art. 2, 4,https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/TAIS.38353/tFCCcCMzjU

Lithuania, Seimas (1998), Statute of the Seimas of the Republic of Lithuania (Lietuvos Respublikos Seimo statutas), No. VIII-1000, 22 December 1998, as amended, Art. 44 (7), https://eseimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/TAIS.70489?positionInSearchResults=0&searchModelUUID=25bcdfc2-b8be-4e81-8991-185fe08c5d78

Lithuania, Seimas (1998), Statute of the Seimas of the Republic of Lithuania (Lietuvos Respublikos Seimo statutas), No. VIII-1000, 22 December 1998, as amended, Art. 48 (2), https://eseimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/TAIS.70489?positionInSearchResults=0&searchModelUUID=25b cdfc2-b8be-4e81-8991-185fe08c5d78

Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the protection of natural persons with regard to the processing of personal data and on the free movement of such data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation), https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32016R0679

Short Thematic Report, (2016). National intelligence authorities and surveillance in the EU: Fundamental rights safeguards and remedies, 5-11;

Telecommunications Act, https://www.itu.int/ITU-D/treg/Legislation/Germany/TelecomAct.pdf The Republic Of Lithuania Criminal Intelligence Law, No. Vilnius, 02.10.2012, https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAP/TAIS.427828

Republic Of Lithuania Law On The Special Investigation Service, Article 8. Functions of the Specia Investigation Service, May 2, 2000, No.VIII-1649, Vilnius, http://www.stt.lt/documents/laws/stt_law.pdf

The Republic Of Lithuania Criminal Intelligence Law, Article 12 . Tasks of law enforcement authorities, d No. Vilnius, 02.10.2012, https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAP/TAIS.427828

Töpfer E., (2016). National intelligence authorities and surveillance in the EU: Fundamental rights safeguards and remedies, 10-22;

Wills A., (2015). Democratic and efective oversight of national security services, The Council of Europe Commissioner for Human Rights, 42-43;

ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დამუშავება და საკანონმდებლო რეგულირება ევროპის ქვეყნებში

ილია ხუციშვილი

დოქტორანტი

„ნიუ ვიჟენ“ უნივერსიტეტი

ანოტაცია

კომუნიკაციის სფეროში არსებული ტექნიკური საშუალებებისა და მათი გამოყენების მასშტაბების გათვალისწინებით, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საკითხი დღითიდღე რთული გამოწვევების წინაშე დგება. არსებული რეალობა განსაკუთრებით მწვავედ სამართალდამცავი ორგანოების მიერ ოპერატიულ-სამძებრო და ფარული საგამოძიებო მოქმედებების კონტექსტში იჩენს თავს. ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის თვალსაზრისით განსაკუთრებით აქტუალურია სამართალდამცავი ორგანოების მიერ ელექტრონული კომუნიკაციის მაინდეტიფიცირებელი მონაცემების დამუშავება, ფარული მიყურადებისა და თვალთვალის განხორციელება, რაც განპირობებულია მათი უფლებამოსილებით, დანაშაულის გამოძიების მიზნებისთვის აწარმოონ ფარული ვიდეო და აუდიოჩაწერა, ფოტოგადაღება, სატელეფონო საუბრის მოსმენა და სხვა. სამართალდამცავი ორგანოების მიერ დანაშაულის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დროს განხორციელებული საქმნიანობა ყოველთვის საზოგადოების ყურადღების ცენტრშია, მითუმეტეს თუ ეს საქმიანობა შეეხება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას. აღნიშნული შეზღუდვის აუცილებლობა განსაკუთრებით მაშინ წარმოიშობა, როდესაც საქმე ეხება ფარული საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებას. აღნიშნული საკითხის აქტუალობიდან გამომიდნარე, ნაშრომის მიზანია ევროპის განვითარებული ქვეყნების მასშტაბით სამართალდამცავი ორგანოების მიერ ელექტრონული კომუნიკაციის მაიდნეტიფიცირებელი მონაცემების დამუშავების სტანდარტების განხილვა, არსებული პრაქტიკის ანალიზი პირადი ცხოვრების ხელშეულეხლობის დაცვის მხრივ და ევროპის ქვეყნების უსაფრთხოების სამსახურების მართვისა და ზედამხედველობის კუთხით არსებული საკანონმდებლო მექანიზმების ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: *პერსონალური მონაცემი, წვდომა, დამუშავება, ზედამხედველობა*

Processing of Identification Data for Electronic Communication and Procedural Regulation in European Countries

Ilia Khutsishvili

Ph.D. Student
"New Vision" University

Abstract

Considering the range of technical means available in the field of communication and the extent to which they are used, the issue of inviolability of personal life is facing difficult challenges day after day. The current situation is especially critical in the context of operative investigative and covert investigative activities of law enforcement agencies. In terms of inviolability of human privacy, it is particularly relevant the processing of identification data for electronic communication, covert listening and surveillance by law enforcement agencies, which is due to their authority to conduct covert video and audio recording, photo-recording, listening to telephone conversations and more in order to investicate the crime. The activities of law enforcement agencies in the investigation and prosecution of crimes have always been in the center of public interest, especially if these activities concern the restriction of basic human rights and freedoms. The need for such a restriction arises particularly when the covert investigative and operative investigative activities are at issue. Based on the urgency of the mentioned issue, the goal of the work is the discussion of standards for the protection of identification data for electronic communication by law enforcement agencies across European developed countries, analysis of existing practices in terms of privacy protection and analysis of the legislative mechanisms for managing and overseeing the security services of European countries.

Keywords: *Personal Data, Access, Processing, Supervision*

სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები საპროცესო შეთანხმების შესახებ შუამდგომლობის დამტკიცებისას

ელა კუსიანი

დოქტორანტი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

შესავალი

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი 2004 წლიდან მოქმედებს ჩვენს ქვეყანაში და დღემდე არ კარგავს აქტუალობას, ვინაიდან საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა უმეტესობა სწორედ რომ საპროცესო შეთანხმების გაფორმებით მთავრდება. საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტმა მრავალი ცვლილება განიცადა შემოღებიდან დღემდე, რათა იგი, როგორც სამართალწარმოების ფორმა დახვეწილიყო და სისხლის სამართლის საქმეთა გადაწყვეტის უფრო ეფექტურ მექანიზმად ქცეულიყო.

საპროცესო შეთანხმება არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია. საპროცესო შეთანხმება ხშირად ლიტერატურაში განიხილება, როგორც პრაქტიკული და ყველაზე წარმატებული საშუალება კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ, როგორც სასამართლოში საქმეთა განხილვის შემცირების საშუალება, როგორც საპატიმრო ადგილების განტვირთვის მექანიზმი.[1]

საპროცესო შეთანხმება არის შეთანხმება პროკურორსა და ბრალდებულს შორის, რომელიც მიზნად ისახავს აღიარებითი ჩვენების მიღებას წარდგენილი ბრალდების შემსუბუქების სანაცვლოდ.

ზოგი თვლის, რომ საპროცესო შეთანხმება არის პასუხი გაზრდილი რაოდენობის დანაშაულობებსა და შეზღუდულ რესურსებზე, ზოგსაც მიაჩნია, რომ საპროცესო შეთანხმებას შემოაქვს მოქნილობა სხვაგვარად ხისტ სისტემაში.[2]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსსკ) მერვე მუხლში განმტკიცებულია სამართლიანი პროცესისა და სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპი: ბრალდებულს (მსჯავრდებულს, გამართლებულს) აქვს სამართლიანი პროცესის უფლება; ბრალდებულს აქვს უფლება სწრაფი მართლმსაჯულებისა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ ვადებში; პირს უფლება აქვს, უარი განაცხადოს ამ უფლებაზე, თუ ეს აუცილებელია დაცვის სათანადოდ მომზადებისათვის.

დღესდღეობით საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტთან დაკავშირებით განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები საპროცესო შეთანხმების შესახებ შუამდგომლობის დამტკიცებისას. კერძოდ, მიზანშეწონილია თუ არა მოსამართლეს ჰქონდეს უფლება ცვლილებები შეიტანოს საპროცესო შეთანხმების პირობებში მისი დამტკიცებისას. იქნებოდა თუ არა აღნიშნული უფლების მინიჭება სასამართლოსათვის მნიშვნელოვანი ბერკეტი ბრალდებულის უფლებების დასაცავად და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გარანტირებული სამართლიანი პროცესის უზრუნველსაყოფად. აღნიშნულის თაობაზე მსჯელობას განვავითარებ საქართველოში საპროცესო შეთანხმების დამკვიდრების ისტორიის მიმოხილვის ფონზე.

[1] ფაფიაშვილი ლ. (რედ.). (2017)., საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი კერძო ნაწილი, გვ. 544.

[2] Malcolm M. Feeley. (1982). Plea Bargaining and the Structure of the Criminal Process, Berkeley Law, p.340.

1. საპროცესო შეთანხმების დამკვიდრების ისტორია საქართველოში;

სანამ მიმოვიხილავ საპროცესო შეთანხმების უშუალოდ საქართველოში დამკვიდრების ისტორიას მოკლედ შევეხები აღნიშნული ინსტიტუტის მის სამშობლოში – ამერიკის შეერთებული შტატები შემოღებას, რაც მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა. როგორც ცნობილია, საპროცესო შეთანხმების დანერგვა აშშ-ში განაპირობა სისხლის სამართლის საქმეების სიმრავლემ და სასამართლოში დავისათვის საჭირო რესურსების ნაკლებობამ.

1980-იან წლებში საპროცესო შეთანხმების კრიტიკოსები ამერიკაში ითხოვდნენ მის გაუქმებას. შემდგომში აღიარეს რა ამ ინსტიტუტის მყარი პოზიციები მართლმსაჯულების სისტემაში, აქცენტი გადაიტანეს მის კორექტირებაზე. კვლევის შედეგად იდენტიფიცირებულ იქნა სამი სფერო, რომელიც საჭიროებდა რეფორმას: 1. იძულების რისკი – უდანაშაულო ბრალდებული რისკის ქვეშაა დამნაშავედ ცნოს თავი, მაშინ როცა დიდი სხვაობაა შეთავაზებულ და მოსალოდნელ სასჯელს შორის, როცა საპროცესო შეთანხმება სთავაზობს პირობით სასჯელს, მოსალოდნელი სასჯელი კი არის პატიმრობა, როდესაც ბრალდებული დაკავებულია, ამ დაკავების ვადას უთვლიან სასჯელად და ათავისუფლებენ. 2. უზუსტობის რისკი – გამოძიებისათვის შეზღუდულმა დრომ და რესურსებმა, სასამართლო განხილვის არასაკმარისობამ შესაძლოა გამოიწვიოს ის, რომ ბრალდება იყოს არაზუსტი ან სასჯელი იყოს დაუმსახურებლად მკაცრი ან ლმობიერი. 3. არასაკმარისი პროცესუალური გარანტიები – მოლაპარაკების პროცესი არ არის გამჭვირვალე. მხარეები აწარმოებენ მოლაპარაკებას მესამე ნეიტრალური პირის და თვით მსხვერპლის მონაწილეობის გარეშე.[3]

რაც შეეხება საპროცესო შეთანხმების დამკვიდრებას ქართული სამართლის სისტემაში, უპირველეს ყოვლისა, იმით იყო განპირობებული, რომ ეკონომიურად და ეფექტურად ყოფილიყო გამოყენებული სახელმწიფოს რესურსები. მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების მიღწევა თავისთავად გულისხმობს პროცესის შეკვეცას, რითაც სახელმწიფო თავიდან იცილებს რიგი საქმეების ფორმალურ გაჭიანურებას, გათვალისწინებულ თუ გაუთვალისწინებელ ხარჯებს, დროის ფუჭად დაკარგვას და ყოველივე ამით სასამართლო სისტემა ხდება უფრო მოქნილი.[4]

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი არ ყოფილა განცალკევებული საკანონმდებლო ნოვაცია. იგი პარლამენტს წარედგინა სხვა საკანონმდებლო პროექტებთან ერთად და მათ მთლიანობაში „ანტიკორუფციული ღონისძიებების შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტი ეწოდა.[5]

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ბოლო წლების 10 წლის სტატისტიკური მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება: 2007 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განაჩენის გამოტანით განხილული სისხლის სამართლის საქმეებიდან საპროცესო შეთანხმებით დასრულდა საქმეთა საერთო რაოდენობის 48,1%, 2008 წელს – 52,2%, 2009 წელს-58,2%, 2010 წელს – 80,2%, 2011 წელს – 87,5%, 2012 წელს-87,8%, 2013 წელს – 89,1%, 2014 წელს – 69,7%, 2015 წელს – 63,7%, 2016 წელს – 62,5%, 2017 წელს კი საპროცესო შეთანხმებით დასრულებულ საქმეთა მაჩვენებელი კვლავ გაიზარდა და 69,6% შეადგინა, 2018 წელს – 67,7%, ხოლო 2019 წელს 65,8 % შეადგინა.[6]

სსსკ-ში 2004 წელს შესული ცვლილებით შესაძლებელი იყო საპროცესო შეთანხმება გაფორმებულიყო ნებისმიერი კატეგორიის (ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე) დანაშაულის შემთხვევაში. იმ ეტაპისთვის საპროცესო შეთანხმების დადების საფუძველი იყო ბრალდებულის თანხმობა ეთანამშრომლა გამოძიებასთან, მიეწოდებინა უტყუარი ინფორმაცია ან/და

[3] Jenia I. Turner. (2017). Plea Bargaining, Academy For Justice, A Report on Scholarship and Criminal Justice Reform, p. 80-88.
[4] მჭედლიშვილი თ. (2010). **საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის ზოგადი მიმოხილვა,** წმინდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი: შრომების კრებული, ტ. მე-3, გვ. 159.
[5] მანაგაძე დ. (2010). საპროცესო შეთანხმება – გამოცდილება და პრაქტიკა, საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტი: სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. მე-3, გვ. 164.
[6] იხ. http://www.supremecourt.ge/statistics/

მტკიცებულებები მძიმე დანაშაულის შესახებ, რაც ამ დანაშაულის გახსნას ხელს შეუწყობდა.[7] ანუ თავდაპირველ ეტაპზე საპროცესო შეთანხმების საფუძველი მხოლოდ ბრალის აღიარება და თანამშრომლობა იყო. მოგვიანებით ამ ინსტიტუტის ამოქმედებიდან რამდენიმე თვეში სსსკ-ის საპროცესო შეთანხმების თავში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება, საპროცესო შეთანხმების საფუძველი ორად გაიყო.[8] განხორციელებული ცვლილებით პროკურორს უფლება ჰქონდა ეშუამდგომლა სასამართლოსთან სისხლის სამართლის საქმეზე არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე უკვე ორ შემთხვევაში, კერძოდ, თუ საპროცესო შეთანხმება გაფორმდებოდა ბრალზე ან სასჯელზე. ბრალზე შეთანხმების შემთხვევაში ბრალდებული აღიარებდა ბრალს და თანამშრომლობდა გამოძიებასთან, ხოლო სასჯელზე შეთანხმების შემთხვევაში ბრალდებული არ აღიარებდა ბრალს, მაგრამ თანამშრომლობდა გამოძიებასთან და თანახმა იყო პროკურორის მიერ შეთავაზებულ სასჯელის ზომაზე ან სასჯელისაგან სრულ გათავისუფლებაზე.

2005 წლის 25 მარტის საკანონმდებლო ცვლილებით ბრალზე და სასჯელზე შეთანხმების შემთხვევაში ბრალდებული გათავისუფლდა გამოძიებასთან თანამშრომლობის და დახმარების პირობისაგან. გამოძიებასთან თანამშრომლობა სავალდებულო გახდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საქმე სასჯელისაგან სრულად გათავისუფლებას შეეხებოდა.

2004 წლის 25 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებით საპროცესო შეთანხმების საფუძვლის ორად გაყოფა ფორმალური აღმოჩნდა, რადგან ბრალზე გარიგება თავისთავად გულისხმობდა ბრალდებულისათვის არსებულ ისეთ შეღავათს როგორიცაა სასჯელზე შეთანხმება, სასჯელის შემცირება, დანაშაულთა ერთობლიობისას ბრალდების შემსუბუქება ან ნაწილობრივი მოხსნის შესაძლებლობა.

2004 წლის კანონის პირველადი ვარიანტის მიხედვით საპროცესო შეთანხმების ინიციატორი მხოლოდ პროკურორი იყო, მხოლოდ მას შეეძლო საპროცესო გარიგების შეთავაზება. 2005 წლის 25 მარტის ცვლილების შემდეგ საპროცესო გარიგების შეთავაზების უფლება თვითონ ბრალდებულს/განსასჯელს და სასამართლოსაც მიეცა. ანუ მოსამართლესაც ჰქონდა უფლება წინადადებით მიემართა მხარეებისათვის ეფიქრათ საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე.

კანონმა მოსამართლეს დისკრეციის უფლება დაუტოვა. მოსამართლე არ იყო ვალდებული დაემტკიცებინა საპროცესო შეთანხმება. კანონის პირველად რედაქციაში მოსამართლეს ჰქონდა უფლებამოსილება თუ პროკურორის მიერ მოთხოვნილ სასჯელს მკაცრად მიიჩნევდა სასჯელი შეემსუბუქებინა ბრალდებულისათვის. 2006 წლის 29 დეკემბრის ცვლილებებით მოსამართლეს სასჯელის შემსუბუქების საშუალება ჩამოერთვა და მხოლოდ მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში დარჩა ცვლილებების შეტანის უფლება.[9]

სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული 2006 წლის 28 აპრილის ცვლილებებით მოსამართლეს საერთოდ აეკრძალა კანონით დადგენილზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა, თუ პირთან საპროცესო შეთანხმება არ იქნებოდა გაფორმებული[10].

მინიმალურ სასჯელზე ნაკლების შეფარდება მხოლოდ საპროცესო შეთანხმების პირობებში გახადა შესაძლებელი. ამ შემთხვევაში კი სასჯელის ზომის განსაზღვრა ექსკლუზიურად პროკურორს მიენიჭა. მართალია, ამ შემთხვევაში სასჯელის ზომის განსაზღვრისას ბრალდებულის თანხმობა კვლავ აუცილებელ პირობად დარჩა, მაგრამ მას პროკურორთან შედარებით გაცილებით ნაკლები ბერკეტი დაუტოვა. მოსამართლეს მხოლოდ პროკურორის შუამდგომლობის დამტკიცება არდამტკიცება და მხარეებისათვის სასჯელის ან სხვა პირობის შეცვლის მხოლოდ შეთავაზების უფლება დარჩა და არა სასჯელის ზომაზე საკუთარი დამოუკიდებელი

[7] „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ ანგარიშები და პრესრელიზები – საპროცესო შეთანხმება საქართველოში, გვ. 6.
[8] იქვე, გვ. 6.
[9] იქვე, გვ. 9.
[10] საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ 2006 წლის 28 აპრილი, სისხლის სამართლის კოდექსი 55-ე მუხლი.

გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნული ცვლილებით სასჯელის სახის და ოდენობის განსაზღვრა, სასჯელის შემსუბუქება ფაქტობრივად მხოლოდ პროკურორის პრეროგატივა გახდა და ამ ცვლილებებით ცალსახად შეიძლება აღინიშნოს, რომ მოსამართლის უფლებები გაცილებით მეტად შეიზღუდა პროკურორის მხარის სასარგებლოდ.[11]

2. სასამართლოს უფლებამოსილება საპროცესო შეთანხმების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას

ალბერტ ალშულერი (ALBERT W. ALSCHULER) თავის ნაშრომში – „მოსამართლის როლი საპროცესო შეთანხმებაში" – განასხვავებს საპროცესო შეთანხმების სისტემის 4 ტიპს, რომელშიც მოსამართლეს აქვს განსხვავებული როლი. პირველი, როცა მოსამართლე არ არის ჩართული საპროცესო შეთანხმების დადების პროცესში და რომელშიც მოლაპარაკების ამოცანა ექსკლუზიურად პროკურორს ეკუთვნის, მეორე, რომელშიც არც მოსამართლე და არც პროკურორი არ აწარმოებენ პირდაპირ მოლაპარაკებას ადვოკატებთან, მაგრამ ამ სისტემაში მოსამართლე ახალისებს საპროცესო შეთანხმების დადებას იმით, რომ რეგულარულად მკაცრად სჯის იმ ბრალდებულებს, რომლებიც საქმის არსებით განხილვას ამჯობინებენ დანაშაულის აღიარებას. მესამე ტიპის სისტემაში მოსამართლე აქტიურად მონაწილეობს წინა საპროცესო მოლაპარაკებებში და ბრალდებულს სთავაზობს სპეციფიკურ ბენეფიტებს საპროცესო შეთანხმების დადების სანაცვლოდ. მეოთხე სისტემაში მოსამართლეები მონაწილეობენ მოლაპარაკების პროცესში, მაგრამ თავს არიდებენ სპეციფიკურ წინა საპროცესო დაპირებებს.[12]

ერთ-ერთი მოსაზრებით, მოსამართლე უნდა მონაწილეობდეს საპროცესო შეთანხმების დადებისას დისკუსიებში, რადგან მოსამართლის ამგვარი აქტიურობა იძლევა სასჯელის პროგნოზირების საშუალებას. მოსამართლეს ევალება შექმნას გულწრფელი ატმოსფერო, ხოლო პროკურორი ღიად საუბრობს საქმის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, რაც იძლევა საშუალებას, რომ ბრალდებული არ დარჩეს „სიბნელეში" და უკეთ იყოს ინფორმირებული საპროცესო ალტერნატივების შესახებ. აღნიშნული კი მოხსნის იმ გაურკვევლობას, რაც აწუხებთ ბრალდებულსა და ადვოკატს. აღარ იქნება აუცილებელი „ტექნიკური და პროცედურული მანქანის სრული რიტუალის" გავლა, რაც თავის მხრივ შეამცირებს საქმეთა გაჭიანურებას.

ამის საწინააღმდეგოდ ზოგიერთი თვლის, რომ მოსამართლის ძალაუფლება საპროცესო შეთანხმების დადებისას იმდენად იძულებითი ხასიათის მატარებელია, რომ ბრალდებულს არ შეუძლია ნებაყოფლობით დაეთანხმოს მოსამართლის მიერ შემოთავაზებულ შეთანხმებას და აღნიშნული უბიძგებს მას თავი დამნაშავედ ცნოს.[13]

რაც შეეხება, თანამედროვე ქართულ რეალობას სისხლის სამართლის პროცესი წარმოადგენს მხარეთა შეჯიბრებითობაზე დაფუძნებულ პროცესს. მტკიცებულებების მოპოვება, სასამართლოში მათი წარდგენა და გამოკვლევა მხოლოდ მხარეების კომპეტენციაა. მხარეებს შეუძლიათ პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაამთავრონ საქმის წარმოება ბრალდებაზე უარის თქმის ან საპროცესო შეთანხმების გზით. მოსამართლე ინარჩუნებს ნეიტრალურ პოზიციას და საბოლოო გადაწყვეტილებას მხარეების მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე იღებს.[14]

სწორედ სისხლის სამართლის პროცესისათვის დამახასიათებელი ამ სირთულეებიდან გამომდინარე, სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის მიზნით, უმნიშვნელოვანესია მოსამართლის როლისა და მისი უფლებამოსილების ფარგლების შესაბამისი რეგულირება. საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტზე მსჯელობისას უნდა ითქვას, რომ საპროცესო შეთანხმების პირობების შესახებ მოლაპარაკება პროკურორსა და დაცვის მხარეს შორის მიმდინარეობს, რაშიც მოსამარ-

[11] „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" ანგარიშები და პრესრელიზები – საპროცესო შეთანხმება საქართველოში, 9.

[12] ALBERT W. ALSCHULER. (1976).THE TRIAL JUDGE'S ROLE IN PLEA BARGAINING, PART I, COLUMBIA LAW REVIEW, Vol. 76, No. 7, NOVEMBER, p. 1061.

[13] Herbert S. Miller, William F. McDonald, James A. Crame.(1978). Plea Bargaining in the United States, U.S. Department of Justice, p. 203-205.

[14] დოლიძე ვ. (2018). საპროცესო შეთანხმება საქართველოში – გამოწვევები და ტენდენციები, ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები" №3, გვ. 54.

თლე არ მონაწილეობს, მაგრამ, მიუხედავად იმისა, თუ რაზე მოილაპარაკეს მხარეებმა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მაინც სასამართლოს პრეროგატივაა და საპროცესო შეთანხმება ძალას მხოლოდ მას შემდეგ იძენს, რაც სასამართლო მას დაამტკიცებს გამამტყუნებელი განაჩენით. სწორედ მოსამართლე უნდა იყოს იმის გარანტი, რომ ასეთი შეთანხმებით ზიანი არ მიადგეს ბრალდებულის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. მოსამართლე სისხლის სამართლის საქმის განხილვის სხვადასხვა ეტაპზე არკვევს მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების არსებობას, ასევე საკითხს, დაყენებულია თუ არა შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე. ამ საკითხს სასამართლო არკვევს როგორც პირველი წარდგენის სასამართლო სხდომაზე, ასევე წინა სასამართლო და საქმის არსებითი განხილვის სხდომებზეც. თუკი გაირკვევა, რომ დაყენებულია შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე, ასეთ შემთხვევაში სასამართლო იხილავს აღნიშნულ შუამდგომლობას საქ. სსსკ XXI თავით დადგენილი წესით და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო შეთანხმების პირობებს თავად მხარეები განსაზღვრავენ და მოსამართლეს უფლება არა აქვს ჩაერიოს ამ პროცესში, მას შეუძლია შესთავაზოს მხარეებს, შუამდგომლობის სასამართლო სხდომაზე განხილვისას შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები და მათი თანხმობის შემთხვევაში, შეიტანოს მასში ცვლილებები.[15]

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საპროცესო შეთანხმება არის აპარატი, რომლის მეშვეობითაც მოსამართლეები, პროკურორები და ადვოკატები თანამშრომლობენ თავიანთი ინდივიდუალური და კოლექტიური მიზნების მისაღწევად და სამივე მხარე იღებს სამართლებრივ სარგებელს ამ თანამშრომლობის შედეგად.

თუმცა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი არ დგას კრიტიკის მიღმა და ბევრი თვლის, რომ ის საშუალებას აძლევს ბრალდებულებს გაექცნენ სათანადო სასჯელს მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებისათვის. ნაწილი კი თვლის, რომ უდანაშაულო ბრალდებულები ზოგჯერ თანხმდებიან საპროცესო შეთანხმების გაფორმებას, რადგან აცბუნებთ მართლმსაჯულების სისტემა და არ იციან რა გააკეთონ.

რაც შეეხება უშუალოდ მოსამართლის როლს საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას, ვეთანხმები მოსაზრებას, რომ უმჯობესი იქნებოდა თუ მოსამართლეს ექნებოდა უფლება არა მხოლოდ შეეთავაზებინა საპროცესო შეთანხმების პირობების შეცვლა, არამედ ყოფილიყო უფრო აქტიური და მონაწილეობა მიეღო პირობების შეცვლაში თუ პროკურორის მიერ შეთავაზებული სასჯელი იქნებოდა მკაცრი.

პროკურორის ფართო დისკრეცია და მიზანმიმართული მცდელობა, რომ დადგეს გამამტყუნებელი განაჩენი, ყურადღების მიღმა ტოვებს ბრალდებულის უფლებებს. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს ჩემი პრაქტიკიდან: ორ პიროვნებას ჯგუფურ ძარცვაში ედავებოდა პროკურატურა. საპროცესო შეთანხმების პირობა იყო 2 წლიანი რეალური სასჯელი. დაცვის მხარემ ვარჩიეთ ბრძოლა და საქმეზე ერთ-ერთი ბრალდებულის მიმართ დადგა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო მეორეს ქმედება დაკვალიფიცირდა ძარცვის მუხლის (178-ე მუხლი) პირველი ნაწილით და ბრალდებულს დაეკისრა ჯარიმა. ჯამში ბრალდებულებმა ციხეში გაატარეს ცხრა თვე, რის გამოც ერთ-ერთი ბრალდებული ჯარიმის გადახდისაგანაც გაათავისუფლა უზენაესმა სასამართლომ. დაცვის მხარეს რომ არ აერჩია ბრძოლის სტრატეგია ბრალდებულები ორ წელს გაატარებდნენ ციხეში და დამატებით ექნებოდათ პირობითი სასჯელიც; მქონია პრაქტიკაში ისეთი შემთხვევაც, როცა პროკურორი დაცვის მხარეს აყენებდა წნეხის ქვეშ და თითქმის აიძულებდა გაეფორმებინა საპროცესო შეთანხმება სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზევე, რადგან თუ გვიან გადაწყვეტდა ბრალდებული საპროცესოს გაფორმებას პირობებიც გამკაცრდებოდა ან პროკურორი საერთოდ უარს ეტყოდა საპროცესოს გაფორმებაზე და ეს მაშინ, როცა ბრალდებული საერთოდ არ იყო ნასამართლევი და საქმე ეხებოდა არაძალადობრივ დანაშაულს.

[15] დოლიძე ვ. (2018). საპროცესო შეთანხმება საქართველოში – გამოწვევები და ტენდენციები, ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“ №3, გვ. 54.

თუმცა ისეც მომხდარა, რომ განცხადება დაგვიწერია პირობით სასჯელზე და შეგვითავაზებია ჯარიმის გადახდაც, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებული იყო შვიდჯერ ნასამართლევი ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის, იხდიდა პირობით სასჯელს და ქურდობის მუხლის პირველი ნაწილის ჩადენაში ედებოდა ბრალი, პროკურატურას მხოლოდ სამი წელი პირობითი სასჯელი შემოუთავაზებია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოსამართლის როლის გააქტიურება საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას მოემსახურება ბრალდებულის ინტერესებს, იგი არ მოექცევა ბრალდებულის მიმართ კეთილგანწყობილი ან ნაკლებად კეთილგანწყობილი პროკურორის გავლენის ქვეშ, რომლის საპროცესო ფუნქცია სწორედ ის არის, რომ მხარი დაუჭიროს სახელმწიფო ბრალდებას და მისგან თავზემოხვეული, ცალკეულ შემთხვევებში უსამართლო სასჯელის ზომა არ იქცევა ბრალდებულის ბედისწერად.

მიმაჩნია, რომ:

1. სასამართლო ინსტიტუციურად უფრო ნეიტრალური ორგანოა ვიდრე პროკურატურა და არ არის პასუხისმგებელი იმ პოლიტიკაზე, რასაც სამართალდამცავი ორგანოები ატარებენ;
2. საპროცესო შეთანხმება თავისი არსით არის შეთანხმება პროკურორსა და ბრალდებულს შორის, ამიტომ ამ მოლაპარაკებაში მოსამართლის ჩართვა მესამე მხარედ ეწინააღმდეგება ამ ინსტიტუტის სამართლებრივ ბუნებას. მაგ., თუ მოსამართლეს მივცემთ უფლებას საპროცესო შეთანხმების პირობები შესთავაზოს ბრალდებულს, ბრალდებული კი უარს განაცხადებს ამაზე, შემდგომში მოსამართლეს გაუჭირდება იყოს მიუკერძოებელი ამ საქმის გადაწყვეტისას. თუმცა
3. სასამართლოს, როგორც დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ინსტანციას, უნდა ჰქონდეს მაკონტროლებელი ფუნქცია პროკურორის მიერ ბრალდებულისთვის შეთავაზებული სასჯელის ზომაზე და უნდა ფლობდეს მისი შემცირების უფლებამოსილებას თუ სასჯელი იქნება მკაცრი; ამისათვის კი საჭიროა მოსამართლის, როგორც დამოუკიდებელი მაკონტროლებლის როლის გააქტიურება.

აღნიშნული კი მოემსახურება შემდეგს:

1. საპროცესო შეთანხმებაზე მოლაპარაკების პროცესი იქნება უფრო გამჭვირვალე;
2. დაცული იქნება საჯარო ინტერესი და საპროცესო შეთანხმება არ ჩაითვლება მხოლოდ კერძო გარიგებად პროკურორსა და ბრალდებულს შორის;
3. დაცული იქნება ბრალდებულის უფლებები. ბრალდებული აღარ იქნება დამოკიდებული მის მიმართ არაშემწყნარებელი პროკურორის ნებაზე.
4. დაბალანსდება ბრალდებისა და დაცვის მხარის უფლებამოსილება სისხლის სამართლის პროცესში, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას საქმის განხილვისას.

გამოყენებული ლიტერატურა:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 09/10/2009.

ფაფიაშვილი, ლ. (რედ.) (2017). საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი კერძო ნაწილი.

დოლიძე, ვ. (2018). საპროცესო შეთანხმება საქართველოში – გამოწვევები და ტენდენციები, ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“ №3, გვ. 45-64.

მანაგაძე, დ. (2010). საპროცესო შეთანხმება – გამოცდილება და პრაქტიკა, საერთაშორისოსამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტი: სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. მე-3, გვ.163-178.

მჭედლიშვილი თ. (2010). საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის ზოგადი მიმოხილვა, წმინდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი: შრომების კრებული, ტ. მე-3, გვ. 131-161.

ALBERT W. ALSCHULER. (1976). THE TRIAL JUDGE'S ROLE IN PLEA BARGAINING, PART I, COLUMBIA LAW REVIEW, Vol. 76, No. 7, NOVEMBER.

Herbert S. Miller,William F. McDonald, James A. Crame. (1978). Plea Bargaining in the United States, U.S. Department of Justice.

Malcolm M. Feeley. (1982). Plea Bargaining and the Structure of the Criminal Process, Berkeley Law.

Jenia I. Turner. (2017). Plea Bargaing, Academy For Justice, A Report on Scholarship and Criminal Justice Reform.

http://www.supremecourt.ge/statistics/

სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები საპროცესო შეთანხმების შესახებ შუამდგომლობის დამტკიცებისას

ელა კუსიანი

დოქტორანტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

წინამდებარე სტატიის მიზანს წარმოადგენს იმ საკითხის კვლევა მიზანშეწონილია თუ არა მოსამართლეს ჰქონდეს უფლება ცვლილებები შეიტანოს საპროცესო შეთანხმების პირობებში მისი დამტკიცებისას. იქნებოდა თუ არა აღნიშნული უფლების მინიჭება სასამართლოსათვის მნიშვნელოვანი ბერკეტი ბრალდებულის უფლებების დასაცავად და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გარანტირებული სამართლიანი პროცესის უზრუნველსაყოფად? სტატიაში აღნიშნულის თაობაზე მსჯელობა განვავითარებულია საქართველოში საპროცესო შეთანხმების დამკვიდრების ისტორიის მიმოხილვის პარალელურად. სტატიის ბოლოს დასკვნის სახით გამოთქმულია რეკომენდაცია, რომ სასამართლოს, როგორც დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ინსტანციას, უნდა ჰქონდეს მაკონტროლებელი ფუნქცია პროკურორის მიერ ბრალდებულისთვის შეთავაზებული სასჯელის ზომაზე და უნდა ფლობდეს მისი შემცირების უფლებამოსილებას თუ სასჯელი იქნება მკაცრი; ამისათვის კი საჭიროა მოსამართლის, როგორც დამოუკიდებელი მაკონტროლებლის როლის გააქტიურება. აღნიშნული ცვლილება კი მოემსახურება შემდეგს: საპროცესო შეთანხმებაზე მოლაპარაკების პროცესი იქნება უფრო გამჭვირვალე; დაცული იქნება საჯარო ინტერესი და საპროცესო შეთანხმება არ ჩაითვლება მხოლოდ კერძო გარიგებად პროკურორსა და ბრალდებულს შორის; დაცული იქნება ბრალდებულის უფლებები; ბრალდებული აღარ იქნება დამოკიდებული მის მიმართ არაშემწყნარებელი პროკურორის ნებაზე; დაბალანსდება ბრალდებისა და დაცვის მხარის უფლებამოსილება სისხლის სამართლის პროცესში, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას საქმის განხილვისას.

საკვანძო სიტყვები: *საპროცესო შეთანხმება, მოსამართლის როლი*

Scope of the Court’s Powers in Approving a Plea of Guilty

Ella Kusiani

Ph.D. Student
East European University

Abstract

The purpose of this article is to examine the question of whether a judge has the right to make changes to the terms of a plea agreement when it is approved. Would the grant of such a right be an important tool for the court to defend the rights of the accused and to ensure a fair trial guaranteed by the Code of Criminal Procedure? The discussion of this article is developed in parallel with the review of the history of establishing a plea bargain in Georgia.This article concludes with the recommendation that the Court, as an independent and impartial instance, should have a supervisory function over the size of the sentence offered by the prosecutor and should have the power to reduce it if the sentence is severe; To do this, the role of the judge as an independent watchdog needs to be activated.This will serve the following: The plea bargaining process will be more transparent; The public interest will be protected and the plea bargain won’t be considered as a private transaction between the prosecutor and the accused; The rights of the accused will be protected. The accused will no longer depend on the will of the unfriendly prosecutor. The powers of the prosecution and defense in criminal proceedings will be balanced. Which in turn ensures equality of parties in the proceedings.

Keywords: *Plea bargain, The Role of the judge*

უცხოური სამართალი და ზემდგომი ინსტანციის სასამართლოები საერთაშორისო კერძო სამართალში

თამარ მსხვილიძე

დოქტორანტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

შესავალი

საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესში უცხოური სამართლის გამოყენების ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სწორად და შეიძლება ითქვას დელიკატურად იმოქმედებენ ზემდგომი სასამართლოები ქვემდგომი ინსტანციის მიერ უცხოური სამართლის გამოყენებით მიღებული გადაწყვეტილებების შემოწმებისას.

პირველი ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია უცხოური სამართლის გამოყენებით საქმე განიხილოს არსებითად, ზემდგომი სასამართლოები კი ამოწმებენ გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებასა და საფუძვლიანობას. ამასთან, აღსანიშნავია რომ უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების არსის განსაზღვრის პროცესში მათ განსხვავებული შესაძლებლობები გააჩნიათ. თუკი, პირველი ინსტანციის სასამართლო არ არის შეზღუდული უცხოური ნორმის შინაარსის დადგენის ხერხებში და შეუძლია ამ მიზნით მიმართოს სხვადასხვა წყაროებს, ზემდგომი სასამართლოები, როგორც წესი, ფლობენ მხოლოდ საქმის მასალებსა და უცხო ქვეყანაში შესაბამის სამართალზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას. ინგლისელ მეცნიერ ფენტიმანს მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის მოსამართლისათვის უფრო ადვილია უცხოური სამართლის დადგენა, რადგან მას ხელეწიფება მოწმეთა და სპეციალისტების დაკითხვა.[1] გერმანელი კოლიზიონისტი შაკი კი აღნიშნავს: „უცხოური სამართლის გამოყენების კანონიერების შემოწმებისას ზემდგომმა სასამართლომ თავშეკავებულობა უნდა გამოიჩინოს, რათა გაუფრთხილდეს საკუთარ ავტორიტეტს, რადგან დიდია იმის ალბათობა, რომ უცხოურ ნორმას არასწორი ინტერპრეტაცია მიეცეს.“[2]

მოცემულ საკითხზე მსჯელობისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავერკვეთ შესაძლებელია თუ არა გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრება უცხოური სამართლის გამოყენების, არგამოყენების ან არასწორად გამოყენების საფუძვლით. საკითხი დიდად არის დამოკიდებული უცხოური სამართლის კვალიფიკაციაზე ფაქტის თუ სამართლის კატეგორიად. რადგან, ინგლისში უცხოური სამართალი „ფაქტია“ ამიტომ, გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო ან საკასაციო წესით.[3] ამასთან დაკავშირებით, ინგლისურ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშ-

[1] Fentiman, R. (1998) Foreign Law in English Courts. Pleading, Proof and Choice of Law, Oxford , 48,49.

[2] Шак. Х., 2001. Международное гражданское процессуальное право. Москва. ст. 317-319. მაგალითად, ფრანგულ სასამართლო პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები, როცა ზემდგომი სასამართლო მაშინაც კი ამბობდა უარს გადაეხედა იმ უცხო ნორმის ინტერპრეტაციისათვის, რომელიც მისი სამართლებრივი სისტემის მსგავსი იყო. მაგ; 1958 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით, საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ უარი თქვა გაეკონტროლებინა ფრანგული ნორმის იდენტური, ბელგიის სამოქალაქო კოდექსის 313-ე მუხლისათვის მიცემული განმარტება და განაცხადა, რომ ამ ინტერპრეტაციის გაკეთება ქვემდგომი სასამართლოების ექსკლუზიურ ფუნქციას წარმოადგენდა. International Encyclopedia of Comparative Law. Volume III, Private International Law, Chapter 14, Zajtay, I. (1972). The Application of Foreign Law, 37.

[3] ზოგ შემთხვევაში ინგლისური სააპელაციო სასამართლო იძულებულია შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები. როცა მოსამართლე განიხილავს უცხოური კანონმდებლობის ინტერპრტაციის საკითხს, პრობლემის გადაჭრის მიზნით, პროფესიული გამოცდილებისა და სამართლებრივი უნარების გამოყენებით, ის აუცილებლად შეისწავლის მტკიცებულებას. მაგ, 1999 წლის *MCC Proceeds v Bishopsgate Investment Trust plc* საქმეში, სააპელაციო სასამართლომ ჩამოაყალიბა თავისი დამოუკიდებელი მოსაზრება ნიუ-იორკის სამართლის ნორმების

ნავენ, რომ თუმცა სააპელაციო სასამართლო ჩვეულებრივ არ განიხილავს ქვემდგომი ინსტანციის მიერ ფაქტისათვის მიცემულ შეფასებას, მაგრამ მან უნდა შეამოწმოს ქვემდგომი სასამართლოს მიერ უცხოური სამართლის გამოყენების შედეგების სისწორე.[4]

იმ ქვეყნებში, რომელთა სამართლებრივი სისტემა უცხოურ სამართალს აღიარებს „სამართლის" კატეგორიად, ზემდგომი სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების შეცვლის საფუძველი მატერიალური სამართლის ნორმების არასწორი გამოყენება და მათი არსებითი დარღვევაა. მატერიალური სამართლის ნორმები კი დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; არასწორად განმარტა კანონი. ბუნებრივია, გაჩნდება კითხვა რა სახით შეუძლია ზემდგომ ინსტანციას გადაამოწმოს მაგალითად, გამოყენებულია თუ არა კონკრეტულ საქმეში ის უცხო კანონი, რომელიც კოლიზიური ნორმის მითითებით ექვემდებარებოდა გამოყენებას ან მოსამართლემ ხომ არ მიმართა იმ უცხოურ ნორმას, რომელიც არ უნდა გამოყენებულიყო. ასეთი შემოწმების განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა ზემდგომი სასამართლოს მოსამართლეებმა იციან უცხოური სამართალი.

ზემდგომი ინსტანციების ზედამხედველობა უცხოური სამართლის გამოყენებაზე

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ევროპის ქვეყნებში არსებობს განსხვავებული მიდგომები. ზოგიერთ ქვეყანაში უმაღლეს სასამართლო ინსტანციებს უფლება აქვთ გააკონტროლონ მოსამართლეთა მიერ უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენების სისწორე, ზოგ შემთხვევაში კი საკასაციო ინსტანცია ამ შესაძლებლობას მოკლებულია.

ნიდერლანდებში, უზენაეს სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება მხოლოდ სამართლის და არა ფაქტების საკითხის შესახებ, ხოლო ქვემდგომი სასამართლოს მიერ უცხოური სამართლის გამოყენება განიხილება, როგორც ფაქტის საკითხი. ამიტომ, უზენაესი სასამართლო არ აუქმებს უცხოური სამართლის არასწორი გამოყენებით მიღებულ გადაწყვეტილებას. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები, როცა ქვემდგომი სასამართლოები გადაწყვეტილებაში უთითებენ, რომ გამოყენებული უცხოური და ჰოლანდიური სამართლის სისტემები კონკრეტულ საკითხთან მიმართებით არ განსხვავდება. მაშინ მიღებული გადაწყვეტილება კანონიერი უნდა იყოს ჰოლანდიის სამართლებრივი სისტემის საფუძველზე და სწორედ ამ კანონიერების შემოწმებაა შესაძლებელი საკასაციო წესით უზენაესი სასამართლოს მიერ. მაგ, 2005 წელს განხილულ საქმეში უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ქვემდგომი ინსტანცია სწორად მოიქცა, როცა მხოლოდ ჰოლანდიური კანონის შეფასება განახორციელა, რადგან ირანული და ჰოლანდიური სამართალი არ განსხვავდებოდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.[5]

გერმანიაში, უცხოური სამართალი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით არ ექვემდებარება შემოწმებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 545-ე მუხლის თანახმად, სამართლებრივი საკითხების სააპელაციო წესით გასაჩივრება გერმანიის უმაღლეს ფედერალურ სასამართლოში მხოლოდ ფედერალური კანონის დარღვევის საფუძვლითაა შესაძლებელი. გერმანიის უმაღლესი სასამართლოს მიერ ეს ნორმა განმარტებული იქნა იმ გაგებით, რომ გადასინჯვა არ შეიძლება ეფუძნებოდეს უცხოური სამართლის დარღვევას, მაშინაც კი, თუ ის გერმანული კანონმდებლობის მოთხოვნებს შეესაბამება. აღნიშნულ ინტერპრეტაციას გერმანიის უმაღლესი ინსტანციის სასამართლო დღემდე აღიარებს (უცხოური სამართლის არგადასინჯვის პრინციპი).[6]

უცხოური სამართლის გამოყენებისა და ინტერპრეტაციის საკითხი მხოლოდ ორ განსაზღვრულ შემთხვევაში ხდება ფრანგული საკასაციო ინსტანციის გადასინჯვის ობიექტი. ერთი,

---

შესახებ და საქმის ფაქტებზე პირველი ინსტანციისაგან განსხვავებული დასკვნები ჩამოაყალიბა. Rogerson, P. (2013). Collier's Conflict of Laws, Cambridge University Press, Fourth Edition, 47.

4 North P. M. Fawcett J.J. Chesire and North's Private International Law. 13th ed 1999,108.

5 The Application Of Foreign Law In Civil Matters In The EU Member States And Its Perspectives for The Future, PART I, Legal Analisis, Swiss Institute of Comparative Law, Lausanne 2011,380. https://www.isdc.ch/

6 Hausmann, Rainer Pleading and Proof of Foreign Law - a Comparative Analysis, The European Legal Forum (E) 1-2008, 2

როცა უზენაესი სასამართლო აკონტროლებს განმარტების დროს ხომ არ დაამახინჯა (უხეში ინტერპრეტაცია მისცა) სააპელაციო სასამართლომ უცხოური კანონის შინაარსი. თუმცა, ამ საფუძვლით გადაწყვეტილებების გაუქმება ძალზე იშვიათად ფიქსირდება. და მეორე გამონაკლისი, რომელიც სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება სასამართლო პრაქტიკაში – იმ საფუძვლების გადახედვა, რასაც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება. გამომდინარე იქედან, რომ პრეცედენტური სამართალი მოსამართლისაგან მოითხოვს გამოსაყენებელი უცხოური სამართლის შინაარსის დადგენას, მართლაც რომ საჭიროა გაკონტროლდეს მოსამართლემ გადადგა საკმარისი ნაბიჯები შინაარსის დასადგენად თუ არა. ამ მიზნით კი, გადაწყვეტილების საფუძვლების გადახედვა ის ინსტრუმენტია, რომელსაც საკასაციო ინსტანცია იყენებს.[7]

შვეიცარიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო ამოწმებს ხომ არ დაარღვიეს ქვემდგომმა სასამართლოებმა საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები იმით, რომ უცხოურის ნაცვლად საკუთარი სამართალი გამოიყენეს ან პირიქით. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ განაცხადა, რომ კანტონის სასამართლომ უცხოურის ნაცვლად შვეიცარული სამართლის გამოიყენებით შეცდომა დაუშვა, თუმცა აუცილებლობას აღარ წარმოადგენდა საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება, რადგან ნათელი იყო უცხოური სამართლის გამოყენებითაც მიღებული გადაწყვეტილება მსგავსი იქნებოდა.[8]

დანიაში უცხო ქვეყნის კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გასაჩივრების ზოგადი წესების თანახმად, შეიძლება გახდეს აპელაციის საფუძველი. უზენაეს სასამართლოში მიმართვის დასაშვები და სავარაუდო საფუძვლებია: უცხოური სამართლის არგამოყენება, არაზუსტი ინტერპრეტაცია, არასწორი გამოყენება, გამოყენებაზე უარის თქმის არასათანადო დასაბუთება, შესაბამისი კოლიზიური ნორმის დარღვევა და ა.შ.[9]

ერთ-ერთ საქმეში, პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმის განსახილველად მიმართა დანიის კანონმდებლობას, უზენაეს სასამართლოში კი მხარე ამტკიცებდა, რომ საქმის გადასაწყვეტად სასამართლოს ჰოლანდიური სამართლით უნდა ეხელმძღვანელა. უზენაესმა სასამართლომ ეს მოთხოვნა უარყო და დანიური სამართალი გამოიყენა. ამასთან ისიც დასძინა, რომ შესაძლოა გამოსაყენებელი ნამდვილად ჰოლანდიური სამართალი იყო, თუმცა ქვემდგომი ინსტანციის მიერ ამ საქმის განხილვისას არცერთმა მხარემ არ წარადგინა რაიმე სახის ინფორმაცია რელევანტური ჰოლანდიური სამართლის შესახებ.[10]

ჩეხეთის რესპუბლიკის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს გადახედოს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, მათ შორის უცხოური სამართლის გამოყენების საკითხს და თავად მიიღოს გადაწყვეტილება. უმეტეს შემთხვევაში, ასევე შესაძლებელია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჩივრება უზენაეს სასამართლოში. უცხოური კანონმდებლობის არასწორი გამოყენებისათვის გასაჩივრების სავარაუდო საფუძვლები კანონით არ არის გაწერილი. რაც საშუალებას იძლევა შეუზღუდავად იარსებოს გასაჩივრების სხვადასხვა წინაპირობამ, როგორიცაა უცხოური სამართლის არგა-

[7] Treatment of Foreign Law - Dynamics towards Convergence? Ius Comparatum – Global Studies in Comparative Law,Volume 26,Yuko Nishitani Editor,Springer 2017 p.176, 177

[8] დიდი ხნის განმავლობაში შვეიცარიის უმაღლეს ფედერალურ სასამართლოს მიაჩნდა, რომ მას არ შეეძლო, როგორც უცხოური კოლიზიური, ისევე მატერიალური სამართლის ნორმების შინაარსის შესწავლა. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, ამ პრინციპის გამოყენებისას ორი გარემოება უნდა განესხვავებინათ. ერთის მხრივ, როცა კანტონის სასამართლო იკვლევდა უცხო კოლიზიური კანონმდებლობის ნორმების შინაარსს, უმაღლესი ფედერალური სასამართლო შეზღუდული იყო ქვემდგომი ინსტანციის მიერ გაკეთებული დასკვნებითა და განმარტებით. ხოლო, მეორე მხრივ, თუ ეს უკანასკნელი უცხო კოლიზიურსამართლებრივი ნორმების არსს ვერ ადგენდა, მაშინ უმაღლესი სასამართლო უყოყმანოდ იყენებდა ან ინტერპრეტირებას უკეთებდა მათ, თუკი შვეიცარული სამართლის გამოყენება ამაზე იყო დამოკიდებული. International Encyclopedia of Comparative Law. Volume III, Private International Law, Chapter 14, Zajtay, I. (1972). The Application of Foreign Law, 31,34, 39.

[9] The Application Of Foreign Law In Civil Matters In The EU Member States And Its Perspectives for The Future, PART I, Legal Analisis, Swiss Institute of Comparative Law, Lausanne 2011, 132.

[10] Treatment of Foreign Law- Dynamics towards Convergence? Ius Comparatum- Global studies in Comparative Law,Yuko Nishitani Editor volume 26,Springer 2017. 142

მოყენება, არასწორი გამოყენება, არაზუსტი ინტერპრეტაცია, რელევანტური კოლიზიური ნორმის დარღვევა და ა.შ.[11]

ისრაელის სამართლებრივი სისტემა უცხოურ სამართალს ფაქტობრივ კატეგორიად აკვალიფიცირებს. აქედან გამომდინარე, როცა უცხოური ნორმა შეცდომით გამოიყენება, სააპელაციო ინსტანცია არ ერევა ქვემდგომი სასამართლოს მიერ გაკეთებულ დასკვნებში. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ქვემდგომმა სასამართლომ უგულებელყო მისთვის წარდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები, ან სახეზეა აშკარა შეცდომით მიღებული, არასწორი გადაწყვეტილება. სასამართლო პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები, როცა ზემდგომმა სასამართლომ გამონაკლისი სახით, ნება დართო მხარეს წარმოედგინა უცხოურ სამართალზე დამატებითი მტკიცებულება. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში, საქმის განმხილველმა მოსამართლემ ზეპირ მოსმენამდე უარყო იმ მხარის სარჩელი, რომელსაც შემდგომ უკვე უზენაესმა სასამართლომ მისცა უფლება წარმოედგინა ექსპერტის დასკვნა გამოსაყენებელი სამართლის შესახებ. ამ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლო შეცდა გადაწყვეტილების მიღებისას, როცა მიიჩნია, რომ უცხოური კანონმდებლობა განსახილველ დავას საერთოდ არ წარმოშობდა. წარდგენილმა ექსპერტულმა დასვნამ კი აჩვენა, რომ უცხოური კანონმდებლობის თანახმად, სარჩელი არ უნდა უარყოფილიყო. ამდენად, უზენაესმა სასამართლომ გასაჩივრება დასაშვებად მიიჩნია, საქალაქო სასამართლოს დაავალა მიეღო ექსპერტული დასკვნა, საქმე არსებითად განეხილა და გადაეწყვიტა.[12]

რაც შეეხება საკითხს, დასაშვებია თუ არა საქართველოში სასამართლო გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრება უცხოური სამართლის გამოუყენლობის ან არასწორი გამოყენების საფუძვლით, უნდა ითქვას, რომ ამისთვის რაიმე დაბრკოლება არ არსებობს ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად. აღნიშნული მუხლის მიხედვით, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონში არსებულ საპროცესო ნორმებში პირდაპირ არ არის ასახული უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის არასწორი გამოყენება, მათი გამოუყენლობის ან არასწორი განმარტების შემთხვევაში საკასაციო საჩივრის აღძვრის საფუძვლები. თუმცა, ამ შედეგამდე მისვლა სავსებით შესაძლებელია. საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის მე-3 მუხლის თანახმად, სასამართლო ვალდებულია უცხოური სამართლის ნორმების შინაარსი დაადგინოს მათი ოფიციალური განმარტების, გამოყენებული პრაქტიკისა და შესაბამისი უცხოური სახელმწიფოს დოქტრინის გათვალისწინებით. ამგვარად, უცხოური სამართალი კვალიფიცირდება, როგორც სამართალი. ამავე დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საპროცესო კანონმდებლობა განიხილავს მატერიალური ან საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას ან არასწორ გამოყენებას, როგორც უპირობო საფუძველს სასამართლო გადაწყვეტილების შეცვლის ან გაუქმებისათვის. ამიტომ, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოს სსკ-ის 393-ე მუხლში გამოყენებული ცნება „კანონი" არ უნდა იქნას გაგებული ვიწროდ, მხოლოდ საქართველოს კანონით, არამედ უნდა გაფართოვდეს მისი მნიშვნელობა იმ შემთხვევაშიც, თუ ქართული სასამართლო იყენებს უცხოურ სამართალს. შესაბამისი დარღვევის შემთხვევაში კი ამ მუხლით უნდა მოხდეს საკასაციო საჩივრის აღძვრა.[13] ამდენად, უცხოური სამართლის ნორმების არასწორი გამოყენება არის სასამართლო გადაწყვეტილების შეცვლის ან გაუქმების საფუძველი.

დასკვნა

ხშირად შექმნილი გარემოება არც ისე სახეიროა ზემდგომი სასამართლოებისათვის. უმეტეს შემთხვევაში, როდესაც ისინი არ ეთანხმებიან გასაჩივრებულ გადაწყვეტილებებს, მოსამართლეთათვის სავალდებულოა უცხოური სამართლის ცოდნა, თუმცა ასეთ ცოდნას შესაძლოა არც კი

[11] The Application Of Foreign Law In Civil Matters In The EU Member States And Its Perspectives for The Future, PART I, Legal Analysis, Swiss Institute of Comparative Law, Lausanne, 2011,118.

[12] *Compagnie francaise de participation v Shmuel Flatto Sharon* Treatment of Foreign Law- Dynamics towards Convergence? Ius Comparatum- Global studies in Comparative Law,Yuko Nishitani Editor volume 26, Springer 2017

[13] გამყრელიძე, ს. (2000). საერთაშორისო კერძო სამართლის შესავალი. გამ. ბონა კაუზა, თბ, გვ. 82.

ფლობდნენ. ამასთან, ზემდგომ ინსტანციაში ახალი დოკუმენტების წარდგენის შესაძლებლობა არსებითად შეზღუდულია. ამავე დროს, სასამართლო პრაქტიკაში არის მაგალითები, როცა ზემდგომი სასამართლო ისწრაფვის უცხოური სამართლის გამოყენებისაკენ, მაშინ როცა ქვემდგომი თავს არიდებს მის გამოყენებას. სინამდვილეში, ზემდგომი სასამართლოების შესაძლებლობები შეასრულონ შემმოწმებლის ფუნქცია, როცა უცხოური სამართლის ნორმების საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილებაა გასაჩივრებული, საკმაოდ შეზღუდულია.

გამოყენებული ლიტერატურა:

გამყრელიძე, ს. (2000). საერთაშორისო კერძო სამართლის შესავალი. გამ. „ბონა კაუზა“, თბ. გვ. 82.

Fentiman, R. (1998). Foreign Law in English Courts. Pleading, Proof and Choice of Law, Oxford , 48,49.

Hausmann, R. (2008). Pleading and Proof of Foreign Law - a Comparative Analysis, The European Legal Forum, 2. http://www.european-legal-forum.com/

Rogerson, P. (2013). Collier's Conflict of Laws, Cambridge University Press, Fourth Edition, 47.

North P. M. Fawcett J.J. (1999). Chesire and North's Private International Law. 13th Edition, 108.

International Encyclopedia of Comparative Law. Volume III, Private International Law, Chapter 14, Zajtay, I. (1972). The Application of Foreign Law, 31-34, 37, 38.

The Application Of Foreign Law In Civil Matters In The EU Member States And Its Perspectives for The Future, PART I, Legal Analysis, Swiss Institute of Comparative Law, Lausanne 2011, 118,132,380. https://www.isdc.ch/

Treatment of Foreign Law - Dynamics towards Convergence? Ius Comparatum-Global studies in Comparative Law, Yuko Nishitani Editor, volume 26, Springer 2017. 142,176,177.

Шак, Х. (2001). Международное гражданское процессуальное право. Москва. ст. 317-319.

უცხოური სამართალი და ზემდგომი ინსტანციის სასამართლოები საერთაშორისო კერძო სამართალში

თამარ მსხვილიძე

დოქტორანტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესში უცხოური სამართლის გამოყენების ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სწორად და შეიძლება ითქვას დელიკატურად იმოქმედებენ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოები პირველი ინსტანციის მიერ უცხოური სამართლის გამოყენებით მიღებული გადაწყვეტილებების შემოწმებისას. შესაძლებელია თუ არა გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრება უცხოური სამართლის გამოყენების, არგამოყენების ან არასწორად გამოყენების საფუძვლით. საკითხი დიდად არის დამოკიდებული უცხოური სამართლის კვალიფიკაციაზე ფაქტის თუ სამართლის კატეგორიად. იმ სამართლებრივ სისტემებში, სადაც უცხოური სამართალი „ფაქტია", გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო ან საკასაციო წესით. იმ ქვეყნებში, რომელთა სამართლებრივი სისტემა უცხოურ სამართალს აღიარებს „სამართლის" კატეგორიად, ზემდგომი სასამართლოს მიერ ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლის საფუძველი მატერიალური სამართლის ნორმების არასწორი გამოყენება და მათი არსებითი დარღვევაა.

ქართულ სამართლებრივ სივრცეში სულ უფრო ხშირდება განსხვავებულ სამართლებრივ სისტემებსა და კანონებთან კონტაქტის დამყარების შემთხვევები. მოსამართლეებსა და ადვოკატებს ინტენსიური შეხება შეიძლება ჰქონდეთ საერთაშორისო კომპეტენციასა და კოლიზიური სამართლის პრინციპებთან. ამდენად, სტატია დახმარებას გაუწევს პრაქტიკოს იურისტებს განხილული საკითხის უკეთ შეცნობაში.

საკვანძო სიტყვები: *უცხოური სამართალი, ზემდგომი ინსტანციები*

Foreign Law and High Courts in Private International Law

Tamar Mskhvilidze

Ph.D. Student
East European University

Abstract

Trial court judgments, in cases to which foreign law is applicable, are normally subject to review by superior instances in the same way as other first instance judgments. When trial court findings are challenged from the point of view of foreign law, a basic distinction is usually made between a failure to apply the law correctly designated by rules of conflicts of law, on the one hand, and materially incorrect application of the applicable foreign law, on the other hand. The possibilities to form an appeal against a decision having applied foreign law are limited. Parties can appeal a decision applying foreign law based on an erroneous application of the foreign law. That appeal, however, must be based solely on the material produced before the trial court. Likely, the Supreme Court will be reluctant to control decisions based on an incorrect application of foreign law and will exercise its power only in circumstances where such a mistake is a manifest error or when judges appear to have relied on a personal evaluation and construction of the documents and legal rules. Possible grounds of appeal in cases of erroneous application of foreign law are not listed in the law, however the law is not limited and can be established on different considerably broad considerations such as incorrect application or incorrect interpretation, non-application of the foreign law and etc.

Judges and lawyers may not be acknowledged with the essence of resolution of some private international law cases. And for this reason the study will be deemed to be valuable and will assist practicing lawyers to understand and apply these issues in a better manner.

Keywords: *Foreign law, High courts*

პოლიტიკური დისკურსის ფუნქციურ-ენობრივი ასპექტები

ხათუნა მაჭავარიანი

ფილოლოგიის დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

თანამედროვე ეპოქაში ბევრი ინოვაციური ენობრივი მოვლენა ვერ აიხსნება მხოლოდ ერთი ფაქტორით. სამეტყველო სიტუაციების განხილვისას წინა პლანზე წამოიწია ლინგვოპრაგმატიკული პრობლემატიკა. მეტყველება ყოველთვის მოტივირებულია გარკვეული მიზნით. სამეტყველო სტრატეგია გამომუშავდება მიზანთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი სამეტყველო სიტუაციისათვის მიზანი არის მუდმივად გააქტიურებული გარეენობრივი ფაქტორი, რომელიც ყველა ენობრივ ერთეულს (ან ნიშანს) სტრატეგიულ დანიშნულებას აძლევს.

კომუნიკაციური მოდელებიდან ჩვენი კვლევისთის ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა პოლიტიკური ინტერაქცია, რადგან მასში გაცილებით მასშტაბურია ისეთ კატეგორიათა ხვედრითი წონა, როგორიცაა კომუნიკაცია და ინფორმაცია. ენა-მეტყველება თავის ფუნქციურ კულმინაციას მხოლოდ ამგვარი კომუნიკაციისას აღწევს, რადგან იგი სინთეზური, შემოქმედებითი პროცესია და ამ სფეროსთვის დამახასიათებელი ფუნქციური დატვირთვით ხასიათდება. სტრუქტურულ კომპონენტებთან ერთად მეცნიერული კვლევისთვის უაღრესად საინტერესო და აუცილებელი ხდება პრაგმატული ინტენციის შესწავლა, რადგან სწორედ ამ ნაწილში ვეხებით პოლიტიკური დისკურსის ფუნქციურ-ენობრივ ასპექტებს, რომლებიც მკვეთრად განსაზღვრავენ ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრების განვითარებას.

„პოლიტიკის ენა“ და მოდალობა

პოლიტიკური კომუნიკაციის სამეტყველო სტრატეგია თანამედროვე სოციოლინგვისტიკის მნიშვნელოვანი საკითხია. იგი არაერთი მეცნიერის ინტერესის სფეროს წარმოადგენს. სწორედ ამ ინტერესს უკავშირდება მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ზეპირმეტყველების პრაგმატიკულ კვლევაში საუბრის ანალიზის ჩამოყალიბება ცალკე ენათმეცნიერულ დარგად. „რა თქმა უნდა, ლინგვისტიკის ეს უახლესი მიმართულებები დაფუძნებულია ენათმეცნიერების ტრადიციულ დარგებზე, მაგრამ იყენებს კვლევის ახალ მეთოდებსაც. მიუხედავად იმისა, რომ საუბრის ანალიზი შედარებით ახალი საენათმეცნიერო დარგია და მჭიდროდაა დაკავშირებული მომიჯნავე ლინგვისტურ მიმართულებებთან, მას აქვს საკუთარი საკვლევი ობიექტი – საუბარი, მისი ორგანიზაციულ-სტრუქტურული და შინაარსობრივი მხარეები.“ (I. 1, 13).

დრო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, უაღრესად ტურბულენტური და ქაოსურია. თანამედროვე საზოგადოება და მუდმივად ცვალებადი საკომუნიკაციო გარემო სულ უფრო ახალ მოთხოვნებს უყენებს ნებისმიერ სუბიექტს, ენის ეფექტური გამოყენების თვალსაზრისით. ფუნქცია, რომელიც ენას ყოველთვის გააჩნდა, მაგრამ სამეცნიერო შესწავლის საგანი ბოლო რამდენიმე ათეული წელია გახდა, სცილდება მხოლოდ კომუნიკაციის დამყარებას. დღეს პოლიტიკური დისკურსის კომუნიკატორები საუბრობენ ისე, როგორც შეუძლიათ. ისინი ცდილობენ სრულყოფილი კონსტრუქციების შექმნას. ძიების პროცესში მათი მცდელობის შედეგები ცვალებადია. ამომრჩეველთან ურთიერთობა უაღრესად რთული ინტერაქციაა. დღეისათვის ქართველი პოლიტიკოსების მეტყველებაში (როგორც ზეპირ, ისე წერილობით ფორმებში) შეინიშნება როგორც

დასავლური – ევრო-ამერიკული პოლიტიკური დისკურსის გავლენა, ისე საბჭოური კლიშეების არსებობაც. აღნიშნულ სფეროში მეტყველების სტილის ძიება საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს. პროცესი განსაკუთრებით მძაფრდება კონკურენციის პირობებში. მასზე ბევრი ფაქტორი ახდენს ზეგავლენას. ამიტომ არის ჩვენი დაკვირვების საგანი ინტერაქცია, როგორც ზეპირი ფორმა, რომლის წარმატების ძირითადი გარანტი არის ურთიერთზემოქმედების ხარისხი და მისი მთავარი იარაღი – ცოცხალი დინამიკური ენა, რომელიც წარმოიშვება ხელისუფლების მოპოვებისა და განმტკიცებისთვის ბრძოლაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ პოლიტიკა ენის სფეროში წარმოშობს ისეთ ფენომენს, როგორიცაა „პოლიტიკის ენა". პოლიტიკური მიზნებისთვის ენის გამოყენება გარდაქმნის მას პოლიტიკის ერთ-ერთ ფაქტორად, რასაც მივყავართ ფუნქციურ თავისებურებამდე (I. 4, 29). „პოლიტიკური ტექსტი ანუ დისკურსი, რომელიც განიხილება როგორც ლინგვისტური, ექსტრალინგვისტური, სოციო-კულტურული, ფსიქოლოგიური, პრაგმატული და სხვა ფაქტორების ერთობლიობა, წარმოადგენს პოლიტიკურ სფეროში ურთიერთობის მონაწილეთა ინტერაქციული საქმიანობის პროდუქტს . მისი ზემოქმედების არეალში ექცევა ემოციური და ინფორმაციული, ვერბალური და არავერბალური დონეები. დისკურსში აისახება იდეოლოგია, აზროვნება, მსოფლხედვა, კომუნიკაციური სტრატეგია და სხვ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პოლიტიკური დისკურსი ინსტიტუციონალური დისკურსია, რადგან მასში ადამიანი წარმოადგენს კონკრეტულ სოციალურ ინსტიტუტს" (I. 3, 177). იგი, ამავე დროს, თითქმის ყოველთვის, შეიცავს პერსონალური დისკურსის ყველა მახასიათებელს, როცა საქმე გვაქვს ძლიერ ინტერაქციასთან – არჩევნებთან, დებატებთან და სხვა ტიპის აქტიურ პოლიტიკურ კომუნიკაციასთან, როცა პიროვნების, ინდივიდის როლი არის შეუცვლელი. მას გააჩნია ზემოქმედების არეალი და, შესაბამისად, გააჩნია ზემოქმედების ფუნქციაც, რაც, შეიძლება ითქვას, არის 21-ე საუკუნის სოციალურ-პოლიტიკური დისკურსის ერთ-ერთი ფუნდამენტური მახასიათებელი.

პოლიტიკურ კომუნიკაციაში ენა არ წარმოადგენს ინფორმაციის გაცვლისა და ურთიერთგაგების ნეიტრალურ საშუალებას, მით უფრო წინასაარჩევნო ან საარჩევნო პერიოდში. ამ დროს ენობრივი პოლიტიკური სიმბოლოების მნიშვნელობა არ გამომდინარეობს სიტყვათა ან წინადადებების ლექსიკური მნიშვნელობებიდან, ის მომდინარეობს კონკრეტული პოლიტიკური სიტუაციიდან. ნებისმიერი პოლიტიკური კომუნიკაციის მიზანს წარმოადგენს გარკვეული ინტერესებისა და განზრახვის გატარება. ამ თვალსაზრისით, ენა ემსახურება პოლიტიკას, როგორც მიზანმიმართული პოლიტიკური ბრძოლის, ანუ ზემოქმედების იარაღი. ინტერაქციის პროცესში, „პოლიტიკის ენა" ყალიბდება, როგორც პოლიტიკური მოქმედებების პროვოცირებისა და მათი მართვის, პოლიტიკური ინფორმაციის კოდირების კომუნიკაციურ საშუალებათა სისტემა. მაშინ პოლიტიკური მოქმედებების ანალიზი დაკავშირებულია „პოლიტიკის ენის" ანალიზთან, რასაც შევყავართ მოდალობის სემანტიკურ ველში.

„მოდალობა ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიაა, „რომელიც მოიცავს სემანტიკური ნიუანსების ფართო სპექტრს: 1. სუბიექტის დამოკიდებულებას მოქმედებასთან: შესაძლებლობას, უნებლიობას, ნებართვას, აუცილებლობას, ვალდებულებას, სურვილს, ნატვრას; 2. მოუბარი პირის დამოკიდებულებას გამონათქვამთ (ჭეშმარიტება-მცდარობის თვალსაზრისით): ვარაუდს, დაეჭვებას, დაურწმუნებლობას, უნებლიობას, უნახაობითობას; 3. მოქმედების ან თანამოსაუბრის ნათქვამის შეფასებას; 4. მოქმედების შესრულების პირობის არარეალურობასა თუ რეალურობას და სხვ. დისკურსში მოდალობის ენობრივი ერთეულების შერჩევა განპირობებულია ექსტრალინგვისტური ფაქტორებით: ადრესანტის ინტენციით (საკომუნიკაციო მიზნით), კომუნიკანტთა სოციალური მახასიათებლებით, მათი ურთიერთდამოკიდებულებით, სიტუაციით ანუ პრაგმატული კონტექსტით" (I. 1, 114). პოლიტიკური ინტერაქციისას სუბიექტი ერთდროულად მიემართება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს და შეუძლია მათში გამოიწვიოს განსხვავებული რეაქციები. რადგან ზემოქმედების ფუნქცია ძირითადია, ჩვენ შეგვიძლია მივუთითოთ პოლიტიკის ენის ზოგიერთ განსხვავებულ ქვე ფუნქციაზე:

ა) *იდენტიფიკაციის ფუნქცია* (ინტეგრაცია და გარჩევა-განსხვავება). განსაკუთრებით საარჩევნო ბრძოლაში ენა გამაერთიანებელი სიმბოლოს როლშია, რომელიც უზრუნველყოფს

„ჩვენ“ ჯგუფის სიმყარეს (სიმტკიცეს), „სხვებთან“ მიმართებით. ამასთან, ის იყენებს სხვადსხვა ენობრივ ფორმას (ლოზუნგებს, მეტაფორებს, იდიომებს და ა.შ.), შეიძლება ითქვას, აძლევს სახეს პოლიტიკურ ფრონტებს (ოპონენტებს, მხარეებს).

ბ) *მართვის ფუნქცია.* მიზანმიმართული და სტრატეგიულად დაგეგმილი გამოყენება ენობრივი საშუალებებისა (მორფო-სინტაქსური და ლექსიკური ერთეულები), განსაკუთრებით, წინასაარჩევნო ბრძოლაში, მართავს არა მხოლოდ აუდიტორიის ყურადღებას, არამედ მის აზრებს, ქცევას და მოქმედებასაც. ამ თვალსაზრისით ენა წარმოადგენს პოლიტიკური პროპაგანდის შემადგენელ ნაწილს, რომელიც აკონტროლებს და აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს.

ამგვარი ინტენციების შემთხვევაშიც კი პოლიტიკოსები ცდილობენ, ენა გახადონ უფრო ცოცხალი და მოქნილი, რის გამოც ხშირად უარს ამბობენ „ჩინოვნიკურ ენაზე“. (ზოგიერთ პოლიტიკოსს აშკარად ემჩნევა, ე. წ., „იმიჯმეიკერების“ ზეგავლენა, რაზეც მეტყველებს ამ მიმართულებით გადადგმული პროგრესული ნაბიჯები. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ პოლიტიკოსები, რომლებსაც ჰუმანიტარული განათლება აქვთ, უფრო მარტივად და წარმატებით ართმევენ თავს ამ დავალებას – ეს ჩანს სოციალურ ქსელებში მათი აქტიურობით, საპარლამენტო თუ ტელე გამოსვლებში.)

ქართული პოლიტიკური დისკურსის ზოგიერთი ენობრივი თავისებურება

ზოგადლინგვისტურ ტენდენციებში ქართული ენა გამონაკლისს არ წარმოადგენს. პოლიტიკურ დისკურსში ყოველ სიტყვასა და გამოთქმას გარკვეული იდეოლოგიური წონა აქვს და მისი სემანტიკური არსი კონკრეტული საკომუნიკაციო აქტის მიხედვით განისაზღვრება. განვიხილავთ რამდენიმე მაგალითს:

ქართულ პოლიტიკურ რეალობაში ხშირია *პერმუტაციის* შემთხვევები, როდესაც კორელაცია სათქმელსა და ნათქვამს შორის ბუნებრივად არის დარღვეული ან ასეთად სურთ წარმოადგინონ საზოგადოების ნეგატიური რეაქციის შემდეგ. გვახსოვს ისეთი მომენტებიც, როდესაც პოლიტიკოსებმა თავიანთ გამოსვლებში: ბრიფინგებსა თუ პრესკონფერენციებზე მოსახლეობის დიდი რაოდენობა საკმაოდ გააღიზიანეს, რამაც მოქალაქეების სამართლიანი აღშფოთება და საპასუხო რეაქცია გამოიწვია სოციალურ ქსელებში. ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკოსები თავს იმართლებენ, რომ „ასე არ უთქვამთ“ და მათი აზრი დაამახინჯეს. ეს კიდევ ერთი არგუმენტია იმისა, რომ პოლიტიკოსს უწევს გაიაროს „სცილასა და ქარიბდას“ შორის იმისათვის რომ ერთდროულად ხალხსაც მიუახლოვდეს და შეინარჩუნოს კონტაქტი „თავისიანებთან“, საკუთარ პოლიტიკურ ჯგუფთან, რაც საკმაოდ რთულია. ჩვენ ვხედავთ, რომ ამგვარი ოქროს შუალედის დაჭერა საკმაო ოსტატობასა და ენობრივ კომპეტენციასთან არის დაკავშირებული, რადგან სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი რგოლი მოქალაქეებზე ზემოქმედებაა.

ხშირად ვხვდებით *პერფორმატივებს* ანუ ისეთ ენობრივ კონსტრუქციებს, რომლებიც მოქმედების ექვივალენტურია: „გულახდილად გეტყვით“, „ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ მინდა დაგარწმუნოთ“, „როგორც გითხარით“, „ისე არ გამიგოთ, თითქოს“, „გპირდებით“, „გეფიცებით“ და სხვა. ისინი ყოველთვის ემთხვევა მეტყველების მომენტს და ეფუძნება ეტიკეტის სოციალურად მიღებულ სისტემას.

ქართული პოლიტიკური დისკურსისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა *პერისოლოგია* – მრავალსიტყვიანობა, რაც ზოგადად პოლიტიკაში არ არის მიღებული და „ბევრი ლაპარაკი“ ცუდ ტონად ითვლება. ასევე უხვად მოიპოვება ზეპირ თუ წერილობით ტექსტებში სემანტიკურად მსგავსი სიტყვები თუ გამონათქვამები – *პლეონაზმები.*

საინტერესო მოვლენაა *პერმისივების* – სამეტყველო აქტის დროს ნების დართვის, პირობის მიცემის, შეთანხმების ან მოლაპარაკების აღმნიშვნელი ენობრივი ერთეულების გამოყენება („თუ ამირჩევთ, ამირჩევთ ჩემ გამო და არა სხვის გამო, სხვისი ხათრით სხვისი რჩევით ან სხვისი იმედით“; „თუ ხმის მოცემას გადაწყვეტთ, საარჩევნო ბიულეტენში მოძებნეთ ნომერი x, თუ ხმის მოცემას არ გადწყვეტთ, სხვა ნომრის შემოხაზვამდე, მაინც მცირე ხნით მოძებნეთ ნომერი x – ზოგჯერ ბოლო წამს ნათდება ხოლმე.“).

ქართულ პოლიტიკურ დისკურსში დიდი ხანია, შემოაღწია *კომპიუტერული სოციოლექტის* ელემენტებმა. ეს უკანასკნელი ენის სოციალურად დეტერმინირებული ქვესისტემაა, რომელიც ხასიათდება სტრუქტურათა ღიაობით, სწრაფი ცვალებადობით, ჟარგონებით, გრაფიკული ნიშნებით და ა.შ. კომპიუტერული სოციოლექტი ფუნქციონირებს სოციალური ქსელების მოხმარების სფეროში და მას ბევრი პოლიტიკოსი აქტიურად იყენებს პირად გვერდზე, ბლოგებში თუ სხვადასხვა ფორუმზე.

გვხვდება როგორც *გრადაციული ანტონიმიის* (კონტრარული ანტონიმია) მაგალითები, რომელიც ანტონიმურ რიგში უჩვენებს საშუალო რგოლს, მოვლენას ან ფაქტს („გუშინ, დღეს, ხვალ"; „ახალგაზრდა, ხანშიშესული თუ მოხუცი", „მთაში, მაღლობში თუ ბარში" და ა.შ.), ასევე კომპლემენტარული ანტონიმიის შემთხვევები, როცა ერთმანეთს უპირისპირდება ორი მოვლენა, ფაქტი ან ასპექტი („...ყოველთვის ვემსახურებოდი „რას" და არა „ვის", „ვცდილობდი ხან შენებისთვის ხელის შეწყობას ხანაც ნგრევისთვის ხელის შეშლას", ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი ხან დიდი მამულიშვილის ხელში აღმოჩენილა და ხან – არცთუ ძალიან დიდის").

ვფიქრობთ, სრულყოფილი სურათის შესაქმნელად ზემოთ ჩამოთვლილი ენობრივი ფორმები ცალკე სიღრმისეულ შესწავლას საჭიროებს. (მაგალითად, ისეთი ტერმინები, როგორიცაა: ლიბერალი, დემოკრატი, პატრიოტი მემარცხენე, მემარჯვენე, კონსერვატორი, რადიკალი და სხვა საინტერესო კონტექსტურ ტრანსფორმაციებს გვაძლევს კომუნიკაციურ პროცესში).

ტერმინი, როგორც „დისკურსული დომინირების" იარაღი

„ახალ მოვლენათა ნომინაცია ენის ტიპური შინაგანი პროცესია, თუმცა, იგი მჭიდროდ უკავშირდება გარეგანი ფაქტორების მოქმედებას. რაც უფრო ინტენსიურია საზოგადოებრივი ცხოვრება, მიტ უფრო ინტენსიურია ნომინაციის პროცესი" (I. 2, 149).

„ახალი ენის" ძიება ზოგადლინგვისტური ტენდენციაა. აქტიური პოლიტიკური პროცესების ფონზე მიმდინარეობს მეტყველების ფართო ტერმინოლოგიზაცია. სამეცნიერო წრეებში არსებობს მოსაზრება, რომ „საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკისათვის დამახასიათებელი საყოველთაო გასაგებობა მისი ტერმინოლოგიური სფეროს თავისებურებას წარმოადგენს, რაც მისი ფუნქციური ნიშანია" (I. 2, 150). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საყოველთაო გასაგებობა ერთ-ერთი პირობაა, როცა საქმე ეხება ლექსიკური ერთეულის გამოყენებას მასობრივი პროპაგანდისა და აგიტაციის მიზნით. მაგრამ რა ხდება მაშინ, როცა საჭიროა პოლიტიკური პროცესის ან მოვლენის შენიღბვა? ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ორაზროვნებასთან ან ბუნდოვანებასთან, რაც პოლიტიკოსებს აძლევს ოსტატური მანევრირების შესაძლებლობას. ვფიქრობთ, „ახალი ენის" ძიების კონტექსტს შეესაბამება დასავლურ პოლიტიკურ წრეებში ახალი პოლიტიკური ტერმინების შემოღებისა და დამკვიდრების პროცესი: „პოსტ ამერიკული სამყარო", „ცივილიზაციათა შეჯახება", „ისტორიის დასასრული" და სხვა. ისინი მუდმივად ახორციელებენ ტერმინთა ექსპანსიას და ეს კარგია, რადგან სანამ არ არსებობს ტერმინი, მოვლენების აღქმა ბუნდოვანია. ტერმინის შემოღება კი, თუნდაც ორაზროვანის, ხელს უწყობს მოვლენის აღწერას, ხსნის სივრცეს მის გასაანალიზებლად.

ნათქვამის არგუმენტად განვიხილავთ მოვლენას, რომელიც 2016 წლის ნოემბრის ბოლოს მოხდა. ოქსფორდის ლექსიკონის შემდგენლებმა წლის სიტყვად დაასახელეს ტერმინი „პოსტ სიმართლე" (*post-truth*), რომელიც შემდეგნაირად განმარტეს: „ტერმინი ეხება გარემოებებს, რომელთა მეშვეობით ობიექტური რეალობა და ფაქტები ნაკლებ ზეგავლენას ახდენენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესზე, ვიდრე ემოციები ან პირადი მრწამსი." (III).

ნიშანდობლივია, რომ ტერმინი „პოსტ სიმართლე" პირველად 1992 წელს გამოიყენა სერბ-ამერიკელმა კინოსცენარისტმა სტივ ტესიჩმა თავისი სტატიისათვის ჟურნალში „*The Nation*". მას შემდეგ ათ წელზე მეტია, ეს სიტყვა იხმარება, მაგრამ 2016 წელს საკმაოდ გახშირდა მისი გამოყენება ორი უმნიშვნელოვანესი მსოფლიო პოლიტიკური მოვლენის გამო: ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული არჩევნების შედეგებთან მიმართებით და დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის რეფერენდუმთან დაკავშირებით.

დღეს აქტუალური ხდება არა იმდენად ენის რეფორმა, რამდენადაც პოლიტიკური დისკურსის კონცეპტუალიზაცია ენობრივ ჭრილში. სახეზე გვაქვს მრავალშრიანი, მრავალ დონიანი კრიზისები სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებში, რაც, ბუნებრივია, აისახება ენაზეც. ერთ-ერთი მიზეზი ამგვარი კრიზისებისა შესაძლოა იყოს სოციალურ-ჰუმანიტარული ცოდნის სიმწირე, რომ არ არსებობს შემოქმედებითი პროცესი, რის გამოც ჩვენს ცნობიერებაში ინახება იდეების მცირე რაოდენობა. დიდი შრომა, დიდი სირთულეები, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს იმას, რომ ბიძგი მივცეთ ამ იდეების საზოგადოებაში განხორციელებას. . საჭიროა სოციალური შეკვეთა პროგრესულ იდეებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მუდმივად იარსებებს გლობალური პოლიტიკის ელიტების სურვილი, რომ ახსნა მოუძებნონ ამა თუ იმ სოციოპოლიტიკურ სიურპრიზებს, პროცესებს, რომლებიც „სხვაგვარად“ იყო დაგეგმილი ან მათი განვითარების „სხვაგვარი“ მოლოდინი არსებობდა, მაგრამ შედეგი დადგა რადიკალურად სხვა. სწორედ ასეთი პროცესების, პოლიტიკური მოქმედებების ანალიზს მივყავართ „პოლიტიკის ენასთან“.

მოგეხსენებათ, განვითარებულ ქვეყნებში სოციალური ქსელების როლი, საზოგადოების ინფორმირებისა და ზეგავლენის თვალსაზრისით, ძალიან დიდია. პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსაც, არჩევნები იქნება ეს თუ რეფერენდუმი, მოქალაქეები იღებენ ამ წყაროს უდიდესი ზემოქმედებით, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ქვეყნებში ამომრჩევლის ელექტორალური ქცევის მთავარი ინდიკატორი, არის პიროვნების თავისუფლების ხარისხი, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა. სიმართლე არის სიმართლე და როგორც არ უნდა შეფუთონ ის პოლიტ ტექნოლოგიების თანამედროვე საშუალებებით, თუნდაც ახალი ტერმინების დამკვიდრებით, ადრე თუ გვიან ის ყველასთვის ცხადი ხდება და ბუმერანგივით ბრუნდება უკან.

ამ შემთხვევაშიც „პოსტსიმართლე“ შეფუთული რეალობაა და ემსახურება „დისკურსული დომინირების“ ინტენციას. ის წარმოადგენს კომპლექსურ ფენომენს, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს ფილოსოფიური (ეთიკური), სემანტიკური, პრაგმატიკული, ფსიქოლოგიური, სოციალური, პოლიტიკური და სხვაგვარი მოსაზრებებიდან. მაგრამ, რომელი პოზიციიდანაც არ უნდა იყოს ის გამოყენებული, სტრატეგია არის ერთი – დაარწმუნოს რეციპიენტი, რომ მოვლენა, რომელსაც ეს ტერმინი ასახავს, არის სიმართლე. „განათლებულ და განვითარებულ საზოგადოებებში, სადაც მთქმელსა და ადრესატს შორის ინტელექტუალური სხვაობა მცირეა, ამგვარი ინტენციის მიღწევა არ არის იოლი, მაგრამ იმ სოციუმში, სადაც მსმენელსა და მოსაუბრეს სიტუაციის სრულიად განსხვავებული მენტალური მოდელი გააჩნიათ, ინტერაქცია აღწევს თავის მიზანს“ (II. 1, 293).

არსებობს სამეცნიერო მოსაზრება, რომ „ხელისუფლების ბოროტად გამოყენების აქტი წარმოიქმნება და ლეგიტიმაციას იძენს დისკურსში, განსაკუთრებით პოლიტიკურ მეტყველებაში ყველა დონეზე“. ამგვარი „დისკურსული დომინირება“ შესწავლილ იქნა ჰოლანდიელი მეცნიერის, ტენ ვან დეიკის მიერ და ცნობილია „კრიტიკული დისკურსანალიზის“ სახელწოდებით (II. 1, 303). ეს სამეცნიერო მიდგომა წარმოადგენს ერთგვარ ტექნიკურ ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია გამოვავლინოთ და ვაჩვენოთ როგორ მონაწილეობს დისკურსის სტრუქტურული ელემენტები მანიპულაციებსა და საზოგადოებრივი ცნობიერების მართვის პროცესში. მაგალითად, მოვლენათა ისეთი წინასწარი მენტალური მოდელების ფორმირებით, როგორიც აწყობს ხელისუფლებას. როგორც კვლევები ცხადყოფს, „კრიტიკული დისკურსანალიზი“ და მისი გამოყენებითი ფორმები მუდმივი შესწავლის პროცესია. საზოგადოებრივ ჯგუფებს პერმანენტულად უწევთ ადაპტირება ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ახალ ფორმებთან. ეს ეხება, აგრეთვე, ადამიანის უფლებების კვლევასა და მათი დაცვის პრაქტიკას. მთელი ეს პროცესი წარმოადგენს მეთოდიკის დახვეწასა და სრულყოფას სხვადასხვა ტიპის გაყალბებისა თუ ადამიანთა უფლებების დარღვევის კვალდაკვალ.

დასკვნა

1. პოლიტიკური დისკურსის პრაგმატული ინტენციის შესწავლამ დაგვანახა, რომ კონკრეტული მიზნებისთვის ენის გამოყენებამ იგი პოლიტიკის ერთ-ერთ ფაქტორად გარდაქმნა და აღნიშნულ დისკურსში წარმოშვა ფუნქციურ-ენობრივი ასპექტების მრავალფეროვნე-

ბა, რომელთა ფორმაც და შინაარსიც მკვეთრად ასახავს ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრების განვითარებას.

2. პოლიტიკური დისკურსი ინტერპერსონალურ კომუნიკაციაზეა დაფუძნებული. იგი სპეციფიკურია, როგორც ფუნქციური, ისე ენობრივი თვალსაზრისით. ამას განაპირობებს უაღრესად მზარდი, ტურბულენტური საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები, მძაფრი სოციალური მოვლენები და ის კატაკლიზმები, რომელთა წიაღშიც ენის პრაგმატისტული ფუნქციის რეალიზება ხდება. ამგვარი კომუნიკაციის ეფექტურობა სუბიექტური ცნებაა და მთლიანად ეფუძნება შემფასებლის ინტენციას. ზემოქმედების ძირითად ფუნქციასთნ ერთდ პოლიტიკის ენას გააჩნია იდენტიფიკაციისა და მართვის ფუნქცია.

3. აქტიური პოლიტიკური პროცესების ფონზე მიმდინარეობს მეტყველების ფართო ტერმინოლოგიზაცია. ახალი ტერმინების შემოღება და დამკვიდრება ხელს უწყობს საზოგადოებრივი პროცესების აღქმა-გაანალიზებას. მოვლენათა ნომინაცია ენის ტიპური შინაგანი პროცესისა და გარეგანი ფაქტორების მჭიდრო ურთიერთზემოქმედების შედეგია.

4. ჩვენს ხელთ არსებული პოლიტიკური დისკურსის მოდალურ-სემანტიკური ველის ანალიზი ცხადყოფს, რომ პოლიტიკა ყალიბდება ვერბალიზებულ კონფლიქტთა ინტერაქციულ სისტემაში პოლიტიკური მოქმედებების პროვოცირებით, რაც წარმოქმნის პოლიტიკური პროცესების ახალ ჯაჭვს, ახალ დისკურსს, ახალ ენას, ახალ კულტურას და შესაბამისად, ახალ შესაძლებლობებს მომავალი კვლევებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბეჭდური წიგნი:

რ. ზექალაშვილი, ქართული დიალოგური მეტყველება (ძირითადი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები), თბილისი, 2012.

კვარაცხელია, გ. ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბილისი, 1990.

В. Д. Стариченок, Большой Лингвистический Словарь, Ростов-на-Дону, 2008.

А.П.Чудинов, « Политическая Лингвистика», Москва, 2007.

ელექტრონული წიგნი:

Т.В. Дейк, Дискурс и Власть:Репрезентация доминирования в языке и коммуникации;Москва,2013. https://klex.ru/o5o

ვებგვერდი:

Word of the year 2016 is…https://languages.oup.com/word-of-the-year/word-of-the-year-2016

პოლიტიკური დისკურსის ფუნქციურ-ენობრივი ასპექტები

ხათუნა მაჭავარიანი

ფილოლოგიის დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

ნაშრომში გაანალიზებულია პოლიტიკური დისკურსის კომუნიკაციური სტრატეგიის ზოგადი ტენდენციები, კერძოდ, დასავლური და ქართული პოლიტიკური ინტერაქციის ზოგიერთი ენობრივი თავისებურება და თანამედროვე პოლიტიკური დისკურსის ფუნქციური ასპექტები. ჩვენი მიზანია, ვაჩვენოთ, რა გავლენას ახდენს ობიექტური და სუბიექტური გარემოებები პოლიტიკური დისკურსის ფორმირებაზე და რა საშუალებებით ახერხებს პოლიტიკის ენა საზოგადოებრივი ცნობიერების მართვას. შევისწავლეთ რა ზეპირი პოლიტიკური დისკურსის ნიმუშები, მივედით იმ დასკვნამდე, რომ თანამედროვე ქართული პოლიტიკური ინტერაქციის ფუნქციურ-ენობრივი ასპექტები, მიზნები და ამოცანები არსებითად არ განსხვავდება დასავლურისგან. ქართულ პოლიტიკურ სივრცეშიც სიტუაციის განსხვავებული „მენტალური მოდელის“

შესაქმნელად იყენებენ „დისკურსული დომინირების“ მეთოდს – შესაბამისი ლინგვისტური თუ ექსტრალ-ინგვისტური ფაქტორების მაქსიმალური კონცენტრაციით.

ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევის მეთოდები ძირითადად ემპირიულ-ექსპერიმენტულია. საანალიზო მასალად გამოყენებულია ზეპირი პოლიტიკური მეტყველება, ვიდეო და აუდიოჩანაწერები.

საკვანძო სიტყვები: *პოლიტიკური დისკურსი, ინტერაქცია, ტერმინი, დისკურსული დომინირება, მოდალობა, „მენტალური მოდელი“, პოლიტიკის ენა*

The Functional-Linguistic Aspects of Political Discourse

Khatuna Machavariani

Doctor of Philology
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The article analyzes the general trends of linguistic strategy of the political discourse, in particular, some of the linguistic features and the functional aspects of the modern political discourse in western and Georgian political interaction. Our goal is to analyze the impact of objective and subjective circumstances on the formation of political discourse and by what means does the language of politics manage public consciousness. After we have studied the patterns of oral political discourse, we came to the conclusion that the functional-linguistic aspects, goals and methods of modern Georgian political interaction are not different in fact from the western. The “discursive domination” method is used in Georgian political space to create a different “mental model” of the situation with the maximum concentration of relevant linguistic or extra linguistic factors.

The research methods are mainly empirical-experimental. For analyzes we used an oral political speech, video and audio recordings.

Keywords*: Political discourse, Interaction, Term, Discursive dominance, Modality, “Mental model”, Political language*

კომედიისა და პაროდიის ცნება აირის მეჩდოკის რომანში „სასიამოვნო და მართალი“

ეთერ შავრეშიანი

დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. კომედიის თეორიები და კომიკური მახასიათებლები

არისტოტელესეული კომედიის განმარტება გაცილებით ბუნდოვანია და ნაკლებად სრულყოფილი ვიდრე მისი ტრაგედიის განმარტება. იგი შემდეგნაირად განმარტავს კომედიას: „კომედია არის ასახვა მდარე ადამიანებისა, მაგრამ არა მთელი იმათი სიავის მიხედვით, არამედ სასაცილო მხარეების მიხედვით: სასაცილო კი არის სამარცხვინოს ნაწილი. სასაცილოა რაიმე შეცდომა ან სამარცხვინო საქმე, რომელიც ტანჯვასა და ზიანს არ შეიცავს; ასეთია, მაგალითად, კომიკური ნიღაბი, რომელიც არის რაღაც სამარცხვინო და დაღრანჯული, მაგრამ ტანჯვას არ გამოხატავს“. (არისტოტელე, 1979: 150).

ამ თავში ძირითადად ნორთროპ ფრაის განმარტებებს და თეორიებს დავეყრდნობი. ფრაი თავის ესეში მითების თეორიაში, კომედიის შესახებ წერს: „დრამატული კომედია, რომლისგანაც წარმოქმნილია მხატვრული კომედია, არის არაჩვეულებრივად მტკიცე თავისი სტრუქტურული პრინციპებითა და გმირების ტიპებით“. (Frye, 1957: 163). ფრაის კლასიფიკაციის მიხედვით, კომედია გადის 6 ფაზას, სანამ მიაღწევს დასრულებულობას. აქედან სამ ეტაპს აქვს ირონიული ელფერი და სამსაც – რომანტიული. ფრაი ირონიულ კომედიას აღწერს შემდეგნაირად: „უაზროდ მოლაყბე საზოგადოების გამოხატვა, რომელიც მიმართულია სნობიზმისაკენ და ცილისწამებისაკენ“. (Frye, 1957: 48).

როგორც უკვე აღვნიშნე, პირველ სამ ფაზას აქვს ირონიული ელფერი და თავისებური მახასიათებლები. პირველ ფაზაში შეინიშნება დემონური სამყაროს არსებობა, მეორე ფაზაში, პაროდიის თემა არის მთავარი, მესამე ფაზაში ხორციელდება კომედიის ფორმების მახასიათებლები. კომედიის მახასიათებლების ძირითადი მიზანია დაგვანახოს დამახინჯებული წესები შეყვარებული წყვილისა, რომელთათვისაც ცხოვრება არის სასიამოვნო კომედია, რომელიც გვირგვინდება ქორწინებით. თუმცა, უნაყოფობა ასევე ფართოდაა გავრცელებული. კომედიის ამ სამ ფაზას მიეკუთვნება იუმორისტული, წეს-ჩვეულებებისა და სატირული კომედიის ფორმები.

ფრაი შემდეგ სამ ფაზას უძღვნის რომანტიულ კომედიას, რომელიც აერთიანებს შეცდომათა და სევდიან კომედიებს, და ტრაგი-კომედიებს. ამგვარად, მეოთხე ფაზა გულისხმობს, ცხოვრების სიდიადესა და სიყვარულს უნაყოფო მიწაზე. ამ ფაზაში შესამჩნევია სვლა ნორმალური სამყაროდან მწვანე სამყაროში, სადაც ხდება ცვლილება. ამ ფაზისათვის დამახასიათებელია ხელახლა დაბადება, სადაც მთავარი გმირი ჩვეულებრივ ქალია. მაგალითად, მთავარი გმირი (ქალის) კომიკური გადაწყვეტილება შეინიღბოს როგორც ბიჭი. (როგორც იქცევა როზალინდა პიესაში „როგორც გენებოთ“). მეხუთე ფაზა აერთიანებს საზღვაო კომედიებს. ზღვა ხდება ქაოტური. ამ ფაზისათვის დამახასიათებელია დაშორებები და შეკრებები. აქ არის ორი სამყარო და ზოგჯერ მთელი მოქმედება ხდება მეორე სამყაროში. და ბოლოს, მეექვე ფაზა აერთიანებს ფარულ სიყვარულს და ინდივიდუალურ გამოყოფას ყოველდღიური არსებობისაგან. ამ ფაზის კომედია აერთიანებს „მოჩვენებათა ამბების სამყაროსა და გოთიკურ რომანებს“. (frye, 1957: 185).

ფრაი თავის კრიტიკულ ნაშრომში განიხილავს ოთხი ტიპის გმირს, რომლებსაც ვხვდებით კომედიაში, ტრაგედიასა და რომანში. მათ განეკუთვნება *“alazon”, “eiron” “bomoloCos” “agroikos”*-ტიპის გმირები. ფრაის კლასიფიკაციის მიხედვით *“eiron”-ს* განეკუთვნებიან მთავარი გმირები, ქალი მესაიდუმლოე, თაღლითი ადამიანი და ასაკში შესული კაცი. მთავარი აქ არის გმირი კაცი, რომელიც იმარჯვებს და გვერდით ყოველთვის ჰყავს ქალი, რომელიც ბოლოს აღმოჩნდება ის ვინც ეხმარება მას, რაც შეეხება თაღლით პერსონაჟს, ის ყოველთვის ეხმარება მთავარ გმირს, ხოლო ხანში შესული გმირი, რომანი ყოველთვის გამოირჩევა პასიურობით, უკან დახევით, ყოველთვის ჩრდილშია, მაგრამ ბოლოს მთავრდება მისი დაბრუნებით რომანში. რაც შეეხება *“alazon”,* რა მოსდით ამ ტიპს განკუთვნილ გმირებს რომანის ბოლოს? ისინი ხშირ შემთხვევებში რიგდებიან, საერთოს პოულობენ და არიან ერთად, იშვიათია შემთხვევები, რომ ვერ ნახონ საერთო. კომედიაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ხდება გადაბრალება და ეს ემსახურება საპირისპირო აზრის მქონე გმირების თავიდან მოშორებას. ფრაი შემდეგნაირად ხსნის ამ ყველაფერს: „საზოგადოებრივი შურისძიების თემა ინდივიდზე, რაოდენ გაიძვერაც არ უნდა იყოს ის, ხდის მას ნაკლებ მონაწილეს დანაშაულში, ვიდრე საზოგადოებას“. (Frye, 1957: 45). მესამე ჯგუფს განეკუთვნებიან *“bomoloCos”* ტიპის გმირები, რომლებიც ბერძნული კომედიიდან არის წარმოქმნილი და აერთიანებს სხვადასხვა ტიპის მასხარებს, კლოუნებს, გამრთობებს, გმირებს განსხვავებული აქცენტებითა და შემთხვევით გმირებს. ფრაის მიხედვით ამ ჯგუფს განკუთვნილი გმირი წარმოადგენს „... პარაზიტს, ვინც არაფერს აკეთებს, გარდა საუბრისა თავისი მისწრაფებების შესახებ, რაც მაყურებლის გართობისკენაა მიმართული“. (Frye, 1957: 175). და ბოლოს, *“agroikos”*- ის ჯგუფი, რომელიც მსგავსად მესამე ჯგუფისა, ორ ნაწილად ჰყოფს კომედიის კომიკურ ხასიათს. ფრაის თანახმად, *“agroikos”* ნიშნავს ჯიუტს, უხეშს, მდაბიურს. გმირს, რომელიც ზნეობრივად მაღლა მდგომია სხვებზე განეკუთვნება ამ ჯგუფს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა ტრადიციული კომედიის განხილვის დროს არის ცვლილების თემა. ფრაის თანახმად, კომედია არის მოძრაობა ჭირვეული, ხანდაზმული, რიტუალური საზოგადოებიდან პრაგმატულად მოაზროვნე ახალგაზრდა საზოგადოებისაკენ, შეიძლება ითქვას რომ ესაა მოძრაობა „ილუზიიდან რეალობისაკენ“. (Frye, 1957:169). კლასიკური კომედიის დასასრულს, მკითხველმა იცის, რომ ყველა ბედნიერი იქნება. ეს ბედნიერი დასასრულიც იმის ნიშანია, რომ უარყოფით გმირებშიც მოხდება მეტამორფოზა და ცოტათი მაინც შეიცვლებიან უკეთესობისაკენ. „მოულოდნელი გარდაქმნები, სასწაულებრივი ტრანსფორმაციები და დროული დახმარებების აღმოჩენა არის კომედიისათვის განუყოფელი. და უფრო მეტიც, რაც არ უნდა წარმოიქმნას, ეს ყველაფერი ისევ და ისევ უკეთესობისათვის ხდება“. (Frye, 1957: 170).

2.პაროდიის ცნება, პაროდიული ჟანრები, კომიკური გმირები და თემები

პაროდიის ცნება ამ კონკრეტული თემისათვის არის ამოსავალი. სხვადასხვა მკვლევრები პაროდიის სხვადასხვა განმარტებებს გვთავაზობენ. მაგალითად, საიმონ დენთიზის პაროდიის ცნების მიმოხილვა საკმაოდ ვრცელია. მისი ამ ცნების განმარტება და შესწავლა ბახტინის სამეცნიერო მანუშევრების შესწავლაზეა დაყრდნობილი. მისი აზრით, „გარკვეულ დონეზე... პაროდია აერთიანებს სხვისი სიტყვების მიბაძვასა და გარდაქმნას“. (Dentith, 2002: 3). მისი აზრით, ერთ-ერთი საუკეთესო გზა პაროდიის გაგებისა არის ინტერტექსტუალობა და გვთავაზობს მისეულ განმარტებას ამ ცნებისა: „საწყის ეტაპზე ის წარმოადგენს ურთიერთკავშირს... ყველა წერილობითი ტექსტი თავის მხრივ დაკავშირებულია უკვე არსებულ ტექსტებთან და შესაბამისად ახალი ტექსტები წარმოადგენს ძველი ტექსტების ალუზიას“. (Dentith, 2002: 5). მოგვიანებით ის აფართოებს ამ ცნების მნიშვნელობას და წერს, რომ ინტერტექსტუალობა აშკარად მოიაზრებს თავის თავში უამრავ, არსებულ საშუალებას, სადაც შესაძლებელია ტექსტების ალუზირება. ციტატების დიდი რაოდენობით გამოყენება, მიბაძვა და ასე შემდეგ, თავის კვლევაში საბოლოოდ გვთავაზობს ინტერტექსტუალობის ღრმა ანალიზს და წერს: „ინტერტექსტუალობა მიუთითებს ალუზიების დიდი რაოდენობით გამოყენებას, საიდანაც ხდება ინდივიდუალურად ტექსტების შექმნა – მათი ფორმულირების, გაცვეთილი ფრაზების, სლენგების, ჟარგონული სიტყვების, გამონათქვამების უცვლელად გამოყენება. ყველა ეს ლინგვისტური გამოძახილი, მიბაძვა თუ გამეორება არის გაძლიერებული სხვადასხვა გზით, არის თუ არა ისინი ერთმანეთთან დაქვემ-

დებარებული, მიზანი ერთია – დაუფარავად გამოხატოს ზომიერი ირონია“. (Dentith, 2002: 5). ის ახდენს პაროდიის კლასიფიკაციას და გამოყოფს კონკრეტულ, ზოგად, ფორმალურ და პაროდიულ ალუზიებს. კონკრეტული პაროდიის შემთხვევაში ხდება უკვე წინასწარგანზრახულის რაღაც კონკრეტულის პაროდირება, მაშინ როცა ზოგადი პაროდიისა და ფორმალური პაროდიის დროს მთელი ტექსტის პაროდირებაა მოსალოდნელი, ხოლო პაროდიული ალუზიები ნიშნავს მხოლოდ კონკრეტული ფრაზების, მონაკვეთების, ციტატების პაროდირებას. რაც შეეხება პაროდირების გამოყენებას რომანში, დენთიზი აღნიშნავს, რომ ის არის ერთ-ერთი კარგი საშუალებაა აზრის გამოსახატავად.

შესაბამისად რომანში „სასიამოვნო და მართალი“, ხდება პაროდიის ორგვარი გამოყენება, ერთი ესაა ფორმალური პაროდია, რაც ნიშნავს მთლიანად მთელი ტექსტის პაროდირებას და ამას დამატებული პაროდიული ალუზიები ანუ კონკრეტული მაგალითები. კლასიკურ კომედიებში ზემოთ განხილული კომიკური გმირების ტიპები მკვეთრად განსხვავებულია. *eiron and alazon* ტიპის გმირები ქმნიან კომედიის ელფერს ტექსტში, ხოლო *bomolochos* და *agroikos* ტიპის გმირები კომიკურ სიძლიერეს ჰმატებენ ტექსტს. მერდოკის რომანში „სასიამოვნო და მართალი“ გმირები იშვიათად, მაგრამ მაინც ავლენენ მსგავსებას ამ ტიპის გმირებთან; თუმცა ისინი არც კომიკურ ბაზისს ქმნიან თავიანთი მოქმედებებით და არც რაიმე დამატებით ელფერს. მერდოკი პაროდირებს რომანტიზმის თემას, კერძოდ მარადიული სიყვარულის და ახალგაზრდა შეყვარებულების, რომელთაც ერთად ყოფნას ვიღაც ან რაღაც უშლის ხელს- მაგალითად, ქმნის არატრადიციულ რომანტიულ სიყვარულს და შეყვარებულებს, ან გვაჩვენებს სიყვარულს სხვადასხვა კუთხითესაა ხორციელი ლტოლვა, ეჭვიანობა, ავხორცობა თუ დროებითი სიყვარული. მერდოკის ამ რომანში ასევე შესამჩნევია მეტამორფოზის თემა. მერდოკის რომანებში, რომლებიც პირადად წამიკითხავს, ბოლოს ყველგან ერთი საერთოა- ესაა ცვლილება. გმირები იცვლებიან, ნანობენ მათ მიერ ჩადენილ ცუდ საქციელს და ცდილობენ უკეთესნი გახდნენ. ასეთი დასასრული ეჭვს ბადებს და შეიძლება ვთქვათ, რომ მის რომანებში არის შეუსაბამობა ნათქვამსა და გაკეთებულს შორის. მთლიანობაში, ერთი რამ უდაოა, რომ მერდოკი ამ რომანში აშკარად პაროდირებს სხვადასხვა თემებს შექსპირის პიესებისა ზოგჯერ გადამეტებულადაც კი.

რომანში „სასიამოვნო და მართალი“, შეიძლება ვთქვათ, რომ ყველა გმირი თავისებურად კომიკურია. თუმცაღა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მათგანი აშკარა მსგავსებას ავლენს ზემოთ განხილულ კომიკურ ტიპებთან. ამათგან აღსანიშნავია, უილი კოსტი, თეოდორე გრეი, პიტერ მაკგრეიზი და ფაივი.

უილი კოსტი განეკუთვნება *eiron*-ის ტიპის გმირს, ვისაც კარგად ესმის ყველაფერი. ეს გმირი თითქოს სხვა პერსონაჟებს აშინებს, მაგალითად ჯონ დუკეინს, რომელიც მართალია თავის ცოდნაში დარწმუნებულია, მაგრამ უილისთან საუბრისას ყოველთვის შიშს განიცდის. რომანში ვკითხულობთ, დუკეინი „არასოდეს იყო დარწმუნებული უილი იმას გულისხმობდა თუ არა რასაც ამბობდა, თუ ნათქვამის-საპირისპიროს. ისე ჩანდა, თითქოს მას იყენებდნენ, თითქოს უილი იყენებდა მას“. (Murdoch, 1969:52). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უილი იმ დარჩენილი სამი ტიპის გმირებსაც კარგად ასახიერებს. უილის ინტერესი ბერძნულ და რომაულ ლიტერატურაში და მისი ციტატები სხვადასხვა პოემებიდან მას პედანტი ადამიანის ელფერს სძენს. ის ცდილობს სხვასაც ასწავლოს რასაც კითხულობს, ან თარგმნოს. მაგალითად, ის მუშაობს პროპერტიუსის თარგმანებზე. რომანში მასზე ვკითხულობთ „უილი იკვლევდა კლასიკურ ლიტერატურას... და მუშაობდა პროპერტიუსის თარგმანებზე“. (Murdoch, 1969:46). მისი დიდი მაგიდა ყოველთვის სავსე იყო სახელმძღვანელოებით, რომელიც დუკეინის თქმით შურს აღძრავდა მასში, მაგრამ ეს ასე არ იყო რა თქმა უნდა. დუკეინი ყოველთვის უხერხულობას გრძნობდა უილისთან ყოფნის დროს, თითქოს ამას უილი გრძნობდა და ვითომცდა გულგრილად დუკეინის შეკითხვაზე თუ როგორ მიდიოდა მუშაობის საქმე, პასუხობს შემდეგნაირად: „დღე დღეს გადასცემს სიტყვას, ღამე კი ღამეს უმხელს აზრს“. (Murdoch, 1969:50). უილი ტრესკომბის სახლის ბინადრებს ასწავლის ლათინურს, იყენებს ლათინურ ენას, მოჰყავს ლათინური ციტატები, მაგრამ ამით ბევრი ღიზიანდება, მაგალითად ბარბარა გრეი, ვინც ვერასოდეს ვერაფერს იგებს. თუმცა, დუკეინს ეჭვი შეაქვს უილის სამეცნიერი მოღვაწეობაში და ამბობს კიდეც: „კი მაგრამ თუ მართლა მუშაობს,

მაშინ რატომ არავის უშვებს თავისი სანახავად?“ (Murdoch, 1969: 47). დუკეინთან ერთად, თეოდორე გრეიც ეჭვქვეშ აყენებს მის სამეცნიერო მოღვაწეობას და ეუბნება კიდეც „რისთვის მუშაობ პროპერტიუსის გამოცემაზე, ნუთუ იმისთვის რომ დაფინასება მოიპოვო, ეს ყველაფერი ხომ უაზრობაა, ამაოა“. (Murdoch, 1969:124). უილი კოსტს აქვს გადაჭარბებული ფუნქციები, ის არის ე.წ. „სუროგატი მშობელი“ და სხვადასხვა აკვიატებული, ავადმყოფური იდეით შეპყრობილი. „სუროგატი მშობელი“, თუკი ამას განვიხილავთ *alazon* ტიპის გმირთან მიმართებაში, მაშინ გამოდის რომ უილი მხოლოდ ლაპარაკობს და არ მოქმედებს, ხოლო მეორე შემთხვევაში, გამოდის, რომ უილი შეპყრობილია რაღაცით, ეს რაღაცა კი მისი წარსულია. „მას არასოდეს ერთი სიტყვაც არ დასცდენია თავისი წარსულის შესახებ“. (Murdoch 1969:47), მას არ შეუძლია საკუთარი წარსული საქმეების დავიწყება, თუმცა ის რჩევებს აძლევს სიყვარულსა და პატიებაზე თეოდორე გრეისაც და ჯესიკა ბერდსაც. ის თეოდორეს ურჩევს: „სჯობს მიუტევო წარსულს და დავიწყებას მისცე“. (Murdoch, 1969:126). ჯესიკაც ეუბნება შემდეგს: „ჩვენ არა ვართ კარგი ადამიანები, და საუკეთესო რისი იმედიც შეიძლება გვქონდეს არის, ის რომ სულ ცოტათი სათნონი მაინც გავხდეთ, შევუნდოთ ერთმანეთს და დავივიწყოთ წარსული“. (Murdoch, 1969:191).

უილი კოსტთან საუბრისას, თვითმკვლელობის თემა ყურადსაღებია. როდესაც ქეითი და დუკეინი საუბრობენ უილიზე, თუმცა მიუხედავად უილის წარსული ცხოვრებისა ქეითი არ ფიქრობს , რომ ის თავს მოიკლავს და ეს ნამდვილად ასეცაა. ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს შემთხვევასთან, როდესაც სიტყვები არ ასრულებენ მოქმედებას და უბრალო, ამაო საუბარია. ამ ყველაფერთან ერთად ქეითი და დუკეინი ფიქრობენ, რომ უილი ნორმალური ადამიანის ცხოვრებით არ ცხოვრობს და მას მენტალური პრობლემები აქვს; ქეითი მოუწოდებს დუკეინს უილთან ხშირ ვიზიტებს რათა დაეხმაროს მდგომარეობიდან გამოსვლაში. დუკეინი, პოლ ბირეანი, მერი კლოტიერი ხშირად სტუმრობენ უილს და არწმუნებენ რომ თავი არ უნდა მოიკლას, როგორც უკვე ვთქვით, არც აპირებს თვითმკვლელობას. შეიძლება მისი ეს მდგომარეობა გამოგონილიცაა, ვთქვათ, როგორც ამბავი მისი იმპოტენციის შესახებ. რომანში აღწერილია მონაკვეთები, როდესაც მერი კლოტიერს ეალერსება, ასევე დუკეინის სახლში ჯესიკასთან ამყარებს სექსუალურ კავშირს. მისი სახელი (Will), ნიშნავს სურვილს, წადილს. უილი ძალიან უჩვეულო გმირია, თითქოს ნათელია მისი ყველა ქმედება, მაგრამ ამავე დროს არც. მისი საქცილები ხშირ შემთხვევებში მკითხველში გაოცებასა და მკითხველის მხრიდან დაცინვას იწვევს.

მისი აქცენტიც განსხვავებულია ყველა სხვა გმირისაგან, როგორც გერმანელი ებრაელი, ხშირად იმეორებს კითხვას ‘‘What ees eet?’’ ის საუბრობს გერმანულად და ხშირად მოჰყავს ციტატები ლათინური ენიდან. მისი ეს თვისება ავტორს ხაზგასმული აქვს, ვინაიდან მკითხველს მუდმივად ახსენებს, რომ ის უცხოელია, თუმცაღა მისი ეს თვისება ამ გმირს კომიკურობას არ ჰმატებს, არამედ პირიქით, ვიგებთ, რომ გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკში ის მოღალატე იყო.

უილი *agroikos* ის ტიპის გმირსაც წარმოადგენს, ვინაიდან ის ხშირად უარს ამბობს წვეულებებზე, ის განმარტოებით ცხოვრებას ამჯობინებს. მას არ სურს მნახველები, განსაკუთრებით დიდები და მარტოობას ამჯობინებს. თუმცა, რომანის ბოლოს ვხედავთ, რომ მისი ეს მარტოობა მოჩვენებითი იყო და რეალურად მას მეტი მნახველი ჰყავდა, ვიდრე ტრესკომბის სახლის ნებისმიერ ბინადარს, ასევე რომანის ბოლოს მოულოდნელად ვიგებთ, რომ მას რომანი აქვს ჯესიკა ბერდთან. ამგვარად, უილი კოსტის შემთხვევაში, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზემოთ განხილულ ოთხივე ტიპის კომიკურ გმირებს შეესაბამება.

რომანის დასაწყისში თეოდორე გრეის გმირი უმნიშვნელოდ და მეორახისხოვნად გვეჩვენება. უილის მსგავსად ისიც თავისი წარსულითაა შეპყრობილი. ის ინდოეთიდან ლონდონში ბრუნდება და თითქმის შეუმჩნეველი ბინადარია ტრესკომბის სახლში. მართალია თეოდორე თავად მოუწოდებს უილის წარსულის დავიწყებას, მაგრამ ეს თავადაც არანაკლებ სჭირდება. დროის უმეტეს ნაწილს საწოლში ატარებს, და ხშირად ავადმყოფობს, თუმცა არასოდეს არავინ დაინტერესებულა ნამდვილი მიზეზით. „მართალი იყო რომ ის ავადმყოფივით იქცეოდა, ზედმეტად ბევრ დროს ატარებდა საწოლში... ის ბევრს ლაპარაკობდა თავის ხშირ სტუმრებზე, რომელსაც

იგი ვირუსებს უწოდებდა...მაგრამ არასოდეს არავის სჯეროდა, რომ მას სჭირდა ნამდვილად რაღაც კონკრეტული, ნამდვილი ავადმყოფობა". (Murdoch, 1969:86-87). მას პარაზიტად მოიხსენიებენ, ვინაიდან არ მუშაობს და ამ მისმა „არასერიოზულმა ქცევამ გამოიწვია მისი არასერიოზულად და უმნიშვნელოდ მიჩნევა" საზოგადოებაში. (Murdoch, 1969:87). არავინ არ თვლის მას კაცად. არავის ასუფთავებინებს თავის ოთახს და მუდამ სუნი დგას მის ოთახში; თუკი ტყუპებს დავუჯერებთ, სწორედ ეს სუნი იყო, რატომაც ეწყობოდნენ ერთმანეთს მინგო და თეოდორე გრეი.

შეიძლება ვთქვათ, რომ ზნეობრივად თეოდორე სხვა გმირებზე უფრო მაღლაც დგას, ვინაიდან ის მიუთითებს მათ ამორალურობაზე უილისთან საუბრისას. „ისინი ყველანი სექსზე გაგიჟებულები არიან და ამის შესახებ არც კი იციან. თუნდაც ეს ჩემი ძვირფასი ძმა, (ოქტავიან გრეი), როგორ ეროტიულ კმაყოფილებას შეიგრძნობს, როდესაც უყურებს მისი ცოლი სხვას როგორ ეფლირტავება – „კი მაგრამ რატომ არ შეუნდობ მათ? ისინი ხომ ბევრს არაფერს აშავებენ. შენ გვკიცხავ იმის გამო, რომ წმინდანები არ ვართ?" (Murdoch, 1969:125). თუმცა თავად თეოდორეს ჰქონდა ურთიერთობა ახალგაზრდა ბიჭთან პიერსთან, ინდოეთის მონასტერში ყოფნის დროს. *Agroikos*-ის ტიპის მსგავსი გმირივით, ის სულ უგუნებოდაა. მთელ დროს ატარებს თავის საძინებელ ოთახში და ცდილობს თავი აარიდოს გარშემო მყოფებს. თუკი „ვინმე იტყოდა, რომ ოთახში არავინ იყო, ეს ნიშნავდა რომ თეოდორე გრეი იყო იქ". (Murdoch, 1969:86). რომანის ბოლოსკენ, დუკეინი უილის ეკითხება თეოდორზე, გაუარა თუ არა უგუნებობამ და მივიდა თუ არა მის სანახავად.

პიტერ მაკგრეიზს საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი უკავია რომანში. ის არის გროტესკული გმირი. მაკგრეიზი შანტაჟისტია. ის არის ე.წ. „ოფისის მაცნე" (Murdoch, 1969:7), რომელიც ყველას ატყობინებს რედეჩის გარდაცვალების ამბავს. ასევე დიდია მისი წვლილი წერილების თემასთან დაკავშირებით, როდესაც დუკეინს აშანტაჟებს და ბოლოს ასრულებს კიდეც, ჯესიკასა და ქეითისათვის განკუთვნილ წერილებს პირიქით გზავნის. მისი მიზანი ამ შანტაჟისა არის მხოლოდ ერთი, გამოძალოს ადამიანებს ფული. ის ასევე აშანტაჟებდა ჯოზეფ რედეჩის, რომლისგანც დიდი რაოდენობით თანხას იღებდა. ის აშანტაჟებს დუკეინსა და ბირეანს და რედეჩის ამბავს მიჰყიდის ჟურნალ-გაზეთებს რა თქმა უნდა ფულის სანაცვლოდ. მაკრეიზი, შეიძლება მივიჩნიოთ *alazon* ტიპის გმირადაც, რომლის მიზანი არის დუკეინისათვის ხელის შეშლა, თუმცა როგორც ამ ტიპის გმირისათვისაა დამახაიათებელი, მისი საქმეებს ნათელი მოეფინება და ბოლოს თავად ხდება დაცინვის ობიექტი, როდესაც მას საკუთარი ცოლი მიატოვებს და ფაივისთან ერთად მიდის, ფაივი რომელიც დუკეინის პირადი მსახური იყო, თავად აცნობს ჯუდი მაკგრეიზს.

ამ სამ გმირს შორის, ყველაზე სასაცილო, ვგონებ რომ ფაივია. მსგავსად *eiron* ტიპის გმირისა, ფაივი გამუდმებით ატყუებს მის გარშემო მყოფებს და ეს ძალიან კარგად გამოსდის მას. ის არწმუნებს ადამიანებს, რომ ისიც მათი წარმომავლობისაა. მაგალითად, დუკეინს სჯერა, რომ ფაივისა და მას ერთი საერთო შოტლანდიელი წინაპარი ჰყავთ. ის დუკეინს უყვება საკუთარი განთლების შესახებ, რომელიც გლასგოუში მიიღო, მაგრამ როგორც კი ის ქეით გრეის შეხვდება, მას ამ ყველაფერს სხვანაირად უყვება და აქ უკვე მის ირლანდიურ წარმომავლობაზე ლაპარაკობს. რომანის ბოლოს, ფაივი დუკეინს პარავს ძვირადღირებულ მანჟეტის საკინძეებსა და მამის დანატოვარ საათს და ჯუდისთან ერთად მიემგზავრება; ჯუდის შემთხვევაში, მას სჯერა რომ უელსელ-ავსტრალიელია, და რომ მამამისს მანქანების ბიზნესი აქვს. ეს გმირი თავისი განსხვავებული აქცენტების გამო შეიძლება *bomolochos* ტიპის გმირადაც მივიჩნიოთ, ვინაიდან ისე ოსტატურად თამაშობს ყველასთან თავისი წარმომავლობის შესახებ, რომ მგონი, თავადაც ავიწყდება სინამდვილეში საიდან არის. ეს გმირი ზედმეტად სასაცილოა, თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი ეს გადამეტებულობა მას მატყუარა, ეშმაკი, ჭკვიანი ადამიანის ელფერს უფრო სძენს, ვიდრე გულუბრყვილო ადამიანისას. ის არის საკმაოდ მოხერხებული პერსონაჟი.

რომანტიული სიყვარულის თემის პაროდირება ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ამ რომანში. რომანში წარმოდგენილია უჩვეულოდ და საკმაოდ დიდი რაოდენობის პაროდიული წყვილი. დუკეინი, მთავარი გმირი, არ არის თავგადაკლული სიყვარულზე, როგორც ავტორი ამბობს, ის

„სანახევროდაა შეყვარებული“ (Murdoch, 1969:50). რომანის დასაწყისში, ვხედავთ, რომ დუკეინს სურს თავის საყვარელთან ჯესიკასთან დაშორება, და უყვარს გათხოვილი ქალი ქეით გრეი, მასთან აქვს ურთიერთობა, მაგრამ ბოლოს მერი კლოტიერზე ქორწინდება. დუკეინსაც ჰყავს „მტერი“, მაკგრეიზი, რომელიც საფრთხეს უქმნის მის სიყვარულს, თუმცა არაფერი გამოსდის, ვინაიდან ბოლოს სულ სხვა ქალი უყვარდება და მასზე ქორწინდება კიდეც.

რომანის ცენტრალური ქალი პერსონაჟი არის მერი კლოტიერი, რომელსაც როგორც ზემოთ აღვნიშნე უყვარდება ჯონ დუკეინი და ქორწინდება მასზე. მერი უჩვეულო პერსონაჟია სიყვარულის ამბავში, ვინაიდან ჯერ თავისი გარდაცვლილი ქმრითაა შეპყრობილი, შემდეგ უყვარდება კოსტი და ბოლოს სულ სხვა კაცს მიჰყვება ცოლად. დუკეინს ცოლად მიჰყვება მას შემდეგ, რაც ის მის ვაჟს გადაარჩენს დახრჩობისაგან. დუკეინის მსგავსად მერიც ვერ ხვდება ვინ უყვარს სინამდვილეში: ალისტაირი, კოსტი თუ დუკეინი. დუკეინი და მერი შეიძლება მივიჩნიოთ ე.წ. *eiron* ტიპის გმირებად, რომელნიც არ არიან თავიანთ სიყვარულში დარწმუნებულნი, რომელთაც ერთდროულად რამდენიმე ადამიანი უყვართ და მას შემდეგაც კი, როდესაც ერთმანეთს სიყვარულში გამოუტყდებიან და ქორწინდებიან, ჩვენ, მკითხველს ეჭვი გვეპარება მათ ბედნიერებაში.

ვინაიდან ვსაუბრობთ სიყვარულის თემის პაროდირებაზე, აუცილებლად უნდა ვახსენოთ რომანში მრავალი პერსონაჟის არსებობა და მათი სხვადასხვა სასიყვარულო ურთიერთობები, მათი არასტაბილური, განსხვავებული, სასაცილო სასიყვარულო ამბები. ეს ურთიერთობები გაზვიადებული და გადამეტებულიც კია: დუკეინის ურთიერთობა ჯესიკასთან, ქეითთან, ჯუდისთან და მერისთან, ქეით გრეის ურთიერთობა ოქტავიანთან და ფაივისთან, ოქტავიანის თავის მდივანთან და მრავალი სხვა. რომანის ბოლოს ვხედავთ, რომ ყველა გმირი წყვილდება. პიტერ კონრადი, ამ რომანში სიყვარულის თემაზე მიუთითებს, როგორც ზებუნებრივ ძალაზე სიყვარულისა. „სიყვარულის ზებუნებრივი თემები, პატიება, შერიგება. იდეალური სამყარო, სადაც სიყვარულს შეუძლია ჰქონდეს ზებუნებრივი ძალის კონფლიქტების სრული ჰარმონია ყოველგვარ გაურკვევლობასთან და სირთულესთან ერთად“. (Conrad, 1989:143). თუმცა კონრადი ასევე საუბრობს გაზვიადებულ გამოყენებაზე შერიგების თემისა და წერს, რომ რომანის ბოლოს „შერიგების ზეიმი იმდენადაა გავრცობილი, რამდენადაც კატისა და ძაღლის თემა, რომელთაც იქამდე არ შეეძლოთ ერთი საერთო კალათის გაყოფა“. (Conrad, 1989: 156).

სიყვარულის თემა გამოხატულია სხვადასხვა დონეზე რომანში „სასიამოვნო და მართალი“ ანჯელო ბრონზინოს ნახატით „ალეგორია ვენერასთან და ამურთან“. ეს ნახატი შეიძლება ითქვას, რომ არის ნიღაბი და გამოყენებულია სიყვარულის თემის აღსანიშნავად. ეს ნახატი წარმოადგენს დიდი იტალიელი მხატვრისა და მანიერიზმის დიდებული წარმომადგენლის-ანჯელო ბრონზინოს მიერ ხის დაფაზე ზეთის საღებავებით დახატულ ალეგორიული სიუჟეტის მქონე ნამუშევარს. სურათის კომპოზიციის წინა პლანზე ასახულია ამურისა და დედამისის-ვენერას შიშველი ფიგურები. გარდა ამისა სურათზე ვხვდებით პუტის გამოსახულებასაც (პატარა, ზოგჯერ ფრთებიანი ტიტველი ბიჭების გამოსახულება). ვენერას ხელში ის ოქროს ვაშლი უჭირავს, რომელიც მან პარისის სამსჯავროზე გამარჯვების აღსანიშნავად მიიღო. ამური კი მხატვარს, როგორც წესი წარმოდგენილი ჰყავს ფრთებითა და კარპაჭით. სურათის თითოეული გმირი ბრონზინომ შიშვლად გამოსახა, რითაც სურათს ეროტიზმის სახე შესძინა. სურათზე წარმოდგენილი თემატიკის მთავარი არსია ვნება, ტყუილი, შური და ვენერას ტრიუმფი. გმირები რომანში „სასიამოვნო და მართალი“ ძირითადად შურისა და ეჭვიანობის თემით შემოიფარგლებიან. მერი ეჭვიანობს პოლისა და კოსტის ურთიერთობებზე; კოსტი ცდილობს ასწავლოს მერის გერმანული, მაგრამ რადგანაც არაფერი გამოსდის, საკუთარ დროს უთმობს პოლს. ბირეანი, რომელსაც თავად აქვს ურთიერთობა სხვადასხვა ადამიანთან, ცოლს შორდება როდესაც იგებს რომ მის ცოლს რომანი აქვს ერიკთან. ჯესიკა დუკეინის უყურადღებობას მიაწერს იმ ფაქტს, თითქოსდა დუკეინს საყვარელი ჰყავს. რედეჩი ეჭვიანობს ბირეანზე როდესაც გაიგებს მისი ცოლის კლაუდიას ღალატზე მასთან. პიერსი ეჭვიანობს ბარბარასა და უილი კოსტის ფლირტზე.

ვნება ერთ-ერთი მთავარი თემაა რომანში. გმირები, როგორებიც არიან ოქტავიან და ქეით გრეი, რიჩარდ ბირეანი, კოსტი და ჯუდი მაკგრეიზი, არიან მონაწილე სასიყვარულო რომანები-

სა. თეოდორი მის ძმასა და რძალს „სექსის გიჟებს“ უწოდებს, ქეითი, რომელსაც სასიყვარულო ურთიერთობები აქვს სხვადასხვა კაცთან, ამ ყველაფერს განიხილავს თავის ქმართან. რიჩარდი და პოლ ბირეანები ცდილობენ ურთიერთობის აღდგენას. მაკგრეიზი, რომელიც მის ცოლს აიძულებს ურთიერთობა ჰქონდეს რედეჩისთან, ბოლოს ურთიერთობას გააბავს ბირეანთან, ცდილობს დუკეინის შეცდენას და ბოლოს ფაივისთან ერთად იპარება.

3. შექსპირის პიესების „როგორც გენებოთ“ და „ამაო გარჯა სიყვარულისა“ პაროდირება აირის მერდოკის რომანში „სასიამოვნო და მართალი“

ძნელია, არ ვახსენოთ შექსპირის სახელი და მისი პიესების „როგორც გენებოთ“ და „ამაო გარჯა სიყვარულისა“ პაროდირება აირის მერდოკის რომანში „სასიამოვნო და მართალი“. ის ფაქტი, რომ შექსპირს რომანის გმირები აიდიალებენ უდაოა. რომანის მე-12 თავში, ტრესკომბის სახლის მაცხოვრებლები განიხილავენ შექსპირს. ჰენრიეტას შეკითხვაზე „რატომ არასოდეს დაუწერია შექსპირს მერლინის შესახებ?“, თეოდორე და მერი პასუხობენ შემდეგს:

„რადგან შექსპირი თავად იყო მერლინი“, ბრძანა ბიძია თეომ.

„ვფიქრობ, ვიცი“, უპასუხა მერიმ. „შექსპირმა იცოდა...საოცარი სამყარო... თემა იყო საშიში...და იმგვარი ურთიერთობები.... არც ისე საკმარისად რეალურ სამყაროში... ის არ იყო მისი შესაფერისი თემა... და მას ჰქონდა ისეთი განსაზღვრული გარემო მისი საკუთარი... მას უბრალოდ არ შეეძლო მისი გამოყენება... შექსპირის სამყარო იყო რაღაც განსხვავებული, გაცილებით უფრო დიდი“. (Murdoch, 1969: 102).

რომანში მხოლოდ შექსპირი კი არ არის განხილული, არამედ შექსპირის ნამუშევრები და შექსპირული სიდიადეა მოცემული. პიტერ კონრადი საუბრობს რომანში შექსპირის დიდი რაოდენობით არსებობაზე და ამბობს:

„რაც ამ რომანში შექსპირულია არის საოცარი სიყვარულის ამბები, პატიება და შერიგება. იდეალური სამყარო, სადაც სიყვარულს შეუძლია ჰქონდეს ზებუნებრივად ჰარმონიაში მყოფი ძალაუფლების კონფლიქტი გაუგონარ არეულობასა და მრავალფეროვნებასთან ერთად“. (Conrad, 1989 :143).

რომანი „სასიამოვნო და მართალი“ ერთი შეხედვით, თითქოს ბაძავს კიდეც ზემოთ აღნიშნულ შექსპირის პიესებს, მაგრამ ხშირ შემთხვევებში ყველაფერი პირიქითაა და ზოგიერთი მომენტი გაზვიადებულიც კია, რითაც მერდოკი ქმნის სასაცილო სურათს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ შექსპირის პიესებთან მსგავსება მერდოკის ამ კონკრეტული რომანისა ტექსტის ზედაპირზევეა შესამჩნევი. ესაა მოქმედების ადგილი, გმირები, თემები, სიმბოლოები. აშკარაა, რომ რომანში მერდოკი არდენის ტყის პაროდირებას ახდენს. როდესაც განდევნილი ჰერცოგი არდენის ტყეში მიმართავს მის თანხლებ დიდებულებს და ტყის ცხოვრებას ადარებს სასახლის ცხოვრებას.

...„ძველმა ადათმა ბრწყინვალე და მორთულ-მოკაზმულ
განცხრომაზედაც მეტი სიტკბო არ მისცა განა
ამ ჩვენს ცხოვრებას? განა ეს ტყე შურით ავსებულ
სასახლეებზე უფრო მეტად საშიშარია?
ადამის ცოდვის მწარე ნაყოფს-ჟამთა ცვალებას
ვგრძნობთ აქ სასჯელად მარტოოდენ...
....დიახ, მრჩეველი გახლავთ იგი, დაბეჯითებით
რომ მაგრძნობინებს და მიჩვენებს ვინა ვარ, რა ვარ“. (შექსპირი, 1987: 230).

თუკი ამ აღწერას შევადარებთ აირის მერდოკის რომანში დორსეტის მიდამოების აღწერას, მსგავსება მათ შორის უდაოა. დორსეტი წარმოადგენს ჩინებულ ადგილს, მთხრობელი მიუთითებს მის სიმრგვალეზე და ხაზგასმულია დუკეინის კმაყოფილება და გონების სიმშვიდე ამ ადგილას. რომანში ვკითხულობთ:

„იქ... დუკეინი აღიქვამდა მის გარშემო არსებულ გარემოს, მის მონაწილეობას, მის ბუნებასთან სიახლოვეს... ყველაფერი დორსეტში მრგვალია, ფიქრობდა დუკეინი. პატარა გორაკები მრგვალია, ეს აგურებიც კი მრგვალია... ყველაფერი დორსეტში ზუსტი ზომისაა, ფიქრობდა ის... ამ ფიქრებმა მას კმაყოფილება მოჰგვარეს...ისინი მიუყვებოდნენ ვიწრო ბილიკს... სადღაც, იქვე, ახლოს ტყეში ისმოდა გუგულის ხმა“. (Murdoch, 1969: 46).

არდენის ტყე არის იდეალური ადგილი, სადაც გმირები არიან გაქცეულები, სადაც სასახლის ცხოვრებისაგან მოშორებით ცხოვრობენ, სადაც გმირები პოულობენ ბედნიერებას, სადაც ოლივერი უკეთესობისაკენ იცვლება. ბევრი მსგავსებაა დორსეტსა და არდენის ტყეს შორის, პირველი რაც შესამჩნევია ესაა ის რომ, რომანის გმირებიც და პიესის მთავარი გმირებიც ადგილს იყრიან ერთ ადგილას, სადაც მთავარი თემა ისევ ინტრიგები და სიყვარულია, თუმცა რომანის ბოლოსაც და პიესის ბოლოსაც ვხედავთ რომ ყველაფერი თავის ადგილას ლაგდება და გვყავს ბედნიერი წყვილები.

რაც შეეხება თავად გმირების მსგავსებას, შესამჩევი მსგავსებაა თეოდორე გრეისა და ჟაკს შორის. შეიძლება ითქვას რომ ორივე გმირს ჰქონდა ამორალური წარსული, კმაყოფილნი არიან მარტოობით და საზოგადოებისგან განდგომით; აკეთებენ კომენტარებს სხვათა ქმედებებზე, უარს ამბობენ წვეულებებზე. ჟაკი ამბობს:

„...მიბოძეთ ნება, როგორც მინდა, ვილაპარაკო
და, მცირე ხანში, ყოველნაირ სიბინძურისგან
მოწამლულ სხეულს გავუწმინდავ ქვეყნიერებას,
ოღონდ ყლაპოს მან მოთმინებით ჩემი წამალი“. (შექსპირი, 1987: 236).

მსგავსად ჟაკისა, თეოდორე გრეი მუდმივად აკრიტიკებს ტრესკომბის მობინადრეებს. თეოდორეს ეს ქმედებები ძალიან კარგად არის გადმოცემული ჟაკის მიერ: „... ეგვიპტელი პირმშოების ლანძღვა-გინებით გავერთობი“ (შექსპირი, 1987:235) ან „არ გინდა ერთად ჩამოვჯდეთ და ერთად ვლანძღოთ ქალბატონი ქვეყნიერება და ჩვენი სიდუხჭირე?“ (შექსპირი, 1987: მოქმ. 3, სურათი 2). ბოლოს ორივე გმირი ბრუნდება მონასტერში. თუმცა თეოდორე გრეი გადაწყვეტს ინდოეთში დაბრუნებას რათა მოკვდეს იქ, ეს ერთი შეხედვით მერდოკის რომანს ტრაგიკულ ელფერს სძენს, თუმცა მთლიანობაში რომანი მაინც ოპტიმიზმითაა გამსჭვალული.

ვფიქრობ, აღნიშვნის ღირსია მსგავსება გმირების სახელებს შორის, მერდოკის რომანში, ბირეანი და შექსპირის პიესაში „ამაო გარჯა სიყვარულისა“ ბირონი. არც ერთი ეს გმირი უარყოფს სიყვარულის ძალას. ბირეანის შემთხვევაში ბრონზინოს ნახატი ხაზს უსვამს სიყვარულის საჭიროებას, ასევე ბირონი წინააღმდეგია ფიცის დადების და პიესის დასაწყისში მიუთითებს კიდეც სიყვარულის აუცილებლობაზე. თუმცა, მერდოკი თავის რომანში ბირონისა და როზალინას სიყვარულის პაროდირებას ახდენს რიჩარდ ბირეანის ცოლთან ღალატითა და აკრძალული ურთიერთობებით.

გუგულის სიმბოლო კიდვ ერთი შესამჩნევი სიმბოლოა მერდოკის რომანსა და პიესას შორის. შექსპირის პიესა „ამაო გარჯა სიყვარულისა“ მთავრდება ლექსით გაზაფხულზე, გუგულის სიმბოლოთი, რომელიც სიმბოლოა ნამდვილი სიყვარულის გამარჯვებისა. გაზაფხული იმარჯვებს ზამთარზე, გაზაფხული, რომელიც სიმბოლოა სიახლის, რაღაც ახლის, რაღაც უკეთესის. მერდოკის ერთ-ერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ მერდოკთან გუგული სიმბოლოა არაერთგული სიყვარულისა, მეორე ფაქტი კიდევ ის არის, რომ მერდოკი აზვიადებს გუგულის მოტივის გამოყენებას მის რომანში. აღნიშნულია რამდენჯერმე და ზოგჯერ უაზროდაც კი. რომანში ისმის გუგულის ხმა ყველგან: როცა დუკეინი და ქეითი სეირნობისას კოცნიან ერთმანეთს, როცა უილი კოსტი იღვიძებს გუგულის ხმაზე, როდესაც ქეითი და ოქტავიანი საუბრობენ დუკეინზე, და გუგულის საათზე, რომელიც მათმა შვილმა ბარბარამ უყიდა მამას, ეს შეიძლება იყოს სიმბოლო მათი არასრულყოფილი და მოჩვენებითი ოჯახური ცხოვრებისა. როდესაც ქეითი იგებს დუკეინის „ღალატზე“, გუგული , სადღაც ტყეში წამოიძახებს გუ-გუ-ს. „ჩიტმა უსიცოცხლოდ, გაუბედავად წამოიძახა: .გუ-გუ, გუ, გუ“. (Murdoch, 1969:264). ედვარდი კითხულობს,“ კი

მაგრამ სასაცილო არ არის, რომ გუგული აფრიკაში ხმასაც არ იღებს?“ ...„გუგული ხმას ივნისში იცვლის“... შორეული გუგულის ხმა აღწევდა ოთახში გუ-გუ, გუ-გუ“. (Murdoch, 1969:254). რომანის ბოლოს ქეითი ამბობს რომ ტრესქომბი ყველამ დატოვა მათ შორის გუგულებმაც. თუმცა, მერდოკს ალბათ გუგულის სიმბოლო გაზვიადებულად აქვს გამოყენებული თავის რომანში, ვინაიდან შექსპირი მას მხოლოდ პიესის დასასრულს იყენებს.

წერილების თემაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან და მსგავს თემად შეიძლება ჩაითვალოს. თუკი შექსპირის პიესაში, წერილი, რომელსაც არმადო წერს ჟაკნეტას აღმოჩნდება როზალინასთან, და ბირონის მიერ მიწერილი წერილი ჟაკნეტასთან, თუმცა ეს იყო შემთხვევითი, მაშინ როცა აირის მერდოკის რომანში მაკგრეიზი განზრახ უგზავნის ქეითსა და ჯესიკას სხვადასხვა წერილს. ამ ყველაფრიდან შეიძლება ითქვას, რომ მერდოკი აშკარაა შექსპირს ბაძავს, და მსგავს მოტივებს ავითარებს მის რომანში, მაგრამ ამავდროულად რაღაცას მაინც ცვლილების სახით სთავაზობს მკითხველს.

ის ფაქტი, რომ მერდოკისათვის შექსპირი ძალიან ბევრს ნიშნავს, სხვა რომანებიდანაც იკვეთება. მაგალითად, „შავი პრინცი“-სადაც მწერალი „ჰამპლეტის“ პაროდირებას ახდენს, ასევე „ზღვა, ზღვა“, სადაც პიესა „ქარიშხალის“ პაროდირებაა. მერდოკისათვის, შექსპირი ძალიან ბევრს ნიშნავდა და ალბათ, ყოველთვის სურდა შეექმნა ისეთი რომანები, რომლებიც შექსპირის პიესების მსგავსად საუკუნეებს გაუძლებდნენ.

დასკვნა

ნაშრომის მიზანი იყო გაგვეანალიზებინა თუ როგორ ახერხებს მერდოკი ტრადიციული კომიკური მახასიათებლების, ოთხი მთავარი კომიკური ტიპის გმირის, და სიყვარულისა თემის პაროდირებას. ასევე ნაშრომის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა დაგვენახა თუ როგორაა შექსპირის პიესები პაროდირებული მერდოკის რომანში „სასიამოვნო და მართალი“. რა მსგავსებაა რომანსა და პიესებს შორის, რამდენად და რა სახით ახერხებს მწერალი მათ პაროდირებას თავის რომანში.

ნაშრომმა დაგვანახა, რომ მერდოკისათვის პაროდიის განმარტება განსხვავებულია ტრადიციული პოსტმოდერნული პაროდიისა. პოსტმოდერნული პაროდია ჩვეულებრივ შეიცავს სხვადასხვა დისკურსისა და ჟანრის მრავალფეროვნებას, მაშინ როცა მერდოკი ამ ყველაფერს უარყოფს, დასცინის და გაზვიადებული ფორმით გვთავაზობს. აქედან გამომდინარე იკვეთება ერთი რამ, რომ მერდოკის რომანები კომედიის გარკვეულ მახასიათებლებს წარმოგვიდგენს. ის გვაჩვენებს, რომ მისი გმირებს, მსგავსად ტრადიციული რომანის გმირებისა შეუძლიათ სიყვარული, პატიება, გადარჩენა.

საიმონ დენთიზის თანახმად, შეიძლება ვთქვათ, რომ აირის მერდოკი თავისი ინტერპრეტაციით წარმოგვიდგენს კომედიისა და პაროდიის მცნებას, იგი მისეულ ინტერპრეტირებას უკეთებს ამ ცნებებს. თავდაპირველად ის აღწერს რომანტიული კომედიის ასპექტებს და ამის შემდგომ სძენს მათ კომიკურ ელფერს. „ის იყენებს პაროდიას როგორც იარაღს ძველი სტილისტური ფორმების წინააღმდეგ“. (Dentith 2002: 33). მის ნამუშევრებში პაროდიას აქვს ფუნქცია ლიტერატურული ელემენტების გადარჩევისა. ამგვარად, მას წვლილი შეაქვს „ლიტერატურული სტილისა და ელემენტების ევოლუციაში“.

რომანი „სასიამოვნო და მართალი“ ერთ-ერთი საუკეთესო რომანია, სადაც ძალიან კარგად ჩანს რომ მისთვის კომედიისა და პაროდიის ცნებები ძალიან მნიშვნელოვანია და ერთ-ერთ საუკეთესო „იარაღად“ საკუთარი ხედვის ჩამოსაყალიბებლად შექსპირის პიესების პაროდირება მიაჩნია, რომელსაც განსხვავებული ფორმით წარმოგვიდგენს და ამით ვხვდებით, რომ მერდოკს ნამდვილად სურდა ლიტერატურაში თავისი სიტყვა ეთქვა და თავისი, საკუთარი ინტერპრეტირება მოეხდინა კომედიისა და პაროდიის ცნებებისა; მან ეს ძალიან კარგად მოახერხა თავის შემოქმედებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

არისტოტელე, პოეტიკა. თბ., „განათლება“, 1979

შექსპირი, უილიამ. თბ., „ხელოვნება“, 1985

შექსპირი, უილიამ. თბ., „ხელოვნება“, 1987

Bakhtin, M. (1973). Problems of Dostoevsky's poetics. *Ardis.*

Bayley, J. (1981). Shakespeare and Tragedy. *London: Routledge and Kegan Paul.*

Bove, Cheryl, K. (1993). Understanding Iris Murdoch. South Carolina: *University of South Carolina press.*

Byatt, A.S. (1994). Degrees of freedom. The Early novels of Iris Murdoch. London: Vintage,

Conradi, P., J. Iris Murdoch (1989). The saint and the artist. *London: Macmillan.*

Dentith, S. (2002). Parody. *London: Taylor&Francis.*

Dipple, E., Iris, M. (1982). Work for the spirit. *London: Methuen and Co. Ltd.,* Farzaneh Naseri Sis. Iris Murdoch's novel-plays: The impact of the use of Dramatic elements on Iris Murdoch's fiction. Turkey. 2009

Frye, Northrope. Anatomy of Criticism. London: Penguin books, 1957

McEwan, Neil. The Survival of the Novel: British Fiction in the later twentieth century. London: The Macmillan Press Ltd., 1981

Murdoch, Iris. "The Black Prince". Penguin books, 1973

Murdoch, Iris: "The Fire and The Sun". London: Chatto&Windus, 1977

Murdoch, Iris: "The Nice and The Good". London: Chatto&Windus, 1969

Murdoch, Iris: "Sartre, Romantic Rationalist". Viking Penguin Inc. 1987

Murdoch, Iris. "The Sea, The Sea". Penguin books, 1978

Murdoch, Iris: "The Sovereignty of Good". Routledge Classics, London and New York, 2010

Murdoch, Iris. Metaphysics as a Guide to morals. Penguin books, New York: 1992

კომედიისა და პაროდიის ცნება აირის მერდოკის რომანში „სასიამოვნო და მართალი“

ეთერ შავრეშიანი

დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

აირის მერდოკი მე-20 საუკუნის მე-2 ნახევრის ბრიტანელი მწერალი და ფილოსოფოსი იყო. მისი შემოქმედება სავსეა აქტუალური თემებით, რომელთაგან აღსანიშნავია ხელოვნება, სიყვარული, თავისუფლება. აირის მერდოკის რომანებში დიდია გავლენა ცნობილი მწერლებისა, მაგალითად უილიამ შექსპირის. ის ფაქტი, რომ მერდოკი შექსპირს აიდიალებდა მისი მრავალი რომანიდან იკვეთება. მერდოკის რომანებში, მაგალითად „შავი პრინცი“, „ზღვა, ზღვა“, „მშვენიერება და გულისხმიერება“, გაუწაფავი მკითხველისთვისაც ადვილი მისახვედრია შექსპირის პიესებთან მსგავსება. მერდოკის ერთ-ერთი მკვლევარი, პიტერ კონრადი იხსენებს, რომ 1965 წელს, იგი თავიდან ეცნობოდა შექსპირის შემოქმედებას იმ იმედით, რომ მისი პიესების თავიდან გაცნობა დაეხმარებოდა მას ღირებული ნაწარმოების შექმნაში; როგორც ჩანს, მის მონდომებას უკვალოდ არ ჩაუვლია და 1968 წელს, მან გამოაქვეყნა მისი მე-11 რომანი „მშვენიერება და გულისხმიერება“, რომელშიც დიდია გავლენა შექსპირის პიესებისა „ამაო გარჯა სიყვარულისა“ და „როგორც გენებოთ“. სიყვარულის თემა რომ ცენტრალურია აირის მერდოკის რომანებში, სიახლეს არავისათვის წარმოადგენს, ამიტომ შექსპირის კომედიების პაროდირება ამ რომანებში გასაკვირი არ არის.

მერდოკის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს კომედია და ის იყენებს კომიკურ თემებს, ხერხებს, მოტივებს. მიზეზი, თუ რატომ ქმნის მწერალი კომიკურ სურათს არის ის, რომ მას თავად მიაჩნია ცხოვრება განსაკუთრებულად კომიკურად. თავის ყველაზე სერიოზულ რომანშიც კი („შავი პრინცი“), რომელიც სავსეა ტრაგიკული ამბებით. მწერალი თავად ცდილობს გააცინოს მკითხველი ადამიანზე, ვინც მთელი რომანის მანძილზე უშედეგოდ ცდილობს სიმართლის დამტკიცებას და მუდმივ დაცინვას განიცდის რომანის სხვა გმირების მიერ.

სტატიაში წარმოდგენილი კვლევა ძირითადად ეყრდნობა მე-20 საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ლიტერატურათმცოდნის, კრიტიკოსისა და თეორეტიკოსის ნორთროპ ფრაის ერთ-ერთ ცნობილ წიგნს „კრიტიკის ანატომია“, სადაც განიხილავს ოთხ ესეს. ერთ-ერთ ესეში მითის შესახებ, იგი განიხილავს ოთხი ტიპის გმირს, რომლებსაც ვხვდებით კომედიაში, ტრაგედიასა და რომანში ჯერ კიდევ ძველი ბერძნული ლიტერატურიდან მოყოლებული, ესენია „alazon'', "eiron'', "bomolochos'' და „agroikos'' ტიპის გმირები. სტატიაში განხილულია კომედიის თეორიები და კომიკური მახასიათებლები, პაროდიის ცნება და მისი ჟანრები. შექსპირის პიესების ზოგადი მსგავსება და პაროდირება მერდოკის ამ კონკრეტულ რომანთან, დასკვნაში კი წარმოდგენილია საბოლოო შედეგები.

საკვანძო სიტყვები: კომედია, პაროდია, შექსპირი, მერდოკი.

The Idea of Parody and Comedy in Iris Murdoch's Novel "The Nice and The Good"

Eter Shavreshiani

Ph.D. Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

Iris Murdoch was the eminent writer and philosopher in the second half of the twentieth century. Her works of fiction are full of different actual topics like art, love, freedom. There is a big influence of famous writers on Iris Murdoch's novels, like William Shakespeare. This is a well-known fact, that Murdoch idealized Shakespeare so her novels are full of different interpretations from Shakespearean plays. In Iris Murdoch's novels, for example, "The Black Prince", "The Sea, The Sea", "The Nice and The good", even for the beginner reader, it is very easy to realize and understand the similarities with the Shakespearean plays. One of the researchers of Iris Murdoch's fiction, Peter Conrad remembers, that in 1965 Murdoch started studied Shakespeare's works of fiction, hoping that re-reading of Shakespearean plays would help her to create a relevant novel, this attempt of hers really had a result in her writing and in 1968, she published her 11th novel, "The Nice and The good", in which the influence of Shakespearean plays "Love's Labor's Lost" and "As You Like It", is great. Everyone knows that Love is the main topic in Murdoch's novels, so the use of a parody of Shakespearean comedies is not surprising for anyone.

The main interest of Murdoch is comedy and she uses comic elements, motifs, symbols; the reason why the writer creates the impression of comic, is that she considers life extremely comic one, even in her the most serious novel (~The Black Prince"), which is saturated with tragic events, the writer makes an attempt to make the reader laugh at the person who without any results is trying to prove his truth and is laughed at by other characters of the novel.

The research in the article is based on the 20th century's most influential literary critic and literary theorist Northrop Frye's book Anatomy of Criticism, where he studies four essays. In one of his essays about myths he talks about four types of character "alazon", "eiron", "bomolochos" and "agroikos". In this article, the theories of comedy and its characteristics are discussed on the deep level together with the concept of parody and its genres; the Shakespearean influence and parody on this novel. In the end, the final results of this study are shown.

Keywords: Comedy, Parody, Shakespeare, Murdoch.

სილვია პლათი და პოეტური მიმდინარეობა კონფესიონალიზმი ამერიკულ პოეზიაში

ნანა გაგუა

დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კონფესიონალური პოეზია
(მიმოხილვა)

ამერიკელი პოეტი ქალი სილვია პლათი ითვლება „აღმსარებლობითი პოეზიის“ ფუძემდებლად! უკვე კარგა ხანია ათ ცნობილ ამერიკელ პოეტს შორის, თითქმის ყოველთვის, მოიხსენიება მისი სახელიც! 30 წლის ასაკში მან თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, რამაც ერთი-ორად გაზარდა მისი პოპულარობა! სიცოცხლეში მან მხოლოდ ერთი პოეტური კრებულისა და ნახევრად ავტობიოგრაფიული რომანის გამოცემა მოასწრო. სიკვდილის მერე გამოსულმა პოეტურმა კრებულმა „არიელმა“ კი, კრიტიკოსთა აღტაცება გამოიწვია. კრებული გახდა მეოცე საუკუნის ანგლო-ამერიკული პოეზიის ერთ-ერთი ბესტსელერი!

სილვია პლათს კრიტიკოსთა უმრავლესობა „კონფესიონალურ პოეზიას“ იმავე „კონფესიონალიზმს“ მიაკუთვნებს!

ლიტერატურული მიმდინარეობა „კონფესიონალური პოეზია“ ჩამოყალიბდა მეოცე საუკუნის ამერიკაში, ომის შემდგომ! ის თავდაპირველად არტისტულ მოძრაობას უფრო ჰგავდა, ვიდრე ლიტერატურულ პროცესს! მისი ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი არის ხმაურიანი ბიოგრაფია, სკანდალური ბექრაუნდი! მის წარმომადგენლები წერენ ისეთ ტაბუდადებულ თემებზე, როგორებიცაა: სექსი, ნარკოდამოკიდებულება, ფსიქიკური პრობლემები. ამ თემებზე ტრადიციული ლიტერატურული ტექსტები ნაკლებად იქმნებოდა! კონფენსიონალი პოეტების ემოციური რეალობა მათი პირადი გამოცდილებით, ყოფით არის ინსპირირებული და ნასაზრდოები! პოეტები რეალურ სიტუაციებსა და სტრესებზე იწყებენ წერას, მათი პოეზია უმთავრესად ნეგატიურ ემოციებს – შიშს, ბრაზს, მოწყენილობას, უძლურებას გამოხატავს. კონფენსიალური პოეზიის დანიშნულება ადამიანურ ტკივილებთან გამკლავებაა!

ტერმინი „კონფესიონალური პოეზია“ კრიტიკოსმა მ.ლ. როზენტალმა გამოიყენა პირველად, როცა რობერტ ლოუელის წიგნს „ცხოვრების გაკვეთილებს“ მიმოიხილავდა. ეს წიგნი 1959 წელს დაიბეჭდა. მას შემდეგ ეს ტერმინი რამდენიმე პოეტის, უმთავრესად ლოუელის, ან სექტონის, სილვია პლათისა და ვ.დ. სნოდგრასის მისამართით გამოიყენება! საგულისხმოა, რომ ეს პოეტები ერთმანეთს პირადად იცნობდნენ. ზოგიერთი კრიტიკოსი ვარაუდობს, რომ მათ ნაწერებს საერთო მახასიათებლები ჰქონდა. თუმცა კონფესიონალურ პოეზიას არასოდეს ჩამოუყალიბებია ლიტერატურული სკოლა ან ჯგუფი. პოეტები დამოუკიდებლად ქმნიდნენ თავიანთ პოეზიას. კრიტიკული დებატები იმის თაობაზე, ვინ შეიძლება ჩაითვალოს „კონფესიონალ პოეტად“, დღემდე გრძელდება.

ზოგიერთი მიიჩნევს, რომ სილვია პლათი, თავისი შემოქმედებით, არ მიეკუთვნება ამ ლიტერატურულ მიმდინარეობას. პოეტმა სნოდგრასმა კონფესიონალი პოეტის იარლიყი მთლიანად უარყო. თუმცა ტიტული „კონფესიონალი პოეტი“ იშვიათია, კონფესიონალური პოეზიის შექმნა დღემდე გრძელდება.[1]

[1] The new criterion, Confessional poetry and the artifice of honesty. By David Yezzi , June 1988

კონფესიონალური პოეზიის წარმომადგენლები არიან: ან სექსტონი, ელიზაბეტ ბიშოპი, ჯეიმს მერილი, ჯონ ბერიმერი, რობერტ ლოუელი, სილვია პლათი, თეოდორ რიოტკე, ვ.დ. სნოდგრასი.

კონფესიონალური პოეზია ან კონფესიონალიზმი უფრო პოეზიის სტილია. ეს არის პოეზია პიროვნების ან პოეტური „მე"-ს შესახებ, რომელიც ფოკუსირებულია ინდივიდუალურ გამოცდილებაზე, ფსიქიკაზე, პირად ტრავმაზე. კონფესიონალი პოეტები ტაბუდადებულიდან უფრო ფართო სოციალურ თემებზე გადადიან. ხანდახან ის კლასიფიცირებულია, როგორც პოსტმოდერნიზმის სახეობა. კონფენსიონალური პოეზია იგივე კონფენსიონალიზმი არის პირადი გამოცდილების პოეზია, მხოლოდ ძალიან ინტიმური და ადამიანური გრძნობების, ემოციების, გამოცდილების გაზიარება მკითხველისათვის! ტაბუს ახსნა იმ თემებისათვის, რაც ადრე სირცხვილად, დაფარულად, მხოლოდ ერთი ადამიანის ტკივილად ან ტრავმად ითვლებოდა! თვითმკვლელობის მცდელობები, ფსიქიკური დარღვევები, ძალადობა, სექსუალურობა და სიკვდილი იქცევა ამ პოეზიის წამყვან, უმთავრეს თემებად!

რობერტ ლოუელი, სილვია პლათი, ალენ გინზბერგი, ჯონ ბერიმანი და ენ სექსტონი – ის ცნობილი და აღიარებული ავტორები არიან, რომლებიც უკავშირდებიან ამ პოეტურ სტილს! ლექსებით ისინი გამოხატავენ თავიანთ პროტესტსა და ამბოხს საზოგადოებაში არსებული უსამართლობის, ძალადობის, უთანასწორობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ!

კონფესიონალურ პოეზიას ოთხი უმთავრესი ნიშანი ახასიათებს:

- ის ემყარება მხოლოდ საკუთარ რეალურ გამოცდილებას;
- ღრმა და პირადულია;
- პოეტური მეტყველება გამოხატული, მეტაფორულია;
- ორიენტირებულია აკრძალულ თემებზე: სექსზე, თვითმკველობაზე, ფსიქიკურ აშლილობაზე.

მ.ლ. როზენტალმა რობერტ ლოუელის პოეზია დაახასიათა როგორც აღსარება. ლიტერატურის ცნობილი კრიტიკოსი ამ მიმდინარეობას დანარჩენებისაგან იმით ასხვავებდა, რომ ის აშიშვლებდა პიროვნების სულს. მისი აზრით, ადრეულ ტენდენციებში კონფესიონალიზმი იყო „ნიღაბი", რომელიც მალავდა ავტორის, აქტორის „რეალურ სახეს". კრიტიკოსის აზრით, „ლოუელი იხსნის ამ ნიღაბს". მიუხედავად ყველაფრისა, ლოუელის პირველი წიგნი „ცხოვრების გაკვეთილები", კონფესიონალური განწყობის მატარებელი იყო, რამაც მკითხველისა და საზოგადოების ყურადღებაც მიიპყრო და პირველი იარლიყი „კონფესიონალურიც" დაიმსახურა. ყველაზე შესამჩნევი „კონფესიონალური" ლექსები მოთავსებული იყო ბოლო რუბრიკაში, რომელშიც ლოუელი საუბრობს თავის ბრძოლაზე მენტალურ დაავადებასა და ჰოსპიტალიზაციაზე ფსიქიატრიულში. პლათმა აღნიშნა, ამ ტიპის ლექსების გავლენაზე ერთ-ერთ ინტერვიუში: „ძალიან გახარებული ვარ იმით, ერთგვარი გარღვევაა რობერტ ლოუელის „ცხოვრების გაკვეთილები", ეს ინტენსიური გარღვევა ძალიან სერიოზულ, ძალიან პირად, ემოციურ გამოცდილებაში მოხდა, რომელიც ყოველთვის იყო ნაწილობრივ ტაბუირებული". ა. ალვარესი მიიჩნევს, რომ ზოგიერთი ლექსი „ცხოვრების გაკვეთილებიდან" უფრო ფსიქოანალიზთან არის დაკავშირებული, ვიდრე პოეზისათან.

ლოუელის წიგნი „ცხოვრების გაკვეთილები" დიდწილად დაფუძნებული იყო ავტორის პერსონალურ გამოცდილებაზე, პირად ცხოვრებასა და კავშირებზე და ჰქონდა მნიშვნელოვანი გავლენა ამერიკულ პოეზიაზე. პლათი და სექსტონი, ორივენი, იყვნენ ლოუელის სტუდენტები და ხშირად აღნიშნავდნენ, რომ მისმა შემოქმედებამ მათზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა.

კონფესიონალური პოეზია მეოცე საუკუნის შუა პერიოდში ეხებოდა ისეთ საკითხებს, რომლებიც აქამდე არ განხილულა ღიად, გახსნილად, თვალსაჩინოდ ამერიკულ პოეზიაში. პირადი გამოცდილებები და ფიქრები სიკვდილზე, ტრავმაზე, დეპრესიასა და ურთიერთობებზე ამ ტიპის პოეზიაში უმთავრესად პოეტთა ავტობიოგრაფიულ გამოცდილებას ემყარებოდა. სექსტონი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო პოეზიის ფსიქოლოგიური ასპექტით, წერა საკუთარი თერაპევტის რჩევით დაიწყო.

პოეზია როგორც ფსიქოთერაპია, ერთგვარი თვითმკურნალობა შესაძლოა შოკისმომგვრელია მკითხველისთვის, მაგრამ ეს პოეტები ინარჩუნებდნენ მაღალი დონის ხელობას, გამომსახველობითი ხერხებისა და პროსოდიის საშუალებით.

პლათის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლექსი „მამილო" სწორედ ამგვარ გამოცდილებას ეფუძნება! პოეტი მიმართავს მამას, ლექსი მიანიშნებს ჰოლოკოსტზე, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, პოეტი იყენებს მარტივ, საბავშვო ლექსებისთვის დამახასიათებელ რითმებს.

Daddy, I have had to kill you.
You died before I had time –
Marble-heavy, a bag full of God,
Ghastly statue with one gray toe
Big as a Frisco seal[2]

ამ თაობის ერთ-ერთი კონფესიონალური პოეტი არის ჯონ ბერიმენი. მისი მთავარი წიგნია „ოცნების სიმღერები", რომელიც 385 ლექსისაგან შედგება და ასახავს ჰენრისა და მისი მეგობრის ბატონი ბოუნის ცხოვრებისეულ გამოცდილებებს. ბევრი ლექსი შეიცავს ბერიმენის ტრავმების ელემენტებს, ასეთია მამის თვითმკვლელობა. აი ამონარიდი ლექსიდან „ოცნების სიმღერა":

All the world like a woolen lover
once did seem on Henry's side.
Then came a departure.
Thereafter nothing fell out as it might or ought.
I don't see how Henry, pried
open for all the world to see, survived.

კონფესიონალურმა პოეტებმა 1950 და 1960 წლებში სამუდამოდ შეცვალეს ამერიკული პოეზიის ლანდშაფტი. ტრადიციული კონფესიონალური პოეზიის ზეგავლენა მთელი რიგი პოეტების შემოქმედებაზე დღემდე გრძელდება; მარი ჰოუვი და შერონ ოულდსი არიან თანამედროვე პოეტები, რომელთა ნაწერების უმრავლესობა მათი პირადი გამოცდილებითაა ინსპირირებული.

სხვა მთავარ ტექსტებს შორის, ამერიკული კონფესიონალიზმის პოეზიის ნიმუშებად ითვლება პლათის „არიელი", ბერიმენის „ოცნების სიმღერები" და სექსტონის *To Bedlam and Part Way Back*, („ფსიქიატრიული საავადმყოფოსკენ და უკან"). თუმცა ბერიმენი, ბრაზითა და ზიზღით, თვითონვე უარყოფდა ამ იარლიყს. „სიტყვა კონფესიონალიზმი არაფერს ნიშნავს. მე მესმის ეს სიტყვა, როგორც აღსარების ადგილი, სადაც შენ მიდიხარ და საუბრობ მღვდელთან. პირადად მე 12 წლის შემდეგ აღსარება არ ჩამიბარებია".

ამ პოეზიის მნიშვნელოვანი ფიგურა იყო ადრიენ რიჩი, სანამ ყველაზე მნიშვნელოვანი, გააზრებულად „კონფესიონალი" პოეტები არ გაჩნდნენ 1980-იან წლებში. ამ პერიოდის ერთ-ერთი წარმომადგენელია შერონ ოულდსი, რომლის ფოკუსირებამ სექსუალურ ტაბუზე ბიძგი მისცა ალან გინზბერგის ნამუშევრებს.

1970 და 1980 წლებში, ზოგიერთი მწერალი ამერიკულ ლიტერატურაში კონფესიონალიზმის წინააღმდეგ გამოვიდა. აღნიშნავდნენ, რომ ის მხოლოდ საკუთარი თავის წახალისებით იყო დაკავებული. მაგალითად, ერთ-ერთი პოეტი Deep Image school, ღრმა ხედვის სკოლის წარმომადგენელი რობერტ ბლაი იყო უაღრესად კრიტიკული და ხაზს უსვამდა კონფესიონალი პოეტების უკიდურესად ეგოცენტრულ ტენდენციას. მან აღნიშნა ამ ავტორთა ესთეტიკური უგემოვნება, როცა საუბრობდა პოეტ ანტონიო მაჩადოს მიერ სხვების ტანჯვის ასახვაზე მეტწილად, ვიდრე საკუთარის. თუმცა ბევრი სხვა მწერალი, მათ შორის, შარონ ოულდსი, მარი ჰოუვი და ფრანც რაითი, ამ ხნის განმავლობაში ვერ გაურბოდნენ კონფენსიონალი პოეტების თემატიკას. ავტობიოგრაფიული გამოცდილების, ფსიქიკის, ბავშვობისა და დიდობის ტრამვის პოეტური გარდასახვა თითქოს გარდაუვალი გახდა!

[2] Ariel: The Restored Edition: A Facsimile of Plath's Manuscript, Reinstating Her Original Selection and Arrangement. Harper; Critical ed. edition (November 9, 2004)

პოეტური მოძრაობა „ახალი ფორმალიზმი“ დაუბრუნდა რითმს და მეტრს, ასევე მანაც გაილაშქრა თავისუფალი ლექსის წინააღმდეგ, რომელიც პოპულარული იყო კონფესიონალურ პოეზიაში.

ელიზაბეტ ბიშოპი

მნიშვნელოვანი ქალი პოეტი, რომლიც რთულია რაიმე კატეგორიაში, ლიტერატურულ მიმდინარეობაში ან პროცესში მოაქციო, არის ელიზაბეტ ბიშოპი. მერიან მურის გავლენით, ბიშოპი ინტენსიურად აკვირდება ეგზოტიკურ და ჩვეულებრივ საგნებს, ყოველთვის გვიხატავს მათ ყველაზე არაჩვეულებრივი ენით. ბევრი მისი დაკვირვება შეიცავს ფსიქოლოგიურ განზომილებას, რომელიც არ უკავშირდება კონფესიონალურ პოეტურ სკოლას.

მისი ლექსები ასახავენ ფიზიკურ რეალობას, ბუნებას და თითქმის ანალიტიკური სიზუსტით გადმოსცემენ საგნებს: ჰიპოთეზის, მეტაფიზიკის და თუნდაც ფანტაზიის სამფლობელოში.[3]

მექსიკაში დიდხანს დარჩენის შემდეგ ბიშოპი დაბრუნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ის მუშაობდა კონსულტანტად ჯერ კონგრესის ბიბლიოთეკაში, 1949-1950 წლებში და მოგვიანებით ამერიკის ხელოვნების აკადემიაში. რამდენიმე წელი ბრაზილიაშიც ცხოვრობდა. როცა რობერტ ლოუელმა წაიკითხა მისი ლექსი ‘‘At the Fishhouses’’ „თევზის სახლი“ ჟურნალ „ნიუ იორკერში“, მან დაუყოვნებლივ ამოიცნო ლექსის აღწერილობითი ნაწილის „დიდებული ბრწყინვალება“, მაგრამ არასწორად ჩათვალა სიტყვა „მკერდის“ გამოყენება ლექსის ბოლო 4-5 სტრიქონში. ლოუელმა იცოდა, რომ ბიშოპი ქმნიდა რაღაც განსხვავებულს, მნიშვნელოვანს პოსტმოდერნული ეპოქის პოეზიაში. ის იყო საოცარი პოეტი, რომელსაც შეეძლო ეცხოვრა და ეწერა პოსტმოდერნული თვალთახედვით მოდურად და თანამედროვედ. ლოუელი იყო სავარაუდო „დამაარსებელი“ და დეფაქტო ლიდერი კონფესიონალური პოეზიისა. ბიშოპს ჰქონდა ერთდროულად კონფესიონალური და თავშეკავებული, პირადი სტილი. ლექს „თევზის სახლის“ ფინალურ სტრიქონებში ბიშოპის ადგილი, როგორც პროტაგონისტის, აშკარაა; აქ გარიყულობის სურვილი მთლიანად უარყოფილია, ის ჩანაცვლებულია მკაცრი, უნივერსალური ბუნების კანონებით. აშკარაა ორი განსხვავებული სტილის შეერთების სურვილი. ბიშოპის ბიოგრაფის აზრით: „ის იყო ტრაგიკულად გაუცხოებული, საზოგადოებისგან იზოლირებული პიროვნება. მამა გარდაეცვალა, როცა პატარა იყო. დედამისი ფსიქიკურად ავად იყო. თუ ვინმეს ჰქონდა ფსიქო-დრამა ეს იყო ბიშოპი, თუმცა იმაზე დაკვირვების ნაცვლად, თუ როგორი იყო რეალობა, მან აქცენტი გააკეთა ცხოვრების უკეთეს მხარეზე, კვარცის და ამეთვისტოს მარცვლებზე, სანამ სასტიკი სამყარო მას ორომტრიალში ჩაითრევდა“ (Fountain and Brazeau 189).

ცოტათი გასაკვირია, რომ ის იყო ასეთი მოკრძალებული. ფინანსურად დამოუკიდებელს, შეეძლო ემოგზაურა, ეცხოვრა ხანგრძლივად ბრაზილიაში და დიდი დრო თავისი მწერლობისთვის დაეთმო. ალბათ, ყველაზე უტყუარი და ხმაურიანი განაცხადი მისი ბიოგრაფიისა არის, ის, რომ, როგორც ცნობილია, ბიშოპი იყო ლესბოსელი. კრიტიკულმა აზრმა მისი პოეზია ტრადიციულად შეაქო თავშეკავებულობის, განსაკუთრებით იდენტიფიკაციის, ქალური სხეულისა და სექსუალურობის აღწერისთვის (Stevenson 126).

ბიშოპმა დაიმსახურა ბევრი მოწონება, მაგრამ მაგრამ მაინც დარჩა დამალულ და სიტყვაძუნწ ქალად და პოეტად, იდუმალ პიროვნებად.

ან სექტონი

პოსტმოდერნიზმის მეორე ცნობილი ქალი პოეტი იყო ან სექსტონი, პლათის თანამედროვე და მსგავსი, მათ შორის თვითმკვლელობითაც. სექსტონიც იყო კონფესიონალი პოეტი. იგი დაუპირისპირდა ბევრ რამეს, რასაც პლათი დაუპირისპირდა მხოლოდ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში: კავშირები სქესებს შორის, შეიარაღებისკენ ლტოლვა და სიკვდილი კულტურული არტეფაქტების და ტერმინების მრავალფეროვნებაში იკითხება. ქალები გართობის საგანს წარმოადგენენ და გამომწვევად არიან გამოსახული სარეკლამო პოსტერებზე. ქალი პოეტები უპი-

[3] Sylvia Plath and Confessional Poetry: A Reconsideration Author(s): M. D. Uroff. Source: The Iowa Review, Vol. 8, No. 1 (Winter, 1977), pp. 104-115. Published by: University of Iowa.

რისპირდებიან მკვეთრ კულტურულ და სოციალურ შეზღუდვებს, სქესობრივ დისკრიმინაციას წერასა და ყოფაშიც.

ალბათ, ცოტას თუ უფიქრია, რომ ამ ორ ქალს ამდენი საერთო ჰქონდა, პლათი და სექსტონი, ერთი ასაკის, გამოხატვის მეთოდით კონფესიონალი პოეტები თვითმკვლელობით ასრულებენ ცხოვრებას. შესაძლოა, დებიც კი ყოფილიყვნენ. თუმცა ჭეშმარიტება განსხვავებულია: პლათს ყოველთვის უნდოდა გამხდარიყო ცნობილი მწერალი, მაგრამ ხშირად თავს ზარმაცად თვლიდა, რადგან არ მუშაობდა სადოქტოროზე, ან საკუთარ წიგნზე, არ ფიქრობდა ოთხი ბავშვის ყოლასა და პროფესიაზე. სექსტონი კი, მეორე მხრივ, არასოდეს ფიქრობდა, რომ ის იყო განსაკუთრებული. ის სწავლობდა პოეზიას, როცა სჭირდებოდა გადარჩენა, ეს მას აძლევდა საშუალებას რაღაცით დაკავებულიყო და სავარაუდოდ, თავი არ მოეკლა. (“Sylvia Plath and Anne Sexton: Two Confessional Poets.” par. 3).

ერთხელ ბიბისისთან ინტერვიუში პლათმა განაცხადა: „მე ვფიქრობ, ან სექსტონი, რომელიც თავის გამოცდილებაზე წერს როგორც დედა, დედა, რომელსაც ჰქონდა ნერვული შეტევა, უკიდურესად ემოციურია და გრძნობს თავს ახალგაზრდა ქალად. მისი ლექსები არის საოცრად ოსტატური. მათ აქვთ ემოციური და ფსიქოლოგიური სიღრმე, რომელიც, ვფიქრობ, არის საკმაოდ ახალი და ამაღელვებელი.“[4]

ორივე პოეტს მთელი ცხოვრების მანძილზე საოცრად იზიდავდა სიკვდილი. სექსტონმა თქვა: „პლათს თვითმკვლელობა გათავისებული ჰქონდა, როგორც მე, როგორც ბევრ ჩვენთაგანს. თუ გაგვიმართლა, ჩვენ მასზე ფიქრს თავს ავირიდებთ და რაღაც ან ვიღაც გვაიძულებს ვიცხოვროთ.“ 1955 წელს, 27 წლის ასაკში და მეორე ქალიშვილის დაბადების მერე, სექსტონი იტანჯებოდა ნერვული აშლილობით. ის მეორედ მოხვდა საავადმყოფოში. მისი შვილები საცხოვრებლად ქმრის მშობლებთან გაუშვეს. იმავე წელს, ოცდარვა წლის ასაკში, თვითმკვლელობა სცადა.

სექსტონი, პლათივით, პოეზიას იყენებდა საკუთარი თავის საპოვნელად, გამოსახატად, ამიტომ არაა გასაკვირი, რომ პლათივით და ლოუელივით, მან აირიდა ელიოტისეული სკოლა, რომელიც მიზნად ისახავდა პოეტის ჩამოცილებას ლექსიდან. სექსტონი, ბევრი პოსტმოდერნისტი ავტორის მსგავსად, ზუსტად საწინააღმდეგო მიმართულებით წავიდა, სასოწარკვეთილი ეძებდა საკუთარ თავს ლექსებში. სექსტონის ბიოგრაფი კაროლინ ჰოლი ეთანხმება როზენტალის მოსაზრებას: „სექსტონის ლექსები მეჩვენებოდა რომანტიკული კულმინაციისა და თანამედროვე ტენდენციის გამოხატულებად, ლიტერატურული „მეს“ პოვნის მცდელობად. ავტორი უფრო და უფრო მეტად ექცევა ლექსის ცენტრში, იმგვარად, რომ საკუთარ ფსიქოლოგიურ მოწყვლადობასა და სირცხვილს მოცემული ცივილიზაციის განსახიერებად აქცევს.“

პირველი წიგნის *„To Bedlam and Part Way Back“,* დადებითმა კრიტიკულმა მიმოხილვამ სექსტონი წარმოაჩინა როგორც პოეტი, რომელიც წერდა საკუთარი გამოცდილებიდან. ბევრი ლექსი წიგნში, განსაკუთრებით „ორმაგი გამოსახულება“ გვიხატავს მთხრობელს, რომელიც „შესაძლოა იყოს იდენტიფიცირებული როგორც თანამედროვე ქალი, ნიუ ინგლენდიდან“ (“Anne Sexton and Poetic Confessionalism.” par. 4). მისმა მეგობარმა პოეტმა ჯეიმს დიკეიმ აღნიშნა: ან სექტონის ლექსები აშკარად სულის სიღრმიდან მოდის, ავტორის ცხოვრების ისეთი მტკივნეული ნაწილიდან, რომ ლიტერატურული აზრები ნაკლებად მნიშვნელოვანია; ზოგჯერ შესაძლოა ვინმეს მათი უახლოეს საფერფლეში ჩაგდების სურვილი გაუჩნდეს, ვიდრე ასეთი ტანჯვა განიცადოს.“

მწვავე კრიტიკაც საკმაოდ გავრცელებულია სექტონის პოეზიის მისამართით. ბევრი კონფესიონალი პოეტიც არის მის მიმართ კრიტიკულად განწყობილი. ის წერდა ისე როგორც ნებისმიერი პოსტმოდერნისტი მწერალი: ფრაგმენტულად, ორაზროვნად, რთულად, ალან გინზბერგისაგან განსხვავებით.

ერთმა კრიტიკოსმა თქვა: ან სექსტონის „უნიკალურობა“ კონფესიონალ პოეტებს შორის, მას მკვეთრად განარჩევს სხვებისაგან, რადგან ის იმუქრება ლეგენდარული კულტურული ტრაგედიით,

[4] Sylvia Plath and Confessional Poetry: A Reconsideration. Author(s): M. D. Uroff. Source: The Iowa Review, Vol. 8, No. 1 (Winter, 1977), pp. 104-115. Published by: University of Iowa.

რომლის სხვადასხვა ინტერპრეტაციაც არის შესაძლებელი. მისი დანახვა სხვადასხვა რაკურსით შეიძლება: რომანტიკული ხელოვანი, ფსიქიკურად შეშლილი, მითოპოეტური „მომაკვდავი ქალღმერთი“, „ფემინისტი“, პატრიარქალური კულტურის ერთ-ერთი მსხვერპლი (გალაჰერი 96).

როგორც პოეტს, ან სექსტონს, მკითხველი მიჰყავს პოეტურ ოდისეაში, რომელიც აღმოჩნდება კონფესიონალური, მაგიური და მითიური ერთდროულად. თავის ლექსების კრებულში „ტრანსფორმაციები“, მან აღმოაჩინა საოცარი გზა დაფიქრებისთვის. მის მიერ ინტერპრეტირებულ ქრისტიანულ მითებში, პოეტმა სცადა შეექმნა ახალი ფსალმუნები, საზოგადოების სწრაფად შესაცვლელად (ლექსების კრებული „სიკვდილის დღიურები“).

ორივე, სექსტონიცა და პლათიც გვთავაზობენ გამაფრთხილებელ ზღაპრებს პოსტმოდერნული სამყაროს შესახებ, სადაც არ არის აბსოლუტური კატეგორიები, თეთრი და შავი და საგნები არ არიან ისეთი, როგორებიც არიან, მაგრამ რასაც ამბობენ ისაა, რომ ეს საგნები აწმყოში არსებობენ. ეს არის ცარიელი, ცივი და ხშირად მუქი სამყარო, სადაც გარიყვა და ირონიულობა ადვილია. 1963 წელს პლათმა თავი გაზის ქურაში შეყო, ლონდონში. სექსტონმა ფსიქიატრს უთხრა: „სილვია პლათის სიკვდილი მაშფოთებს. იმავეს კეთების სურვილი მიჩნდება. მან წაიღო რაღაც, რაც ჩემია“ (Morrow 76). 11 წლის შემდეგ, 1974 წელს, 45 წლის ასაკში, სექტონი სიკვდილის რეპეტიციებს გადიოდა: სვამდა არაყს, შედიოდა გარაჟში და კარებს კეტავდა, მანქანის ძრავასა და რადიოს რთავდა და ელოდა, სანამ გამონაბოლქვი მოკლავდა. მისი პირდაპირი ამერიკელი წინაპრები ცნობილი არიან არაჯანსაღი პრეცენდენტებით: ჯონ ბერიმენი (ალკოჰოლიკი, თვითმკველობით დაასრულა სიცოცხლე), რობერტ ლოუელი (ფსიქოპატი), დელმორე შვარცი (ალკოჰოლიკი), თეოდორ რიოტკე (მანიაკალური დეპრესიით იტანჯებოდა), ელიზაბეტ ბიშოპი (ალკოჰოლიკი). სექსტონი იზიარებდა პოსტმოდერნისტული ეპოქისთვის დამახასიათებელ ციინიზმს, მას ჰქონდა მძაფრი ინსტინქტები.

სექსტონი თავის პოეტურ ტალანტსა და აფორიაქებულ გონებას აერთიანებს, რომ უჩვენოს ან უამბოს სამყაროს, თუ ვინმეს ადარდებს მოსმენა ზუსტად იმისა, რის თქმასაც აპირებდა თავის ციინიკურსა და ცნობილ ლექსში„სიკვდილის სურვილი“:

> But suicides have a special language.
> Like carpenters they want to know
> which tools. They never ask why build.
> Y
> Balanced there, suicides sometimes meet,
> raging at the fruit, a pumped-up moon,
> leaving the bread they mistook for a kiss,
> leaving the page of the book carelessly
> open, something unsaid, the phone off the
> hook and the love, whatever it was, an
> infection.[5]
> (Sexton *Complete Poems* 142-43)

თუმცა ლექსი ამასთანავე კონკრეტულ რომანტიკულ განწყობას, სინაზისა და წამის მარადიულობის რწმენას გადმოსცემს.

როგორც ერთ-ერთი დახელოვნებული კონფესიონალი პოეტი, სექსტონი სთავაზობს მკითხველს ემოციური ტკივილის ინტიმურ ხედვას, რომელიც მის ცხოვრებას ახასიათებდა. ცხოვრებისეული ირონიაა, რომ მეორე ნერვული შეტევის შემდეგ, სექსტონი მისმა ექიმმა შეაგულიანა, დაინტერესებულიყო პოეზიით და ეს თერაპიის წყაროდ ექცია. ექიმის მიერ გამოწერილ პოეზიაში სექსტონი ცხოვრობდა და ქმნიდა დამაბნეველ, პოსტმოდერნისტული სამყაროსათვის დამახასიათებელ უაღრესად არასტაბილურ განწყობებს.

[5] Sylvia Plath and Confessional Poetry: A Reconsideration Author(s): M. D. Uroff Source: The Iowa Review, Vol. 8, No. 1 (Winter, 1977), pp. 104-115 Published by: University of Iowa.

მოძრაობა თუ გამოხატვის ფორმა

რა თქმა უნდა, არ არსებობს მხოლოდ ერთი პოსტმოდერნული ხმა ან პოეტური ტრადიცია. ელიზაბეტ ბიშოპი მდუმარედ და ნაზად საუბრობს დეტალებსა და ცხოვრებისეულ წვრილმანებზე! სილვია პლათის ხშირად სალანძღავი, ბრაზის ხმა მამის, ქმრისა და მთელი სამყაროს წინააღმდეგ განსხვავებული პოსტმოდერნისტული ხმაა. ან სექსტონი, ტრაგიკული გმირი, თამაშის მსხვერპლი, საკუთარ ცხოვრებაში დაკარგული პოეტი, გამოწერილი წამლების რეცეპტებითა და სასმელებით გარემოცული, პოეტი, რომელიც თავად წერდა საკუთარი ცხოვრების ფინალსა და უკიდურესად ფატალურ რეცეპტებს ამზადებდა, განსაკუთრებული პოეტური ხმაა. თუმცა თითოეული მათგანი ტრანსპერსონალურია, გადმოსცემს შენი და ჩემი ან სხვა ინდივიდის, ყველასა და თითოეულის გარემოებას, რეალობას და გვესაუბრება პირდაპირ და გონივრულად. საკითხავია, ეს პოსტმოდერნისტი პოეტების მიერ დანერგილი შინაგანი ხმის გაშიშვლების მცდელობაა? თუ ეს იმიტომ ხდება, რომ პოსტმოდერნისტულობა უბიძგებს პოეტს, ისაუბროს პირადი გამოცდილებიდან! ჩვენ ყველანი ვართ ადამიანები, საერთო გრძნობებითა და გამოცდილებით, რაც უნდა ასახოს კიდეც ნამდვილმა პოეზიამ!

ზოგიერთი ამბობს, რომ ბიშოპი, პლათი და სექსტონი არიან ადრეული მეოცე საუკუნის დადაიზმის პროდუქტები. ზოგი თვლის, რომ მათი პოეზია პოსტმოდერნიზმის ორგანული ნაწილია, თავისი გამოხატვითა და კონცეფციით. ბევრის აზრით, ისინი იყვნენ პოეტური გენიოსები, ისევე როგორც ალან გინზსბერგი. ერთი რამ ფაქტია, დღემდე თითოეული მათგანის პოეტური აზროვნებაცა და ხატწერაც დიდ ინტერესს იწვევს მთელ მსოფლიოში. ფაქტია, რომ მათი შემოქმედებით რაღაც ახალი დაიწყო პოეზიის ისტორიაში!

References

A. Stevenson, Bitter Fame, Mariner books, (May 1, 1998).
M.D. Uroff, Sylvia Plath and Confessional Poetry: A Reconsideration, Author(s): M. D. Uroff, Source: The Iowa Review, Vol. 8, No. 1 (Winter, 1977), pp. 104-115, Published by: University of Iowa.
Ariel: The Restored Edition: A Facsimile of Plath's Manuscript, Reinstating Her Original Selection and Arrangement. Harper; Critical ed. edition (November 9, 2004)

სილვია პლათი და პოეტური მიმდინარეობა კონფესიონალიზმი ამერიკულ პოეზიაში

ნანა გაგუა

დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

მოცემული ნაშრომი ეძღვნება მეოცე საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული ამერიკული პოეტისა და პერსონალიის სილვია პლათის ცხოვრებასა და შემოქმედებას! მკვლევართა უმრავლესობა მას კონფესიონალიზმს მიაკუთვნებს. ეს არის მხოლოდ მეოცე საუკუნის ამერიკულ ლიტერატურაში არსებული მიმდინარეობა, რომლის შესწავლის გარეშეც შეუძლებელია სილვია პლათის მემკვიდრეობის ღრმა და საფუძვლიანი კვლევა! აღნიშნულ ნაშრომში კონფესიონალიზმის ჭრილშია განხილული სილვია პლათის, ან სექსტონის, ელიზაბეტ ბიშოპის, რობერტ ლოუელის, თეოდორ რიოტკეს, ვ.დ. სნოდგრასისა და სხვათა შემოქმედება.

გაანალიზებულია კონფესიონალიზმის ძირითადი კონცეპტები, გენეზისი და თემატიკა; ამ მიმდინარეობის პოეტთა შემოქმედება განხილულია ურთიერთგავლენებისა და ლიტერატურული კონტექსტების გათვალისწინებით, რაც ეპოქის, ქრონოტოპოსის მეტ-ნაკლებად დასრულებულ და საინტერესო სახეს იძლევა.

საკვანძო სიტყვები: *კონფესიონალიზმი, აღმსარებლობითი პოეზია, სუბიექტივიზმი, თავისუფალი ლექსი*

Sylvia Plath and Poetical Movement Confessionalism in American Poetry

Nana Gagua

Ph.D. Candidate
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

This paper addressed the life and biography of the well-known American poet of the 20th century Sylvia Plath. Most of the researchers think she belongs to the group of confessional poets. Confessional poetry is the only movement that deeply studies Sylvia Plath heritage. The paper discusses the works of other confessional poets like: Anne sexton, Elisabeth Bishop, Robert Lowell and others. The paper analyses main concepts, geneses and themes; this movement's poets works are discussed in literal context, which gives somehow complete and interesting face of the epoch.

Keywords: *Confessionalism, Confessional poetry, Subjectivism, Free verse*

სოციუმში ტექსტის ინტერპრეტაციის სემიოტიკური ანალიზი (ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე)[1]

ნათია კენჭიაშვილი

დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. შესავალი

ჩვენი **კვლევის ობიექტია** მხატვრული ტექსტი, კვლევის **საგანი** კი ტექსტის სემიოტიკური ანალიზი, მისი მდგრადობისა და ცვალებადობის საკითხი მრავალჯერადი, განმეორებითი ნარაციის შემთხვევაში.

წინამდებარე კვლევის მიზანია გაირკვეს, მრავალჯერადი განმეორებითი ნარაციის შემთხვევაში: (ა) რა სახის ცვლილებებს განიცდის ერთი და იგივე ტექსტი; (ბ) როგორ იცვლება „ორიგინალი" ტექსტის ფორმა და შინაარსი; (გ) ინარჩუნებს თუ არა ტექსტი თავდაპირველ მიზანდასახულობას; (დ) რა განაპირობებს სახეცვლილი ტექსტების იდენტობას (თუკი საერთოდ ასეთი რამ ხდება); (ე) როგორ იცვლება ტექსტის ინტერპრეტაცია; (ვ) რა როლი აქვს ამ პროცესში მომხმარებელს და ა.შ.

საკვლევი თემის **ღირებულება** მდგომარეობს მის შემეცნებით ხასიათში. ის ინფორმაციის მომცემია და, ანალიტიკური აზროვნების თვალსაზრისით, წარმოაჩენს საკითხის სიღრმისეულ მხარეებს, რაც დაგვეხმარება გავიაზროთ მთელი რიგი საკითხებისა, რომელთა მიხედვითაც გადანაწილდება საკვლევი თემის **შემდეგი ამოცანებიც**: (ა) რა მიმართებაა ტექსტსა და ავტორს შორის? (ბ) რა ვითარება გვაქვს მაშინ, როცა ავტორი ფიზიკურად არ არსებობს და ჩვენ ხელთ გვაქვს მხოლოდ ზეპირსიტყვიერება? (გ) რა კავშირი არსებობს ტექსტსა და აზრს შორის, რომელსაც ის ატარებს? (დ) არის თუ არა აზრი ტექსტის არსებობის განმაპირობებელი ფაქტორი?

2. კვლევის მეთოდოლოგია

ჩვენი კვლევა ეფუძნება **სემიოტიკური ანალიზის მეთოდს. სემიოტიკა** არის მეცნიერება, რომელიც იკვლევს სხვადასხვა სახის ნიშანთა სისტემებს (გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ., 2008, გვ. 29). სემიოტიკაში ნიშანი განიხილება, როგორც გარკვეული სტრუქტურა, რომლის შემადგენელი ელემენტებია: თავად **ნიშანი**, **აღსანიშნი** (იგივე, დესიგნატი, რომელსაც, თუ რეალურად არსებულ ობიექტი შეესაბამება, დენოტატს უწოდებენ), **მნიშვნელობა** (იგივე, ნიშნის ინტერპრეტაცია) და **ინტერპრეტატორი** (იგივე, მომხმარებელი). ნიშანი სისტემაში ფუნქციონირებს სამი სახის მიმართებების საფუძველზე – ერთის მხრივ, ის მიემართება სისტემის სხვა ელემენტებს, მეორეს მხრივ კი, ობიექტსა და მომხმარებელს. ამდენად, ნიშნის ფორმირების პროცესიც (იგივე, სემიოზისი) სამი ასპექტით შეიძლება იყოს გაანალიზებული, რაც სწორედ ამგვარი მიმართებების კვლევას გულისხმობს (Семиотика, 1983, ст. 41):

- ✓ ***სემიოზისის სემანტიკური განზომილება***, რომელიც სწავლობს ნიშანს მის მიერ აღნიშნულ ობიექტთან მიმართებით;

[1] წინამდებარე სტატია ეფუძნება 2014 წლის 28 მაისს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 96 წლისთავისადმი მიძღვნილ სტუდენტთა 74-ე საუნივერსიტეტო კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებას.

- ✓ ***სემიოზისის სინტაქტიკური განზომილება,*** რომელიც სწავლობს ნიშნებს ერთმანეთთან დამოკიდებულებაში;
- ✓ ***სემიოზისის პრაგმატიკული განზომილება,*** რომელიც სწავლობს ნიშანს ინტერპრეტატორებთან დამოკიდებულებაში.

სისტემის სინტაქტიკური ასპექტით კვლევა – ესაა სისტემის ფორმალური სტრუქტურების ანალიზი (სინტაქსი); სემანტიკური ასპექტით კვლევა გულისხმობს სისტემის მნიშვნელობის პლანის ანალიზს (სემანტიკა); პრაგმატიკული ასპექტით კვლევა კი სისტემის ფუნქციონირების ანალიზს (პრაგმატიკა) ეფუძნება. ამ ასპექტებით წარმოებული კვლევის ერთობლიობა იძლევა სისტემის შესახებ სრულ ინფორმაციას.

წმინდა სემიოტიკური სისტემა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც *დედუქციური სისტემა,* რომელიც შედგება ამოსავალი ტერმინებისა და გამოსახულებებისგან. *წმინდა სემიოტიკის* (pura semiotic) კვლევის სფეროში შემოდის სინტაქტიკური, სემანტიკური და პრაგმატიკული ასპექტები. სემიოტიკური სისტემის საკვლევად აუცილებელია სისტემური მეტაენის (ანუ, გარკვეული თეორიის ფარგლებში, მოვლენათა შესაბამისი ტერმინოლოგიისა და დეფინიციების ერთობლიობის) შემუშავება, რომლის მეშვეობითაც იქნება შემდგომში შესწავლილი ნიშანთა კონკრეტული სისტემები დასახელებული ასპექტების გათვალისწინებით. თეორია, რომელიც ამ მეტაენის გამოყენებით აღწერს სხვადასხვაგვარ ნიშნებს, არის *დესკრიფციული სემიოტიკა* (შესაბამისად, *დესკრიფციული სინტაქტიკა, სემანტიკა და პრაგმატიკა*) (Семиотика, 1983, ст. 43).

ნიშანთა სისტემების ერთ-ერთი განსაკუთრებული სახეა ენობრივი სისტემა. *ენა* ისევე, როგორც ტერმინთა უდიდესი ნაწილი, რომელიც ნიშნებს უკავშირდება, არაერთმნიშვნელოვნად განისაზღვრება. ენის შესწავლაც ასევე სამი – სინტაქტიკური, სემანტიკური და პრაგმატიკული – ასპექტით შეგვიძლია, რაც შეიძლება გამოისახოს შესაბამისი სიმბოლოებით – $L_{\text{სინ.}}$, $L_{\text{სემ.}}$, $L_{\text{პრაგმ.}}$ (Семиотика, 1983, ст. 44). ხოლო ენის სრულყოფილი შესწავლა წარმოადგენს მათ ჯამს ($L = L_{\text{სინ.}} + L_{\text{სემ.}} + L_{\text{პრაგმ.}}$) (Семиотика, 1983, ст. 45).

ტექსტი არის ნიშანი. ცდისპირები, რომელთათვისაც არის განკუთვნილი ნიშანი, არიან ინტერპრეტატორები (თუმცა არა პირველი ცდისპირი). ის, თუ როგორი დილოკაციით / დისპოზიციით არის გამოხატული ცდისპირების მიერ ტექსტის ნარაცია (თხრობა), არის ინტერპრეტანტი. ნიშნის სიგნიფიკაცია – საგანი, რომლის მისამართითაც ხორციელდება ცდისპირების მიერ გარკვეული სახის ქმედება (წაკითხვა, თხრობა, დაწერა). კონტექსტი არის ის, რაშიც რაღაც ფუნქციონირებს, როგორც ნიშანი.

2.1. კვლევაში ჩართული პირები/მონაწილეები

ტექსტის ანალიზისას ითვალისწინებენ როგორც მის ზეპირ, ისე წერილობით მხარეს. საზოგადოდ ცნობილია, რომ ბუნებრივ პირობებში მოპოვებული მასალა უკეთ ასახავს ენობრივ ვითარებას, ამდენად ჩვენი კვლევაც ეფუძნება ინფორმანტებთან ბუნებრივ პირობებში მოპოვებული ექსპერიმენტული მასალის ანალიზს. **ექსპერიმენტი** საკმაოდ დინამიკურ ხასიათს ატარებს. ის **სიახლეს** წარმოადგენს იმ თვალსაზრისით, რომ წერილობით-ტექსტუალურად დაფიქსირებული მსგავსი ექსპერიმენტი არ ჩატარებულა და, რამდენადაც ჩვენი მიზანი მხატვრული ტექსტის ანალიზია, აუცილებლად მივიჩნიეთ ჩანაწერის გაკეთება და გადავწყვიტეთ, რომ ექსპერიმენტი ორიეტირებული ყოფილიყო წერილობით ფიქსირებული ტექსტების მოპოვებაზე. ექსპერიმენტში მონაწილეობდა ცდისპირთა ორი ჯგუფი. ყოველ ჯგუფში შედიოდა ათი ცდისპირი. ეს ორი ჯგუფი შეირჩა ორი კრიტერიუმით:

ა) ისინი უნდა ყოფილიყვნენ ქართული ფილოლოგიის ბაკალავრიატის სტუდენტები;

ბ) ისინი უნდა ყოფილიყვნენ ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტები;

საექსპერიმენტოდ შეირჩა გარკვეული ნარატიული ხასიათის ტექსტი, კერძოდ, იგავ-არაკი. ექსპერიმენტი მიმდინარეობდა შემდეგი პირობების დაცვით:

1. *ექსპერიმენტის დაწყებამდე თითოეულ ცდისპირთან ზუსტდებოდა, იცნობდა თუ არა ის აღნიშნულ იგავ-არაკს. ექსპერიმენტი გრძელდებოდა მხოლოდ უარყოფითი პასუხის შემთხვევაში;*
2. *ექსპერიმენტი ტარდებოდა წინასწარ შერჩეულ ადგილზე, სადაც არ იყო ექსპერიმენტის ბუნებრივი მსვლელობისათვის ხელისშემშლელი პირობები, რაც შეაფერხებდა ცდისპირის მიერ ტექსტის წაკითხვას, გაგებასა და დამახსოვრებული შინაარსის წერილობით გადმოცემას;*
3. *ექსპერიმენტი ყოველ ცდისპირთან ტარდებოდა იზოლირებულად -ფურცელზე დაწერილ ტექსტს ვუკითხავდი ერთ-ერთ ინფორმანტს ისე, რომ დანარჩენებს არ მოისმინათ;*
4. *ცდისპირს უნდა წერილობით გადმოეცა ტექსტის შინაარსი.*

პირველი ცდისპირის შემდეგ ექსპერიმენტში ერთვებოდა მეორე ცდისპირი, რომელსაც პირველი ცდისპირი უკითხავდა თავის დაწერილ ტექსტს; თავის მხრივ, მეორე ცდისპირიც წერილობით დააფიქსირებდა უკვე მის მიერ დაამახსოვრებულ ტექსტს; ექსპერიმენტის აღწერილი პროცედურა გრძელდებოდა მე-10 ცდისპირის ჩათვლით.

ამ ექსპერიმენტის გაგრძელება შეიძლება იქამდე, სანამ ტექსტის სრულ გაქრობამდე არ მივალთ, მაგრამ ათი მონაწილეც საკმარისია იმისათვის, რომ თვალი გავადევნოთ ტექსტის ფორმალური „გაუჩინარების“ ტენდენციას და, ამასთანავე, მის სიუჟეტურ თუ შინაარსობრივ ცვლილებებს.

ქვემოთ, ნიმუშის სახით, ცდისპირთა ორი ჯგუფიდან მხოლოდ ერთის მონაცემები იქნება წარმოდგენილი. მეორე ჯგუფთან მსგავსი ექსპერიმენტის ჩატარება აუცილებლად მივიჩნიეთ მხოლოდ იმ მიზნით, რომ პირველი ჯგუფის შედეგები დაგვედასტურებინა.

2.2. ექსპერიმენტის პროცედურა

ექსპერიმენტის საწყისი ტექსტია იგავ-არაკი, სათაურად *„სამიზნე“* (სიბრძნე მინიატურებში, 2010, გვ. 45):

(1) *ერთი კაცი ბავშვობიდან ვარჯიშობდა მშვილდით ისრის სროლაში. თავიდან მარტო აკეთებდა ამას, შემდეგ კი საუკეთესო მასწავლებლის მოსაძებნად გაეშურა, რათა თავის საქმეში სრულყოფილებისთვის მიეღწია. გზად ბევრ განსხვავებულ მასწავლებელს შეხვდა. ერთმა მშვილდის მოზიდვა ასწავლა ისე, როგორც ამას ვერავინ აკეთებდა მსოფლიოში, მეორემ — ის, თუ როგორი ტრაექტორიით უნდა გაეშვა ისარი, თუმცა ვერავინ მოახერხა მისთვის მიზანში ყოველთვის გარტყმა ესწავლებინა.*

დიდი ხნის სიარულის შემდეგ დაღლილი ერთ სოფელს მიადგა, რომლის ბოლოშიც ხეზე სამიზნე დაინახა – ისარი პირდაპირ ცენტრში იყო მოხვედრილი. ცოტა მანძილი კიდევ გაიარა და კვლავ წააწყდა რამდენიმე სამიზნეს ცენტრში მოხვედრილი ისრებით. კაცი მღელვარებამ და თრთოლვამ მოიცვა – ნუთუ, როგორც იქნა, იმ მასწავლებელს იპოვიდა, ვისაც ამდენ ხანს ეძებდა?!

მან ირგვლივ მიმოიხედა და პატარა თხუპნია გოგონა დაიხანა, რომელიც გზაზე მტვერში თამაშობდა.

– გოგონა, სად ცხოვრობს მშვილდით სროლის ოსტატი? აქ იმდენი სამიზნეა, რომ უეჭველად სადმე ახლოს უნდა იყოს.

– აააა... ეს სამიზნეები? ამას მე ვთამაშობდი!

– წარმოუდგენელია! შენ ვერ იქნები ის ოსტატი, რომელსაც მთელი ცხოვრება ვეძებდი! - წამოიყვირა იმედგაცრუებულმა კაცმა.

— და რა არის ამაში რთული? – გაუკვირდა პატარას, – ჩაარჭობ ხეში ისარს და მერე მის გარშემო სამიზნეს შემოხაზავ!

ახლა კი მოვიყვან იმ ვარიანტს, რომელიც დაწერა ცდის პირველმა მონაწილემ (აქ და მომდევნო შემთხვევებშიც ცდისპირთა თხრობის სტილი დაცულია):

I ცდისპირი:

(2) *„ერთი **კაცი** ბავშვობიდან ისრით მიზანში სროლაში ვარჯიშობდა. უფრო მეტი სრულყოფილებისათვის რომ მიეღწია, გადაწყვიტა მასწავლებელი ეპოვა. ერთმა მასწავლებელმა ასწავლა მშვილდის ისარი როგორ მოეზიდა, მეორემ – ისრის ტრაექტორია როგორ აეღო, მაგრამ სამიზნეში როგორ მოეხვედრებინა, ამის მასწავლებელი ვერ იპოვა.*

*დაღლილი და დაქანცული წავიდა ბედის საძებნელად. მივიდა ერთ სოფელში და დაინახა **ხეზე სამიზნე შუაში გარჭობილი ისრით,** ცოტა კიდევ გაიარა და დაინახა სხვა სამიზნეები შუაში გარჭობილი ისრებით. გახარებულმა და ათრთოლებულმა გააგრძელა გზა იმ იმედით, რომ ამ სოფელში იპოვიდა მასწავლებელს, რომელიც მიზანში სროლას ასწავლიდა.*

*გზაზე დაინახა პატარა თხუპნია **გოგო**, რომელიც მტვერში იჯდა და თამაშობდა.*

– გოგონა, ამ სოფელში ცხოვრობს ვინმე, ვინც მიზანში სროლას მასწავლის?

– არა, ამას მე ვაკეთებ!

– შენ როგორ? — გაუკვირდა კაცს.

– ამის გაკეთებას რა უნდა, ჯერ ისარს ჩავარჭობ ხეში, მერე შემოვხაზავ მის გარშემო სამიზნეს. *– უთხრა გოგონამ.“*

ეს კი ის ვარიანტია, რომელიც მომდევნო მონაწილემ დაწერა, წინა მონაწილის ნაწერის გაცნობის შემდეგ:

II ცდისპირი:

(3) *„ერთი **კაცი** მიზანში სროლაში ვარჯიშობდა. უფრო მეტი სრულყოფილებისათვის მასწავლებლის მოძებნა გადაწყვიტა. ერთმა ისრის მოზიდვა ასწავლა, მეორემ – ტრაექტორიის განსაზღვრა, მაგრამ სამიზნეში მოხვედრა ვერავინ შეასწავლა.*

*მის საძებნელად წავიდა ერთ სოფელში და დაინახა მიზანში ჩარჭობილი ისარი. გააგრძელა აღელვებულმა და ათრთოლებულმა გზა და დაინახა **ბავშვი,** რომელიც მტვერში იჯდა და კითხა, თუ ვინ ისროდა მიზანში; ბავშვმა უპასუხა, რომ თვითონ აკეთებდა. კაცმა ჰკითხა, თუ როგორ აკეთებდა ამას. **„რა უნდა, ჩაარჭე ისარი ხეში და მერე სამიზნე შემოხაზე“-ო** – იყო პასუხი.“*

III ცდისპირი:

(4) *„ერთი **კაცი** მიზანში სროლაში ვარჯიშობდა. უფრო მეტი სრულყოფილებისათვის მასწავლებლის აყვანა გადაწყვიტა. მას მიზანში სროლა ვერავინ ასწავლა, ზოგმა ტრაექტორია, ზოგმა დამიზნება ასწავლა, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდა.*

*გადაწყვიტა მასწავლებლის საძებრად წასვლა, მან ერთ სოფელში **დაინახა მიზანში ჩასობილი ისარი.** მოუნდა ისრის მსროლელის ნახვა და მან **სილაში ჩანჯდარი ბავშვი** დაინახა.*

ჰკითხა: – ამას როგორ ახერხებ–ო?

*ბავშვმა უპასუხა: – რა უნდა მაგას: **ისარი ჩაარჭე და სამიზნე შემოხაზე-ო.“***

IV ცდისპირი:

(5) *„ერთი **კაცი** მიზანში სროლაში ვარჯიშობდა. უკეთ რომ ესწავლა ეს საქმე, გადაწყვიტა მასწავლებელი აეყვანა.*

*წავიდა ერთ სოფელში მასწავლებლის ასაყვანად. ნახა ერთი **ბავშვი**, **რომელიც სილაში ჩარჭობილ ისართან იდგა.***

ჰკითხა: — ეს როგორ მოახერხე–ო?

*ბავშვმა უპასუხა: – ეს მარტივია, **მოხაზე სამიზნე და ისარი ჩაარჭეო.“***

V ცდისპირი:

(6) *„ერთმა **კაცმა** მიზანში სროლის კარგად სასწავლად მასწავლებელი აიყვანა. ამისათვის წავიდა ერთ სოფელში და იპოვა **ბავშვი**, რომელსაც **სილაში ისარი ჩაერჭო.** გაუკვირდა, თუ როგორ მოახერხა ეს ბავშვმა. შეიტყო, რომ ეს ძალზე მარტივი საქმეა. **უნდა შემოხაზო სამიზნე და მასში ჩაარჭო ისარი.“***

VI ცდისპირი:

(7) *„ერთმა **კაცმა** მიზანში უკეთესად სროლის მიზნით გადაწყვიტა მასწავლებელი აეყვანა. ამიტომ იგი წავიდა ერთ სოფელში და იქ ნახა **ბავშვი**, რომელიც კარგად ისროდა მიზანში. კაცს გაუკვირდა, როგორ ახერხებდა ბავშვი ამას. აღმოჩნდა, რომ იგი **ჯერ წრეს ხაზავდა და შემდეგ ისროდა მიზანში.***

ამიტომ ამ კაცმა მასწავლებლად სწორედ ეს ბავშვი აიყვანა.“

VII ცდისპირი:

(8) *„ერთ **კაცს** სურდა ესწავლა მიზანში სროლა. იგი წავიდა სოფელში, სადაც ნახა **ბავშვი**, რომელიც შესანიშნავად ისროდა მიზანში. კაცს გაუკვირდა, როგორ ახერხებდა ის ამას. აღმოჩნდა, რომ **ბავშვი ჯერ წრეს ხაზავდა და შემდეგ ისროდა.***

კაცს მოეწონა ეს ბავშვი და მასწავლებლად სწორედ ის აიყვანა.“

VIII ცდისპირი:

(9) *„**კაცმა** გადაწყვიტა მიზანში სროლა ესწავლა, იგი ამისათვის სოფელში წავიდა. იქ ერთი ბავშვი იყო, რომელიც მიზანში კარგად ისროდა. კაცი დაინტერესდა, თუ როგორ ახერხებდა ის ამას. ბავშვმა უთხრა, რომ **ჯერ წრეს აკეთებდა და შემდეგ ისროდა მიზანში.** კაცს მოეწონა ეს იდეა და გადაწყვიტა, მიზანში სროლა იმ ბავშვისგან ესწავლა.“*

IX ცდისპირი:

(10) *„**კაცმა** გადაწყვიტა მიზანში სროლა ესწავლა. ადგა და ერთ სოფელში წავიდა. იქ ერთი **ბიჭი** ნახა, რომელიც მიზანში კარგად ისროდა. ბიჭს კითხა, თუ როგორ ახერხებდა ამას. ბიჭმა აუხსნა, რომ **ჯერ წრეს აკეთებდა და მიზანში მერე ისროდა.** კაცმა გადაწყვიტა, რომ მიზანში სროლა ამ ბიჭისგან ესწავლა.“*

X ცდისპირი:

(11) *„ერთმა **კაცმა** გადაწყვიტა მიზანში სროლა ესწავლა. მან გაიგო, რომ ერთ სოფელში ცხოვრობდა **ბიჭი**, რომელმაც ძალიან კარგად სროლა იცოდა. ბიჭმა უთხრა, რომ **ჯერ წრეს ხაზავს, ხოლო მას შემდეგ ისვრის.** კაცმა გადაწყვიტა ამ ბიჭისგან სროლა ესწავლა.“*



დიაგრამა 1. ტექსტის მოცულობის დინამიკა მრავალჯერადი გადაცემის პირობებში

3. მასალის ანალიზი და დასკვნითი მოსაზრებანი

ექსპერიმენტის შედეგად მოპოვებული მასალის საანალიზოდ დასახული მიზნების მისაღწევად, სრულიად საკმარისია სემიოტიკური კვლევის წარმართვა ზემოთ განხილული სამი ასპექტით – სინტაქტიკური, სემანტიკური და პრაგმატიკული ასპექტით, კერძოდ:

1. სინტაქტიკური ასპექტით ტექსტის კვლევისას ჩვენ განვიხილავთ ცდისპირების მიერ დაწერილი ტექსტებს ერთმანეთთან მიმართებაში, კერძოდ, გაირკვა, თუ რა განსხვავება ან ცდომილება მივიღეთ ტექსტის ყოველი მომდევნო გადმოცემისას; შედეგი ცალსახაა (იხ. დიაგრამა 1.): ტექსტი კარგავს თავის პირვანდელ სახეს და ყოველი მომდევნო გადმოცემისას, გვაქვს სახეცვლილი ტექსტი;

2. სემანტიკური ასპექტით ტექსტის კვლევისას ჩვენთვის ამოსავალია, ტექსტსა და მის თანმხლებ აზრს შორის მიმართების დადგენა. ჩვენ მიერ განხილული ტექსტობრივი ნიმუში წარმოადგენდა იგავ-არაკს, რომლის სპეციფიკიდან გამომდინარე, ის საკმაოდ ღრმააზროვანი მნიშვნელობითაა დატვირთული, ამიტომ, ყურადღება მივაქციეთ იმას, თუ როგორ შეიცვალა (უფრო მეტიც, დამახინჯდა და საბოლოოდ გაქრა) ტექსტის თავდაპირველი აზრი და რა მივიღეთ შედეგად; ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ექსპერიმენტის მსვლელობისას გამოვლინდა ის დინამიკური პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს სემანტიკურ დონეზე.

3. პრაგმატიკული ასპექტით ტექსტის კვლევისას ჩვენ გამოვყავით **ტექსტისა და მისი ავტორის /ცდისპირის ურთიერთმიმართების საკითხი** ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება ზეპირსიტყვიერ ტექსტებს. ჩვენი ექსპერიმენტი კი იმის ნათელი დადასტურება იყო, თუ როგორ შეიძლება გაიგოს და გაიაზროს ერთი ტექსტი სხვადასხვა მომხმარებელმა.

რა არის ის, რაც ტექსტს უნარჩუნებს სიუჟეტსა და ფაბულას? ამაზე პასუხად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ესაა *„აზრი“* – ტექსტის სემანტიკური მხარე, ის, რაც არის მთავარი ძარღვი ყოველი წინადადებისა და მთლიანი ტექსტისთვის, სადაც გადმოცემულია დასრულებული ამბავი. მაგრამ, როგორც ჩვენ დავინახეთ, ზემოთმოყვანილი მაგალითიდან, ტექსტი კვლავ განაგრძობს არსებობას მაშინ, როცა მისი მთავარი აზრი ნელ-ნელა იკარგება და სხვა საზრისს იძენს და/ან, საბოლოოდ, მის სრულ გაქრობამდე მივდივართ. ამ შემთხვევაში აზრის გაქრობა პარალელურად გამოიხატება ტექსტის ზომის შემცირებაში. თუმცა არის კი აზრი ის ინსტანცია, რაც ტექსტის სიცოცხლისუნარიანობას განაპირობებს? აღმოჩნდა, რომ არაა, რადგან ნებისმიერ ტექსტში აზრი მთავარი არაა, ანუ შესაძლებელია ტექსტის არსებობა საზრისის გარეშე, ხოლო ის, რაც ყოველი ტექსტისთვის ამოსავალია, წარმოადგენს მის ემოციურ მხარეს – იმას, რომ ტექსტი ყოველთვის არის გარკვეული გრძნობითი ხატების აღმძვრელი ჩვენში, აი, ის მაკავშირებელი ძაფი, რაც არსებობს ტექსტსა და მის წამკითხელს, ან მსმენელს შორის, ხოლო ამ ძაფის გაწყვეტის შემთხვევაში იკარგება ტექსტიც.

ჩვენი ამოცანა, გარკვეულიყო არსებითი კავშირი ენასა და მის მომხმარებელს შორის, რაც წარმოადგენდა მხატვრული ტექსტის შესწავლის **პრაგმატიკულ ასპექტს,** დაისვა სრულიად კონკრეტული კუთხით: *ადამიანი ანიჭებს საზრისს სიტყვებს, თუ არსებობს აზრების აპრიორული ფორმები, რომლებიც შემდგომ გამოიხატება სიტყვების საშუალებით?* ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორ ანიჭებს ადამიანი სიტყვებს საზრისს, ხოლო იმასთან დაკავშირებით ვერაფერს ვიტყვით, არსებობს თუ არა აზრების აპრიორული ფორმები, რადგან ეს სცდება ენათმეცნიერების შესწავლის ფარგლებს.

როგორც დავინახეთ, სრულებით არაა აუცილებელი საზრისის **სტატიკურად** შენარჩუნება, არამედ ის მუდმივ **დინამიკას** უნდა დაექვემდებაროს, რათა მოხდეს კონტექსტთა დაუსრულებელი ინტერპრეტაციის საშუალება. ესაა ენის თვითშემოქმედების პოტენციალი, რომელსაც რეალიზაციის შემთხვევაში, შეუძლია კონტექსტის გადარჩენა სრული გაქრობისაგან და მისი ხელახალი რეპრეზენტაცია. ამის თვალსაჩინო მაგალითია ზოგადად და მთლიანობაში აღებული ზეპირსიტყვიერება, რაც ამა თუ იმ ხალხის მეხსიერებაში ზეპირად და სპონტანურადაა შენახული. ამის ანალოგია კარგად აისახა ჩვენ მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტში.

აღნიშნული გარემოება გადამწყვეტი ფაქტორია ენობრივ მონაცემთა კონტექსტუალური ანალიზის დიაქრონიულ ასპექტში წარმოსადგენად, რადგან საზრისის მატარებელი ნებისმიერი ტექსტი უნდა დავინახოთ მისი წინამორბედი, თანამედროვე ან შემდგომდროინდელი კონტექსტების გვერდით და მათთან უშუალო მიმართებაში. ამგვარად გადავდივართ **სინტაქტიკურ მიმართებებზე ნიშნებს შორის.** *არსებობს თუ არა ამგვარი მიმართებებისგან თავისუფალი ტექსტი?* ასეთი ტექსტის პოვნა გაგვიჭირდება, ან იმიტომ, რომ არ არსებობს სხვა ზღვრული და თვითკმარი ტექსტებისაგან სრულებით იზოლირებული ტექსტი, ან უბრალოდ, ამ კუთხით, ყველა ტექსტის სრულად შესწავლა ფიზიკურად შეუძლებელია. ხოლო იმათგან, რასაც შევისწავლით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყოველი ტექსტი რეფერენტულია სხვა ტექსტებთან მიმართებით; ის სულ მცირე სხვა კონტექსტუალურ ასოციაციებს მაინც აღგვიძრავს. ამდენად, გამორიცხულია სრულებით განყენებული აზროვნება ისე, რომ არ ვიხელმძღვანელოთ სხვათა ნააზრევით, რის თვალსაჩინოებაც სწორედ **კონტექსტთა სემანტიკური კავშირია.**

გამოყენებული ლიტერატურა:

გამყრელიძე, თ., კიკნაძე, ზ., შადური, ი., შენგელაია, ნ. (2008). თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სიბრძნე მინიატურებში, (2010). გამოცემის იდეის ავტორი და შემოქმედებითი ჯგუფის ხელმძღვანელი მურღულია გ., თბილისი, ტრიასი.

Моррис, Ч. (1983). Основания теории знаков, Семиотика. Семиотика языка и литературы, Москва: «Радуга».

სოციუმში ტექსტის ინტერპრეტაციის სემიოტიკური ანალიზი (ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე)

ნათია კენჭიაშვილი

დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

ჩვენი **კვლევის საგანია** ტექსტის სემიოტიკური ანალიზი, მისი მდგრადობისა და ცვალებადობის საკითხი მრავალჯერადი, განმეორებითი გადმოცემის შემთხვევაში.

კვლევის მიზანია გაირკვეს, მრავალჯერადი, განმეორებითი ნარაციის შემთხვევაში: რა სახის ცვლილებებს განიცდის ტექსტი? როგორ იცვლება „ორიგინალი“ ტექსტის ფორმა და შინაარსი? ინარჩუნებს თუ არა ტექსტი თავდაპირველ მიზანდასახულობას? რა განაპირობებს სახეცვლილი ტექსტების იდენტობას? რა როლი აქვს ამ პროცესში მომხმარებელს?

საექსპერიმენტოდ შეირჩა გარკვეული ნარატიული ხასიათის ტექსტი, კერძოდ, იგავ-არაკი. ექსპერიმენტის შედეგად მოპოვებული მასალის ანალიზისათვის ვიყენებთ **სემიოტიკურ მეთოდს,** რომელიც სამი – **სინტაქტიკური, სემანტიკური და პრაგმატიკული ასპექტისაგან** შედგება: **სინტაქტიკური ასპექტით ტექსტის კვლევისას** ჩვენ განვიხილავთ ცდისპირების მიერ დაწერილ ტექსტებს ერთმანეთთან მიმართებაში, კერძოდ, გავარკვევთ, თუ რა განსხვავება ან ცდომილება მივიღეთ ყოველ, მომდევნოდ გადმოცემულ ტექსტში; **სემანტიკური ასპექტით ტექსტის კვლევისას** ჩვენთვის ამოსავალია, ტექსტსა და მის თანმხლებ აზრს შორის მიმართების დადგენა. ყურადღება მივაქციეთ იმას, თუ როგორ შეიცვალა ტექსტის თავდაპირველი აზრი და რა მივიღეთ შედეგად; **პრაგმატიკული ასპექტით ტექსტის კვლევისას** ჩვენ გამოვყავით **ტექსტისა და მისი ავტორის საკითხი** ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება ზეპირსიტყვიერ ტექსტებს. ჩვენი ექსპერიმენტი კი იმის ნათელი დადასტურება იყო, თუ როგორ შეიძლება გაიგოს და გაიაზროს ერთი ტექსტი სხვადასხვა მომხმარებელმა.

საკვანძო სიტყვები: *ტექსტის ინტერპრეტაცია, სემიოტიკა, სინტაქტიკა, სემანტიკა, პრაგმატიკა*

Semiotic Analysis of Text Interpretation in Society
(Based on experimental data)

Natia Kentchiashvili

Ph.D. Candidate
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The subject of our research is semiotic analysis of the text, its sustainability and variability in the case of multiple, repeated transmission.

The purpose of the study is to find out, in the case of multiple, repeated narrations: what kind of changes does text make? How does the form and content of the "original" text change? Does the text retain its original purpose? What drives the identity of the changed texts? What is the role of the customer in this process?

For the experiment narrative text were selected, in particular the fable. To analyze the material obtained from the experiment, we use a semiotic method consisting of three _syntactic, semantic, and pragmatic aspects in the text; In the semantic aspect of text research, it is up to us to determine the relation between the text and its accompanying meaning. We focused on how the original meaning of the text changed and what we came up with; In the pragmatic aspect of text research, we have identified the issue of the text and its author in cases when it comes to oral texts. Our experiment was a clear confirmation of how different texts can be understood by different users.

Keywords: *Text interpretation, Semiotics, Syntax, Semantics, Pragmatics*

ფონოსემანტიკური ლექსიკა მეგრულ ანდაზებში[1]

გიორგი ჯღარკავა

დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შესავალი

ენათა უმრავლესობის ლექსიკურ ფონდში გამოიყოფა ისეთი ერთეულები, რომლებიც ავლენენ აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის არსებულ არა პირობით, არამედ მოტივირებულ კავშირს. სიტყვების აღნიშნული ჯგუფი ორ დიდ ნაწილად შეგვიძლია გავყოთ. ერთია საკუთრივ ხმაბაძვის/ხმიანობის (ბერძნ. ონომატოპეა) გამომხატველი სიტყვები და მეორე – ფონოსემანტიკური (ბგერწერითი) ლექსიკა. ხშირად ეს ორი სხვადასხვა ჯგუფი ერთმანეთისგან გამიჯნული არ არის, რაც თავის მხრივ ტერმინოლოგიურ სიჭრელესაც იწვევს[2]. ზოგჯერ ფონოსემანტიკას ხმაბაძვის სახეობადაც მიიჩნევენ: „მეგრულში არის ხმაბაძვითი სიტყვების ერთი რიგი, რომელიც, გარდა ძირითადი მნიშვნელობისა, გამოხატავს მოქმედების ელფერს, მოქმედი საგნის სიდიდეს, წონას, სიმკვრივეს და ა.შ. აღნიშნულ თვისებათა გამოხატვის საშუალებას წარმოადგენს მჟღერ, ფშვინვიერ და მკვეთრ თანხმოვანთა დაპირისპირება ერთმანეთთან. ამგვარი საშუალებით გამოხატულ ხმაბაძვას „ბგერწერა“ შეიძლება ვუწოდოთ“ (გუდავა, 1958, გვ. 15)[3].

სიტყვათა ზემოხსენებულ ორ ჯგუფზე საინტერესო მოსაზრება აქვს ი. მელიქიშვილს: „ბგერწერით ლექსიკას ჩვეულებრივ ყოფენ ხმაბაძვით და ბგერითი სიმბოლიზმის გამომხატველ სიტყვებად... მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ სიტყვათა ამ ორ ჯგუფს შორის მკვეთრი ზღვარი არ არის... მათი ერთგვაროვნება ვლინდება იმაში, რომ 1. ხმაბაძვითი სიტყვები იმავე ყალიბებში თავსდებიან, რომლებშიც ბგერითი სიმბოლიკისადმი მიკუთვნებული ლექსიკა; 2. ხმაბაძვითი სიტყვები ხშირად ერთდროულად იმ მოძრაობასაც ასახავენ, რომლის შედეგსაც წარმოადგენენ; 3. ხმაბაძვითი ლექსიკა ხშირად იმ ემოციასაც ასახავს, რომელიც ამ ხმის გამოცემას ახლავს თან... სინთეზის მოვლენა შლის ზღვარს საკუთრივ ხმაბაძვით და სხვა სახის ბგერწერით ლექსიკას შორის. მათ შორის მკვეთრი ზღვრის გავლება ვერ ხერხდება ვერც სემანტიკური და ვერც ფუნქციონალური თვალსაზრისით“ (მელიქიშვილი, 1999, გვ. 78-79).

ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ტერმინები „ფონოსემანტიკა“, „ფონეტიკური სიმბოლიზმი“, „ბგერითი სიმბოლიზმი“ და „ბგერწერა“[4] სინონიმური მნიშვნელობისაა და უნდა გავიგოთ, როგორც სამეტყველო ბგერებისა და ბგერათკომპლექსების დაკავშირება გარკვეულ მნიშვნელობასთან. საკუთრივ ხმაბაძვისგან განსხვავებით, რომელიც შეგვიძლია მივიჩნიოთ ბერძნული ონომატოპეას ეკვივალენტად, „ბგერწერა არის სინესთეზიის ისეთი ფორმა, რომელიც ასახავს საგნის არაბგერით თვისებებს – ფორმის, სიდიდის, სიმაგრის, ადამიანისა თუ ცხოველის ფიზიოლ. მდგომარეობის... თავისებურებებს“ (ენციკლოპედია, 2008, გვ. 78).

[1] წაკითხულია მოხსენებად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა 77-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციაზე, 20-27 ნოემბერი, 2017.

[2] ტერმინოლოგიის საკითხებზე ვრცლად იხ. რ. გერსამია, ზ. კიკვიძე, მ. ლომია, ნ. მამისეიშვილი, მ. საღლიანი, ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართველურ ენებში, თბ., 2016 წ., გვ. 18-32.

[3] შდრ. აგრეთვე ქართული ენის ენციკლოპედიაში სიტყვა-სტატია „ონომატოპეას“ განმარტება (გვ. 350).

[4] ტერმინი „ბგერწერა“ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ტ. გუდავამ, რომელიც ქართულ საენათმეცნიერო სივრცეში ფონოსემანტიკის მეცნიერული კვლევის საფუძვლის ჩამყრელადაც მიიჩნევა.

სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად მიუთითებენ (გუდავა 1958, ასათიანი 1979, ქობალავა 1980, აფრიდონიძე 1993, მელიქიშვილი 1999, Magnus 2001…), რომ ბგერწერით სიტყვებში ცალკეული ფონემები გარკვეული ელფერის მატარებლები არიან და კონკრეტულ ასოციაციებსაც ქმნიან: „მსოფლიოს ყველა ენაში ამა თუ იმ ფონემის შემცველ თითოეულ სიტყვას აქვს მნიშვნელობის სპეციფიკური ელემენტი, რომელსაც მოკლებულია ის სიტყვა, რომელშიც აღნიშნული ფონემა არ გვხვდება. ამ თვალსაზრისით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველი ფონემა არის გარკვეული მნიშვნელობის მატარებელი. ფონემის კონკრეტული მნიშვნელობა ჩადებულია მის არტიკულაციაში“ (Magnus 2001, p. 4).

ფონოსემანტიკური ლექსიკის ფუნქციური მახასიათებლები

მეგრულ პარემიებში ფონოსემანტიკური ლექსიკის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია **მოქმედების ინტენსიფიკაციაა.** ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ჩანს მაშინ, როდესაც ერთი ანდაზის ფარგლებში მოიპოვება ბგერწერითი სიტყვაც და დაახლოებით იმავე სემანტიკის გამომხატველი ნეიტრალური ფორმაც. სწორედ ამ ორი ლექსიკური ერთეულის დაპირისპირებით იქმნება კონტრასტი, რის შედეგადაც ანდაზა იძენს მეტ გამომსახველობით უნარს და მასში ჩადებული აზრიც უფრო მეტად ექსპრესიული ხდება:

(1) **გოჟაჟილც (გოჯღანჯღილს)** გოკვათილი (გოტახილი) უჯგუნია. „გაჟეჟილს გატეხილი სჯობიაო“ (შეროზია & მემიშიში, 1994, გვ. 31)[5];

(2) დონთხაფა დო **დობაზაფა** ართიენია. „დაცემა და დაბერტყება ერთი არისო“ (შეროზია & მემიშიში, 1994, გვ. 39);

(3) მეჭვილს **მეგიბილი** უჯგუნია. „დამწვარს დადაგული სჯობიაო“ (შეროზია & მემიშიში, 1994, გვ. 90);

(4) მუ გოხარცქა დო მუ **გონჯილაკავა**[6]. „რა გაფხრეწა და რა გაგლეჯაო“ (შეროზია & მემიშიში, 1994, გვ. 97);

(5) მუ დანთხი დო მუ **დაჟგართი.** „რა დაეცი და რა დაეფერთხე“ (შეროზია & მემიშიში, 1994, გვ. 97);

(6) სკაქ ოკო **ტუტინას,** ოსურქ ოკო რაგადუას (შეროზია & მემიშიში, 1994, გვ. 123). „ფუტკარმა უნდა იზუზუნოს, ქალმა უნდა ილაპარაკოს“.

საყურადღებოა ანდაზაში ექსპრესიული თვალსაზრისით ნეიტრალური ფორმისა და ფონოსემანტიკური ერთეულის ურთიერთმიმართების საკითხი **რიგის მიხედვით.** როგორც ზემოთ წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, უმრავლეს შემთხვევაში ჯერ წარმოდგენილია ექსპრესიულად ნეიტრალური ფორმა და შემდეგ – ფონოსემანტიკური ერთეული. ამგვარი განაწილება საშუალებას იძლევა უკეთ გაესვას ხაზი ანდაზით გადმოცემულ სიბრძნეს.

ფონოსემანტიკური ერთეული აზრობრივ მნიშვნელობას აძლიერებს მაშინაც, როდესაც მას იმავე ანდაზაში ნეიტრალური ცალი არ მოეპოვება:

(7) კიბირიშ **ელნაღინტკორა** კუჭის ვარძღანსია (ველაფშანსია). „კბილიდან ამონაფხეკი კუჭს ვერ გააძღობსო (ვერ აავსებსო)“ (შეროზია & მემიშიში, 1994, გვ. 67);

(8) ძვალც ძელქ ვადელიასგნი, ეში **ვაგუხიტონუანცია** კოჩი. „ძვალს რბილი რომ არ დაელიოს, ისე კაცი არ დაუწყებსო ხვრას“ (შეროზია & მემიშიში, 1994, გვ. 170).

არის შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე ანდაზაში ორი ბგერწერითი ერთეული შიშინა და სისინა რიგის დაპირისპირებებს ქმნის, რასაც შემთხვევითი ხასიათი არა აქვს. როგორც წესი,

[5] ემპირიული მასალა ბეჭდურად გამოცემული ლაზური ანდაზების კრებულია ქართული თარგმანით (შემდგ. რ. შეროზია, ო. მემიშიში, თბ., 1994). ქართული თარგმანის ცვლილების შემთხვევაში წყარო მიეთითება უშუალოდ ლაზური ტექსტის შემდეგ.

[6] შდრ. მუ გოხარცქუა დო მუ გობულაკავა (შეროზია & მემიშიში, 1994, გვ. 97).

შიშინა ბგერა გამოხატავს დაბალ ტონს, დიდს, უხეშსა და მძიმეს, ხოლო სისინა – მაღალ ტონს, სიპატარავეს, სიმსუბუქეს (გუდავა, 1958 გვ. 15-16).

(9) მუ **ჩერჩელაფა** დო მუ **სერგელაფავა.** „რა გაჩოჩება და რა გათრევაო“ (შეროზია & მემიშიში, 1994, გვ. 97).

ზემოთქმულს ადასტურებს შემდეგი ანდაზაც:

(10) ჯოლას **ვაჩერჩელუნ,** თინა ნინაქ **მოლაჩერჩელუა.** „მსხვილმა ჯაჭვმა რომ ვერ გაათრია, ის ენამ წამოათრიაო“ (შეროზია & მემიშიში, 1994, გვ. 193).

გარდა სისინა და შიშინა რიგის თანხმოვნებისა, გამოყოფენ ფონემათა ზოგად სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშნებს. მაგ., „მჟღერი უფრო დიდ და უხეშ საგანსა და მოძრაობა-მოქმედებას აღნიშნავს, – ყრუ კი უფრო მცირესა და დახვეწილს. ამასთან, ფშვინვიერს შუალედური ადგილი უჭირავს, მკვეთრი კი ყველაზე ინტენსიურად ასახავს **პატარას, წვრილს, დახვეწილს“** (მელიქიშვილი, 1999, გვ. 82). ამ თვალსაზრისით განვიხილოთ შემდეგი ანდაზა:

(11) ხამის **მიკაცუნუანცგნი,** თექ არგუნც **მუკონწყგნცია.** „დანას სადაც მიარჭობს იქ ნაჯახს ჩამოხსნისო“ (შეროზია & მემიშიში, 1994, გვ. 181).

წარმოდგენილი ანდაზიდან ჩანს, რომ დანის, როგორც ნაჯახთან შედარებით მცირე, ბასრი, წვრილი და მახვილპირიანი საგნის მოქმედება **„ცუნ“** (შდრ. საწყისი: მიკო-**ცუნ**-აფ-ა) ძირისგან აგებული ბგერწერითი სიტყვით გადმოიცემა. ამასთან, წარმოდგენილ C (სისინა, ფშვინვიერი) + V + S[7] მიმდევრობაში მთავარი როლი ფშვინვიერ **„ც“** ბგერას ეკისრება, რომელიც საგნის მოძრაობის იმიტაციასაც გადმოსცემს და მიუთითებს „ზედაპირულ, მსუბუქ, ჰაერში შესრულებულ მოქმედებას“ (მელიქიშვილი, 1999, გვ. 82). ბგერის ამა თუ იმ სიმბოლურ მნიშვნელობასა და ასოციაციებზე საუბარი შეიძლება არა მხოლოდ თანხმოვნების, არამედ ხმოვნების შემთხვევაშიც. მაგ., ცნობილია, რომ a, როგორც ფართო ხმოვანი, დაკავშირებულია „დიდის“ იდეასთან, ხოლო i, როგორც ვიწრო ხმოვანი, ქმნის „პატარას“ ასოციაციას და ა.შ.

მეგრულ პარემიულ ერთეულებში ვხვდებით ხმიანობის აღმნიშვნელ საკუთრივ ხმაბაძვითსა და ბგერწერით ლექსიკას, რომელთა პოვნიერება რითმისა და რიტმის შექმნითაცაა განპირობებული:

(12) ვართი მოკო **ოხოხია,** ვართი იში ბოხოხია. „არც „ოხოხია“ მინდა, არც მისი ბოხოხია“ (შეროზია & მემიშიში, 1994, გვ. 46);

(13) **მაჭირჭინალი** ჯა დიდხანს ჭირჭინუნსია (შეროზია & მემიშიში, 1994, გვ. 84); „ჭრიჭინა ხე დიდხანს ჭრიჭინებსო“.

(14) მენძელი **ვაჰანია,** დიდი ხარკალია დო ჭიჭე „კამპანია“. „მასპინძელი ვაჰანია (გვარია), დიდი ფაცი-ფუცი (ხმაური) და ცოტა „კამპანია“ (შეროზია & მემიშიში, 1994, გვ. 88);

(15) **სოლე-სოშა** სოჲშა მეხორხოშა. (შეროზია & მემიშიში, 1994, გვ. 124). „საიდან სადაო, საით მიხორხოცებ“[8].

ანდაზებში ხშირად დასტურდება მოძრაობისა და ჭამის/სმის აღმნიშვნელი ხმაბაძვითი ლექსემები:

(16) ალაყურტის ხოლო **ყირტუა** ოკონია. „მსმელს (მყლაპველს) ისევ სმა (ყლაპვა) უნდაო“ (შეროზია & მემიშიში, 1994, გვ. 7);

(17) კურდღელქი მუსხით **იკვანკუ,** თისხით ირულუა. კურდღელქ მუზმა **იკვაკუა,** თიზმა ირ-

[7] ხმაბაძვითი სიტყვების ფორმირებაში სონორების როლის შესახებ შენიშნულია, რომ მათ შემოაქვთ მოქმედების დინამიკა (ასათიანი, 1979, გვ. 19).

[8] აღნიშნული ანდაზის ეკვივალენტად გამომცემლებს მიუჩნევიათ „საიდან სადაო, წმინდაო საბაო!“

ულუა. „კურდღელმა რამდენიც იკოკნა, იმდენი ირბინაო“ (შეროზია & მემიშიში, 1994, გვ. 77);

(18) ვაიცორსგნ ფერ კოჩიში ჭკუმუა **ჭკიპ-ჭკაპუ** რენია დო ულა – **ძიგვ-ძაგვი.** „რომ არ გიყვარს ისეთი კაცის ჭამა „ჭკიპ-ჭკაპუ“[9] არისო და სიარული – „ძიგვ-ძაგვი“[10] (შეროზია & მემიშიში, 1994, გვ. 45)[11].

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ (18) მაგალითში მოცემულია იდენტურხმოვნიანი რედუპლიკაცია, რითიც „გამოიხატება ის შინაარსი, რომელიც გვაქვს, მაგალითად, ინგ. ping-pong-სა და გერმ. zick-zack-ში: მოძრაობის მიმართულების ცვლა. შდრ. მეგრ. ზიკუზაკუ „საქანელა“ (მელიქიშვილი, 1979, გვ. 86). ზემოთ წარმოდგენილი გაორკეცებული ფუძეები ატარებენ მოქმედების განმეორებადობის, რიტმულობის სემანტიკას.

დასკვნა

ამდენად, მეგრულ ანდაზებში ხმაბაძვითი და ფონოსემანტიკური ლექსიკა, რომლებშიც ვლინდება მჭიდრო კავშირი ბგერასა და მნიშვნელობას შორის, კონკრეტული დანიშნულებით გამოიყენება. ყველაზე ხშირად ბგერწერითი სიტყვები მოქმედების ინტენსიფიკაციას, საერთო კონტექსტისთვის ექსპრესიულობის მინიჭებას ემსახურება, რაც კარგად ჩანს ისეთ შემთხვევებში, როდესაც ნეიტრალური და ექსპრესიულად აქტიური ფონოსემანტიკური ერთეულები გვერდიგვერდაა წარმოდგენილი.

გარდა მნიშვნელობის გამაძლიერებელი ფუნქციისა, ფონოსემანტიკურ ლექსიკას რითმისა და რიტმის მოწესრიგების როლიც აკისრია (იხ. მაგალითი (12). ამასთან, მეგრულ პარემიულ ერთეულებში წარმოდგენილი ბგერწერითი ლექსიკა ამყარებს აქამდე დადგენილ ზოგად უნივერსალიებს და თავსდება იმ საერთო ყალიბში, რომელიც ქართულისთვის და სხვა ქართველური ენებისთვისაა დამახასიათებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

აფრიდონიძე, შ. (1993). ხმაბაძვითი ზმნების სტრუქტურისა და მართლწერის საკითხები ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეათე, გვ. 92-103, თბილისი;

ასათიანი რ. (1979). ფონეტიკური სიმბოლიზმისათვის, ჯევანმარდი II, გვ. 15-20, თბილისი;

გერსამია რ., კიკვიძე ზ., ლომია მ., მამისეიშვილი ნ., საღლიანი მ. (2016). ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართველურ ენებში, თბილისი;

გუდავა ტ. (1958). ხმაბაძვის ერთი სახეობა მეგრულში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესიის თეზისები, გვ. 15-16, თბილისი;

კიზირია ნ. (2003). ხმაბაძვითი სიტყვები ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, XXII, გვ. 27-40, თბილისი;

ლომია მ. (2016). ფონოსემანტიკურ ზმნურ ფორმათა მორფოსინტაქსური ბუნების შესახებ (ქართული, მეგრული და ლაზური მასალების მიხედვით), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის X საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, გვ. 14-15, თბილისი;

მელიქიშვილი ი. (1999). ბგერწერითი ლექსიკისათვის ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები,№3, გვ. 78-89, თბილისი;

ქართული ენა, ენციკლოპედია, გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა“, თბ., 2008;

ქობალავა ი. (1980). ზოგიერთი ტიპის ხმაბაძვითი სიტყვების წარმოებისათვის ქართულში, თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, ტ. V, გვ. 67-76, თბილისი;

[9] მეგრ. „ჭკიპ-ჭკაპუ“ გადმოსცემს საკვების ღეჭვას კბილების ხმიანობით.

[10] მეგრ. „ძიგვ-ძაგვი“ გადმოსცემს მოუქნელად, დონდლოდ სიარულს.

[11] შდრ. რჯოგგნი ი კოჩიში ულა ჩარხი-ჩარხით ალგასგმენია დო ჭკუმუა – ჭკაპი-ჭკაპით. „რომ გძულს იმ კაცის სიარული ჩარხუნად ჩაგესმის და ჭამა – ჭკაპი-ჭკაპადო“ (შეროზია & მემიშიში, 1994, გვ. 119).

შეროზია რ., მემიშიში ო. (1994). მეგრული და ლაზური ანდაზები, გამომცემლობა „მსგეფსი“, თბილისი;
Magnus M. (2001). What's in a Word? Studies in Phonosemantics, Submitted to NTNU for evaluation for the degree doctor "Philosophiae". Retrieved March 3, 2018, from http://www.trismegistos.com/dissertation/dissertation.pdf

ფონოსემანტიკური ლექსიკა მეგრულ ანდაზებში

გიორგი ჯღარკავა

დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით გაანალიზებულია მეგრულ ანდაზებში დადასტურებული სხვადასხვა სემანტიკის ბგერწერითი ლექსიკა (მაგალითად, *ხმიანობის, მოძრაობის, ჭამის...* აღმნიშვნელი სიტყვები). ცნობილია, რომ პარემიული ერთეულებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფრაზის ლაკონიურობა და მონოლითურობა, რითმისა და რიტმის მოწესრიგება. ზემოხსენებულ მიზანს ანდაზა აღწევს ენაში არსებული სხვადასხვა ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებით, რომელთა შორისაც საყურადღებოა ბგერწერითი ლექსიკა. აღნიშნულთან დაკავშირებით, საინტერესოა იმაზე დაკვირვება, თუ რამდენად ვლინდება და რა როლს ასრულებს, რა დატვირთვას იძენს ფონოსემანტიკური სიტყვები მეგრულ ანდაზებში და რა სემანტიკის, როგორი სტრუქტურის ბგერწერასთან გვაქვს საქმე. მსოფლიოს სხვადასხვა ენაში ბგერწერითი ლექსიკის შესწავლა პირდაპირ უკავშირდება ნიშნის პირობითობის საკითხს. კერძოდ, ფონოსემანტიკურ ლექსემებში ვლინდება არა პირობითი, არამედ მოტივირებული კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის. ეს მოსაზრება გამართლებულია როგორც საკუთრივ ხმაბაძვითი (ე.წ. ონომატოპოეტური) სიტყვებისათვის, ისე ბგერითი სიმბოლიზმის გამომხატველი ლექსიკური ერთეულებისთვისაც. ამასთან, ისიც აღსანიშნავია, რომ სიტყვათა ზემოთ დასახელებულ ორ ჯგუფს შორის მკვეთრი საზღვრების დადგენა შეუძლებელია. დასახული მიზნიდან გამომდინარე კვლევით ნაშრომში განხილულია ვრცელი ემპირიული მასალა.

საკვანძო სიტყვები: *ანდაზა, ფონოსემანტიკა, ბგერითი სიმბოლიზმი*

Phonosemantic Vocabulary in Megrelian Proverbs

Giorgi Jgharkava

Ph.D. Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The aim of the given paper is to carry out functional-semantic analysis of diverse phonosemantic vocabulary expressing *sound, movement, eating* etc. such vocabulary units are widespread in Megrelian proverbs. It is well known that laconism and integrity of the phrase, arrangement of rhythm and rhyme are most prominent features of paroemic units. This can be achieved by diverse linguistic-expressive means, among which of special importance is phonosemantic vocabulary. It is interesting to identify what type of phonosemantic structure is found in Megrelian proverbs and what is the role of phonosemantic lexemes in the organization of the components of the proverb. The study of phonosemantic vocabulary in various languages of the world is directly linked to the issue of arbitrariness of sound. Instead of being arbitrary, phonosemantic lexemes reveal a motivated relationship between the signifier and the signified. This opinion is true for onomatopoetic words proper as well as lexical units expressing sound symbolism. Besides, it should be noted that it is impossible to draw a strict boundary between the above-mentioned two groups of words. Taking into consideration the above-mentioned aims, the paper analyzes ample empirical material.

Keywords: *Proverb, Phonosemantic, Sound symbolism*

სწავლების ენა და მიზნები XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში

თამარ ფხალაძე
ისტორიის დოქტორი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

შესავალი

საქართველოზე რუსეთის იმპერიული მმართველოს განმტკიცების ერთ-ერთ საშუალებად სკოლა უნდა ქცეულიყო, რომელსაც – „...(უნდა) აღეზარდა მრუდე ცნობიერების, რჯულშერყეული და უეროვნებო თაობები“. იმპერიის საგანმანათლებლო პოლიტიკის მიზანზე დაუფარავად საუბრობდა ფ. გერშელმანი ნაშრომში „არეულობის მიზეზები კავკასიაში“ – „მხარის გარუსების მიზნით სკოლამ უნდა შეძლოს ახალგაზრდობის რუსული სულიერებით აღზრდა, რაც უფრო რთული ამოცანაა, ვინემ რუსული ენისა და გრამატიკის სათანადო სწავლება. ახალგაზრდობის ამ ცნობილი მიმართულებით აღზრდა მოითხოვს პედაგოგიური კადრის სწორ შერჩევას და არა გაუნათლებელ, უკულტურო და ამ მისიის ვერ შემცნობ მასწავლებლებს, რომელთა ხელშიც იმყოფება ეს წმინდა საქმე“ (ივერია, 1879).

რუსიფიკტორული ტენდენციები განსაკუთრებით გაძლიერდა XIX საუკუნის ბოლოდან – სანამ კავკასიაში სამოსწავლო ოლქის უფროსად დაინიშნებოდა ბ-ნი იანოვსკი, ჩვენს სკოლას კიდევ ჰქონდა შერჩენილი ცოტაოდენი ნაციონალური სახე, მაგრამ ბ-ნი იანოვსკის ხელში სურათი გამოიცვალა: სკოლამ სრულიად დაკარგა თავისი ნაციონალური სახე და, მაშასადამე, სრულიად ასცდა თავის პირდაპირ დანიშნულებას – აღნიშნულია გაზეთ „დროებაში“ (დროება, 1908).

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევითი ამოცანის გადასაჭრელად გამოყენებული იქნა სამაგიდე კვლევა – წყაროთა კრიტიკული (ანალიზური) მეთოდი. კერძოდ, მოძიებული, შესწავლილი და გაანალიზებული იქნა რუსეთის იმპერიის განათლების პოლიტიკის დოკუმენტები, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გამომავალი ქართულენოვანი პერიოდული გამოცემების სტატიები, რომლებშიც ასახულია იმდროინდელი მოწინავე საზოგადოებრივი და პედაგოგიური პოზიციები.

შედეგები

თვითმპყრობელობა საგანგებო ღონისძიებებს ატარებდა ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის გასანადგურებლად. ასიმილატორული კურსი ყველაზე მკაფიოდ ქართული ენის დევნაში გამოიხატა, რადგან მშობლიურ ენას, ისტორიას, კულტურასა და ლიტერატურას ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების უმთავრესი დატვირთვა გააჩნდა. კავკასიაში რუსეთის იმპერიის განათლების პოლიტიკის ერთგვარ გამოხატულებად იქცა 1901 წელს დამტკიცებული „საშუალო სკოლების განახლებული პროგრამა“ (ცნობის ფურცელი, 1901)[1], რომლის ძირთადი მიზანი რუსულ ენაზე სწავლების პრაქტიკის გაძლიერება იყო. რუსული ენის სწავლება დაწყებით საფეხურზევე ითვალისწინებდა მოსწავლეთაგან აზრის მკაფიოდ და უშეცდომოდ ჩამოყალიბებას, წერას და მხატვრულ კითხვას – „მოსწავლე სწორად და გამოთქმით უნდა ჰკითხულობდეს.... და შეეძლოს წაკითხულის მოთხრობა ზეპირად და წერითაც“.

[1] პროგრამა გამოქვეყნდა სათაურით – „საშუალო სკოლის სასწავლო პლანის კონსპექტი“.

გარკვეული ადგილი ეთმობოდა ქართული ენის სწავლებასაც. დაწყებითი საფეხურის ბოლოს, მშობლიური ენის სწავლების მთავარ ამოცანად მიჩნეული იყო „გრამატიკის შესწავლა იმ დონემდე, რომ მოსწავლეს მეოთხე კლასში უშეცდომოდ შეეძლოს წერა“. ამავე, მეოთხე კლასის რუსული ენის პროგრამა კი ითვალისწინებდა ენის სინტაქსისა და ეტიმოლოგიის ცოდნას, თავისუფალ კითხვას და წერას, შეუფერხებელ კომუნიკაციას და უცხო, საკმაოდ რთული ტექსტების თარგმნას – „თარგმნა ოსტრომირის სახარებისა, გარჩევა სლავიანურ ფორმებისა და მათი შედარება რუსულ ფორმებთან“.

კიდევ უფრო რთულდებოდა რუსული ენის სასწავლო მიზნები მეხუთე კლასიდან – იწყება სიტყვიერების შესწავლა „ე. ი. კითხვა და გარჩევა რუსულ ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებისა“. ამავე კლასში გარკვეული დრო უნდა დათმობოდა უცხოური ლიტერატურის საუკეთესო ქმნილებების გაცნობასაც. მასწავლებლებისთვის შეთავაზებულია იმ რუსი მწერლების საორიენტაციო სიაც, რომელთა ნაწარმოებებიც უნდა ესწავლებინათ: კანტემირი, ლომონოსოვი, დერჟავინი, ფონ-ვიზინი, კრილოვი, კარამზინი, ჟუკოვსკი. ასევე, მეხუთე კლასში გათვალისწინებული იყო ნაწყვეტების სწავლა ჰომეროსის ოდისეადან და ილიადადან, დანტეს „ღვთაებრივი კომედიიდან“ (რა თქმა უნდა, რუსულ ენაზე).

რუსული ლიტერატურისა და მწერლობის შესწავლა უფრო ღრმავდებოდა მეექვსე კლასში: გრიბოედოვი, ზაგოსკინი, პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენიევი, გონჩაროვი. პროგრამა ასევე ითვალისწინებდა რუსული ზღაპრებისა და სახალხო ლექსების სწავლებას. რაც შეეხება უცხოელ მწერლებს, გათვალისწინებული იყო შილერის, გოეთეს, ბაირონის ნაწარმოებების გაცნობა. მეშვიდე კლასში ისწავლებოდა: ოსტროვსკი, ლ.ტოლსტოი, დალი, გრიგოროვიჩი, დოსტოევსკი, კირილე და მეთოდე. უცხოელ მწარალთაგან – სოფოკლე, სერვანტესი, შექსპირი, მოლიერი.

როგორც ვხედავთ, პროგრამით გათვალისწინებული იყო რუსული ლიტერატურის საფუძვლიანი გაცნობა. ყურადღება ეთმობოდა რუსულად თარგმნილი ევროპელი კლასიკოსების ნაწარმოებების სწავლებასაც. სამწუხაროდ, სრულიად უგულვებელყოფილი იყო ქართული ლიტერატურა.

პროგრამის მიხედვით განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭებოდა საღვთო სჯულის სწავლებას. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეები საფუძვლიანად უნდა გაცნობოდნენ ძველ და ახალ აღთქმას, ღვთისმსახურების ძირითად რიტუალებს. მომდევნო საფეხურზე კვლავ ისწავლებოდა ძველი და ახალი აღთქმა, თუმცა, უკვე საფუძვლიანად, დეტალურად.

სათანადო ყურადღება ექცეოდა მოსწავლეებში ლოგიკური აზროვნების განვითარებასაც. ამ მიზანს ემსახურებოდა ცალკე საგანი – „ლოგიკა“. საგნის სწავლების მიზანი იყო მოსწავლეები გაცნობოდნენ აზროვნების სხვადასხვა სტილს, წესებს, მეთოდებს, ფორმებს. მათ უნდა შესძლებოდათ ისეთი სააზროვნო ოპერაციების ჩატარება, როგორიცაა ანალიზი და სინთეზი. პროგრამა ითვალისწინებდა გარკვეულ, ლოგიკურ შეზღუდვებსაც, რაც, ძირითადად, უკავშირდებოდა რთულ, მოსწავლეთა ასაკისთვის შეუსაბამო ცნებების დამუშავებას – „...დაწვრილებითი ცნობები სილოგიზმების შესახებ არ უნდა ასწავლონ“.

ლოგიკის სწავლებისას ყურადღება უნდა მიქცეოდა აკადემიური წერის ტექნიკების დაუფლებასაც. ამიტომ, ძირითადად, ყურადღება მახვილდებოდა წერითი სავარჯიშოების შესრულებაზე. სიმპტომატურია, რომ გასაანალიზებელი ტექსტები შერჩეული უნდა ყოფილიყო რუსული ლიტერატურიდან და რუსეთის ისტორიიდან. ამ მოთხოვნას პროგრამის შემდგენლები საკმაოდ კატეგორიულად აყენებდნენ: „თემებს კავშირი უნდა ჰქონდეს რუსული ენის და ისტორიის სასწავლო კურსთან, მაგრამ რამდენადაც შესაძლებელი იქნება, ეს თემები განყენებული (ზოგადი) ხასიათის უნდა იყოს“. მეშვიდე კლასის მოსწავლეებს კი უნდა შესძლებოდათ თემების დამოუკიდებლად შერჩევაც და დამუშავებაც, ასევე მინიმუმ ორი სინთეზური თემის (მცირე ნაშრომის) დაწერა.

რუსული სკოლა და მისი ქართული ანალოგი დიდ ადგილს უთმობდა ლათინური ენის სწავლებას. საგანი IV კლასიდან ისწავლებოდა და IV-V კლასების მოსწავლეებს უნდა სცოდნოდათ ლათინური ენის ეტიმოლოგია, სინტაქსი, შეძლებოდათ მცირე ტექსტების თარგმნა და

შეუფერხებელი კითხვა. VI კლასში კი, გარდა წინა წლებში ნასწავლი თემების გამეორება-განმტკიცებისა, მოსწავლეებს მოეთხოვებოდათ ქრესტომატიული ნაწარმოებების თავისუფალი კითხვა და რუსულად თარგმნა. VII კლასში იწყებდნენ პროზაიკოსების შესწავლას – „ლათინური ენის სწავლებას მიზნად უნდა ჰქონდეს მოსწავლის იმდენად მომზადება, რომ მას შეეძლოს ავტორების გარჩევა (ნაწარმოებების ანალიზი) და უმაღლეს სასწავლებელში სალიტერატურო მასალით სარგებლობა“.

სასწავლო პროგრამის მიხედვით მოსწავლეებს დამატებით უნდა შეესწავლათ ორი უცხო ენა – ფრანგული და გერმანული. მშობლების გადაწყვეტილების მიხედვით ერთ-ერთი უცხო ენა პირველივე კლასიდან იწყებოდა, ხოლო მეორე – მესამე კლასიდან. აღნიშნული ენების სწავლების მიზნად განსაზღვრული იყო, რომ „კურსდამთავრებულს შეეძლოს სრული გაგება ადვილ ისტორიულ და ბელეტრისტული თხზულებებისა“.

პედაგოგიური თვალსაზრისით პროგრესულად მიგვაჩნია ახალ ცნებებზე მუშაობისას მოსწავლეთა წინარე გამოცდილების გამოყენება, ნაცნობიდან უცნობ კატეგორიებსა და ცნებებზე გადასვლა ეტაპობრივად უნდა მომხდარიყო ცოდნის კონსტრუირების გზით – „პირველ კლასში უნდა დაიწყოს იმ საგნების სახელების შესწავლა, რომელიც მოსწავლეს გარს არტყია“. ასეთ შემთხვევაში მოსწავლისთვის შედარებით იოლია ნაცნობი საგნების თვისებების ამოცნობა და მათზე მსჯელობა, მათი გამოყენების ან საჭიროების, პრაქტიკული დანიშნულების ამსახველი წინადადებების შედგენა და ნაცნობი ცოდნის კონტექსტში ახალი ინფორმაციის მიღება-გააზრება. აღნიშნული პრაქტიკა გრძელდებოდა მომდევნო კლასებშიც.

ბუნებისმეტყველება იწყებოდა პირველი კლასიდან და სამი წლის განმავლობაში გათვალისწინებული იყო გარემომცველი ბუნების შესწავლა – რასაც ბავშვი აღიქვამს, აქვს შეხება, ინტუიტურად იცის გარკვეული მოვლენის თვისება, ხასიათი. ამ შემთხვევაშიც სწორად არის გაგებული პედაგოგიური პრინციპი – ახალი ცნებების სწავლება ნაცნობი თემების საფუძველზე, რაც ასევე მოსწავლის ემპირიულ გამოცდილებას და შინაგან ცოდნას ეფუძნება. მეოთხე და მომდევნო კლასებში ბუნებისმეტყველების სწავლებას უკვე სისტემატური ხასიათი ეძლეოდა. ყურადღება მახვილდებოდა ისეთ თემებზე, როგორიცაა: მინერალოგია, ქიმია (პროგრამის მიხედვით, ქიმიის სწავლება დაშვებული იყო მხოლოდ პრაქტიკული მეცადინეობების ფორმატით), ზოოლოგია, ბოტანიკა, ბიოლოგია. მეშვიდე კლასში ისწავლებოდა ანატომია და ჰიგიენა.

დადებით ტენდენციებთან ერთად აშკარად შეიმჩნევა სქოლასტიკური მიდგომებიც, რაც ცოდნის (წინადადებების) გაზეპირების მოთხოვნაში ვლინდება. მაგალითად, მეორე კლასელებს ევალებათ ასაკის შესაბამისი პროზაული ნაწარმოებებიდან გარკვეული (მცირე) მონაკვეთების დაზეპირება. ეს ტენდენცია ძლიერდება მომდევნო კლასებში: მესამე კლასში – „უფრო რთული ნაწყვეტების (პროზა) კითხვა , მოკლე ნაწყვეტების ზეპირად სწავლა“; მეოთხე კლასში – „კითხვა და თარგმნა უფრო ვრცელის ტექსტისა. ზეპირი მოთხრობა წაკითხულისა“; მეექვსე და მეშვიდე კლასებში – „კითხვა და თარგმნა უპირატესად ისტორიულ შინაარსის წერილებისა და ზეპირი მოთხრობა წაკითხულისა“.

ისტორია პირველი კლასიდან ისწავლებოდა. ორი წლის განმავლობაში მოსწავლეები ეცნობოდნენ გარკვეულ ფრაგმენტებს რუსეთის ისტორიიდან (ეპიზოდური კურსი). მესამე კლასისთვის გათვალისწინებული იყო რუსეთის ისტორიის შემოკლებული, თუმცა, უკვე სისტემატური კურსი. მომდევნო კლასებში ისტორიის პროგრამა თვალსაჩინოდ რთულდებოდა და რუსეთის ისტორიასთან ერთად, მსოფლიო ისტორიის პერიოდული კურსების გაცნობასაც ითვალისწინებდა. მაგალითად, მეოთხე კლასში ისწავლებოდა რუსეთის და მსოფლიოს ძველი და ადრე შუასაუკუნეების ისტორია; მეხუთეში – მსოფლიო ისტორია დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებამდე და რუსეთის ისტორია მონღოლების შემოსევამდე და ა.შ. პროგრამის მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ახალი პერიოდის (XVIII-XIX საუკუნეების) პროცესების სწავლებას, მათ შორის საზოგადების, ეკონომიკის, კულტურის, სამართლის თემების გაშუქებას. საყურადღებოდ მიგვაჩნია საგნის მასწავლებლებისთვის შეთავაზებული რეკომენდაცია – მთელი ძალისხმევა

მიემართათ საკითხების არსებითი მხარეების და არა წვრილმანი და ქრონოლოგიური ცნობების სწავლებისთვის.

გეოგრაფიის სასწავლო პროგრამა პირველ კლასში ითვალისწინებდა დარგობრივი ტერმინოლოგიის გაცნობას, რუქის კითხვას, გლობუსის გამოყენებას. მეორეში – კონტინენტების მოკლე მიმოხილვას: ჰიდრო და ოროგრაფია, ჰავა და ხალხი. მესამე კლასში აქცენტი კეთდებოდა რუსეთის მოსაზღვრე ან მასთან კულტურულად, პოლიტიკურად, ეკონომიურად მჭიდროდ დაკავშირებულ ევროპულ ქვეყნებზე (საფრანგეთი, ინგლისი, სკანდინავია, ავსტრია-უნგრეთი, სლავური ქვეყნები, ბალკანეთი, ოსმალეთი და გერმანია). მომდევნო კლასებში ხდებოდა რუსეთისა და ევროპის გეოგრაფიის საფუძვლიანი შესწავლა, მხოლოდ მეექვსე კლასში იყო გათვალისწინებული საქართველოს გეოგრაფიის მოკლე კურსის სწავლება.

სწავლების ბოლო საფეხურზე (მე-6 და მე-7 კლასები) ისწავლებოდა სამართალი. საგნის პროგრამით გათვალისწინებული იყო სამართლის ძირითადი ცნებების, დანიშნულების, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული კანონების, ასევე ჩვეულებითი სამართლის ნორმების სწავლება. ასევე, გათვალისწინებული იყო რუსეთის იმპერიის მმართველობის ფორმების და ხელისუფლების შტოების უფლებამოსილების გაცნობა.

დასკვნა

ამრიგად, XX საუკუნის დასაწყისშიც გრძელდება რუსიფიკატორული საგანმანათლებლო პოლიტიკა. სასწავლო პროცესში ქართული ენის გამოყენებას ფორმალური ხასიათი აქვს და ითვალისწინებს დაწყებით საფეხურის მოსწავლეებისთვის წერა-კითხვის სწავლებას. კვლავ უგულვებელყოფილია ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის სწავლება. ამასთან, ჩვენ მიერ განხილული პროგრამა გარკვეულ პროგრესულ პედაგოგიურ მიდგომებსაც შეიცავს: მოსწავლის გამოცდილებასა და ცოდნაზე დაფუძნებული სწავლება, ახალი თემების ნაცნობი კონტექსტების საფუძველზე დამუშავება, სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირება და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჟურნალი „ივერია“, 1879. N30.
2. გაზეთი „დროება“, 1908. N14.
3. გაზეთი „ცნობის ფურცელი“. 1901. N1523.

სწავლების ენა და მიზნები XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში

თამარ ფხალაძე

ისტორიის დოქტორი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

საქართველოზე რუსეთის იმპერიული მმართველის განმტკიცების ერთ-ერთ საშუალებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა წარმოადგენდა, რომელსაც რეჟიმის ერთგულებით უნდა აღეზარდა მოსწავლეები. რუსიფიკტორული ტენდენციები განსაკუთრების გაძლიერდა XIX საუკუნის ბოლოდან – ასიმილატორული კურსი მკაფიოდ აისახა სასწავლო პროგრამებზე, რომლებიც არ ითვალისწინებდა ქართული ენის, ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის და კულტურის სწავლებას. რუსეთის იმპერიის განათლების პოლიტიკის ერთგვარ გამოხატულებად იქცა 1901 წელს დამტკიცებული „საშუალო სკოლების განახლებული პროგრამა“, რითაც კიდევ უფრო ძლიერდებოდა რუსულენოვანი საგანმანათლებლო

პრაქტიკა. ხოლო სასწავლო პროცესში ქართული ენის გამოყენებას ფორმალური ხასიათი ჰქონდა. ამასთან, პროგრამა გარკვეულ პროგრესულ პედაგოგიურ მიდგომებსაც შეიცავდა: მოსწავლის გამოცდილებასა და ცოდნაზე დაფუძნებული სწავლება, ახალი თემების ნაცნობი კონტექსტების საფუძველზე დამუშავება, სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირება და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: *განათლება, პრესა, პროგრამა*

Language and Goals of Tuition in the General Education Schools
of the Georgia in the Beginning of the XX Century

Tamar Pkhaladze

Doctor of History
East European University

Abstract

The general education school that had to educate pupils in the spirit of allegiance to the regime was one of the tools for Russian Empire strengthening in Georgia. Russification tendencies became especially strength from the beginning of the XIX century – assimilation course was starkly reflected in the educational programme that didn't foresee study of Georgian language, literature, history and culture. "The updated program of the secondary schools" approved in 1901, which even more strengthened the Russian-language educational practice was a definite manifestation of Russian Empire educational policy, while the use of Georgian language was just a formality. At that the program included certain progressive pedagogical approaches, as well: study based on the pupil experience and knowledge, new topic processing on the basis of familiar contexts, focusing on the development of thinking skills etc.

Keywords: *Education, Press, Program*

STUDENT MOBILITY IN HIGHER EDUCATION – RESEARCH OF STUDENT ACCESS TO EXCHANGE PROGRAMS IN EAST GEORGIA FROM A GENDER POINT OF VIEW

Ekaterine Beniashvili

Magister
East European University

Jan Böhm

Professor, Doctor of Philosophy
University of Education Upper Austria

Introduction

Since 2005, when Georgia joined the Bologna Process, there has been an increase in the number of programs that give students at Georgian HEIs the opportunity to obtain funding for higher education abroad. Consequently, the number of students interested in these opportunities or involved in a mobility process has also increased. However, students face a number of disruptive and hindering circumstances. One of them is gender inequality.

The goal of the present study is to discuss and identify gender issues related to participation in exchange programs abroad. In light of the fact that this issue has never been studied before, the present paper may somewhat complement the gap in literature or build a foundation for research in this field.

The preliminary assumption of the study is that gender stereotypes, cultural aspects and family traditions have a negative impact on students' equal access to student exchange programs in Georgia (the mentioned problem refers mainly to girls, who cannot decide the issue of their participation in exchange programs alone and without their family's involvement in Georgia).

The target group of the study is female and male undergraduate and graduate students at the HEIs of East Georgia. In order to ensure the validity of the study, it was important that the participants should be from different cities of East Georgia. The participants were selected from Tbilisi, Gori and Telavi universities. It was not necessary for the research participants to be part of the exchange program, thus making this important factor an independent variable.

Mobility as an opportunity to internationalize individual students as well as universities

As stated in the 2012 study HIGHER EDUCATION IN GEORGIA (2012, 2017) the vast majority of Georgian students study in the USA, Germany and the UK, followed by other EU countries. The same study shows that programs supporting mobility of Georgian students are mainly financed by international donors (Erasmus Mundus, German Academic Exchange Service – DAAD, British Council, International Research and Exchanges Board – IREB, International Research & Exchanges Board – IREX, Open Society Georgia Foundation – OSGF, United States Agency for International Development – USAID).

The EU grant program Erasmus+ differs from existing programs in Georgia in terms of scale and easy accessibility; its official website (http://erasmusplus.org.ge/ge/for-students) says that in 2014-2020, projects will be implemented in the fields of education, training, youth and sports. The program aims to modernize education, increase the level of knowledge and employment, provide training and work with young people in the country.

In addition, within degree mobility, Erasmus scholarships were awarded to 8 Georgian citizens for joint masters programs, 15 in 2016 and 21 in 2017. Erasmus, which De Witt calls the "driver" of

European internationalization (De Wit, 2013. p. 19), aims to become a bridge between education and the labor market.

In 2009, the Ministerial Conference of EHEA member states (EUROSTUDENT 2016) endorsed a policy goal according to which 20 % of graduates from higher education should have experience of studying or training abroad. The mentioned goal is still upheld today (EHEA Mobility Strategy, 2012). Some educational institutions (e.g. Goucher College and St. Mary's College in Maryland, USA) make international education, which also includes international research, a compulsory part of the education and a necessary condition for obtaining a degree (Strout, 2010).

As defined by Orr (2015), a mobile student is a person who has crossed a border and has been enrolled in a foreign university or college for at least 12 months, and the mentioned process is beneficial not only to the mobile student but also to the recipient institution as it ensures the internationalization of the university.

This assumption gives us reason to think that if universities in Georgia improve their ability to create standards-based programs for mobile students in foreign languages, Georgian students will be more likely to develop skills that are characteristic of a multicultural society, to increase their tolerance and, most importantly, to increase their motivation to participate in exchange programs.

Gender participation in exchange programs

Obstacles to access to higher education for women begin with the process of choosing their profession. The UNDP 2013 Report on Gender Equality in Politics and Business Research includes family barriers to academic education, where priority can be given to the education of the son in the family if it is a matter of choice (44%) (p. 75). Other factors, such as early marriage, should also be considered: 17% of Georgian women marry before they turn 18 years old (National Review of the Implementation of the Beijing Declaration and Platform for Action, 2014 p. 19), pregnancy and in general the role of women in Georgia, which mainly focuses on family care (p. 16).

There is less public expectation of career growth for women, which greatly impacts gender segregation trends in Georgia. Here, taking care of the family takes the top spot among the duties of a woman (Gorgadze 2016). According to the survey, 74% of the population consider that the woman's main value should be her family (United Nations Development Fund, 2013).

As in higher education, equality between men and women in exchange programs has long been on the agenda in other countries. Historically, countries have fought to increase women's participation before reaching the point at which female participation exceeds that of men in most European countries. Research shows that women in Germany are slightly more likely to engage in higher education abroad than men, which means that we need to encourage men as well if we want to achieve gender equality (Wächter, Lam, Ferencz, 2012).

A study of Erasmus program participants in 2011-2012 outlines gender imbalances in favor of women and the need to empower men in this regard (Böttcher et al., 2016). The European Commission website says that, in 2012-2013 (EC 2014), 60.6% of Erasmus participants were women and, in 2013-2014, 61% (http://ec.europa.eu/education/resources/statistics_en), just as in 2015-2016.

2014 research on Student Mobility in the European Higher Education Area by the Vienna Research Institute (Grabher, Wejwar, Unger, Terzieva, 2014) found that in almost all countries, women's participation in mobility (credit mobility) is higher than that of men. Student flow is unbalanced (Degree Mobility) in the case of mobility from Eastern European countries, though gender issues are not emphasized there, partly because the same study suggests that access to data collected from Eastern European countries is limited and not qualitative (Grabher et al. 2014).

A 2012 study sponsored by the German Ministry of Education and Research "*What deters students from studying abroad?"* (Netz, Orr, Gwosć, Huβ, 2012) says that the major obstacles are socio-demographic

problems, which include age, gender and education level. The current situation tells us that female students are more likely to engage in study abroad, although the impact of age is felt by women as their chances of becoming pregnant increase with age. Consequently, their opportunities to study abroad are diminishing and studying abroad is becoming more and more difficult.

In order for women to reconcile their academic career with their family life, they often subordinate their careers to their partner's, which impedes their academic progress (Uhly, Visser, Zippel, 2017). Several studies show that in addition to marital status and partner's job, parental or guardian involvement may have an effect on the international academic mobility and cooperation of men and women (Ackers, 2008).

The Erasmus Student Network's 2014-2015 Regions Survey states that one of the major impediments is family resistance, and this is related to the age of students. However, it is necessary to find out whether this problem has any connection with gender issues, as various studies (e.g. Gorgadze, 2016) show unjust attitudes towards women in Georgia generally as well as in the field of education. Family as a factor impeding education abroad is particularly common in some regions (Gori: 75%; Zugdidi: 67%) according to the above-mentioned research. This confirms the need to investigate this field and take effective steps to remedy the situation.

Research methodology

This study was undertaken using a mixed methods approach (see Creswell, 2010), using qualitative as well as quantitative methods. In addition, we evaluated numerous documents and statistics.

In the course of the study, three focus group interviews were held with groups of between 6 and 10 students (male and female) respectively (Gori Teaching University, Iakob Gogebashvili Telavi State University and East European University Tbilisi). Further questionnaires were sent out to the Georgian Technical University, Ivane Javakhishvili Tbilisi State University as well as Iakob Gogebashvili Telavi State University.

Aside from this, expert interviews were held with staff (all female) of the Erasmus or international offices of all involved universities. In-depth interviews and focus groups were used, and content analysis (statistical data obtained from the National Statistics Office of Georgia and the HEIs participating in the study) became a source to uncover additional issues.

The study involved male and female, graduate and postgraduate students and administration officials from Tbilisi Ivane Javakhishvili State University, Ilia State University, Georgian Technical University, Gori Teaching University, Telavi Iakob Gogebashvili State University and two private HEIs in Tbilisi: East European University and University of Georgia.

Erasmus+ program selection criteria were used as criteria for participation in the study, i.e. English language skills better than average and high GPA. In addition, research participants must have been students of programs for which the university has announced exchange programs. One of the important factors considered when selecting the participants was their willingness and interest.

The results of the study were analyzed by coding methods. The coding of the obtained data was carried out to account for three issues: exchange programs and gender balance; personal factors for refusal to participate; obstructing external factors.

Research Results

In order to further deepen understanding of gender issues encountered in Georgia in relation to exchange programs, we sought to find out how well the gender balance between the participants in these programs is maintained and what the stakeholders themselves think about it.

According to Geostat (http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=2104&lang=geo), from the 2015-2016 academic year to the 2017-2018 academic year, 1,545 students from Georgia were sent abroad,

out of which 1,221 are female, representing approximately 80% of the total number of students. The participation of women has increased dramatically over the years and especially in the 2016-2017 academic year, while the number of men is only slightly increasing.

The increase in student participation in exchange programs is caused by the increase in the number of exchange programs and improved funding and information dissemination. This is confirmed by interviews with university officials and the Erasmus office. However, we cannot expressly exclude the growing interest of female students, as well as their empowerment and support from parents and the community, as evidenced by talking with the students. Considering the number of men and women by university, based on the public information provided by them, circumstances do not change radically at this stage if we compare it with the current situation. Three sides, university officials, the Erasmus office and students agree on one issue: that gender balance among exchange program participants in Georgia is not maintained in favor of female students. This means that every year more female than male students participate in exchange programs. Only one HEI diverged in this regard, where we were told that gender balance was maintained.

For example, according to the information received from Ivane Javakhishvili State University, since 2015, they have sent 617 students abroad, 454 female and 163 male students. This means that 73% of exchange program participants are women. The number of outgoing students has increased compared to 2015-2016, although participation of men has not changed. As for 2017-2018, the number is almost identical to the number of the previous year (the number of women increased by one point and the number of men decreased by two points).

Full information on only two academic years has been received from Ilia State University. This also shows the increasing tendency of female students (exceeded by 50 participants in 2016-2017 and by 63 in 2017-2018) to participate. That means that in both years, 103 out of 233 participants, i.e. 74%, are women. Gori Teaching University, like other universities mentioned above, is reporting more involvement by female students. The exchange programs have been attended by 35 students since 2015 and the majority of the participants are female. Only 6 out of 35 students are male, which means that about 85% of the participants are women.

An interesting case to consider is that of the Georgian Technical University, where due to the specifics of the faculties and the traditional concept of the so-called "professions of girls and boys", most of the students are male. Notwithstanding the above, the number of female students participating in the exchange program (34 girls in total) is only slightly lower than the number of male students. In total, of 78 outgoing students from the Georgian Technical University since 2015, 44, i.e. 56%, were men.

Overall, women are overrepresented in higher education mobility, although this is somewhat mitigated by a view of the general gender balance of students: except at the Georgian Technical University, the gender ratio of all students is approximately 65-35; this means that women are strongly overrepresented at HEIs, even though there are considerable variations between individual study courses.

Exchange programs and gender balance

The number of exchange program participants in Georgia is increasing. This is due to the increase in exchange programs and funding, although it should be emphasized that the participation among women is particularly high, while the number of men is slightly increasing. This is in complete synchrony with developments in the EU, where female participation has long exceeded male participation in many countries.

Separate research is needed on why male interest is lacking and what is needed to activate and engage them in different activities. Many HEIs do not keep statistics by gender of applicants, which hindered our investigation to determine whether the low participation of men is due to their low interest or their academic performance; the latter opinion was voiced by an administrator at one of the HEIs.

Personal factors for refusal to participate

During the course of the study, the problem of self-esteem among female participants was clearly identified. They are not sure how they can handle living in a foreign country. Foreign countries are associated

with danger and do not represent a challenge that they would wish to overcome. This can be related to the family tradition of raising girls. Gaps in school textbooks on gender roles and low gender sensitivity among school teachers should also be noted. All of these factors can affect a woman who, from a young age, is determined by what is "appropriate", how she should behave, what role she plays, and what her family and relatives expect from her.

The research design did not initially identify personal factors that prevent students from participating in exchange programs. However, during the focus group process, some important issues were identified which are worthy of mention.

In the case of men, this is willingness. As the focus groups have shown, they think that "if they wish they can do everything" – but "perhaps this is not the right time for them". It seems that parental opposition should not be a problem for them when making any decisions. They seem to be more dependent on themselves than on family, parents, etc. However, as we are told in Erasmus office, the number of male students who approach the issue "keenly" and with full responsibility is smaller.

We have to confront the situation of women's self-esteem, which has to do with the family tradition of raising girls and other factors. In Georgian historical sources, we find that Georgian women have been made responsible for the moral purity of the Georgian people for a long time. They were seen as devoted mothers to their families. "Their (Georgian women) motherhood, dedication to the motherland, honesty combined with physical beauty, high morale were a symbol of the conscience of their homeland." (Kiknadze, Donadze, 2006, p. 82) "In almost every field of activity, women were left out of decision-making" (p. 85).

The shortcomings in school textbooks may appear exactly in this form, as an analysis of elementary school textbooks from a gender perspective shows (Tabatadze, Gorgadze, 2013). The textbook illustrations and texts were studied according to different criteria, including content of gender stereotypes in portraying male and female natures, activities and roles such as marital status or professional activity (p. 46). The study says that school textbooks are generally characterized by unequal gender representation and reinforce stereotypes in society about the role of men and women in the family (p. 72). To this we must add the extremely low gender sensitivity of teachers, which is a problem in Georgia. Study of Teachers' Knowledge and Attitudes towards Gender shows that the majority of respondents favor traditional redistribution of male and female roles. Teachers themselves use stereotypes when analyzing the distribution of gender roles: for example, they think that family and motherhood, rather than professional advancement, is important for a woman, and they believe that the man should provide for the family financially (Isakadze, Gvianishvili, 2014, p. 11).

During the focus groups, one could often hear the phrases from women: "will I be able to?", "I afraid that I will be alone", or "I don't want to be far from my homeland". Hindering factors are "a life far from familiar people, a completely independent life", a "fear of insecurity", and "foreignness itself". These comments clearly show that, for women, leaving the country is sometimes an insurmountable problem. A foreign country is associated with danger, not an opportunity to know the world.

In some cases, the family are no longer a challenge; the students themselves give up and the thought of studying abroad becomes doomed. This would be the reason why university officials cannot prove that their students have any problems with their families in cases where there is no evidence of familial opposition against going abroad.

Obstructing external factors

According to the study, men are less likely to be restricted by their families when they decide to continue their mobility studies abroad. However, women experience a limitation and this limitation can take one of three forms:

- women who already know from past experiences what to expect from their family members and therefore do not express their desire or try their luck;
- women who speak out, although they experience a sharp reaction from family members, but do not or cannot go against their will;

- women who speak out and despite reactions do not give up.

When it comes to restrictions, it should be noted that there are instances in which the problem concerns a female student in the family, but a male student living in the same family enjoys more freedom.

We were interested in the reasons parents give for creating obstacles, and among these reasons are:

- security and terrorism;
- lack of skills needed for their daughter to immerse herself in a foreign environment;
- fear that a European experience may have a negative effect on their daughter.

"My father thinks it is possible to get enough knowledge in one's home country, in this case in Georgia, and he is against continuing to study abroad."

As stated by the Erasmus office, the mentioned issues are rarely found in East Georgia, though such cases are common in West Georgia and in regions populated by ethnic minorities.

"We had such cases in Kutaisi, Batumi and Zugdidi... The reason for not being let go by the family may on the one hand be concerns about how secure their virginity will be; this was said in West Georgia and we have heard about such cases, but we have not done any research on this. They don't even submit an application because they know the parents won't let them go. This topic has not been raised in East Georgia. To be more precise, such information did not come to us."

Ethnic minorities are particularly open about their daughters' so-called "virginity status", while in Eastern Georgia they do not speak about it so openly and are limited in their means of resistance. As a rule, parents and especially fathers who prevent women from participating in exchange programs also oppose working, leaving home in the evening, etc. "My father won't let me go to work in Mtatsminda and you think he will send me to another country?"

In conclusion, it should be noted once again that the existence of obstacles for women in today's Georgia is a reality. Given the above, it is easy to see why universities are no longer aware that there are problems in their families, such as family breakdown and parental resistance.

And finally, as the study covered only Eastern Georgia, these problems have only been identified in Eastern Georgia. However, specialists in the field say the issue is particularly acute in Western Georgia and regions populated by ethnic minorities. This requires additional research and response from both education policy makers and HEIs.

Conclusion and Recommendations

At first glance, the study shows a contradictory result: on the one hand, women are in the majority both absolutely and relatively at all investigated institutions. On the other hand, as the findings of this study show, it is primarily women who face structural disadvantages in opting to study abroad. In particular, stereotyped views of the female gender, which are still being propagated in schools, obstruct the mobility of female students. It must be noted that both genders face socioeconomic barriers, but these can relatively easily be mitigated through specific support measures (bursaries etc.). The described conservative views on gender in many families, however, are much more powerful and ultimately liable to cement gender imbalance.

The following recommendations can be made on the basis of this study:

Conducting, disseminating and promoting research: for the purposes of field development and deeper and more systematic research in this field. It is important that education administrators become more involved in research and support the work of other researchers. The fact that the demand for exchange programs at all HEIs is so high that the participation of women exceeds the participation of men by a very large margin does not mean that the problem can be neglected. If HEIs become more interested in research and subsequently become more aware of research results, they will be able to respond appropriately, plan activities and actively engage students and staff.

Information campaigns and raising awareness: although education administrators are less aware of the problem of female participation around them, they have a common recommendation: planning information campaigns and raising parental awareness that the problem of female participation actually exists. In addition to giving parents full information about exchange programs and their benefits, it is even more important to convince them to start empowering their daughters and developing the skills they need at an early age.

Development of educational programs, internationalization: this recommendation applies not only to higher education institutions but also to those interested in education policy in the country and policy makers. Development and refinement of educational programs will facilitate the internationalization of higher education if more foreign students are led to be interested in Georgia. If higher education institutions in Georgia ensure that their programs are developed so that they are as focused as possible on providing practical knowledge, and if foreign students have the best opportunities to gain knowledge of the subjects and courses taught in Georgia, they will be more interested in Georgian higher education institutions. As we have already discussed, exchange students not only benefit from this process, but also participate in the internationalization of the local community, implying changes in the attitudes of the locals. Attracting foreign students, integrating them into the local student communities and planning and implementing joint activities may in the long run mean eliminating the problems discussed in this paper.

References

ACKERS L. (2008): *Internationalisation, Mobility and Metrics: A New Form of Indirectc Descrimination?* In: Minerva, Volume 46, Issue 4.

BÖTTCHER L., ARAÙJO, N. A. M., NAGLER J., MENDES J. F. F., HELBING D., HERRMANN H. J. (2016): *Gender Gap in the ERASMUS Mobility Program*. PLoS ONE 11(2): e0149514. https://doi.org/10.1371/journal.pone.0149514

BRANDENBURG U., DE WIT H. (2011): *The End of Internationalization. In:* International Higher Education. No 62. Center for International Higher Education, Boston College, Boston.

CENTER FOR CIVIL INTEGRATION AND INTER-ETHNIC RELATIONS (2014): *Research of Intercultural Education Aspects of Teacher Education Programs at Georgian Higher Education Institutions,* Tbilisi.

CRESWELL, J.W. (2012): *Educational Research. Planning, Conducting, and Evaluating Quantitative and Qualitative Research*, Boston et al.

DE WITH. (2011): *Globalisation and Internationalisation of Higher Education.* RUSC VOL. 8 No 2. Universitat Oberta de Catalunya, Barcelona.

DE WIT H. (2013): *An Introduction to Higher Education*. Center for Higher Education Internationalisation, Universitã Cattolica del Sacro Cuore, Milan.

EUROSTUDENT (2016): *Intelligence Brief No. 2. What are the Obstacles to Students Mobility During the Decision and Planning Phase? https://www.eurostudent.eu/download_files/documents/EV_IB_mobility_obstacles.pdf*

EUROPEAN COMMISSION (2012): *Higher Education in Georgia*. (2012). Tempus. Retrieved January, 2017, http://erasmusplus.org.ge/files/publications/Georgia%20Country%20Fiche%202012%20-%20en.pdf

EUROPEAN COMMISSION (2016): *Annual Report 2016 Erasmus+.*

https://ec.europa.eu/programmes/erasmus-plus/sites/erasmusplus2/files/annual-report-2016-stat-annex_en.pdf

EUROPEAN COMMISSION (2014): *Erasmus Facts, Figures & Trends. The European Union support for student and staff exchanges and university cooperation in 2012-2013. https://ec.europa.eu/assets/eac/education/library/statistics/erasmus-plus-annual-report_en.pdf*

ERASMUS STUDENTS NETWORK TBILISI, Erasmus+ National Office (2014): *Erasmus Mundus Mobility Assessment for 2013-2014.*

ERASMUS STUDENTS NETWORK TBILISI, Erasmus+ National Office (2015): *Erasmus Survey of Regions for 2014-2015.*

EHEA (2011): *Mobility for Better Learning. Mobility Strategy 2020 for the European Higher Education Area.* Working paper.

GORGADZE N. (2016): *Gender Equality of Georgia: General context and statistics,* Tbilisi.

GRABHER A., WEJWAR P., UNGER M., TERZIEVA B. (2014): *Student Mobility in the EHEA. Underrepresentation in Student Credit Mobility and imbalances in degree mobility*. Institute for Advanced Studies, Vienna.

ISAKADZE T., GVIANISHVILI N. (2014). Study of Teachers' Knowledge and Attitudes towards Gender Equality. Training and Research Group Project "Implementing Gender Equality in Schools", Tbilisi.

KIKNADZE, T., DONADZE, N. (2006): *Gender - Social and Political Studies*, Tbilisi.

NATIONAL REVIEW of the Implementation of the Beijing Declaration and Platform for Action (2014).

NETZ N., ORR D., GWOSĆ C., HUß B. (2012): W*hat deters students from studying abroad? Evidence from Austria, Switzerland, Germany, the Netherlands and Poland.* Institute of Higher Education, Federal Ministry of Education and Research of Germany, Bonn.

ORR D. (2015): *Where do internationally mobily students come from and where do they go?* An Overview of the Flows of Internationally Mobile Students. http://uis.unesco.org/en/uis-student-flow

STROUT A. H., (2010): *Who Plans (Not) to Study Abroad? An Examination of U.S. Student Intent.* University of Massachusetts, Amherst.

TABATADZE S., GORGADZE N. (2013): *Research of Intercultural Education Aspects of Elementary Schools in Georgia.* Center for Civil Integration and Inter-ethnic Relations, Tbilisi.

K.M. UHLY, L.M. VISSER & K.S. ZIPPEL (2017): *Gendered patterns in international research collaborations in academia, Studies in Higher Education*, 42:4, 760-782, DOI: 10.1080/03075079.2015.1072151

UNITED NATION DEVELOPMENT FUND (2013): *The Millennium Development Goals Report.* https://www.un.org/millenniumgoals/pdf/report-2013/mdg-report-2013-english.pdf

WÄCHTERB., LAMQ. K. H., FERENCZI., Eds (2012): *Tying It All Together. Excellence, Mobility, Funding and the Social Dimension in Higher Education.* ACA Papers on International Cooperation in Education. Bonn.

განათლების ინტერნაციონალიზაცია – აღმოსავლეთ საქართველოში გაცვლით პროგრამებზე სტუდენტების ხელმისაწვდომობის კვლევა გენდერულ ჭრილში

ეკატერინე ბენიაშვილი

მაგისტრი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იან ბოემი

პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი

ზემო ავსტრიის განათლების უნივერსიტეტი

ანოტაცია

იმ დროს როდესაც, ევროინტეგრაცია ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიზანია, ვფიქრობ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტერნაციონალიზაციას, ამ მიმართულებით პრობლემების იდენტიფიცირებას, შემდგომ კი, ქმედითი ნაბიჯების დაგეგმვა-განხორციელებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება წინამდებარე ნაშრომი, რომლის წინასწარი დაშვებით გენდერული სტერეოტიპები, კულტურული ასპექტები და ოჯახური ტრადიციები საქართველოში უარყოფით გავლენას ახდენენ სტუდენტთა გაცვლით პროგრამებზე თანაბარ წვდომაზე საქართველოში (ეს პრობლემა ძირითადად ეხება გოგონებს, რომელთა საზღვარგარეთ „გაშვების" საკითხს, როგორც წესი, საქართველოში ოჯახი წყვეტს). კვლევამ გამოავლინა, რომ გაცვლით პროგრამებში გოგონების მონაწილეობა იზრდება წლების მიხედვით, მამაკაცთა რიცხოვნობა კი მცირედად მატების ტენდენციას ავლენს. აღნიშნული აბსოლუტურ თანხვედრაშია ევროპაში მიმდინარე მოვლენებთან, სადაც მდედრობითი სქესის მონაწილეობამ გადააჭარბა მამაკაცთა მონაწილეობას. იმ ფონზე, როდესაც აღნიშნული საკითხი მცირედადაც კი არ არის გამოკვლეული, წინამდებარე ნაშრომმა შესაძლებელია, შეავსოს ლიტერატურაში არსებული დანაკლისი ან საფუძველი ჩაუყაროს კვლევებს.

საკვანძო სიტყვები: *ინტერნაციონალიზაცია, უნივერსიტეტი, გაცვლითი პროგრამები, გენდერი*

Student Mobility in Higher Education – Research of Student Access to Exchange Programs in East Georgia from a Gender Point of View

Ekaterine Beniashvili

Magister
East European University

Jan Böhm

Professor, Doctor of Philosophy
University of Education Upper Austria

Abstract

While integration into the European Union is one of the priorities of Georgia, internationalization of higher educational institutions and international student mobility is of a particular importance. The present paper serves exactly this purpose and outlines the preliminary assumption that gender stereotypes, cultural aspects and family traditions have a negative impact on students' equal access to student exchange programs in Georgia. The mentioned problem refers mainly to woman, who cannot decide the issue of their participation in exchange programs alone, without their family's involvement. The study revealed that the participation of girls in exchange programs especially increases year by year, while a tendency of slight increase of the number of men is demonstrated. The mentioned is in absolute coincidence with the events in Europe, where female participation has exceeded men's participation long ago. In the light of the fact that this issue has never been studied before, the present paper may somewhat complement the gap in literature or build a foundation for the research in this field, as it discusses the individual factors of refusal to participate in exchange programs by girls, as well as interruptive and hindering circumstances, which in most cases come from family.

Keywords: *Internationalization, HEI, Exchange programs, Gender*

საქართველოში ჯანმრთელობის ხელშეწყობა ეკო მეგობრული ტექნოლოგიების ასპექტში

ლევან კიკილაშვილი

დოქტორანტი
სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

რუსუდან კვარაცხელია

ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

შესავალი

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის უახლესი მონაცემების მიხედვით, ყოველწლიურად 7 მილიონამდე ადამიანი იღუპება მყარი ნაწილაკებით გაჯერებული ჰაერით სუნთქვის გამო, რომლის ერთ-ერთ მთავარ დამბინძურებელ წყაროს ავტომანქანები წარმოადგენს [1]. კვლევები ადასტურებენ, რომ უფრო მეტი ადამიანი იღუპება ჰაერის დაბინძურებისგან გამოწვეული დაავადებებით, ვიდრე საგზაო შემთხვევებში. ჰაერის დაბინძურების შედეგად გროვდება გოგირდის დიოქსიდი (SO_2) აზოტის დიოქსიდი (NO_2) ნახშირბადის მონოქსიდი (CO) რაც ზრდის გულსისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემების დაავადებების განვითარების რისკს [2].

ჰაერის მაღალი დაბინძურების საპასუხოდ ზოგ ქვეყნებში ჰაერის დაბინძურების ყველა ძირითადი წყაროს კოორდინაციის მიზნით დაიწყეს სუფთა ენერგიების წარმოება, გადამუშავებადი პროდუქტების წარმოების ხელშეწყობა, სხვადასხვა ენერგოეფექტური ტექნოლოგიების განვითარება და ინფრასტრუქტურისა თუ მშენებლობის მიმართულებით ცვლილებები [3]. 21-ე საუკუნე უდიდესი გამოწვევების წინაშე დგას. იქმნება ცენტრალური მონაცემთა ბაზები, ჰიპერ აქტიური სისტემა დააკავშირებს ერთმანეთთან ინფრასტრუქტურულ გადაწყვეტილებებს და ქალაქები გახდება მეტად მგრძნობიარე, სადაც რეალურ დროში მოხდება ინფორმაციის მიმოცვლა. ჭკვიანი საზოგადოებრივი მომსახურება კი, თანამედროვე მმართველობას მეტ რევოლუციურობას შემატებს. ისინი ეფუძნება დღეისთვის ყველაზე მნიშვნელოვან აქტივს – მონაცემებს. მსოფლიოს ეკოსისტემაში ადამიანი დგას გაუფრთხილებლობით გამოწვეული მრავალი საფრთხისა თუ რისკის წინაშე. თანამედროვე 5G და უახლესი კავშირგაბმულობის სისტემები სხვადასხვა მოწყობილობებს სინქნორიზაციისა და წესრიგისაკენ უბიძგებს, რაც უზრუნველყოფს რისკგარეშე მოძრაობას [4].

ფაქტობრივად ისეთი ტექნოლოგიების გარემოცვაში, რომელშიც თანამედროვე ადამიანი ცხოვრობს, ყველაფერი ხელმისაწვდომი და მიღწევადია, რასაც გონება ჩაწვდება და ამოხსნის. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საქართველოს როლის გარკვევა გლობალურ მასშტაბით პოზიციონირებაში, როგორი ინვესტორები სჭირდება ქვეყანას ეკო პროექტების შენებისა და მათი რეალიზების ჭრილში და რა ტიპის ეკო-მეგობრული ტექნოლოგიები შეიძლება შემუშავდეს?

ეკო ქალაქი თანამედროვე სამყაროში მნიშვნელოვან გამოწვევად მიიჩნევა, სადაც შესაძლებელია ჯანსაღი გარემოს შექმნა და ადამიანის თანაცხოვრება ფლორასა და ფაუნასთან თანწყობაში. დღევანდელმა ტექნოლოგიებმა შესაძლებელი გახადა აშენდეს ეკო ქალაქი ბუნებასთან სრულ თანწყობაში, რაც იძლევა მოქნილი საცხოვრებელი კომპლექსის შექმნის პერსპექტივასა და ადამიანთა ჯანსაღ, სუფთა და ჟანგბადით გამდიდრებულ ადგილას ცხოვრებისთვის ხელშეწყობას.

კვლევის მიზანია გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებული, ჯანმრთელობის გაუარესებაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა საქართველოში. კვლევის ამოცანებია გარემოსა და ჯანმრთ-

ელობის ხელშეწყობასთან დაკავშირებით მსოფლიოსა და საქართველოში არსებული მიდგომების მიმოხილვა, გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებული გამომწვევი პრობლემების დადგენა და მისი აღმოფხვრის გზების განსაზღვრა, ურბანიზაციული საცხოვრებელი ქალაქის კონცეპტუალურ ესკიზური პროექტის შემუშავება, რომელშიც ადამიანის ყოველდღიური საქმიანობების წარმოება დაბალანსებული იქნება ბუნებასთან ჰარმონიული და ეკო, მეგობრული ინსტრუმენტებით მხარდაჭერილი.

მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლებში ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა, რომელიც ითვალისწინებდა არაალბათური შერჩევის მეთოდით ქ. თბილისისა და კახეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში რესპოდენტთა გამოკითხვას წინასწარ სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით. კვლევის შედეგად შეგროვდა 626 რესპოდენტის პასუხი. კვლევა მიმდინარეობდა 2019 წლის აპრილი-მაისის თვეებში.

ხოლო თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა 10 ექსპერტის სიღრმისეული გამოკითხვა ფოკუს ჯგუფის მეთოდით. კვლევის პროცესის ჩაწერა მოხდა, აუდიო-ვიდეო ფორმატის მეშვეობით, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ტრანსკრიპტის უხარვეზოდ დამუშავება-წარმოდგენა.

კვლევის ყველა ეტაპზე დაცული იყო კონფიდენციალურობა, ანონიმურობა. კვლევა მიმდინარეობდა 2019 წლის მარტი-ივნისის თვეებში.

შედეგები

რაოდენობრივი კვლევის მეთოდით გამოკითხულთა 62.1% (n=389) შეადგენდა მდედრობითი სქესის წარმომადგენელს. ყველაზე მეტი ანკეტა 20-29 წლის ადამიანმა შეავსო 44.4% (n=278). საშუალო ასაკი შეადგენს 25 წელს (±5). რესპოდენტთა 76.5% (n=478) მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება. რესპოდენტთა 48.4% (n=303) არასდროს ყოფილა დაქორწინებული, 33.3%-ის (n=209) მიხედვით, ოჯახში ხუთი და მეტი წევრი ცხოვრობს, 38.3%-ის (n=240) მიხედვით, ოჯახიდან 2 წევრი მუშაობს, ხოლო 22.7%-თვის (n=142) ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი 1001-2000 ლარია.

რესპოდენტთა 42.2%-ის (n=263) აზრით, მათი საცხოვრებელი თუ სამუშაო გარემო ნაკლებად დაბინძურებულია, ხოლო 38.4% (n=241) აზრით, დაბინძურებულია, რომლის გამომწვევი შეიძლება იყოს: ავტომანქანებისა და მშენებლობების დროს გაფრქვეული მავნე მეტალების მტვერი. რესპოდენტთა 72.8% (n=455) ამბობს, რომ რეკრეაციულ ადგილებში გამწვანების ხელყოფის ხარჯზე ხეთა გაკაფვა სხვადასხვა კომერციული მიზნით, საზოგადოებაში რამე სახის დადებით ეფექტს არ იწვევს. ხოლო რესპოდენტთა 93% (n=582) ამბობს, რომ ჰაერის თუ მიწის სავარგულების დაბინძურება მავნე ნარჩენებით, მათ ჯანმრთელობაზე გავლენას ახდენს. რესპოდენტთა 71.4% (n=445) ამბობს, რომ გარემოს დაბინძურება იწვევს ფილტვების დაავადებებს, ფსიქიკურ დაავადებებს, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს. რესპოდენტთა 43.9% (n=274) აზრით, მათთვის ნაკლებად ხელმისაწვდომია ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ცხოვრება, ხოლო 28.1% (n=176) მიხედვით, არ არის ხელმისაწვდომი. 37.9% (n=237) აზრით, ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ცხოვრებისთვის ხელის შეშლას იწვევს ეკო გარემოში სამსახურების ნაკლებობა. 48.5% (n=304) აზრით, გარემოსათვის მიყენებადი ზიანის შესამცირებლად ისინი შეეცდებოდნენ მაქსიმალურად შეეზღუდათ ბუნებრივი საწვავი აირის გამოყენება და მავნე ნარჩენების გაფრქვევა სატრანსპორტო თუ სხვა საშუალებების მიერ. რესპოდენტთა 32.4% (n=202)-ის აზრით, იცხოვრებდა ეკოლოგიურ ადგილას, ბუნებასთან სრულ ჰარმონიაში და არ მოახდენდა მის ხელყოფას. გამოკითხულთა 61.9% (n=388) ამბობს, რომ ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი პრობლემების ზრდას იწვევს დამაბინძურებელი ორგანიზაციებისადმი სახელმწიფო მაღალჩინოსნების მიერ გაწეული ლობირება. რესპოდენტთა 86.9% (n=544) აზრით საზოგადოების მიერ ეკოსისტემის, კლიმატის ცვალებადობისა თუ სხვა ფაქტორებისადმი არასათანადო ყურადღება ზრდის ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველ პრობლემებს.

რესპოდენტთა 45.2% (n=282)-ის აზრით, ადამიანის ჯანმრთელობაზე ჯანსაღი ცხოვრების წესი დიდ გავლენას ახდენს, თუმცა ვერ ახერხებენ მის დაცვას. რესპოდენტთა 43.8% (n=273) აზრით, დიდ გავლენას ახდენს ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა მათ ცხოვრებაზე და ახერხებენ მის დაცვას, კერძოდ მისდევენ ფიტნესს, იცავენ კვებითი რაციონს. რესპოდენტთა 84.1% (n=527) აზრით, იცხოვრებდნენ ისეთ ეკო-ინფრასტრუქტურის ქალაქში, სადაც ყველაფერია ბუნებასთან თანწყობასა და ჰარმონიაში (მუდმივი მზის ენერგიის კვლავწარმოებითა და ეკო მეგობრული ტექნოლოგიებით მხარდაჭერილ ადგილას). რესპოდენტთა 45.2% (n=283) აზრით, დღეიდან იზრუნებდნენ, რომ შეეცვალათ საკუთარი ცხოვრების წესი და ყოველდღიური აქტივობები, იმისთვის, რომ მეტად დაცული ყოფილიყვნენ თავის გაუფრთხილებლობით გამოწვეული რისკებისგან. რესპოდენტთა 46.4% (n=289) აზრით, მომავლის ტექნოლოგიებისადმი დადებითად არიან განწყობილი, ფიქრობენ რომ თანამედროვე მიღწევებს შეუძლია გარემოს პირობების ისე ცვლა, რომ ადამიანის ცხოვრება გახდეს მეტად კომფორტული და პროდუქტიული [5].

ცხრილი 1: რესპოდენტთა გამოკითხვის შედეგები ეკოინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით

მახასიათებლები	რესპოდენტთა რაოდენობა (n=626)	%
1. სქესი		
1. მდედრობითი	389	62.1
2. მამრობითი	226	36.1
პასუხი არ დააფიქსირა	11	1.8
2. ასაკი		
1. 20-მდე	50	7.9
2. 20-29	278	44.4
3. 30-39	110	17.8
4. 40-49	80	12.8
5. 50-59	44	7
6. 60 და უფროსი	54	8.6
პასუხი არ დააფიქსირა	10	1.5
საშუალო ასაკი	25	(... ±5)
3. განათლება:		
1. არასრული საშუალო	8	1.3
2. საშუალო სრული ზოგადი	69	11
3. პროფესიული	51	8.3
4. უმაღლესი	479	76.5
5. სხვა (ღია პასუხი)	6	0.9
პასუხი არ დააფიქსირა	13	2
4. ქორწინების მდგომარეობა:		
1. არასდროს ყოფილა დაქორწინებული	303	48.4
2. დაქორწინებული	257	41.2
3. ქვრივი	18	2.9
4. განქორწინებული (განშორებული)	33	5.3
5. სხვა (ღია პასუხი)	1	0.1
პასუხი არ დააფიქსირა	14	2.2
5. რამდენი წევრია თქვენს ოჯახში:		
1. ერთი	22	3.5
2. ორი	53	8.5
3. სამი	135	21.7

მახასიათებლები	**რესპოდენტთა რაოდენობა (n=626)**	**%**
4. ოთხი	**196**	**31.3**
5. ხუთი და მეტი	**209**	**33.3**
პასუხი არ დააფიქსირა	**11**	**1.7**
6. თქვენი ოჯახის რამდენი წევრი მუშაობს და აქვს მუდმივი შემოსავალი:		
1. არც ერთი	**27**	**4.3**
2. ერთი	**207**	**33**
3. ორი	**240**	**38.3**
4. სამი	**95**	**15.2**
5. ოთხი და მეტი	**45**	**7.3**
პასუხი არ დააფიქსირა	**12**	**1.9**
7. თქვენი ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენს:		
1. 100 ლარამდე	**10**	**1.5**
2. 100-150	**10**	**1.5**
3. 151-500	**94**	**15.7**
4. 501-1000	**128**	**20.9**
5. 1001-2000	**142**	**22.7**
6. 2001-3500	**98**	**15.6**
7. 3500-ზე მეტი	**81**	**12**
პასუხი არ დააფიქსირა	**63**	**10.1**
8. როგორია თქვენი საცხოვრებელი თუ სამუშაო გარემო?		
1. დაბინძურებულია ჰაერი, გამომწვევი კი შეიძლება იყოს: ავტომანქანებისა და მშენებლობების დროს გაფრქვეული მავნე მეტალების მტვერი	**241**	**38.4**
2. ნაკლებად დაბინძურებულია	**263**	**42.2**
3. არ არის დაბინძურებული	**84**	**13.4**
4. სხვა (ღია პასუხი)	**12**	**2**
პასუხი არ დააფიქსირა	**19**	**4**
9. თქვენი აზრით რეკრეაციულ ადგილებში გამწვანების ხელყოფის ხარჯზე ხეთა გაკაფვა სხვადასხვა კომერციული მიზნით, საზოგადოებაში რამე სახის დადებით ეფექტს იწვევს?		
1. კი	**141**	**22.7**
2. არა	**455**	**72.8**
3. სხვა (ღია პასუხი)	**7**	**0.9**
პასუხი არ დააფიქსირა	**23**	**3.6**
10. ჰაერისა თუ მიწის სავარგულების დაბინძურება მავნე ნარჩენებით, ახდენს თუ არა გავლენას თქვენ ჯანმრთელობაზე?		
1. კი	**582**	**93**
2. არა	**17**	**2.8**
3. სხვა (ღია პასუხი)	**8**	**1.0**
პასუხი არ დააფიქსირა	**19**	**3.2**
11. თქვენი აზრით, რა დაავადების განვითარების რისკ-ფაქტორს იწვევს გარემოს დაბინძურება?		
1. ფილტვების დაავადებებს	**98**	**15.4**
2. ფსიქიკურ დაავადებებს	**7**	**0.9**
3. გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს	**29**	**4.8**
4. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი	**445**	**71.4**
5. არცერთი მათგანი	**7**	**0.9**

მახასიათებლები	რესპოდენტთა რაოდენობა (n=626)	%
6. სხვა (ღია პასუხი)	17	2.7
პასუხი არ დააფიქსირა	23	3.9
12. თქვენთვის ხელმისაწვდომია, მუდმივად ცხოვრობდეთ ეკოლოგიურად სუფთა გარემოში?		
1. დიახ	117	18.9
2. ნაკლებად	274	43.9
3. არა	176	28.1
4. არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა	40	6.2
5.არცერთი მათგანი	0	
6. სხვა (ღია პასუხი)	4	0.6
პასუხი არ დააფიქსირა	15	2.3
13. თქვენთვის არსებობს რამე ფაქტორი, რაც იწვევს ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ცხოვრებისთვის ხელის შეშლას?		
1. ეკო გარემოში უფრო მეტად შეიმჩნევა სამსახურების ნაკლებობა	81	12.9
2. ეკო გარემოში, ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა ნაკლებადაა	38	6
3. ასეთი ტერიტორიები თუა, ის არაურბანიზებულია, ხელმისაწვდომი არაა მრავალი პროდუქტი თუ სერვისი	164	26.2
4. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი	237	37.9
5. არცერთი მათგანი	58	9.3
6. სხვა (ღია პასუხი)	8	1.3
პასუხი არ დააფიქსირა	40	6.4
14. რომ შეგეძლოთ, რას გააკეთებდით გარემოსთვის მიყენებადი ზიანის შესამცირებლად?		
1.მაქსიმალურად შევზღუდავდი ბუნებრივი საწვავი წიაღისეულის გამოყენებასა და მავნე ნარჩენების გაფრქვევას სატრანსპორტო თუ სხვა საშუალებებში	304	48.5
2. ვიცხოვრებდი ეკოლოგიურ ადგილას, ბუნებასთან სრულ ჰარმონიაში, არ მოვახდენდი მის ხელყოფას და მექნებოდა ყველაფერი, რაც ცხოვრების მოცემულ დროს დამჭირდებოდა.	202	32.4
3. არც არაფერს, სავსებით მისაღებია ჩემთვის არსებული ცხოვრება	12	1.9
4. არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა	60	9.5
5. სხვა (ღია პასუხი)	23	3.8
პასუხი არ დააფიქსირა	25	3.9
15. თქვენი აზრით მსოფლიოში, ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი პრობლემების ზრდას, იწვევს თუ არა, დამაბინძურებელი ორგანიზაციებისადმი სახელმწიფო მაღალჩინოსნების მიერ გაწეული ლობირება?		
1. კი	388	61.9
2. არა	21	3.4
3. არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა	181	28.9
4. სხვა (ღია პასუხი)	7	0.9
პასუხი არ დააფიქსირა	29	4.9
16. საზოგადოების მიერ არასათანადო ყურადღება: ეკოსისტემის, კლიმატის ცვალებადობისა თუ სხვა ფაქტორებისადმი, ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი პრობლემების ზრდას იწვევს?		
1. კი	544	86.9
2. არა	14	2.4
3. არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა	45	7.1

მახასიათებლები	**რესპოდენტთა რაოდენობა (n=626)**	**%**
პასუხი არ დააფიქსირა	**23**	**3.6**
17. რამდენად დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე ჯანსაღი ცხოვრების წესი და თუ ხართ დაკავებული ე.წ ფიტნესით, კვებითი რაციონისა და სხვა ურთიერთშემავსებელი კომპონენტების დაცვით?		
1. დიდ გავლენას ახდენს და ვცდილობ მუდმივად ფორმაში ვიყო	**273**	**43.8**
2. დიდ გავლენას ახდენს, თუმცა ფორმაში ყოფნას ვერასდროს ვახერხებ	**282**	**45.2**
3. საერთოდ არ ახდენს გავლენას	**4**	**0.6**
4. არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა	**40**	**6.4**
5. სხვა (ღია პასუხი)	**8**	**1.0**
პასუხი არ დააფიქსირა	**19**	**3.0**
18. რომ არსებობდეს ისეთი ეკო-ინფრასტრუქტურის ქალაქი, სადაც ყველაფერია, რაც გსურთ, იცხოვრებდით თუ არა ბუნებასთან თანწყობასა და ჰარმონიაში, (მუდმივი მზის ენერგიის კვლავწარმოებითა და ეკო მეგობრული ტექნოლოგიებით მხარდაჭერილ ადგილას) ?		
1. დიახ	**527**	**84.1**
2. არა	**13**	**2.4**
3. არ ვისარგებლებ	**7**	**0.9**
4. არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა	**52**	**8.3**
5. სხვა (ღია პასუხი)	**9**	**1.4**
პასუხი არ დააფიქსირა	**18**	**2.9**
19. დღეიდან იზრუნებდით, რომ შეგეცვალათ საკუთარი ცხოვრების წესი და ყოველდღიური აქტივობები, იმისთვის, რომ მეტად დაცული ყოფილიყავით თავის გაუფრთხილებლობით გამოწვეული რისკებისგან? (შეაფასეთ ციფრების მეშვეობით)		
1 2 3 4 5 **სრულიად არ ვეთანხმები სრულიად ვეთანხმები**		
1. სრულიად არ ეთანხმება	**28**	**4.4**
2. ნაწილობრივ არ ეთანხმება	**30**	**4.7**
3. ნეიტრალური	**126**	**20.1**
4. ნაწილობრივ ეთანხმება	**144**	**23.2**
5. სრულიად ეთანხმება	**283**	**45.2**
პასუხი არ დააფიქსირა	**15**	**2.4**
20. როგორ ხართ მომავლის ტექნოლოგიებისადმი განწყობილი, ფიქრობთ რომ თანამედროვე მიღწევებს, შეუძლია გარემოს პირობების ისე ცვლა, რომ ადამიანის ცხოვრება, გახდეს მეტად კომფორტული, პროდუქტიული და ერთი და იმავე ადგილიდან ხელშესახები გახდეს ნებისმიერი საქმიანობის განხორციელება? (შეაფასეთ ციფრების მეშვეობით)		
1 2 3 4 5 **სრულიად არ ვეთანხმები სრულიად ვეთანხმები**		
1. სრულიად არ ეთანხმება	**22**	**3.8**
2. ნაწილობრივ არ ეთანხმება	**20**	**3.1**
3. ნეიტრალური	**118**	**18.8**
4. ნაწილობრივ ეთანხმება	**169**	**26.9**
5. სრულიად ეთანხმება	**289**	**46.4**
პასუხი არ დააფიქსირა	**8**	**1**

თვისებრივი კვლევის ფარგლებში შემდეგი შედეგები მივიღეთ:

რესპოდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ დაბინძურებულია მათი საცხოვრებელი ადგილი, მდგომარეობა ძალიან მძიმეა და გამოსავლის ძიება საკმაოდ რთულია. რადგან უკვე აშენებულ კორპუსებში, ერთეულ ტერიტორიაზე მოსახლეობა აჭარბებს რეკომენდირებულ რიცხვს, რაც არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს თითოეულ მცხოვრებს, რადგან შეზღუდულია პარკინგი, გადაადგილება და სხვა.

ურბანულ დაგეგმარებაში ძალიან მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მწვანე არქიტექტურა. ძალიან აქტუალური და საინტერესო მიმართულებაა მდგრადი განვითარება და თანამედროვე ინფრასტრუქტურის როლი ადამიანის კეთილდღეობაში, რადგან სწორედ მასზეა დამოკიდებული, თუ რა გარემოში ცხოვრობ და ვითარდები. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ისეთმა ქვეყნებმა, როგორებიცაა: სინგაპური, სამხრეთ კორეა, მალაიზია დიდი გამოცდილება დააგროვა თანამედროვე არქიტექტურული კომპლექსების შენებაში და საჭიროა მათი შესწავლა.

საინტერესო ფაქტია, რომ დახურულ სივრცეში ცხოვრება, ადამიანებისთვის ფსიქოლოგიურად უფრო მძიმეა ვიდრე გაშლილ სივრცეში. სწორედ ეს ქმნის იმის მოტივს, რომ მაღალ კამპუსებში წარმოდგენილია სხვადასხვა დახურული ბაღი. მზის ულტრაიისფერი სხივების ქვეშ ყოფნა ადამიანისთვის ძალიან მნიშნველოვანია, აგრეთვე, D-ვიტამინის შევსება.

ბოლო წლებში მეცნიერები ამ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მინის არქიტექტურა არც თუ ისე სასარგებლოა, რადგან მისი გათბობა-გაგრილება საკმაოდ ძვირი ჯდება. ამიტომ მნიშნველოვანია გამახვილდეს ყურადღება, თანამედროვე ენერგო ეფექტურ საშენ მასალაზე, რომელიც უზრუნველყოს ბინაში სასურველ ტემპერატურას.

მზის ენერგიის ეფექტურად გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ბოლო პერიოდში ვითარდება მზის პანელები, მათი მარგი ქმედების კოეფიციენტი 100%-დან თითქმის 78%-მდე აღწევს. მნიშვნელოვანი დატვირთვა ენიჭება ქარის ტურბინებს და ბატარეებს.

მნიშვნელოვანია "LIFEINCITYFORESTLAND"-ის საინვესტიციო წინადადების შეფასება, რაც ინვესტორს დაეხმარება სწორად შეაფასოს, ღირს თუ არა ინვესტიციის დაბანდება აღნიშნულ ქალაქში. თუმცა, არანაკლები წვლილი შეიძლება ჰქონდეს ესკიზური პროექტის სოციალურ ეკონომიკურ ჭრილს. აუცილებელია, რომ ადამიანის ყოველგვარი ქმედება, რაც უკავშირდება გარემოს დაბინძურებას, იქნას შეზღუდული და უფრო ეფექტიანი საშუალებებით ჩანაცვლებული.

საქართველოში, დეესპესა "DSP" და ემდეეფის "MDF" მასალების იმპორტირება ხდება დიდი რაოდენობით, სამწუხაროდ ინდუსტრიული მერქანი და საწარმოო ტყეები ამჟამად არ გააჩნია ქვეყანას, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთადერთი არჩევანია უცხოური მასალები, რომელიც აქროლვადი წებოთია შეკრული და მისი გაჟონვა, სხვადასხვა დაავადების რისკს ქმნის. ყველაზე ძვირფასი მასალებია ავსტრიული და შვეიცარიული კრონოშპანისა და ეგერის პროდუქცია. ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო, როდესაც ლაქ-საღებავებსა და მსგავს საშუალებებს ყიდულობს ადამიანი სახლისთვის. ყოველთვის უნდა გაითვალისწინონ ის უკუეფექტი, რაც შეიძლება გამოიწვიოს გაუფრთხილებლობამ და ჯანმრთელობის გაუარესებამ, ქიმიური შენაერთებით გაჯერებული პროდუქტებით მოხმარების შედეგად. პატარა ბავშვების საძინებლები დამზადებული უნდა იყოს, ნატურალური ხისგან. საავეჯე დეტალები დაწიბოვნებულ უნდა იყოს ყველა მხრიდან, რაც შეამცირებს წებოსა და აქროლვადი ნივთიერებების მასალებიდან გაჟონვას [6].

დისკუსია

კვლევის შედეგად შემუშავებულ იქნა ეკო ქალაქის კონცეპტუალური პროექტი. "MIXPROJECT"-ის ქვე პროექტი "LIFEINCITYFORESTLAND"-ის მიხედვით, ეკო ქალაქში მიწაზე ასფალტი არ არის დაგებული და საზოგადოებას გადაადგილებისთვის ემსახურება დრონები. თანამედროვე ტექნოლოგიები შესაძლებლობას იძლევა აშენებულ იქნას ეკო ქალაქი ბუნებასთან სრულ თანწყობაში. აღნიშნულ პროექტში, საყრდენი ბურჯები სამკუთხედი შენობების სახით წარმოდგენილია სულ 3-ცალი და საცხოვრებელი კომპლექსები სართულზე 9 ცალი და ორ

სართულზე სულ 18 ცალი. შუაში გამჭირვალე მყარი ე.წ მინაა (ბადისებრი უჯრედებით განლაგებული). ეს სივრცე გამოყენებულია ფეხით გადასაადგილებლად და ბადის დასასრულს არის მოაჯირი. იგი მრავალფუნქციურია და მასში დამონტაჟებული ბალიშები, საშუალებას იძლევა გადაადგილებისას ელექტროენერგია გამოიმუშავოს და ღამე გაანათოს. ასევე ბადის უჯრედს ფუნქცია აქვს, როდესაც მასზე დადიხარ გახდეს წამიერად გაუმჭვირვალე და ყველაზე დიდი უპირატესობა მისი, მდგომარეობს იმაში, რომ ჩამონტაჟებული აქვს ინსტალაციები და შეუძლია ნებისმიერი მასალა გაუშვას და ვიზუალურად აჩვენოს 3D-ფორმატში, რაც თავისთავად დაეხმარება ტურისტს ერთი ფანჯრის პრინციპით დაათვალიეროს არსებული რეგიონი და დაგეგმოს ტური მისთვის სასურველ ადგილას. თუმცა, იგი ასევე ხელს შეუწყობს დიზაინერებს, IT-სფეროს წარმომადგენლებს ცხოვრების ჯანსაღი და ნაყოფიერი წლების გატარებაში, სახლიდან გაუსვლელად (შტატგარეშე) მუშაობაში. ისინი შეიძლება ცხოვრობდნენ მშვიდად, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ მეგობრულ ეკო ბინებში და ყველაფერთან წვდომა ჰქონდეთ ელექტრონულად. ყველა ბინას სახურავზე თან ახლავს დრონის დასაჯდომი მრგვალი არეალი. სამკუთხედის ფორმის შენობას, გარდა იმისა, რომ საყრდენის ფუნქცია აქვს, გამოყენებულია სხვადასხვა დანიშნულებითაც. ხოლო საყრდენ ბურჯზე განთავსებული მრგვალი არეალიდან, შესაძლებელი გახდება დედამიწაზე ვერტიკალურად ჩავიდნენ ადამიანები ელ.ლიფტით. ადამიანებს მიეცემა სრულ რეკრეაციაში განტვირთვის, დასვენებისა და მუშაობის შესაძლებლობა. ეს მიმართულება ტრენდულ სახედ შეიძლება განხილულ იქნას ისეთი ადამიანებისთვის, რომლებიც მოძრაობაში არიან, მაგ: ტურისტები, იგი წარმოადგენს შესანიშნავ ადგილს, მათი ადგილობრივ ლანდშაფტის კიდევ უფრო ახლოს შეცნობისთვის. ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალი თავისუფლადაა შესაძლებელი, რომ მიეწოდოს აქ მცხოვრებ მოსახლეობას. თუმცა, რაც შეეხება კალანიზაციასა და სხვა ნარჩენის გადამუშავებას, შესაძლებელია, რომ გამოყენებული იყოს თანამედროვე ბიო ტუალეტი, რაც შესაძლებლობას გვაძლევს გადამუშავდეს ფეკალური მასა და გამოიყოს სუფთა ტექნიკური წყალი, რომელსაც გამოყენება მიეცემა, ხეთა დამატებითი მორწყვისთვის განსაკუთრებით მაღალი ტემპერატურის დროს. ნაგავი და სხვა ტექნიკური ნარჩენები დახარისხებული იქნება. მიწაში იქნება ჩადგმული ბუნკერები და ფართო მილების მეშვეობით მოხდება მათში ნარჩენების ჩაყრა. ტექნიკური სამუშაოების განხორციელებისთვის გამოყენებული იქნება დრონები, ხოლო მათ საშუალება მიეცემა გაიტანონ ნარჩენები და სპეციალურ ქარხნებში გადამუშავდეს ისინი. თანამედროვე ტენდენციების მიხედვით ბუნებრივი აირის დიდი ოდენობით გამოყენება აზიანებს დედამიწას. ასევე, შესაძლებელია ენერგო ეფექტური მცენარეების გამოყენება. ასეთი მცენარეა მისკანტუსის პლანტაცია, რომლის გადამუშავებით მიიღება ბიო საწვავი. იგი საქართველოს ტერიტორიას ძალიან კარგად ეგუება, მერქანი საკმაოდ მყარი აქვს. ასევე აღსანიშნავია, ის რომ ქარის, მზის ელექტრო ბატარეებისა თუ წყლის ტურბინების დამონტაჟება უზრუნველყოფს საკუთარი მოთხოვნების უმეტესწილად დაკმაყოფილებას.

ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა ბინის ინტერიერის დიზაინი, რომლის დაგეგმარება უნიკალურია, რადგან მასში მცხოვრებ ადამიანებს შეეძლებათ ხედი ჰქონდეთ ბუნებაზე და თავი აარიდონ დაბინძურებულ არეალში ცხოვრებას. ინტერიერში კედლის დასასრულსა და ჭერის დასაწყისთან ყველაზე მაღალ წერტილებში განლაგებულია დახურული თაროები. მოქნილი, ჭერზე დამონტაჟებული სრიალა მექანიზმით შესაძლებელია თაროს გამოცურება ადამიანისთვის მოსახერხებელ ადგილზე. შემდეგ კი გარმონის მსგავსი მექანიზმით დაბლა ჩამოწევა, პროდუქტის კულტივირება ან მოსავლის აღება და ისევ დაბრუნება ვერტიკალური და ჰორიზონტალური გადაადგილებით საწყის პოზიციაზე. სხვა შემთხვევაში თაროში პროდუქტის მოყვანა წარმოებს ავტომატურად, თუ გავითვალისწინებთ, რომ კედელში ჩაშენებულია ჰაერის ფილტრი, წვეთოვანი და დიოდის განათება-შუქის ორი სპექტრით: მცენარის ზრდისთვის, გვჭირდება 450 ნანომეტრი, ეს არის ლურჯი სინათლე, რომელიც ფესვთა სისტემის განვითარებისთვის არის 650 ნანომეტრი, ეს არის წითელი სინათლე. საერთო ჯამში ისინი, ფოთოლისა და მცენარის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. ჩვენ შევძლებთ, მოვიყვანოთ ჯანსაღი ბიო მცენარეები (ჯეჯილი, მიკრო მწვანილები და სხვა) ორგანულ ნიადაგზე. ინდივიდს შეეძლებოდა ყოველ 10-დღეში მიეღო სუფთა პროდუქტი, გამორჩეული ვიტამინებითა და მაღალხარისხობრივი საგემოვნო თვისებებით.

ბინის შიდა ნახაზის მიხედვით, წარმოდგენილი საცხოვრებელი ფართის ჯამური კვადრატული მეტრის ოდენობა შეადგენს 78-ს. ეს ეფექტიანია, დაახლოებით 2-4 ადამიანის კომფორტულად ცხოვრებისთვის. გარე კედლების სისქე შეადგენს 40 სმ-ს, ხოლო შიდა კედლებისა 15 სმ-ს.

ბინის შიდა დიზაინის რენდერ მოდელში გამოტანილია სხვადასხვა სახის საჭირო ელემენტი, ხოლო ავეჯით გაწყობა ადამიანს შეეძლება მაშინ, როდესაც საცხოვრებლად გადავა ბინაში. ადამიანს უნდა ჰქონდეს არჩევანი დაამზადოს მასიური ხისგან ავეჯი, თუ გამოიყენოს "DSP" და "MDF"-ის ფილები, გამორჩეული ხარისხის მასალით, როგორიცაა არის ავსტრიული და შვეიცარიული კრონოშპანისა და ეგერის პროდუქცია და დააწიბოვნოს ყველა არე ფილის, რათა თავიდან აირიდოს აქროლვადი წებოს მავნე ზემოქმედება.

ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ შევიმუშავეთ კონცეფცია, რომლის მიხედვითაც უნდა შეიქმნას აპლიკაცია, რომელიც გააერთიანებს ყველა იმ პროდუქტს, რასაც ადამიანი დღის რაციონად იღებდა. რეკომენდაცია მიეცემათ ინდივიდებს, იმ შესაძლებლობებზე, რასაც მეტი პრევენციისთვის, არაჯანსაღიდან ჯანსაღი ცხოვრების წესზე გადასვლისთვის გამოიყენებდნენ. ჩვენ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა (ჯანმო) და სხვა წყაროებიდან წამოვიღებდით მაღალ ვალიდურ კვლევებს საკვები პროდუქტების შესახებ და ჩავშლიდით თითოეული ხილისა და ბოსტნეულის ჭრილში, რომელიც მისცემდა ადამიანს სრულყოფილ ცოდნას, რამდენ ვიტამინს, მინერალს, ცხიმს, ნახშირწყალსა და სხვა მსგავს სასარგებლო თუ უსარგებლო ნივთიერებას აგროვებს. იქნებოდა, ყოველდღიური, ყოველკვირეული, ყოველთვიური სტატისტიკის ნახვისა და გადამოწმების შესაძლებლობა ასევე ყოველდღიური მონიტორინგი, თუ რა მოუხდებოდა ინდივიდის ორგანიზმს რომ იმ დღეს ზუსტად ეს პროდუქტი მიერთვა, რათა შეევსო, ის ნორმა კონკრეტული ნივთიერებებისა, რაც დეფიციტში ექნებოდა. ამ ყველაფერს, თუ რა საკვებისა თუ სასმელის დალევა და საკვების შეჭმა მოახერხა ინდივიდმა შესაბამის მომენტში, შეიყვანდა ხელით და დააფიქსირებდა, რათა შესაბამისი მონაცემები დათვლილიყო. ეს მეთოდი სახელმწიფოს დაეხმარება პრევენციული ღონისძიებით მეტი ეფექტურობის მიღწევასა და დაავადების ტვირთის შემცირებაში, რომელიც დღეს იხარჯება ავადმყოფი პაციენტების მკურნალობა/გამოჯანმრთელებაზე. იხილეთ აღნიშნული აპლიკაციის "ABC HEALTH"-ის სურათები.

ჩვენი პროექტი, შემუშავდა გაეროს მდგრადი განვითარების გლობალური მიზნებიდან გამომდინარე და სრულიად თავსებადია მასთან. ეს მიზნები და მათი მასშტაბურობა, განსაზღვრავს მის პრიორიტეტს მსოფლიოში. რეალურია შესაძლებლობა იმის, რომ არსებული რისკები მინიმუმამდე დავიყვანოთ და სწორედ ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ზემოთ აღნიშნული ესკიზური პროექტი. [7]

აღსანიშნავია, იმ საკითხის წარმოჩენა, რომელიც ემზარ ხვიჩიას ნოოლოგიის ფსიქიკურ სტიქიათა თეორიასა და ციკლურ ლოგიკას ეფუძნება, მისი გამოყენება, ჩვენი კონცეპტუალური ქალაქის ჭრილში "LIFEINCITYFORESTLAND"-ის ქვეშაც შეიძლება, რადგან ქართველები და ჩვენი ფსიქოტიპის ერები დახასიათებულია, როგორც შეუპოვრები, თუ საკუთარი ინიციატივით არის განპირობებული ქცევა, სხვის გამო შეუძლიათ თავის გაწირვაც კი. შეუძლიათ ძალიან კარგად მოირგონ და ითამაშონ როლი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან, ყველაზე გონივრულად იმოქმედონ რთული მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, სწორედ ამიტომ ძალიან კარგად შეგვიძლია მართვითი საქმეების ხელმძღვანელობა. თუმცა იმიტომ, რომ ყველა ინიციატივიანობით გამოირჩევა, ერთმანეთთან კომუნიკაცია გვიჭირს და თუნდაც, ორი ადამიანი როდესაც ხვდება ერთმანეთს, იქნება ეს საქმიან შეხვედრა თუ სხვა მიზეზით განპირობებული, ისინი განსხვავების საფუძველზე ცდილობენ ერთობის შექმნას, ესე იგი მუდმივად ახასიათებთ ერთმანეთისადმი ინფორმაციის გაცემა, თუმცა არ უსმენენ რა თქვეს იმას, მათთვის მთავარია თავის არიდება და განსხვავებული პოზიციის დაფიქსირება. რაც ნიშნავს, იმას, რომ მრავალი ადამიანი ე.წ „მართვის მანიის" ერიდან, ერთი აზრის გარშემო ერთობას ვერ ინარჩუნებს. ინიციატივასთან ერთად თუ არ აქვს ქართველს, შესაძლებლობა კარიერული ზრდის, რომელიც ხელფასის მატებასა და სხვა მრავალი წახალისებით შეუძლია რომ მიიღოს, ყველა სხვა შემთხვევაში, რუტინული საქმე მოვალეობად გადაიქცევა ხოლმე და თავს არიდებს კონკრეტულ ადგილზე

მუშაობას და ტოვებს სამსახურს. უცხო ერის წარმომადგენლების მიმართ ქართველები არიან ძალიან გახსნილები, ბუნებით თავისუფლები, სპონტანურები და იშვიათად გეგმავენ რამეს, ძირითადად მოქმედებენ სიტუაციურად, მათივე გუნება-განწყობის მიხედვით. [8]

ვთვლით, რომ საამაყოა ის უნიკალური ფსიქოფიზიოლოგიური მახასიათებლები, რომელიც გამოგვარჩევს სხვა ერის ქცევათა კლასისგან, ხოლო თუ სწორედ ჩვენი მომავლის "LIFEINCITYFORESTLAND"-ის ქალაქებში იცხოვრებდნენ კომფორტულ გარემოში ქართველი ახალგაზრდები, რომლებსაც ექნებოდათ მწველი სურვილი უფრო მეტი შემოსავლების მიღებისა (freelancer) ფრილანსერული (შტატგარეშე) სამსახურებიდან, რომლებსაც უცხო ქვეყნების კომპანიებისგან/დამკვეთებისგან მიიღებდნენ ე.წ პროექტების სახით, ბევრად პროდუქტიულად იგრძნობდნენ თავს და შეძლებდნენ, იმდენი ფული გამოემუშავებინათ, რამდენიც კონკრეტულ მომენტში, თავიანთ სურვილს შეესაბამებოდა.

იხილეთ ილუსტრაციები:

ილუსტრაცია 1: კომპლექსის ესკიზ-რენდერი 1.

ილუსტრაცია 2: კომპლექსის ესკიზ-რენდერი 2.



ილუსტრაცია 3: ინტერიერის ესკიზ-რენდერი.

ილუსტრაცია 4: აპლიკაციის "ABC HEALTH"-ის პროტოტიპი.

დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფო თუ წაახალისებს ეკოლოგიური პროექტების მშენებლობის ინვესტიციებსა და გრანტებს, თუ ხალხს მიეცემა 20-40 წლით გრძელვადიანი სესხი დაბალ პროცენტში, მოსახლეობა შეძლებდა ზემოთ განხილული ტიპის ქალაქებში გადასვლას საცხოვრებლად. ეს კი წაახალისებდა ეკონომიკასა და ადამიანის ცხოვრება გახდებოდა მეტად პროდუქტიული, ნაყოფიერი და ჯანსაღი, რაც თავის მხრივ მას ხელს შეუწყობდა გრძელვადიან პერიოდში მეტი ჯანსაღი, ხარისხობრივი ცხოვრების წლების გატარებაში. მსგავსი კვლევები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჩატარებულა, სადაც რესპოდენტებიც ადასტურებენ, რომ მათი მოთხოვნაა, იცხოვრონ ჯანსაღ, სუფთა, ეკოლოგიურ გარემოში. ძნელია განსაზღვრო ამ უნიკალური კონცეპტუალური პროექტის სოციალურ-ეკონომიკური ჭრილი, რამდენი მილიარდი დოლარი ჯდება ადამიანისთვის 1 წლით სიცოცხლის გახანგრძლივება და როგორ დაეხმარება ეს ჯანდაცვის სამინისტროს ავადობის ხარჯების შემცირებაში.

საზოგადოება მზადაა იცხოვროს ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვით. ჩვენ მიერ შემუშავებული აპლიკაციის პროექტი, დაეხმარება ადამიანებს, თუნდაც ეკოლოგიურ ადგილებში ცხოვრებით, თავი დაიცვან გაუფრთხილებლობით გამოწვეული რისკებისგან. საჭიროა ამ მიმართულებით კვლევების გაგრძელება. უმნიშვნელოვანესია მწვანე ეკო ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოში. არსებობს მრავალი შემაფერხებელი ფაქტორი, თუმცა ყველაფერი დაძლევადია და ის რომ დღეს დაიწყო ამ საკითხზე საუბარი და კონცეპტუალური პროექტის შემუშავება, უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია.

The research implemented by the author and was supported by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [MR-18-093]

გამოყენებული ლიტერატურა:

World Health Organization. 2018. ~World Health Organization Releases New Global Air Pollution Data." CCAC Secretariat. http://ccacoalition.org/en/news/world-health-organization-releases-new-global-air-pollution-data (10.05.2019)

Petryk, Agnieszka. 2018. "*Epidemiology of Selected Diseases Related to Air Pollution in Krakow." Journal of Ecological Engineering* 19 (6): 124–31. doi.org/10.12911/22998993/92892

Madhipatla Kishore, Venkatesh S, Christopher D J, Stanaway D Jeffrey, Dhaliwal R S, Dandona Lalit, Singh Virendra, et al. 2018. "The Impact of Air Pollution on Deaths, Disease Burden, and Life Expectancy across the States of India: The Global Burden of Disease Study 2017." *The Lancet Planetary Health* 3 (1): e26–39. doi.org/10.1016/s2542-5196(18)30261-

Diamandis Peter. 2019. https://www.diamandis.com/blog/future-of-cities-part-1 (5.06.2019)

ეკოკლვევა 2019. (1) https://drive.google.com/open?id=1AYyimUXo-dfZQxy5N6hKn3ZCZjRm_lYU

ეკოკლვევა 2019.(2) https://drive.google.com/open?id=1rDavn46wuPiv8lBl-J5AODOYToA11ZDk

დიზაინის ნიმუშები 2019. https://drive.google.com/open?id=1L8ehjLCj_v5bwHblaOh7EOmOhnf_1tOp

ხვიჩია, ე. (2011). „ოპტიმალიზმი: ქართული ეროვნული იდეა, გლობალიზმის იმპერატიული პარადიგმა" თბილისი. https://core.ac.uk/download/pdf/15537176.pdf (15.10.2019)

საქართველოში ჯანმრთელობის ხელშეწყობა ეკო მეგობრული ტექნოლოგიების ასპექტში

ლევან კიკილაშვილი

დოქტორანტი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რუსუდან კვარაცხელია

ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

საქართველო ახალი ათასწლეულის დასაწყისში, როგორც განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანა დიდი გამოწვევების წინაშე დგას. ის გამოირჩევა მრავალფეროვანი ბუნებრივი ლანდშაფტით, რაც ქმნის შესაძლებლობას სახელმწიფოს ახალი სოციალურ-ეკონომიკური ფორმით განვითარებისას, მიუხედავად ამისა დიდ ქალაქებში მაღალია სხვადასხვა დაავადების გამომწვევი რისკფაქტორი, რაც ხშირად დაკავშირებულია გარემოს დაბინძურებასა და მწვანე ეკო-საფარის სიმცირესთან. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია განხილულ იქნას ეკო-ინფრასტრუქტურისა და შესაბამისი ხელშემწყობი სისტემების შექმნა-განვითარების როლი, რაც საზოგადოებას ხანგრძლივი, ჯანმრთელი, ცხოვრების წლების შენარჩუნებაში დაეხმარება.

ამ ყველაფერში ჩავრთავთ, იმ ახალ ტექნოლოგიურ ინოვაციურ მიდგომებს, რომლითაც შესაძლებელია რევოლუციურად განვითარდეს და მეტად მოქნილი გახდეს ადამიანის საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს გაუმჯობესება, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს ქვეყნის პოტენციალისა და მდგრადობის ზრდას. ეკო-გარემოში ცხოვრება, წლებია, უკვე მსოფლიოს და ახლა უკვე საქართველოს მოსახლეობის მთავარ პრობლემად იქცა, ეს კი მეტად საზიანოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, გამოვიკვლიოთ, გარემოს დამბინძურებელი ფაქტორებისა და ჯანმრთელობის ხელშემწყობი სისტემის მიდგომები. იგულისხმება ახალი ტექნოლოგიური ინოვაციები, რომლითაც შესაძლებელია რევოლუციურად განვითარდეს და მეტად მოქნილი გახდეს ადამიანის საცხოვრებელი გარემოს ეკო ელემენტებით გაჯანსაღების ფაქტორები, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს ქვეყნისა და მოსახლეობის პოტენციალის, პროდუქტიულობის, მდგრადობის, კეთილდღეობის ზრდას.

საკვანძო სიტყვები: *ინჟინერია-ტექნოლოგიები, ინოვაცია-ნოვაცია, დაავადებათა-პრევენცია, მენეჯმენტი, ეკო ინფრასტრუქტურა*

Health Promotion in Georgia Eco friendly Technologicals Aspect

Levan Kikilashvili

Ph.D. Student
Sokhumi State University

Rusudan kvaratskhelia

Associate Professor, Doctor of Economics
East European University

Abstract

At the beginning of new millennium, Georgia has faced a variety of environmental challenges. The reduction of green space and poor air quality became the major underline risk factor in the rise of many types of diseases in big cities. One of the distinct characteristics of Georgia is its unique natural resources and landscapes. That creates a possibility to design strategies for more sustainable social-economical development of our country. We believe the development of eco infrastructure and its appropriate support system can increase the longevity and overall life quality among the residents of Georgia. Living in the ecologically clean environment became a major challenge among many populations across the globe.

Keywords: *Disease-Prevention, Engineering-Technology, Eco Infrastructure, Innovation-Novation*

გამომცემელი: აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

კრებული დაკაბადონდა და დაიბეჭდა საქართველოს
აკადემიურ გამომცემლობა **„საგა“**-სთან თანამშრომლობით.

Publisher: East European University (EEU)

Layout and printing by "APG" Academic Press of Georgia (APG).

ISSN 2667-9019

ISSN 2667-9019
EEU.EDU.GE